



XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა
სამეცნიერო შრომათა ჟურნალი

3



უნივერსიტეტის
ბაზომათა

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities Department of History of New Georgian
Literature

XIX CENTURY – AT THE CROSSROADS OF EPOCHS

JOURNAL OF SCIENTIFIC WORKS

3

Tbilisi
2022-2023

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა

XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა

სამეცნიერო შრომათა ჟურნალი

3

თბილისი

2022-2023

Editor

Tamar Sharabidze, Associate Professor, TSU

Editorial Board:

Lado Minashvili, Associate Professor, TSU;

Ekaterine Navrozashvili, Associate Professor, TSU;

Eka Vardoshvili, Associate Professor, TSU;

Manana Mujiri, Associate Professor, TSU;

Nana Gonjilashvili, Associate Professor, TSU;

Inga Sanikidze, Associate Professor, TSU;

Ana Dolidze, Doctor of Philology, TSU;

Tamar Tsitsishvili, Doctor of Philology, Senior Scientist of Shota Rustaveli
Institute of Georgian Literature;

Valentina Avramova, Professor, University of Bishop Konstantin Preslavsky
Shumen (Bulgaria);

Kamal Abdullayev, Rector of Baku State University of Foreign Languages,
Professor, Full Member of the Academy of Sciences of Azerbaijan
(Azerbaijan);

Thomas Schmidt, Professor, University of Zurich (Switzerland);

Ludmila Shipelevich, Professor, University of Warsaw (Poland).

რედაქტორი

თამარ შარაბიძე, ასოც. პროფესორი, თსუ

სარედაქციო საბჭო

ლადო მინაშვილი, ასოც. პროფესორი, თსუ;

ეკა ნავროზაშვილი, ასოც. პროფესორი, თსუ;

ეკა ვარდოშვილი, ასოც. პროფესორი, თსუ;

მანანა მუჯირი, ასოც. პროფესორი, თსუ;

ნანა გონჭილაშვილი, ასოც. პროფესორი, თსუ;

ინგა სანიკიძე, თსუ ასოც. პროფესორი, თსუ;

ანა დოლიძე, ფილოლოგიის დოქტორი, თსუ;

თამარ ციციშვილი, ფილოლოგიის დოქტორი, შოთა რუსთაველის
სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი
მეცნიერი თანამშრომელი;

ვალენტინა ავრამოვა, წმინდა კონსტანტინე პრესლაველის
სახელობის შუმენის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბულგარეთი);

ქამალ აბდულაევი, ბაქოს უცხო ენათა უნივერსიტეტის რექტორი,
აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი
წევრი (აზერბაიჯანი);

თომას შმიდტი, ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორი (შვეიცარია);
ლუდმილა შიპელევიჩი, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი
(პოლონეთი).

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023

ISSN 2720-7862

ს ა რ ჩ ე ვ ი
C o n t e n t s

ქეთევან ანთელავა

ქალთა როლი ავანგარდის პოპულარიზაციაში აშშ-ში
მე-20 საუკუნის დასაწყისში..... 11

Ketevan antelava

The Role of Women in the Popularization
of the Avant-garde in the Early 20th-Century United State 11

გია არგანაშვილი

ისტორიული პირის სახეცვლილი პერსონაჟი ლიტერატურაში
(ედღვნება იონა ხელაშვილის დაბადებიდან
250 წლისთავს) 26

Gia Arganashvili

Transforming a Historical Person into a Literary Character in a
Fictional Text (It is dedicated to the 250th anniversary
of the birth of a famous scientist and cleric Yona Khelashvili)..... 26

ნანა გონჯილაშვილი, ნესტან სულავა

ივანე ჯავახიშვილი ცნება-ტერმინთა შესახებ ძველ
ქართულ ლიტერატურაში..... 45

Nana Gonjilashvili, Nestan Sulava

Ivane Javakhishvili on concepts and terms in ancient Georgian
literature..... 45

ანა დოლიძე

კავკასიის საცენზურო კომიტეტი თარგმანის ზოგიერთ
საკითხზე..... 64

Anna Dolidze

Caucasian Censorship Committee on Certain Translation Issues64

გოჩა კუჭუხიძე

კავკასიის საცენზურო კომიტეტის ზოგიერთი ტენდენციის
შესახებ (XIX საუკუნის 70-80-იანი წლები) 75

Gocha Kuchukhidze

Certain Trends of Caucasian Censorship Committee
(70s of 19th century) 75

ნინო მამარდაშვილი

გიორგი მუხრანბატონის თხზულება „ნაციონალური
ინდივიდუალობის არსისა და მსხვილი სახალხო
ერთეულების საგანმანათლებლო მნიშვნელობის
შესახებ“ – ნაციონალური და ინტერნაციონალური
კონტექსტი 113

Nino Mamardashvili

Giorgi Mukhranbatoni’s Essay – On the Essence of National
Individuality and on Educational Significance of Large
Public Units – National and International Context.....113

სოფიო მუჯირი

ემოციური იდიომების რეფლექტირების ხერხები
მხატვრულ ტექსტში 127

Sophio Mujiri

The Ways of Reflecting Emotional Idioms in Literary Texts127

მერი სამაკაშვილი

ალენ გინზბერგის ლექსის „სუპერმარკეტი კალიფორნიაში“
ორიგინალისა და თარგმანის შეპირისპირებითი
ანალიზი.....142

Meri Samakashvili

A comparative analysis of the original and translation of Allen
Ginsberg’s poem „A Supermarket in California“142

ინგა სანიკიძე

XII საუკუნის ისტორიული რეალობა და რუსთველის
პოემის „დასაწყისი“.....166

IngaSanikidze

Historical reality of the 12th century and the “Beginning” of
Rustaveli’s poem.....166

თამარ შარაბიძე

გაბრიელ ეპისკოპოსის დვანლი XIX საუკუნის
საზოგადოებრივ-ლიტერატურულ აზროვნებაში.....184

Tamar Sharabidze

Bishop Gabriel’s Contribution to the Social and Literary
Thought of the 19th Century184

მინდია ცეცხლაძე

ნიცშეანური ეტიმოლოგია: ძალაუფლების ნება და
პერსპექტივიზმი ქართულ ენაში204

MindiaTsetskhladze

Nietzschean Etymology: Will to Power and Perspectivism in
Georgian Language204

ნინო წერეთელი

ქართულ-ლიეტუვური ლიტერატურული
ურთიერთობების ისტორიიდან.....236

Nino Tsereteli

From the history of Georgian-Lithuanian literary relations236

მამუკა ჭანტურაია

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის ზოგიერთი
ასპექტისათვის245

Mamuka Tchanturaia

For some aspects of Galaktion Tabidze's Lyrics245

მაია ჯალიაშვილი

აჩრდილის მითოპოეტური კონცეპტი (ილია ჭავჭავაძის
„აჩრდილის“ მიხედვით).....266

Maia Jaliashvili

Mythopoetic Concept of Ghost (according to Ilia Chavchavadze's
„The Ghost“)266

ქალთა როლი ავანგარდის პოპულარიზაციაში
აშშ-ში მე-20 საუკუნის დასაწყისში
The Role of Women in the Popularization
of the Avant-garde in the Early 20th-Century United
State

ქეთევან ანთელავა
Ketevan antelava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქალთა საკითხები, ხელოვნება, ავანგარდი,
მეიბელ დოჯი, არმორი შოუ.

Key words: Women Studies, Art, Avan – garde, Mable Dodge, Armory
Show.

დღესდღეობით, შესაძლოა, ძნელი წარმოსადგენიც იყოს, მაგრამ მე-20 საუკუნის დასაწყისში თანამედროვე ხელოვნების მხარდაჭერასა და პროპაგანდას ერთგვარი ამბოხების სახე ჰქონდა, რადგან ავანგარდს იმ დროს რადიკალიზმის იერი დაჰკრავდა. მიუხედავად ამისა, მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში თანამედროვე ხელოვნების სამი მთავარი¹ მუზეუმი მხოლოდ ქალებმა დააარსეს ნიუ-იორკში.

თუმცა ამას წინ უძღოდა მე-20 საუკუნის დასაწყისის რადიკალური ცვლილებების ეპოქა. ამ პერიოდის ამერიკაში სოციალიზმი, კომუნიზმი და ანარქიზმი კაპიტალიზმსა და მის ფასეულობებს საფრთხეს უქმნიდა; ალკოჰოლური სასმელების აკრძალვის, მატერიალური ბუმისა და დიდი დეპრესიის პერიოდები საოცარი სისწრაფით ენაცვლებოდა ერთმანეთს; ერთმანეთს შეეჯახა დარვინის ევოლუციური თეორია და სამყაროს შექმნის ბიბლიური ინტერპრეტაცია;² ჯაზის, ავტომობილების, განგსტერებისა და პირველი საფრენი აპარატების ეპოქა აზროვნების ძველებური სტანდარტების მსხვრევის პერიოდად მოგვევლინა.

რევოლუციური ცვლილებები ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა. ამ ფონზე სრულიად ბუნებრივი იყო რადიკალუ-

¹ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, უითნის ამერიკული ხელოვნების მუზეუმი, გუგენჰაიმის მუზეუმი.

² სქოუფის პროცესი – სასამართლო პროცესი, რომელიც ოფიციალურად ცნობილია როგორც „ტენესის შტატი ჯონ თომას სქოუფის წინააღმდეგ“, 1925 წელს შედგა. სკოლის მასწავლებელს, ჯონ სქოუფს, ბრალი ედებოდა ტენესის შტატის კანონმდებლობის დარღვევაში, რომელიც სახელმწიფო სკოლაში ევოლუციური თეორიების სწავლებას კრძალავდა. სქოუფი დამნაშავედ ცნეს და 100 დოლარით დააჯარიმეს. პროცესს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. იგი მოდერნისტული და ფუნდამენტალისტური თეორიების დაპირისპირების კიდევ ერთი საჯარო გამოვლინება იყო. მოდერნისტული თეორიის მიმდევრები განვითარების ევოლუციური თეორიის მომხრენი იყვნენ და რელიგიასთან მის თავსებადობას გამოიციხავდნენ. ფუნდამენტალისტები ადამიანის ცოდნის ერთადერთ წყაროდ ბიბლიას მიიჩნევდნენ.

რი სიახლეები ხელოვნებაშიც. სტრავინსკის მუსიკა, დიაგილევის საბალეტო დადგმები, ჯეიმს ჯოისისა და ანდრე ბრეტონის ლიტერატურული ქმნილებები ერთიანად ამსხვრევდა მანამდე არსებულ კანონებს. ამერიკამ ამ პროცესებს მრავალფეროვანი ლიტერატურული პალიტრით უპასუხა და დაინყო ჰემინგუეის, ფიცჯერალდის, ეზრა პაუნდის, იუჯინ ოკნილის, სტაინბეკისა და თორნტონ უაილდერის ეპოქა. ამ პერიოდის ამერიკელი მხატვრები და მოქანდაკეები კიდევ უფრო მეტად მოექცნენ ამ ახალი, რევოლუციური ცვლილებების გავლენის ქვეშ და ამ ცვლილებების აკვანს, პარიზს, მიაშურეს. პარიზში იმხანად მიმდინარე პროცესები საფუძველს უყრიდა იმ სიახლის დაბადებას, რომელიც დღეს ფოვიზმის, კუბიზმის, დადაიზმისა და სიურრეალიზმის სახელითაა ცნობილი. მართალია, პარიზი ამ პროცესების ეპიცენტრი იყო, მაგრამ აქაც ხსენებული სიახლეების დამკვიდრება დიდი ტექნიკური და იდეოლოგიური სირთულეების გადალახვის ხარჯზე ხდებოდა.

„ნაგიფი ხედოვნების სკოლა“ და „ჟიუდიანის აკადემია“ ახადგაზიდა პაჩიზედ მხატვართა აღმაფიქნას ისევე აბიკოდება, ხოგოხც ეხოვნური აკადემია ნიუ-იოხკედ ხედოვანებს. ამიტომ მსგავსი დაწესებულებების წინააღმდეგ მასშტაბური, გაშმაგებული შეგვეა განხოხციერდა. ამ მოძხოობას სათავეში ედგნენ ანხი მაგისი და მისი მიმდევეხები, ხომდებსაც ამის გამო „ნადიხებიც“ (ფოვისტები) კი უწოდეს. პაბდო პიკასომ და ჟოხჟ ბიაკმა კი ცოგა ხანში კუბიზმის კონცეფციაც შეიმუშავეს, ხოგოხც უსიცოცხლო აკადემიური ნაგუხადიზმის ადგეჩინაგვივა. ხედოვნების ახად ღმეხთებად გამოცხადდნენ პოსტიმპხესიონისტები: პოდ გოგენი, ვინსენტ ვან გოგი და განსაკუთხებით პოდ სეზანი“ [Craven 2003 : 444].

ეს პროცესები საუკუნის დასაწყისში პარიზში დაწყებული მოძრაობის შედეგი იყო: 1903 წლიდან მოყოლებული, ოფიციალურ საგამოფენო დარბაზებში არდაშვებული მხატვრები ალტერნატიულ სივრცეში (*Salone d'Automne*) მართავდნენ გამოფენებს; 1905 წელს აქ გამართული ექსპოზიციები უკვე გაცი-

ლებით მეტ შემოქმედს მასპინძლობდა, მათ შორის, ამერიკელ მხატვრებს: მაქს ვებერს, პატრიკ ჰენრი ბრუსსა და ჯონ მარტინს. იმავე წელს კიდევ ერთმა ახალმა გალერეამ (*Salon de Independent*) წარმოადგინა გოგენისა და ვან გოგის გრანდიოზული გამოფენა; 1906 წლიდან გერტრუდ და ლეო სტაინების პარიზული ბინა ევროპელი და ამერიკელი ავანგარდისტი მწერლების, მხატვრებისა და მოქანდაკეების თავშეყრის ადგილი გახდა. სწორედ აქ ეზიარა უამრავი ამერიკელი ხელოვანი, კოლექციონერი და მეცენატი ხელოვნების ამ ახალ მიმდინარეობებს. 1907 წელს პიკასოს მიერ შექმნილი ტილო „ავინიონელი ქაღწულები“ კუბიზმის დაბადების მანიშნებელი იყო. 1908 წელს პარიზში მცხოვრებმა მეამბოხე ამერიკელმა მხატვრებმა ჩამოაყალიბეს ე.წ. ახალი საზოგადოება (*The New Soccoety*), რომლის პირველი შეკრება ამერიკელი მხატვრისა და ფოტოგრაფის, ედვარდ სტიშენის (1879-1973) სტუდიაში შედგა. ამ ფიგურას ამერიკაში ავანგარდის პოპულარიზაციაში უდიდესი წვლილი მიუძღვის, რადგან სწორედ ის იყო ალფრედ შტიგლიცის (1864-1946) მიერ ნიუ-იორკში გახსნილი რევოლუციური გალერეისთვის ავანგარდული მხატვრობის ნიმუშების მიმწოდებელი.

მართალია, ამერიკული ავანგარდული მხატვრობის სკოლა ფრანგული ავანგარდის პირმშოა, მაგრამ არაერთი ნიჭიერი ხელოვანის წყალობით მან განვითარების უნიკალური გზა გაიარა და გამორჩეული წარმომადგენლებიც ჰყავს.¹

¹ ალფრედ მორიერი (1868-1932) – აკადემიური განათლების მიუხედავად, მისი შემოქმედება მატისის ძლიერი გავლენის ქვეშ მოექცა. 1909 წელს მისი საუკეთესო ნამუშევრები შტიგლიცის გალერეაში იქნა გამოფენილი; არტურ ქარლსი (1882-1952) – ფილადელფიელი მხატვარი, რომელიც საუკუნის დასაწყისში პარიზში დაუახლოვდა ალფრედ მორიერს, გერთრუდ და ლეო სტაინებს, იყო მატისის მოწაფე; პატრიკ ჰენრი ბრუსი (1881-1936) – ვირჯინიიდან ჯერ ნიუ-იორკში გაემგზავრა სასწავლებლად, შემდეგ კი პარიზში. მისი ადრეული ნამუშევრები სინქრომიზმსა და ფერებთან დაკავშირებულ ექსპერიმენტებს უკავშირდება; მაქს ვე-

მოდერნისტული ხელოვნებისადმი ინტერესის ზრდა შეერთებულ შტატებში რამდენიმე გადამწყვეტი ფაქტორის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. თავად გამორჩეული მხატვრების არსებობის პარალელურად მათი ხელოვნების გეგმაზომიერი და მიზანმიმართული პროპაგანდა აუცილებელი პირობა იყო.

ერთ-ერთი ასეთი კერა ალფრედ შტიგლიცის მიერ დაარსებული სამხატვრო გალერეა იყო, რომელიც მისი ნიუ-იორკული მისამართის გამო (291, მეხუთე ავენიუ, ნიუ-იორკი) „გალერეა 291“-ის სახელითაა ცნობილი.

ხელოვნების ისტორიის მკვლევარი ქრეივენი მიიჩნევს, რომ ალფრედ შტიგლიცმა იმ დროის თითქმის ყველა საინტერესო ავანგარდისტი ხელოვანი შემოიკრიბა და მტრულად განწყობილ ანტიმოდერნისტულ გარემოში მათთვის ეს ადგილი ნამდვილი თავშესაფარი გახდა [Craven 2003: 52]. როგორც ჯგუფს, ამ მხატვრებს ერთი საერთო მრწამსი არ ჰქონდათ, მაგრამ მათი გადაკვეთის წერტილი მოდერნისტული იდეალების ერთგულება იყო. ამ ჯგუფში მოიაზრებოდნენ: მაქს ვებერი, ჯონ მარტინი, ართურ დოვი, მარსდენ ჰართლი და ჯორჯია ოქიფი.

ეს საგამოფენო სივრცე 1903 წლიდან 1917 წლამდე ფუნქციონირებდა და მან დროის ამ მონაკვეთში 80-ამდე გამოფენას უმასპინძლა. 1909 წელს საზოგადოების წინაშე პირველად წარსდგნენ ამერიკელი მოდერნისტი მხატვრები; ერთი წლის შემდეგ, 1910 წელს საერთო სათაურით „ახადგაზხდა ამეიკელი მხატვრები“ შედგა ამერიკელი მხატვრების პირველი მსხვილი გამოფენა. ფართო საზოგადოების დიდი ინტერესის გარდა, ეს ღონისძიებები ექსპერტების დაუნდობელ კრიტიკას იმსახუ-

ბერი (1881-1961) – რუსი ებრაელების ოჯახში დაბადებული, იგი ამერიკაში 10 წლის ასაკში მოხვდა და ბრუკლინის ლარინა-ნილში გაიზარდა. 1905-1908 წლებში პარიზში ცხოვრებისას ვებერი აქტიურად ერთვება კუბისტებისა და ფოვისტების ექსპერიმენტებში.

რებდა, რომელთა უმეტესობა ერთხმად ამტკიცებდა, რომ ამერიკული ხელოვნება „სიგიჟემ და ანარქიამ“ მოიცვა.

ამერიკელი ავანგარდისტების გარდა, „გალერეა 291“-ში წარმოდგენილი იყვნენ ისეთი ევროპელი შემოქმედები, როგორებიცაა: როდენი, სეზანი, მატისი, ბრაკი და რუსო. მსგავს პროექტებს შტიგლიცი პარიზშიც ახორციელებდა თავისი პარტნიორის, ედვარდ სტიშენის, დახმარებით. მნიშვნელოვანი იყო ასევე მისი რედაქტორობით გამომავალი ჟურნალის „CameraWork-ის“ ფურცლებზე ასახული ინფორმაცია გამოფენებისა და ხელოვნებაში მიმდინარე უახლესი ტენდენციების შესახებ.

ამერიკაში ავანგარდის პროპაგანდა ამ ეტაპზე, როგორც ვხედავთ, მამაკაცთა პრეროგატივა იყო, თუმცა ხელოვნების ამ მიმართულებისადმი ქალების ინტერესი უკვე არსებობდა და აქტიურად ვლინდებოდა. საბოლოოდ კი, ქალები ამ სფეროს ერთპიროვნულ და ერთადერთ პროპაგანდისტებად მოგვევლინნენ და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმების დაარსების ინიციატორებიც გახდნენ, დამკვიდრებული და მყარი რეპუტაციის მქონე მუზეუმების პარალელურად. ბუნებრივია, ეს პროცესი ეტაპობრივად ვითარდებოდა და ერთ-ერთი ასეთი ეტაპი 1913 წელს ნიუ-იორკში ჩატარებული თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენის, „*ახმოი შოუს*“, სახელითაა ცნობილი.

დღეს საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ეს გამოფენა უდიდესი მნიშვნელობის კულტურული მოვლენა იყო. 1912 წლიდან მოყოლებული, მხატვრების ჯგუფი, რომელიც *ამეხიკედი მხაგვჩებისა და მოქანდაკეების ასოციაციაში* შედიოდა და რომლის პრეზიდენტი არტურ დეივისი იყო, გეგმავდა, საზოგადოებისთვის გაეცნო თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე სიახლეები. ამისთვის მათ ნამუშევრების შესარჩევად ევროპაში ხანგრძლივი პერიოდი დაყვეს, რათა სრულად აესახათ თანამედროვე ხელოვნების ყველა ტენდენცია. კრიტიკოსებისა და ოფიციალური სახელოვნებო წრეების ღიად მტრუ-

ლი განწყობის გამო ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ დიზაინის ეხოვნური აკადემია ასეთ ღონისძიებას მხარს დაუჭერდა და უმასპინძლებდა. 1913 წლის 17 თებერვალს ნიუ-იორკის 69-ე პოლკის არსენალის¹ შენობაში 1300-ამდე ნამუშევრით გაიხსნა გამოფენა, რომელიც 70 000-მა დამთვალიერებელმა მოინახულა. სეზანი, გოგენი, ვან გოგი, მატისი, პიკასო, პიკაბია, კანდინსკი - აი, რამდენიმე სახელი, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის ამ ღონისძიების მნიშვნელობაზე. თავისი მასშტაბურობით (და არა მნიშვნელობით) ამ მოვლენამ გადაფარა და გააღრმავა შტიგლიცისა და მისი გალერეის როლი თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციაში და, როგორც იმ დროს წერდნენ, მოწონება-არმოწონების მიუხედავად, „აჩმოჩი შოუს“ შემდეგ ამერიკაში თანამედროვე ხელოვნების იგნორირებას ველარავინ შეძლებდა - ვკითხულობთ ქრეივენის კვლევაში [Craven 2003 : 460].

გამოხმაურება, რომელიც „არმოჩი შოუს“ მოჰყვა, არაერთგვაროვანი იყო. ერთ-ერთი შეფასების თანახმად: „ამეხიკედ-თა უმჩავდესობას მათი ქვეყნის ფაჩგდებს გაჩეთ ხედოვნების სფეხოში განვითაჩებური უჩვეულო მოვდენების შესახებ მხოლოდ ყუჩმოკვიით თუ სმენოდა; ამიგომ ეს ადამიანები სხუდიად მოუმზადებდები აღმოჩნდნენ მათ თვადწინ გადაშდილი პოსტიმ-პხესიონიზმის, კუბიზმისა და ფოვიზმის ნიმუშების შოკისმომგვხედი ზეგავდენისთვის. ნიუ-იოხკში გამაჩთუდ ეჩითოვიან გამოფენას სამოცდაათ ათასზე მეტი დამთვადრიეხებელი მოაწყდა. მოვდენა ინგენსიუჩად შუქდებოდა პხესით, ხომელიც მთედ ქვეყანას, პიხდაპიხ ხომ ვთქვათ, აზანზაჩებდა“ [Brown 1988 :131].

გამოფენას კრიტიკული და ზოგჯერ რადიკალური შეფასებებიც მოჰყვა. ერთ-ერთი გაზეთი ასეთ რჩევას იძლეოდა: „სამჯერ დატრიადლით, ორჯერ ჰკარით თავი კედელს და თუ ამას საკმარისი ძალით გააკეთებთ, იქნებ დაინახოთ, რა არის გამოსახული ტილოზე“.

¹ თარგმანი - armory.

თუ ნიუ-იორკის გამოფენამ ერთდროულად აღფრთოვანება, შოკი და გაოგნება გამოიწვია, ბოსტონსა და ჩიკაგოში რეაქცია კიდევ უფრო მძაფრი იყო: სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა პროტესტის ნიშნად საჯაროდ დაწვა მარსელ დიუშამის სურათის – „შიშვედი ქარი კიბეზე“ – ასლი. გაზეთები პირდაპირ წერდნენ, რომ ამ გამოფენამ „ნაბილწა“ ჩიკაგოს ხელოვნების აკადემია, მაგრამ, რეაქციის ასეთი რადიკალურობისა და განსხვავებულობის მიუხედავად, ერთი რამ უდავო იყო: ამერიკამ მყისვე გააცნობიერა ავანგარდის არსებობა – წერს ბრაუნის „არმორი შოუსადმი“ მიძღვნილ წიგნში [Brown 1988, 206].

მართალია, ამ პერიოდში ავანგარდის პროპაგანდისა და პოპულარიზაციისკენ მიმართული ღონისძიებების უმეტესობა მამაკაცების ინიციატივითა და ძალისხმევით იყო ორგანიზებული. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ქალების როლი 1913 წელს გამართულ „არმორი შოუს“ მხარდაჭერაში.

ამ ღონისძიებაში ქალების ჩართულობა მრავალმხრივი იყო. აღსანიშნავია მათი ფინანსური მხარდაჭერა: ქალები საორგანიზაციო მიზნებისთვის თანხების შეგროვებაში ჩაერთნენ და გამოფენილი ექსპონატების შექმნაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ. მნიშვნელოვანია, მაგალითად, მეიბელ დოჯ ლუთანის წვლილი, რომლის საქმიანობა და ცხოვრება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

მეიბელ დოჯის სახლი მეხუთე ავენიუზე ისეთსავე დატვირთვას ატარებდა ავანგარდის პოპულარიზაციისთვის, როგორსაც სტაინების სალონი პარიზში. ბოსტონის მაღალი საზოგადოების „ეშხმა და მშვენებამ“ – მეიბელ დოჯმა – ათი წელი იტალიაში გაატარა, შემდეგ პარიზში სტაინებს დაუახლოვდა და 1912 წელს ნიუ-იორკში უკვე ავანგარდით „მონამლული“ დაბრუნდა. გასაკვირი არაა, რომ მის სახლში ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისთვის განსაკუთრებული კულტურული გარემო და თავისუფლების ატმოსფერო შეიქმნა.

მეიბელ დოჯმა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ეტაპები განვლო – სანიმუშოდ აღზრდილი, სამედიცინო ინსტიტუტის თვინიერი სტუდენტი გოგონას იმიჯიდან ავანგარდის ლესბოსელ კოლექციონერამდე. ასეთივე არაერთგვაროვანი იყო მისი გატაცებები, ინტერესები და ცხოვრების წესი: ოთხი ქორწინება, ექსპატრიანტის ათწლიანი გამოცდილება, ჰეტერო- და ჰომოსექსუალური პარტნიორები, არტისტული, პოლიტიკური და საზოგადოებრივი რადიკალიზმი. მკვიდრი ამერიკელების უფლებების დაცვისადმი ჯერ კიდევ ნიუ-იორკში ჩასახული ინტერესი მოგვიანებით ნიუ-მექსიკოში გაგრძელდა, სადაც იგი მეოთხე ქმართან, ინდიელ-ამერიკელ ტონი ლუთანთან დასახლდა და აქტიურად იბრძოდა ამ ხალხის თანასწორი უფლებებისთვის.

მისი საზოგადოებრივი ცნობადობა „არმორი შოუს“ და გერტრუდ სტაინს უკავშირდება, მანამდე კი იყო ძიებების ხანგრძლივი გზა. მეიბელ დოჯი ე.წ. მოოქროვილი საუკუნის ტიპურ არისტოკრატიულ ოჯახში აღიზარდა, რომელსაც მოგვიანებით „მკვდარ ვიქტორიანულ“ სახლს უწოდებდა. ადრეულ ასაკში განცდილი სტრესი (მამის გარდაცვალება, რთული მშობიარობა, მეუღლის გარდაცვალება) მძიმე დეპრესიად ჩამოყალიბდა, რომლის დასაძლევადაც იგი ევროპაში გაემგზავრა. როდესაც 1905 წელს ედვინ დოჯზე დაქორწინებამ მისი ემოციური მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა, მეიბელი კოლექციონერობით დაინტერესდა. თავდაპირველი მიზანი საკუთარი ფლორენციული ვილის დეკორირება იყო. თუ ამ ეტაპზე მისი ინტერესის სფერო ნატიფი ხელოვნების ნიმუშები და დეკორატიული ხელოვნება იყო, პარიზში მოხვედრისა და ლეო და გერტრუდ სტაინებთან დაახლოების შემდეგ მან დიდი ინტერესი გამოიჩინა იმხანად ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი და არაღიარებული ავანგარდის მიმართ. 1912 წელს ამერიკაში ახალი იდეებითა და ინტერესებით დაბრუნებულს, მას სრულიად შეცვლილი გარემო დახვდა: მხოლოდ ოჯახური სიმყუდროვის შექმნით დაინტერესებული ქა-

ლები დრო წარსულს ჩაბარდა. მეიბელ დოჯის სახლი გრინ-ვიჩ ვილიჯში მისი ფლორენციული ვილისგან რადიკალურად განსხვავდებოდა: აქ ველარსად იპოვიდით დრაპირებულ ფარდებს, ფარდაგებს, ნოხებსა და ხელოვნების სხვა ნიმუშებით სავსე თაროებს. მისი ყურადღება 1913 წელს გამართულმა „არმორი შოუმ“ მიიპყრო და ები როკეფელერთან, ლილი ბლისთან, გერტრუდ უითნისთან და თანამედროვე ხელოვნების ქომაგ სხვა ქალებთან ერთად მან არა მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერა გამოუცხადა ამ ღონისძიებას, არამედ ამერიკაში თანამედროვე ხელოვნების დამკვიდრებასთან დაკავშირებით თავისი თეორიული მოსაზრებებიც გამოთქვა. მის ავტობიოგრაფიულ წიგნში ვკითხულობთ:

„უდიდესი სიამოვნებით გავუწევ დახმარებას ამ გამოფენას, ხადგან მწამს, რომ ეს აჩის ამ კონკრეტულ სფეროში უდიდესი მოვლენა, რომელსაც კი ოდესმე ჰქონია ადგილი ამერიკაში. საერთოდ ყვედაფეხი, ხაც მთვლელმახე გონების გამოღვიძებას უწყობს ხედს (ჩვენში იქნება ეს თუ სხვაგან), ყოვედთვის მიიღებს ჩემს მხარდაჭერას... ადამიანების უმრავლესობა წახსურის მიღწევებით იკვებება და ეს სავსებით აკმაყოფილებს მათ, ახადა, საჭიხოა მეგი, მეგი, მეგი გაქანება! ხოგოხც ხედოვნებაში, ასევე ცხოვრებაში...“ [Dodge 2008 : 37].

მხატვართა და მოქანდაკეთა ასოციაციის ვიცე პრეზიდენტის რანგში, იგი აქტიურად ჩაერთო „არმორი შოუს“ დაფინანსებაში. ეს საქმიანობა მისთვის ორმაგ დატვირთვას ატარებდა: ერთი მხრივ, ეს იყო რევოლუციური ცვლილებების თანამონაწილეობის განცდა და, ამავე დროს, საკუთარი ძალების მოსინჯვის შესაძლებლობა. მეიბელ დოჯმა, მართალია, ფინანსური წვლილი შეიტანა „არმორი შოუს“ ორგანიზებაში და რამდენიმე ნამუშევარიც დაუთმო თავისი კოლექციიდან, მაგრამ ამ ღონისძიებასთან მისი ასოცირებისა და პოპულარობის მიზეზი სხვა იყო. გერტრუდ სტაინის მიერ ესეს სახით შექმნილი მეიბელ დოჯის სიტყვიერი პორტრეტი, რომელსაც მან შესავალი დაურთო სახელწოდებით – „ფიქები, ან პოსტიმპრე-“

სიონიზმი პიზაში“, გადამწყვეტი აღმოჩნდა. გერტრუდ სტაინის ფაქტორმა საოცარი ეფექტი მოახდინა და დოჯი მყისვე იქცა ავანგარდთან ასოცირებულ ფიგურად. „თუ გერტრუდ სტაინი „არმორი შოუზე“ დაიბადა, მაშინ მეიბელ დოჯიც იქ გაჩნდა. სიცოცხლეშივე მითოლოგიურ ფიგურად ვიქეცი,“ – წერდა იგი [Dodge 2008 : 67-71]. ზემოთ აღნიშნული ესე სხვადასხვა ჟურნალში დაბეჭდვამ ეს ეფექტი კიდევ უფრო გააძლიერა.

მისი ბიოგრაფიის ამ და სხვა ფაქტების გამო მეიბელ დოჯის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობდა ისტორიკოსებისა და მისი ბიოგრაფების წრეშიც კი [Rudnick, 1994; Frasier, 1984]. „შედლებული ქალბატონი, რომელიც უბრალოდ ერთობა“, „მდიდარი დილეთანტი ქალი“ – ამგვარი შეფასებების მიუხედავად, მისი საქმიანობის სიღრმისეულმა კვლევამ და განსაკუთრებით ტაოსში ცხოვრებისას პუებლოს ტომის ინდიელთა კულტურისა და უფლებების დაცვისთვის განუღმა საქმიანობამ რადიკალურად შეცვალა მეიბელ დოჯოს წვლილის აღქმა და დღეს ის პოლიტიკური და ესთეტიური სიახლეების დიდ ქომაგად მიიჩნევა.

„ახმოხი შოუს“ და მასში ქალთა მონაწილეობას რომ დავუბრუნდეთ, მისი 300 მონაწილიდან, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით [Schapiro, 2011], 50 მონაწილე მანდილოსანი იყო. ეს მხატვარი ქალები იმ შემოქმედთა პირველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც მეტ-ნაკლებად თანასწორ პირობებში მიიღეს სამხატვრო განათლება და ნიჭის თავისუფლად გამოვლენის საშუალებაც მიეცათ. მრავალთა შორის დავასახელებ ქეთრინ დრეიერს, მერი კასეტსა და მარგარეტ ზორაჩს. მნიშვნელოვან და გავლენიან ჯგუფს წარმოადგენდნენ კოლექციონერი და ავანგარდის პროპაგანდისტი ქალებიც. გერტრუდ უითნიმ, ქეთრინ დრეიერმა და სელი სტაინმა „არმორი შოუზე“ თავიანთი კოლექციებიდან ტილოები წარმოადგინეს.

ისტორიკოსი ჰენრი მეი ერთ-ერთ ნარკვევში აღნიშნავდა, რომ „არმორი შოუ“ ის მოვლენა იყო, რომელიც ამერიკული „უმანკობის“ დასასრულის მანიშნებელი გახდა. ის იყო ძველი ნორმების მსხვრევის ნიშანი, სწორედ იმ ნორმებისა, რომლებიც მე-19 საუკუნის შუა წლებიდან 1912 წლამდე იყო გაბატონებული [May 1959 : 57]. მიუხედავად იმისა, რომ *ახმოხი შოუმ* გაზარდა ამერიკის ინტერესი ავანგარდის მიმართ, მისი დამკვიდრებისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ მოგებული არ იყო. მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით ძირითადი მუზეუმები გულგრილ და მტრულ განწყობილებასაც კი ინარჩუნებდა ამ ახალი ტენდენციების მიმართ. მართალია, პენსილვანიის სამხატვრო აკადემია და მეტროპოლიტენის მუზეუმი პოსტიმპრესიონისტულ გამოფენებს მართავდნენ, მათი უმეტესობა მუდმივმოქმედი არ იყო, ან ნაკლებად რადიკალურ ნამუშევრებს წარმოადგენდა. მაგალითად, მეტროპოლიტენის მუზეუმში აგნეს ერნსტ მეიერის, ლილი ბლისის, ართურ დეივისისა და გერტრუდ ვანდერბილთ უითნის თაოსნობით გამართული გამოფენაც გამოდგება. მასზე წარმოდგენილი დეგა, რენუარი, მონე, გოგენი და სეზანი საზოგადოებას მეტ-ნაკლებად მისაღებად ეჩვენებოდა.

იმავე ტენდენციის გამოვლინება იყო სხვა ფაქტიც: მაგალითად, მატისს კარნეგის პრიზი¹ მიანიჭეს, მაგრამ, იმავდროულად, მეტროპოლიტენი კატეგორიულად ერიდებოდა თანამედროვე ხელოვნების ნამუშევრების შექენას. მუზეუმის ერთ-ერთმა კურატორმა ლამის თანამდებობაც კი დაკარგა არმორი შოუზე სეზანის ნახატის შექენის გამო. მეოცე საუკუნის 40-იან წლებამდე მეტროპოლიტენის ოფიციალური პოზიცია ასეთი იყო: „1900 წლის შემდეგ მნიშვნელოვანი *ახაფეხი დახატუდა და შექენიდა*“ [May 1959 : 393]. ამ რეალობის გათვალისწინებით, გამოფენის ორგანიზებაში, დაფინანსებასა და პოპუ-

¹ კარნეგის ჯილდო – საერთაშორისო ჯილდო, რომლითაც პიტსბურგის კარნეგის ხელოვნების მუზეუმი მხატვრებს აჯილდოებდა.

ლარიზაციაში ქალების მიერ შეტანილი წვლილი ფასდაუდებელია.

თუ ფრანგული ხელოვნება მეოცე საუკუნის 20-იანი წლებისთვის მეტ-ნაკლებად დამკვიდრდა და მისაღები გახდა, სხვა ქვეყნების მოდერნისტული ხელოვნება სრულიად მიუღებელი იყო, განსაკუთრებით, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის იზოლაციონიზმისა და ე.წ. წითელი საფრთხის კონტექსტში, - ვკითხულობთ ბერმანის წიგნში [Berman1990 : 243]. ზოგიერთმა კრიტიკოსმა საკმაოდ მკვახე იარაღი მიაკრა ხელოვნებაში თანამედროვე ტენდენციების მიმდევრებს და მათ „შეშლილებიც“ (*Freakists*) კი უწოდებდა.

მოდერნისტული ხელოვნების ქომაგების - გერტრუდ უიტნისა და ჯულიანა ფორბსისადმი - მიძღვნილ წიგნში ავის ბერმანი აღწერს 1926 წელს მომხდარ ინციდენტს, რომელიც თვალნათლივ ასახავს იმ ქილიკისა და დაუსაბუთებელი კრიტიკის ატმოსფეროს, რომლითაც იმხანად თანამედროვე ხელოვნება იყო გარემოცული. კონსტანტინ ბრანკუზის ცნობილი სკულპტურა „ფიჩინვერი სივხცეში“ პარიზიდან დაბრუნებულმა ედუარდ სტიშენმა ამერიკაში ჩაიტანა. საბაჟოს თანამშრომელმა კატეგორიული უარი განაცხადა, დეკლარაციაში ეს ნივთი „ხელოვნების ნიმუშის“ გრაფაში ჩაენერა. დღეს შედეგურად აღიარებული ეს ქანდაკება სამზარეულოსთვის განკუთვნილ ნივთად გაფორმდა და საბაჟო გადასახადის სახით დამატებითი 240 დოლარი დაერიცხა. გერტრუდ უიტნის ძალისხმევით ეს თანხა სასამართლოს გზით ანაზღაურეს, მაგრამ „ამ ფართომასშტაბიანმა დისკუსიამ ბრანკუზის ნამუშევრების ღირებულებასთან დაკავშირებით ბევრ ამერიკელ სკეპტიკოსს გული მოუღბო“ - წერს ბერმანი [Berman1990 : 243].

ამგვარ ვითარებაში დიდი როლი ეკისრებოდა ქალთა მიერ განუღო მრავალმხრივ საქმიანობას - იქნებოდა ეს სალონები, ქალთა კლუბები, ალტერნატიული საგამოფენო სივრცეების შექმნა და მართვა, ხელოვნების ნიმუშთა დილერობა თუ პუბლიკაციები. ამ საქმიანობის ეფექტურობაზე ის ფაქტი

მეტყველებს, რომ თითოეულმა ზემოთ ჩამოთვლილმა ღონისძიებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ქალთა ინიციატივით ავანგარდის პოპულარიზაციის პროცესი დღემდე უდიდესი კულტურული თუ საგანმანათლებლო მნიშვნელობის მუზეუმების დაარსებით დაგვირგვინდა. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მამაკაცი ხელოვანებისა და მეცენატების მიერ დაწყებული თანამედროვე ხელოვნების დამკვიდრების პროცესი თავდაპირველად ერთობლივი ინტერესის სფერო იყო და შემდეგ, ეტაპობრივად, ძირითადად, ქალების ხელში გადავიდა.

ლიტერატურა:

- Berman A. (1990)**, *Rebels on Eighth Street: Juliana Force and the Whitney Museum of American Art*. New York: Atheneum;
- Brown M. W. (1988)**, *The Story of the Armory Show*. New York: Abbeville Press;
- Craven (W. 2003)**, *American Art. History and Culture*. Boston: Mcgraw-Hill;
- Dodge M. (2008)**, *Intimate Memories, The Autobiography of Mable Dodge Luthan*, Ed. by Lois Palken Rudnic. Santa Fe: Sunstone Press;
- Frazier W. (1984)**, *Mabel Dodge Luhan*. Boston: Twayne;
- May H. F. (1959)**, *The End of American Innocence: A Study of the First Years of Our Own Time, 1912-1917*. Chicago: Quadrangle Books;
- Rudnick L. (1992)**, *The Male-Identified Woman and Other Anxieties: The Life of Mabel Dodge Luthan*. In: *The Challenge of Feminist Biography*, Ed. Alpert, S. Urbana: University of Illinois Press;
- Schapiro M. (2011)**, *Modern Art: 19th and 20th Centuries: Selected Papers*. George Braziller Inc.

Although it is true that the promotion of avant-garde in the U.S. at the beginning of the 20th century was mostly carried out by male artists, women's activities in different spheres played quite an important role too. It may seem that their efforts were less conspicuous but eventually, they led to the establishment of three modern

art museums in New-York alone, which were founded by women. One of the first steps on this difficult path was Armory Show and women's role in its financial, artistic and informational support.

The most significant role in this promotional activity relates to Gertrude Stein (1874-1946) and her Parisian house, which attracted American art lovers in Europe – including women – like a magnet. Visitors were extremely delighted by the collection and the atmosphere that Gertrude and Leo Stein created in the salon, which clearly violated existing social and aesthetic norms. Cone sisters, Emily Crane Chadbourne, Agnes Meyer, Mable Dodge Louhan and Catherine Dreier – this is an incomplete list of prominent women in the sphere of art who had been hugely influenced by the modernist salon of Leo and Gertrude Stein.

Special attention should be paid to Mable Dodge (1879-1962), whose house on Fifth Avenue in New-York served the same cause of avant-garde promotion as the Steins' salon in Paris. Despite collecting artworks, the promotion and financial support of Armory Show, historians and even biographers had an ambiguous attitude to Dodge. Fortunately, in-depth investigation of her activities and especially of those she carried out while living in Taos, where she protected the rights and the culture of Pueblo Indians, radically changed this perception and today she is recognized as a great advocate of political and aesthetic novelties.

Thus, it can be stated in conclusion that the multifaceted activities of women played a great role in the promotion of avant-garde art in the United States: be it salons, women's clubs, the establishment and management of alternative exhibition spaces, dealing in works of art, or publications. The effectiveness of the said activities is demonstrated by the fact that each of the above-mentioned events played an important role in the promotion of the avant-garde at the initiative of women, and this process has culminated in the establishment of museums of the greatest cultural and educational significance to date.

ისტორიული პირის სახეცვლილი პერსონაჟი
ლიტერატურაში
(ედღვნება იონა ხელაშვილის დაბადებიდან
250 წლისთავს)
Transforming a Historical Person into a Literary
Character in a Fictional Text
(It is dedicated to the 250th anniversary of the birth of a
famous scientist and cleric Yona Khelashvili)

გია არგანაშვილი
Gia Arganashvili

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჟი მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*

საკვანძო სიტყვები: ისტორიული პიროვნება, ლიტერატურული
პერსონაჟი, მხატვრული ტექსტი.

Key words: Historical person, literary character, fictional text.

ლიტერატურის ისტორია მრავალ შემთხვევას იცნობს, როდესაც ესა თუ ის ისტორიული პიროვნება საკუთარი სახელით და სოციალური სტატუსით თავისავე ეპოქაში შექმნილი მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟი გამხდარა და, ერთი შეხედვით, საკუთარი თავი განუსახიერებია.

ამგვარი დამოკიდებულება ხშირად მკითხველის დაბნეულობას იწვევს, რადგან მისთვის (მკითხველისთვის) ძნელია იმის დაჯერება, რომ მხატვრულ ტექსტში გადასული ისტორიული პიროვნება უკვე მხატვრული პერსონაჟია და მის მიმართ (როგორც ისტორიული პირის მიმართ) რაიმე პასუხისმგებლობის დაკისრება ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის კუთხით სრულიად გაუმართლებელია.

მსგავსი შემთხვევა ქართული ლიტერატურის ისტორიაში თითქმის ორი საუკუნის წინანდელ ტექსტში იძებნება. მკითხველს შევახსენებ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისას“, რომელშიც ლიტერატურულ პერსონაჟს, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორეს, მკითხველმა ისტორიული პასუხისმგებლობის ტვირთი აჰკიდა და, მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა საგანგებოდ შეცვალა ისტორიული ფაქტები, რათა მკითხველი ამ გულბრყვილო ცდუნებისგან ეხსნა, ის მხატვრულ ტექსტში მაინც ავტორის პირადი განცდების ამოკითხვას ცდილობდა, ხოლო საეჭვო ვარაუდების მტკიცებულებას ავტორის პირად ცხოვრებაში ეძებდა.

თუმცა უფრო ადრე, „ბედი ქართლისას“ შექმნიდან თითქმის ორი ათეული წლის წინ, ჯერ კიდევ ახალი ქართული ლიტერატურის გარიჟრაჟზე შეიქმნა საინტერესო ჟანრის მხატვრულ-ენციკლოპედიური თხზულება „ხუმარსწავლა“ (რომელიც დღესდღეობით მკითხველისთვის „კალმასობის“ სახელით არის ცნობილი), რომელშიც მთავარი პერსონაჟები ბერი იოანე და მისი თანამგზავრი ღამბარაშვილი არიან.

თუმცა, ვიდრე უშუალოდ ნაწარმოების განხილვაზე გადავიდოდეთ, ჩვენ უნდა გავაცნოთ (გავახსენოთ) მკითხველს ყველა ინფორმაცია, რომლებიც ძველი ქართული მწერლობის

ამ უკანასკნელ მხატვრულ ტექსტთანაა დაკავშირებული, მათ შორის: მისი აღმოჩენისა და გამოცემის ისტორია, ტექსტის ავტორობის საკითხი, მწერლისა და პერსონაჟის ურთიერთდამოკიდებულება და მრავალი სხვა.

ცნობილია, რომ ამ თხზულების პირველი ნაწილი ნესტორ წერეთლის სახლში ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს აღმოუჩენია და შთაბეჭდილება ამ იშვიათი ნაშრომის შესახებ 1861 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მეშვეობით გაუცნია მკითხველისათვის.

ვრცელი წერილი, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძემ დაურთო წინასიტყვაობად „კალმასობის“ 1895 წლის მეორე გამოცემას, მრავალი საინტერესო მიმართულებით იქცევს დღეს ჩვენს ყურადღებას.

ისტორიკოსი, უპირველესად, საქართველოს ისტორიის თხრობით იწყებს, იხსენებს მონგოლთა ბატონობის შემდგომ პერიოდს, როდესაც თურქთა, სპარსთა და ლეკთა მომეტებული თარეშის გამო ერთიანი სახელმწიფო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაიშალა. ამის შედეგად ხალხს დაეკარგა ერთიანობის სულიერი ძალა, შეირყა სარწმუნოება და მიდრეკილება სწავლისადმი სრულიად გაქრა.

„თუმცა ჩვენი ქვეყანა უკანასკნელთ მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში აუხაცხედს ბეგჰულებას მიეცემა, ვინამც წახსუდ საუკუნეებში, მაგამ ამასთანავე ის აღმოაჩენს მხავადთა სამაგადითო ღიხებათა. აღმოგვიბიწყინებებიან წახჩინებუდნი მეომახნი, შესანიშნავი მწეხადნი და მიმზიდაობა სიგყვიეხებისადმი“ [კალმასობა 1895 :2].

დიმიტრი ბაქრაძე აგრძელებს საქართველოს ისტორიის თხრობას, ქებით იხსენიებს მეფეთა თავდადებას, განსაკუთრებით ირაკლის (ერეკლე მეორის) ღვაწლს და თავდადებას აღნიშნავს, საგანგებოდ ჩერდება მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებზე, არავინ რჩება აქ მოუხსენიებელი, არც სახელ-

მნიფო თუ პოლიტიკური მოღვაწენი, არც მნიგნობარნი, მეცნი-
ერნი, მღვდელმთავარნი, მთარგმნელნი, მოგზაურნი ევროპასა
და პალესტინაში, რომელთაც აღწერეს თავიანთი ნანახი და
თავგადასავალი და ამ დიდი სახელების შემდეგ მაინც საგან-
გებოდ ჩერდება ერთ მათგანზე: „განმეოხებით ვიგყვი, რომ ამ
მწეხდებზე ჩვენ ყოვედთვის გვაქვს ცნობა, მაგამ იყო ეხთი კა-
ცი, რომედის უპიხვედესისავე ნიჭით იყო შემკობიდი, ხოგოხათაც
მოსხენიებუდნი მეცნიეხნი, და ხომედმაც დავვიტევა ისეთი
თხზულება, რომ ამგვახი ჯეხ საქახთვედოს ახ ჰქონია. ჩვენ ვამ-
ბობთ იოანე ბატონიშვიდზე და იმის „კადმასობაზედ“ [კალმასობა
1895 : 4].

ამის შემდეგ დიმიტრი ბაქრაძე მოგვითხრობს იოანე ბაგ-
რატიონის ცხოვრების ერთ მნიშვნელოვან პერიოდზე და იმ-
გვარი ხელოვნებით აღგვიწერს მის მხედრულ ღვაწლს ქვეყნი-
სა და თანამემამულეთა წინაშე, რომ დანამდვილებით შეგვიძ-
ლია ამის თქმა, საქართველოში მხედრობა და მწერლობა
ოდიტგანვე ორლესული მახვილის სიმბოლოდ აღიქმებოდა,
რომელსაც იოანე ბატონიშვილის მაგალითზე თუ გავიაზრებთ,
თანაბრად იხარჯებოდა ბრძოლისა თუ მშვიდობიანობის პერი-
ოდში:

„იოანე იყო ძე უკანასკნელის ქახთდ-კახეთის მეფის გიოხ-
გისა და იმისა პიხვედის მეუღლისა, ქეთევან ანდრონიკაშვიდის
ასუდისა. იოანე დაიბადა 1972 წედსა. ის იყო ხვა წედსა, ხოდესაც
მოუკვდა დედა. მთედი იოანეს ცხოვხება იყოფა ოხ ნაწიდად: პიხ-
ვედი განატახა სამშობდოში, მეოხე ხუსეთში. საქახთვედოში იო-
ანეს ახ ჰქონია მოსვენება დაუცხომედი ომიანობის გამო. ოს-
მადნი, სპახსნი და დეკნი აუწეხედის მგხოობით იყვენ მომდგახნი
ჩვენზედა. საქახთვედოში ალახ იყო დაშეთნიდი ახც ეხთი კუთხე,
ხომ დეკების გხოვა ახ ყოფიდიყო. იმათ იცოდნენ ყოვედი ადგი-
დის მდებახეობა და ყოვედი გზები; გამოილებდა ხა გყე ფოთოდსა,
ისინი ჩამოიპახებოდნენ დალისტნით და ახადციხის მხით და
დაებნევოდნენ აქა-იქ. ჩვენ წინაპახთ დიად დიდი სიფხთხიდე
ემახთათ. ჩვენდა სანუგეშებდად უნდა ვსთქვათ, ხომ მთედი ხად-

ბნი – დიღნი და მცირეხენი მღვიძახეთ იყვნენ, თვით ბატონიშვილები, მანამდის განხეთქილება ახ ჩამოუვახდათ, მაგადითს უჩვენებდნენ ტახტსა და მამულის ეხთგულებაში. ბატონიშვილებთა შოხის პიჩვერი იყო იოანე. აი, შემოკლებით საქმეები, რომელშიაც ის აღმოჩნდა ისტოხიურ პიჩად. იმეხეთში დავით ებხძოდა სოლომანს და უკანასკნელმა მოითხოვა ამეხთაგან შემწეობა; ეს იყო 1790 წელსა; იქ წაჩიგზავნა ახტიღეხით იოანე, რომელმაც დაამშვიდა აღედვებურთა მხაჩე და სხური წაჩმატება მოიპოვა. 1795 წ. ტფილისის აღების დროს აღა-მაჰმად ხანისგან, იოანე ახოვანად ეკვეთა აბანოებთან სპახისთა და შეაყენა იგინი. ამითა იოანემ მიაგო იჩაკრის შემთხვევა ქადაქით გასვლისთვის. ტფილისით სპახისთა გუნდნი განაგზავნეს ქახთრის ასოხხებდად და აქ დამის ყანას იოანემ გაჰყანგა და უკუაქცია. 1796 წელს, რომელსაც ომახხან, ნუჩადის შვირი და მეძვერიღე, ავახიის ხანი დაეცა შიღდასა დეკის ჯახითა, იოანემ დახშო სიმაგხე და იძულებუდჰყო ომახხანის დაშქახის უკუქცევა. 1798 წელს იოანე დიხბში დაესხმის დეკთა, მოჰსხავს იმათ სხურებით და მოუკდავს წაჩრინებურს ბედადს აღაფლოდასა. იმავე წელს გიოხგი მეფის ბიძანებით, იოანე დავითითუხთ განემგზავხება ყახისსკენ 2000-ს კაციოთა, მოაოხხებენ ყიზიღნხჩახის გახეშე ადგილთა და ნატვენებით მოიქცევიან სამშობროს. 1799 წელს იოანე და ბაგხატ კახეთის წყობათა და 600 ხუსის სადდათითა სდრევენ ნიახუხაში ომახ-ხანსა, მის 10 000 მეომახთა. იმავე წელს იოანე და ბაგხატ იოხის პიჩხედ ექვსის ზახბაზნითა და 2000 კაციოთა, რომელნი იყვნენ შემდგახნი კახთა და თუშთაგან, შემუსხვენ 12 000 დეკთა ნიწამდორობასა ქვეშე ომახისავე, რომელსა მიემხხება ბატონიშვირი აღექსანდხე ; ომახხანი დაიკოლებთა, იმპეხატოხი პავდე, რომელთანაც წაჩგზავნიღ იქნა ოხი ნატყვევი დროშა, დააჯიდროებს ოხთავე ძმათა, იოანეს და ბაგხატს, წმინდის იოანეს კომანდოხის ოხდენითა. 1800 წელს, ოდეს გიოხგი მეფე მიიცვლება და იმის მაგიეხ პატორონობა მიეცემა დავითსა, იმისი ბიძები იურონ და ვახტანგ გურნაკდურნი ამ გადაწყვეტილებით განიღვრიან მთებში და აღძხავენ კავკასიელთა. იმათ დაამშვილებს იოანე“ [„კალმასობა“ 1895 : 6].

დიმიტრი ბაქრაძის მიერ შექმნილ ამ შთამბეჭდავ პორტრეტს აქვე ვურთავთ ნაწყვეტს ანონიმი ავტორის ლექსიდან „მეფის ძის იოანესადმი, მირთმეული დღესა ქრისტეს-შობისასა“, რომლიდანაც არანაკლებ სახიერად იკვეთება ბატონიშვილის სახე:

*„ქვისცეს შობასა მოგიღოცავ
ქონებისა ხაჩ საუნჯე, ეღვის მომფენო ზეცითა,
ჩიგოჩი უხვი, მაღადი, მეფის დავითის სქესითა,
ია ვახგვებულს სხასა ზი ხედმწიფეთაგან წესითა,
სუდგხძელობისა თქვენისა ქება მოვილო მე სითა?!
გხფიადება საღმთისისა ინახება შოხის შენსა,
ეგხფი ფიდროსოფუი ქცევას, შვენით მეგობ კიხონოსს, ზევსსა,
სასობით, მდაბღის გუღით ვეღეხები მძღეთამძღესა,
შენ უჩიცხვი ქება გფეხობს, კვღავ მოღოცვა ჩემგან დღესა“*

[ანთოლოგია 2014 : 2018].

წერილში დიმიტრი ბაქრაძე ხელახლა უბრუნდება თხზულების შინაარსს და ისტორიკოსისა და ლიტერატორის თანაბარი შესაძლებლობით აფასებს მის მხატვრულ და მეცნიერულ ნაწილს. თანამედროვე მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს, რომ აქ ავტორი ძალზე მაღალ შეფასებას აძლევს მწერლის ნამუშევარს და მას ჰომეროსს და დანტესაც კი ადარებს („იოანე არის ჩვენი ჰომერი, ჩვენი დანტე და ჩვენი შექსპირი..“), გავითვალისწინოთ, რომ ეს წერილი 1861 წელს დაინერა და ავტორი თავის დროის ქართველებსაც ამუნათებს და მოუწოდებს, იზრუნონ მის გამოცემაზე.

როგორც ჩანს, დიმიტრი ბაქრაძის ეს მოწოდება საზოგადოებამ ყურად იღო და 1862 წელს „ცისკრის“ რედაქციას „ქართველ-იმერთ საზოგადოების მინდობილობითნ დაუბეჭდავს ერთი ნაწილი აღმოჩენილი ხელნაწერისა. 1867 წელს გამოიცა მეორე ნაწილი თხზულებისა, ხოლო 1895 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ ორივე ნაწილი ერთად გამოსცა.

ბუნებრივია, რომ იმ დროს ჯერ არავინ იცოდა, რომ არსებობდა ამ თხზულების გაგრძელება, რის შესახებაც ქართველ საზოგადოებას მხოლოდ 1911 წელს „სახალხო განათლების“ მეშვეობით ამცნო პეტერბურგელმა სტუდენტმა ს. ცომაიამ. შემდგომი კვლევებით კი გაირკვა, რომ ცომაიამ მიაგნო მხოლოდ „კალმასობის“ გაგრძელებას და არა მის სრულ ვერსიას, რომელიც რამდენიმე წიგნისგან შედგება.

დღეისთვის უკვე ცნობილია, რომ „კალმასობა“ დაწერილი ყოფილა ერთადერთ ცალად და ორ წიგნად; გარდა იმ ხელნაწერისა, რომელიც დიმიტრი ბაქრაძეს უნახავს საქართველოში ნესტორ წერეთლის ოჯახში, არსებობდა ამ თხზულების კიდევ სამი წიგნი, რომლებიც იოანე ბაგრატიონის შვილიშვილმა, იოანე გრუზნსკიმ, პეტერბურგის საჯარო წიგნთსაცავს გადასცა და 1923 წელს ყველა ეს ხელნაწერი საქართველოს დაუბრუნდა.

თუმცა ნაწარმოების სრულფასოვან ანალიზზე ფიქრი ჩვენი მხრიდან მაინც ნაადრევია, ვიდრე იმ მრავალწლიან დავაზე არ ვისაუბრებთ, რომელიც თხზულების ავტორის ვინაობის დადგენამ გამოიწვია. მკითხველს შევახსენებ, რომ ტექსტის აღმოჩენიდან სულ მოკლე დროში მეცნიერთა ერთმა ნაწილმა „კალმასობის“ ავტორად იონა ხელაშვილი მიიჩნია და საკმაოდ ბევრი დრო დასჭირდა კვლევას, ვიდრე იოანე ბაგრატიონს ხელახლა აღიარებდნენ ამ ტექსტის ავტორად და ამით ნაწარმოებს „ავტობიოგრაფიული“ ტექსტის სახელდება ჩამოშორდებოდა.

ტექსტის ავტორობის საკითხს კი თავისი ისტორია აქვს. კორნელი კეკელიძისა და ალექსანდრე ბარამიძის აზრით, ამ თხზულების პირველი ნაწილის აღმომჩენელი და გამომცემელი დიმიტრი ბაქრაძე მის ავტორად იოანე ბატონიშვილს მიიჩნევდა, თუმცა შემდეგ კი, ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით, მას შეუცვლია თავისი აზრი და ავტორად იონა ხელაშვილი

დაუსახელებია (აქვე უნდა ითქვას, რომ ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემები ნაკლებად იმსახურებს ნდობას, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც თავად ზაქარია ჭიჭინაძეც იონა ხელაშვილის ავტორობას ემხრობოდა).

ამის შემდეგ პროფესორ ცაგარელს იოანე ბატონიშვილის მხარე დაუჭერია, ალექსანდრე ხახანაშვილს კი იმდენად გასჭირვებია არჩევანის გაკეთება, რომ უთქვამს, იონა ხელაშვილის და იოანე ბატონიშვილის ავტორობა თანაბრად შესაძლებელიაო.

იონა ხელაშვილის ავტორობას ემხრობოდა მისი ბიოგრაფი ბარნაბიშვილიც და ეს მოსაზრება კორნელი კეკელიძესაც გაუზიარებია, ვიდრე ამ კამათში დავით კარიჭაშვილი ჩაერეოდა, რომელმაც, გარდა თეორიული მტკიცებულებისა, ისეთი უეჭველი საბუთი წარმოადგინა იოანე ბაგრატიონის სასარგებლოდ, რომ ყოველგვარი ეჭვი გააქრო.

1927 წელს დავით კარიჭაშვილმა გამოაქვეყნა ეს უტყუარი არგუმენტი, თავად იონა ხელაშვილის წერილი, რომელსაც ის თავის ძმებსა და რძლებს უგზავნიდა. მოკითხვის ბარათში, რომელიც 1825 წლის 4 სექტემბრით არის დათარიღებული, იონა ხელაშვილი წერდა: „*მე ხომ მეხოჭიკე ბეჩად დახჩენიდიყავ, ჩემი სახელი აქამდე მკვდახი იქნებოდა. თვითცა მხავადი წიგნი შევთხზე ჩემით საქახოვედოსთვის, და დაბადების ოდენა წიგნი დაწეხა, თოხმეგი წედიწადია ჰწეხს ჩემზედ იოანე ბატონიშვილი ჩემ სახედსა ზედა, ესე იგი მადაპაჰაკებს ყოველსა სწავდასა სუდიეხსა და ხოციეღსა*“.

როგორც კორნელი კეკელიძე და ალექსანდრე ბარამიძე აღნიშნავდნენ თხზულების წინასიტყვაობაში (1936), ცხადი იყო, უკვე არავითარ ეჭვს აღარ იწვევდა, რომ ეს „დაბადების ოდენა“ წიგნი სწორედ „კალმასობა“ იყო.

დღეს კი უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თხზულების წერა იოანე ბატონიშვილს 1813 წელს დაუწყია, დაუსრულებია 1828 წელს, როგორც ეს აღუნიშნავს ბოლოში ავტორს:

„დასხუდა წიგნი ესე ხუმახსწავდა წელსა 1828-სა, თვესა ივნისსა 30-სა, სანკტპეტეხბუხლსა შინა“.

ამრიგად, ამ თხზულების ავტორისა და პერსონაჟის როლები საბოლოოდ უკვე გადანაწილებულია და ჩვენ ისღა დავგრძენია, რომ თავისი ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოღვაწე – ქართველი ბერი, მწიგნობარი, თეოლოგი, ფილოსოფოსი, მკვლევარი იონა ხელაშვილი გავაცნოთ მკითხველს.

იონა ხელაშვილი რეალური პიროვნება იყო...

ქიზიყელი (სოფელი ვაქირი) გლეხის შვილი განგების ნებით მეფის კარზე აღმოჩნდა (იონას მამა ლეკებთან ბრძოლაში მოკლეს, მისი შვილები მეფე ერეკლემ თელავსა და თბილისში კარის მღვდლებს მიაბარა აღსაზრდელად). იონა ხელაშვილის პირველი მასწავლებელი თბილისის მეტეხის ტაძრის დეკანოზი იასე იყო. შემდეგ ის თელავის სემინარიის რექტორ დავით ალექსიშვილთან განისწავლა. ერეკლეს სიკვდილის შემდეგ ნიჭიერ იონას პატრონობა გიორგი მეფემ გაუწია.

1800 წელს იონა ბერად აღიკვეცა ქვათახევის მონასტერში. მან სამეცნიერო მიზნით ბერის სამოსლით შემოიარა სამთავროებად დაყოფილი საქართველოს სხვადასხვა კუთხე და ყველა ბატონიშვილს თავისი პატივისცემა და ერთგულება დაუდასტურა. ამის შემდეგ ის ფარნაოზ ბატონიშვილს გაჰყვა მოსკოვში.

მოსკოვში იონა ხელაშვილი დავით, იოანე და მიხეილ ბატონიშვილების დახმარებით ალექსანდრე ნეველის აკადემიაში მოეწყო ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების განყოფილების სტუდენტად. სასულიერო აკადემიის წარმატებით დამთავრების შემდეგ პეტერბურგის კოლონიის ქართველმა მღვდელმთავარმა ის მღვდლად აკურთხა. ამის მერე იონა ჯერ დავით ბატონიშვილის კარის მოძღვარი გახდა, შემდეგ ანა

დედოფლს ემსახურა. იონა ხელაშვილი ბატონიშვილების ოჯახებში მიღებული კაცი გახდა და დიდი პატივისცემითაც სარგებლობდა. თავისი მოღვაწეობის პერიოდში ბერი ცდილობდა, გადამტერებული ბატონიშვილები შეერიგებინა, რათა დაპყრობილი ქვეყნისადმი მათ ზრუნვას უფრო მეტი სარგებელი მოეთანა.

იონა ხელაშვილი პეტერბურგის ქართული სალიტერატურო სკოლის აქტიური წევრიც გახდა. მას ორმოცზე მეტი დასახელების ნაშრომი ეკუთვნის. მის მოღვაწეობას სათანადოდ აფასებდნენ და სახოტბო ლექსებს უძღვნიდნენ თეიმურაზ და მირიან ბატონიშვილები, პეტრე ლარაძე და სოლომონ რაზმაძე, თავად იოანე ბატონიშვილი და სხვანი.

სწორედ მისი განსწავლულობა და ღვაწლი დაედო საფუძვლად იოანე ბატონიშვილის ნაწარმოებს - „კალმასობა.“ ავტორის მიერ ქვათახევის მონასტრის ბერის მხატვრულ ტექსტში გამოყვანა ყოველმხრივ გამართლებული აღმოჩნდა. ცნობილი ისტორიული პიროვნების გარდაქმნამ ლიტერატურულ პერსონაჟად საინტერესო პრეცედენტი შექმნა ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის, რაც დღესდღეობით უფრო თამამი დასკვნების გაკეთების საშუალებასც იძლევა.

თუმცა, თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით ნაწარმოების შექმნის მიზეზს და მის მთავარ იდეას, დავინახავთ, რომ ის რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიას და მეფობის გაუქმებას (1801 წ.) უკავშირდება. სწორედ ამასთან დაკავშირებით ავტორმა თავისი ქვეყნის მრავალმხრივი „აღწერა“ განიზრახა. მას სურდა, ეს წიგნი იმ სანდო დოკუმენტად ექცია, რომელიც ასწლეულების შემდეგაც საშუალებას მოგვცემდა, ჩვენი ქვეყნის ორი საუკუნის წინანდელი სოციალურ-კულტურული სახე დაგვეჩვენა და ეროვნული იდენტობის საერთო ნიშნები ამოგვეცნო.

მას შემდეგ, რაც იოანე ბატონიშვილი სამეფო ოჯახის სხვა წევრებთან ერთად იმპერიის დედაქალაქში გაიწვიეს, ისინი, უმეტესად, მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანო-

ბით დაკავდნენ, ზოგიერთი მათგანი ეცადა, ანტიიმპერიულ მოძრაობას ჩასდგომოდა სათავეში და საქართველოში წინააღმდეგობის ფრონტი შეექმნა (აქ მათი ბრძოლის შედეგებზე არ მექნება საუბარი). იოანე ბაგრატიონი კი მთლიანად მშვიდობიან სამწერლო ასპარეზს მიეცა, თუმცა არქივს შემორჩა მისი დამოკიდებულება რუსეთის იმპერიის მიერ სამშობლოს ანექსიის შესახებ:

*„სკვითთ წაგვახთვეს მთიად ქვეყანა,
ახც კი მოგვცეს კაცი ეხთი,
ქახთღ-კახეთსა ახ დასჯეხდნენ,
ზედ დაიდვეს იმეხეთი.
მწეხღობაში დავგდახაკლით,
შემწე ახ გვყავს მისამახთი,
შევთხოვთ ზენას სამახთადსა,
ვნახოთ ხოგოხ განსჯის ღმეხთი“*

[ანთოლოგია 2014 : 216].

ამგვარი განწყობის მხატვრულ-ენციკლოპედიურ ჟანრში გადმოცემა თავისთავადაც რთული ამოცანა იყო, რადგან თავისი განხორციელების გზაზე ის მრავალგვარ ცხოვრებისეულ წინააღმდეგობას გულისხმობდა, თუმცა ავტორმა, ალბათ, უფრო გაირთულა საქმე, როდესაც იმ მიზნით, რომ ასეთი ნაწარმოები საკითხავადაც ადვილი გაეხადა, მხატვრულ ტექსტში ლიტერატურული პერსონაჟების შემოყვანა გადაწყვიტა.

ნაწარმოების სიუჟეტურ ლერძს ორი მთავარი პერსონაჟი – ბერი იოანე ხელაშვილი და მისი მხლებელი გლეხი ზურაბა ღამბარაშვილი – ქმნის. სწორედ მათი ხიფათით აღსავსე მოგზაურობის ფონზეა გაშლილი მეცნიერული მსჯელობანი, წარმოჩენილია საქართველოს იმდროინდელი ვითარება, მხილებულია საზოგადოების მაღალი ფენების ზნეობრივი დაკნინება, სახელმწიფო მოხელეების ანგარება და უმეცრება, სამღვდელოების ფარისევლობა. ღრმა პატრიოტული და ჰუმანის-

ტური ტენდენციით გამსჭვალულ თხზულებაში ქვეყნის დამ-
ლუპველ გარემოებად საყოველთაო უმეცრებაა მიჩნეული,
რაც ყოველგვარი ჯურის ბოროტების გამრავლებას უწყობდა
ხელს.

აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ორი სა-
უკუნის წინანდელი მკითხველი განსაკუთრებული ხედვით გა-
მოირჩევა - მიუხედავად იმისა, რომ ქართული მწერლობა მა-
ნამდეც უზარმაზარ ტრადიციას ეყრდნობოდა, მხატვრული
ტექსტს ის მაინც ეჭვით უყურებდა, თუ მასში გამოგონილი
ადამიანები მოქმედებდნენ.

ამდენად, ქვათახევის მონასტრის ბერის მხატვრულ ტექ-
სტში გამოყვანა სრულიად გამართლებული იყო ავტორისგან,
თუმცა ეს გარკვეულწილად სარისკოც იყო, რადგან არსებობ-
და საშიშროება, რეალური ცხოვრებიდან აღებულ პერსონაჟს
დაერღვია მხატვრული ტექსტის ჟანრული კანონები და ავტო-
რი თავისი ცხოვრების მემატიანედ ექცია.

*„ქიხიგიანი მწეხადი ადრეული ქიხიგიანობის პეჩიოდშიც და
ყოველთვის ისევ ჰეადუხ ადამიანებზე წეხს, - საეკდესიო მწეხა-
დი ახასოდეს ახ დაწეხს გამოგონიდ გმიხზე, - აღწეხს იმ პიხოვ-
ნებას, ვისაც ან თვითონ იცნობდა, ან ვისზეც სახწმუნო ადამი-
ანთაგან თუ წეხიღობით წყახოთაგან სმენია; ღვთისმშობედზე
ან ანგედობებზე ხომ წეხედეს, მაშინაც პიხოვნუდი სუდის დასახა-
ტავად აუცილებდად სახწმუნოდ მიჩნეუდ ზეპიხ გადმოცემას მი-
მახთავს, ან - წეხიღობით წყახოს; თუ დიდი ბეჩია, მაშინ მის მი-
ეხ გამოცხადებით დაწეხიღსაც ენდობიან, მაგჩამ გამოცხადები-
სას აღწეხიდი ღვთისმშობედი, ან ანგედობი, ან წმიდანი აუცი-
ლებდად უნდა შეესაბამებოდეს იმ პიხოვნუდ იკონოგჩაფიას, ხო-
მედსაც იცნობს ეკდესია; საეკდესიო მწეხადი ისევ ჰეადუხად ახ-
სებუდთ აღწეხს, გამოგონიდ გმიხს იგი ახ იცნობს; შესაძლოა,
ზოგს ძნედად დასაჯეხებედი მოეჩვენოს, მაგჩამ გამოგონიდად
მიჩნეუდ გმიხს ვეხ ვიპოვით თვით აპოკჩიფშიც, ჩადგან აპოკ-*

ხიფიც გადმოცემას ეყიდნობა; თუმც, შეიძლებაოდა მიეჩნიათ, რომ აპოკრიფის დაწეხისას ამა თუ იმ პეხსონაჟის პიხოვნუდმა სახემ ახასწოხი ცვლილება განიცადა; ასეთი პეხსონაჟის პიხოვნური სახე ეკდესიისათვის, ცხადია, ახ იქნებოდა მისალები“ [კუჭუხიძე 2008: 136].

ამგვარი რეალობის პირობებში უნდა ის დამოკიდებულე-ბაც მივილოთ მხედველობაში, თუ რა კრძალვით იხსენიებს ავტორი საკუთარ პერსონაჟს:

„ღღეს აღმოსცენდა ძიხთაგან ხეღაანთა
მთიები დიდი – ბეხი, მამა იონა.
იონა ბეხსა, მონაზონთა გვიხგვინსა,
ახად ხიგოხსა, ღვთისმეცყველების ქუხსა,
წიგნთა ხედმხლებსა, ქადაგების აქსონსა
და ყოფა-ქცევით ძველთ მამათა შენადახსა,
მონაზონების კანონსა სხუდამცველსა
მსუხს მოძღვნად მისდა ღღეს ეს იამბიკონი.
ვინათგან ესე იღწვის ყოველთ ქახოვედთათვის,
ამისთვის ჯეხ ახს ჩვენდაცა სიხაჟური,
მხიაჟულება მისი ანღედ-სეხნობისთვის
და ნეკცაჟთ შესმა ღღეგხძეღობისა მისთვის“.

1817 წლის 22 სექტემბერი

[ანთოლოგია 2014 : 215].

იოანე ბაგრატიონი დიდად აფასებს მამა იონას მონაზ-ვნობის გვირგვინს და ქცევით ძველ მამათაც კი ადარებს, დიდ პატივად მიიჩნევს „ანღელ სეხნობას“ და მით უფრო, უნ-და გასჭირვებოდა მისი წმინდა შესამოსელის ასე ხშირად მტვერში თრევა და ბერის იაფფასიანი კაბის ქალის ფსელით დაღობა...

თუმცა იოანე ბატონიშვილს ისე ადვილად გამოსდის ეს ყველაფერი, რომ მკითხველს ეგონება, ამის დამწერი მთელი

ცხოვრება სწორედ ბერების წარმოსახვით სამყაროში მოგზაურობით იყო დაკავებული:

„იოანე ხელაშვილისა, იპოდიაკვნისა, ხომელი იყო ქიზიყის სოფლით ვაქიხილამ მოსული მონასტეხს შინა ქვაბთახევს, წინამძღვრობისა ქვეშე ფიცხელაუხის დოსითეოსისა, ესე ღოსა დეწვისა წაჩგზავნიდ იქმნა ქახთლის სოფდებსა შინა ს ა კ ა დ მ ა ს ო დ, ხომელსა შეხვდა გზასა ზედან ზუხაბა ღამბაჩაშვიდი და შეამხანაგდნენ ეხთად მოსაჩეწვედად პუხისა“ [კალმასობა 1936 : 1].

ახლა ვნახოთ, თხრობის რა საინტერესო სტრატეგიას გვთავაზობს ავტორი. აქამდე სულ სამიოდე სტრიქონი დასტურდა, რომ აუცილებელი ინფორმაცია მიეწოდებინა მკითხველისათვის, მაგრამ ახლა განზრახული აქვს, მხატვრული დიალოგი ჩართოს თხრობაში და რეალური, ისტორიული პირები წარმოსახვითი სამყაროში პერსონაჟებად გააცოცხლოს:

„ოდეს გაემგზავხა ბეჩი იოანე იხიდა მდოესისა და ხიდისთავი საშუად გზასა ზედან მომავადი ცხენით ვინმე და სთქვა: ესე მგეხ ჩვენდა ანუ ჩვენ კეხძო? და დაუწყო გულისმოდგინედ ყუხება, ოდეს მოახდოვდა იგი, მყის იცნო იოანემან და ჩქვა: მშვიდობა შენდა ღამბაჩაშვიდო

ზუხაბი: -და სურისაცა შენისა თანა, ხელაშვიდო!

იოანე: საით გიძღვის უფადი?

ზუხაბი: მუნ, საიდგანაც უნდა გამოვზახიდო შვილები ჩემი!

იოანე: მაშასადამე, ჰგავს საკადმასოდ ხონინებ!

ზუხაბი: ახ მადე მიწევნიდ ხაჩ დაფაჩუდმცნობებობაში ანთუ წინამძღვახმან თქვენმა შთაგბეხათ წინასწაჩმცნობებობის სუდი?

იოანე: ხად გიკვიხს, თუ გეხ სააკას მოწაფე ეგგვახ მეტყველებ, მე ვით ვეხ მივსწვდებოდი განზხახვასა შენსა დოსითეოსთან გაზხდიდი?

ზუხაბი: აწ, სცან მეც თქვენი მოწაფე ვახ.

იოანე: ვითახ?

ზუხაბი: მახთღმადიდებელი შევიქმენ.

იოანე: მახთად და ჭეშმახიგ ახს სიგყვა შენი?

ზუხაბი: ჰე, იხწმუნე..

იოანე: ჰოი, სუდიეხო შვიდო, ქხისგე იყოს შენთანა, მოვედ გეამბოხო, უფადმა წახგიმახთოს ყოვედნი ქმნუდი ხედთა შენთანნი.

შემდგომად ამბოხისა შეითქვენენ და ეხთად დაამგკიცეს საკად-მასოდ წასვდა...“ [კალმასობა 1936 : 1].

დიდი პროფესიული ალღო და დაკვირვების უნარი არ არის საჭირო, რომ მკითხველი დარწმუნდეს, თუ როგორ ეადვილება მწერალს თავისებურად რიტმული, ზედმეტი სამკაულებისაგან თავისუფალი და რაციონალური აზროვნების სანიმუშო ტექსტის შექმნა და რაოდენ განაფულია დიალოგის ხერხის გამოყენებაში. ჩვენ ვხედავთ, რომ აქ მწერალს ნახევარი გვერდიც კი არ დასჭირდა, რათა პერსონაჟები ერთმანეთისთვის შეეხვედრებინა, მკითხველისთვისაც გაეცნო, გაეთქვათ თავიანთი მოგზაურობის მიზანი, იოანეს შეეტყო ზურაბას რჯულის გამოცვლის შესახებ და გადაეწყვიტათ ერთად საკალმასოდ წასვლა.

მკითხველს კი ვეტყვი, რომ იონა ხელაშვილმა, როგორც ბერმა, რეალურ ცხოვრებაშიც გაიარა ეს გზა საკალმასოდ, მაგრამ მხოლოდ გამოუცდელი მკითხველი თუ შეცდება და მოკალმასე ბერის სახეში ლიტერატურულ პერსონაჟს ვერ დაინახვს, რომელიც თავის თანამგზავრთან ერთად მსოფლიო კლასიკის მოხეტიალე წყვილის ახალ ვარიაციას ქმნის და ჩვენც თამამად შეგვიძლია, იონას და ზურაბას ურთიერთობაში კლასიკური ლიტერატურის (სერვანტესის „დონ-კიხოტი“) კეთილისმყოფელი გავლენა და შემოქმედებითი კვალი შევნიშნოთ.

ნაწარმოები სხვა მრავალი საინტერესო დასკვნის საშუალებას იძლევა, თუმცა ჩვენი ფორმატი ამ ეტაპზე არ ითვალისწინებს მის მასშტაბურ კვლევას, მაგრამ ერთი თვალნათ-

ლივი სურათი, რომელსაც ამ თხზულების აგიოგრაფიულ ტექსტებთან შედარება იძლევა, აუცილებლად უნდა ვახსენოთ.

ეს არის საერო და სასულიერო პირთა ურთიერთდამოკიდებულება. ერთი შეხედვითაც ნათლად იგრძნობა, რომ ის ძალზე განსხვავდება იმ რეალობიგან, რომელიც ჩვენ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან გვახსოვს. ურთიერთნდობა ბერებსა და საერო პირებს შორის აქ აშკარად გამქრალია. მიუხედავად იმისა, რომ თავად ავტორი დიდი პატივით ეპყრობა ბერების მოღვაწეობას, მაღალი ფენის საზოგადოებაში დესაკრალიზაციის პროცესი უკვე დაწყებულია. განმანათლებლობის კვალი უკვე ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. თავადაც ცოდვათა წინააღმდეგ მუდამ შემართულ ბერ იოანეს ზურაბ ღამბარაშვილის სახით სინდისივით მუდამ თან დასდევს მამხილებელი სიტყვის სუსხი... იმერეთში მათი სტუმრობის ჟამს სახლთუხუცეს წერეთელთან, როდესაც ბერი ვერცხლისმოყვარეობასა და ანგარებაზე იწყებს ქადაგებას, ზურაბა თამამად ერევა საუბარში:

„ზუხაბა: ბაგონო წეხეთედო, ამ ბეხმან ქახთდი, კახეთი, იმეხეთი, ოდიში და გუჩია მთღად მოიხბინა თეთხის შოვნისათვის და ხაგომ თავისთავს ახ ასწავდის თუ ესდენ ცოდვა ახს ვეხცხდის მოყვახება?“

წეხეთედი: ეგ სამღვდელოთ ჩვეუდება ახს, თვითონ კი უნდა შეიკვიბონ და მოიხვეჭონ და ჩვენ გვამხიდებენ.

იოანე: ახა, უფადო, ჩემო, ჩვენ მხოლოდ დოცვით ვთხოვთ მოწყადებას, და ვის ხოგოხ ნებავს, ისე მივიღებთ მათგან მოწყადებასა, მაგჩამ მე სხვებ მოგახსენე“ [კალმასობა 1984 : 403].

დაბოლოს, უთუოდ გონივრულ გადაწყვეტილებად და საქართველოს ერთიანი სამეფოს ღირსეული უფლიწულის საკადრის პოლიტიკურ გადაწყვეტილებად უნდა მივიჩნიოთ ავტორის ნაბიჯი, რომ ბატონიშვილმა იოანემ მოკალმასენი ქართლს და კახეთს არ დააჯერა და იმერეთი, ოდიში და გური-

აც მოატარა, რათა ერთიანი საქართველოს დაუვინყარი იდეა შეეხსენებინა მკითხველისათვის და იდეის სრულყოფილ ძეგლად შემოენახა თავისი შთამომოვლობისთვის ეს წიგნიც.

ლიტერატურა:

- ანთოლოგია (2014)**, „ქართული ლიტერატურის ანთოლოგია (1765-1825), შემდგენელი ირაკლი კენჭოშვილი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
- კალმასობა (1895)**, „კალმასობა“, თბულება იოანე ბატონიშვილისა, (დომიტრი ბაქრაძის წინასიტყვაობით, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, თფილისი, სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა;
- კალმასობა (1936)**, „კალმასობა“, ტომი I, კეკელიძის და ბარამიძის რედაქციით, ტფილისი, „სახელგამი“;
- კალმასობა (1984)**, ქართული პროზა VI, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;
- კუჭუხიძე გ.(2008)**, „გამოგონილი პერსონაჟის გენეზისისთვის“, „ლიტერატურული ძიებანი“, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

The author of a well-known Georgian encyclopedic work “Kalmasoba” dating back to the nineteenth century is the son of George XII, the last king of Kartl-Kakheti, statesman, educator, writer, scientist, lexicographer, distinguished fighter and commander, Ioane Bagrationi. The work was written in St. Petersburg in 1813-1828. This text stands at the intersection of old and new in centuries-old Georgian writing and determines a direction of new Georgian literature.

The creation of this work is caused by the annexation of Georgia by the Russian Empire and the abolishment of monarchy (1801). In this regard, the author intended to give a multifaceted “description” of his country. He wanted to turn this book into a reliable document that would allow us to see the socio-cultural face of our country two centuries ago and recognize the common signs of national identity even after hundreds of years.

Completing this task meant a lot of life obstacles on the way of its realization, however, the author made the task more difficult when he decided to introduce literary characters into the fictional text in order to make the encyclopedic work easier to read.

Two main characters – the monk, Yona Khelashvili and his companion, the peasant Zuraba Ghambarashvili form a new storyline in the work. It is against a backdrop of their dangerous journey that scientific discussions are held, the condition of Georgia at that time is presented, the moral decline of the upper layers of society, the greed and ignorance of officials and the hypocrisy of the clergy are exposed. In the writing imbued with a deep patriotic and humanistic tendency, universal ignorance is considered to be a disastrous circumstance of the country, which contributed to the proliferation of all kinds of evil.

The author introduced both characters of the work from real life into literature. It is significant that Yona Khelashvili was a well-known and influential person in Georgia at that time.

Yona Khelashvili was originally the son of a farmer from Kizik. His father was killed in the battle with the Leks, King Erekle gave his orphans to the priests of Telavi and Tbilisi for upbringing. Yona Khelashvili's first teacher was Yase, a deacon of Metekhi Cathedral in Tbilisi. Then he was taught by Telavi seminary rector Davit Aleksishvili. After Erekle's death, talented Yona was taken care of by King George.

In 1800, Yona was ordained as a monk in Kvatakhevi monastery. For scientific purposes, he went around different regions of Georgia divided into principalities wearing a monk's robe and proved his respect and loyalty to all sons of the king. After that, he followed Farnaoz Batonishvili to Moscow.

In 1809, with the help of Davit, Ioane and Mikheil Batonishvili, Yona Khelashvili became a student of the Department of Philosophy and Theology in Alexander Neveli Academy. After successfully graduating from the theological academy, he was ordained as

a priest by a Georgian high priest of St. Petersburg colony, Dositheos. After that, Yona first became Davit Batonishvili's court chaplain, then he served Queen Anna. Yona Khelashvili was a welcome man in noble families and enjoyed great respect. The monk, known for his honesty and loyalty, always tried to reconcile hostile noblemen with each other and make them be friends.

At the same time, Yona Khelashvili was an active member of St. Petersburg Georgian Literary School. He is an author of more than forty works. Teimuraz and Mirian Batonishvili, Petre Laradze, Solomon Razmadze and others greatly appreciated his merit (They devoted laudatory verses to him).

Ioane Batonishvili described his merit and erudition in his work "Kalmasoba". The author's use of the monk of Kvatakhevi monastery in the fictional text turned out to be justified in every way. The transformation of a famous historical figure into a literary character creates an interesting precedent for the history of literature and allows for far-reaching conclusions.

ივანე ჯავახიშვილი ცნება-ტერმინთა შესახებ ძველ
ქართულ ლიტერატურაში
Ivane Javakhishvili on concepts and terms in ancient
Georgian literature

ნანა გონჯილაშვილი, ნესტან სულავა
Nana Gonjilashvili, Nestan Sulava

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

საკვანძო სიტყვები: ივ. ჯავახიშვილი, სასულიერო და
სამოქალაქო მწერლობა, ტერმინოლოგია, ჟანრი, თხრობის
სტილი.

Key words: Iv. Javakhishvili, Sacred and civic writing, terminology, genre,
narrative style.

ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფია (პირველად 1016 წელს გამოქვეყნდა) – „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ – ზოგადად, ჰუმანიტარულ დისციპლინათა, კონკრეტულად კი, ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და დიდად ფასეულია. ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველად სწორედ აღნიშნულ მონოგრაფიაში წარმოდგენილი შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში შემუშავებული ცნებები და ტერმინები, შემოქმედებით პროცესთან დაკავშირებული პრობლემاتيკა და მათი გააზრება, რაც ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების წარმატების მაჩვენებელია. დაახლოებით 50 წლის წინ რ. სირაძემ სამეცნიერო საზოგადოებას შესთავაზა, თანამედროვე ლიტმცოდნეობა „გაემდიდრებინათ“ მივიწყებული ქართული ტერმინოლოგიით, კონკრეტულად, მისი შეხედულებით, ტერმინი „სახისმეტყველება“, რომელიც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც „მიმეზისი“, „სახე“ და სხვ., აუცილებლად უნდა დამკვიდრებულიყო ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების სივრცეში, რადგან „...აზროვნების განვითარებამ კვდავ მოითხოვა და ჩვენ დაგვჭიხდა იმავე ცნებების აღნიშვნა, ხედთ ალაჰ აღმოგვაჩნდა, თუ ალაჰ ვიცოდით ჩვენივე სიბიძნე გამოუჩენედი და საუნჯე დაფაჰუდი“ [სირაძე 1975 : 8]. რ. სირაძის ამ ცდამ ნაყოფი გამოიღო და თანამედროვე ლიტმცოდნეობაში „სახისმეტყველებამ“ თავისი კუთვნილი და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა.

წინამდებარე ნაშრომსაც ასეთივე მიზანი აქვს – გვსურს, ჰუმანიტარულ დისციპლინათა მესვეურთ შევახსენოთ და გავაცნოთ ივ. ჯავახიშვილის მიერ „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“ თავჩენილი და გამოყოფილი ცნება-ტერმინები, რომლებიც დღეს მივიწყებულია და მათ ნაცვლად სხვა ენებიდან შემოსული ტერმინები დამკვიდრდა (ახლო წარსულში, უმეტესწილად, კალკირებული რუსული ტერმინები, თანამედროვე ეტაპზე – ინგლისური). ეს ვითარება ქართული მწერლობის მრავალსაუკუნეობრივ ცოდნასა და მოცდილე-

ბას, თუ შესაძლებელია ითქვას, არ ითვალისწინებს და კიდევ უარყოფს. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით, მეცნიერული კვლევის თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი და მიზანშეწონილი უნდა იყოს ენის უძველესი ტრადიციების გათვალისწინება, განსაკუთრებით, ტერმინოლოგიისა და ცნებათმეტყველების დაზუსტება-განახლება. ივ. ჯავახიშვილის კვლევა-ძიებანი ამ თვალსაზრისით უძვირფასეს მასალას იძლევა, რაც წინამდებარე ნაშრომის მთავარი განსახილველი საკითხია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილამდე ცნება-ტერმინთა კვლევა-ძიებისა და დადგენის თვალსაზრისით, რომელიც IV-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის ძეგლებს მოიცავს, ძალიან ცოტა რამ იყო გაკეთებული. ამიტომაც ფასდაუდებელია ივანე ჯავახიშვილის წვლილი ქართული თეორიული აზროვნების და, საზოგადოდ, ლიტერატურათმცოდნეობისათვის. ამ ტერმინთა შესახებ ივანე ჯავახიშვილი, ძირითადად, მსჯელობს „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის“ შესავალში, რომელშიც თავმოყრილია ცნება-ტერმინთა ისტორია და განსაზღვრულია მათი მნიშვნელობები; აგრეთვე, სხვადასხვა თხზულებისა და ავტორის შესახებ სტატიებში, რომელთაგან გამოირჩევა ეფრემ მცირისა და ნიკოლოზ გულაბერისძისადმი მიძღვნილი სტატიები.

ივ. ჯავახიშვილის ზემოაღნიშნული მონოგრაფია შესავლით იწყება, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გიორგი მთაწმინდელის სიტყვები: „აღგვწეხია... ხაჲ იგი ვისწავეთ... თვთ მებხ მათ საქმეთაგან ხომედნი იგი ღუმიდით წამებენ და ჳმამაღღად ქადაგებენ ღვაწდთა და შიხომათა მათთა“ [ჯავახიშვილი 1977: 25]. მოხმობილი ციტატა გამოხატავს თავად ივ. ჯავახიშვილის მუშაკობის მიზანსა და საზრისს ძველ ქართველ შემოქმედთა თვალსაზრისებისა და მსოფლმხედველობის, მათი თვალსაჩინო ნაღვან-ნაშრომთა მნიშვნელობა--მნიშვნელოვნების წარმოსაჩენად და მივიწყებულის გამოსამზეურებლად.

ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ იმ პერიოდში (მეცნიერი თავისი მოღვაწეობის ეპოქასა და მის წინა პერიოდს გულისხმობს) ქართულ საისტორიო წყაროთა (ქართული საეკლესიო და საერო თხზულებების) ჯეროვან შესწავლას დიდ ყურადღებას არ უთმობდნენ და, შესაბამისად, ბევრი რამ არსებითი (საეკლესიო და სამოქალაქო ისტორია, ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარება და ა.შ.) გამოსარკვევი იყო. „სამწუხაროა, რომ ჩვენში სხუდებით შეგნებული ახა აქვთ და აცა ჰქონდათ, რომ თვითოეული ძველი საისტორიო თხზულების განხილვის დროს მკვლევარს მაჩვენებთ თანამედროვეობა კი ახ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, ახამედ მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნება და მედასეობა, მისი წყალობის თვისება, ჟამთააღმწეხედის წეხის წესი და მეთოდებინ [ჯავახიშვილი 1977: 25], - წერს ივ. ჯავახიშვილი და თავად ცდილობდა ამ ხარვეზის ამოვსებას, რასაც წარმატებით ახორციელებდა თავისი მეცნიერული მოღვაწეობით. ფაქტობრივად ამ სიტყვებში მეცნიერის საკვლევო თემატიკაცაა განსაზღვრული.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბატონიშვილის თხრობაზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილმა ძველი ქართული ლიტერატურა ორ მიმართულებად დაყო - საეკლესიოდ და სამოქალაქოდ, რომლებიც შემდგომ ეტაპზე სამეცნიერო ლიტერატურაში სასულიერო და საერო მწერლობად მოიხსენიება და დღემდე ამ სახელწოდებითაა წარმოდგენილი. ყურადსაღებია ივ. ჯავახიშვილის ის შეხედულებაც, რომლის თანახმად, სამოქალაქო (საერო) ისტორიის თხზულებათა ჭეშმარიტი ღირსება-მნიშვნელობის გათვალისწინება საეკლესიო-საისტორიო თხზულებების სათანადო შესწავლის გარეშე შეუძლებელია.

ივ. ჯავახიშვილის სავსებით მართებული აზრით, ძველ ქართულ მწერლობაში სხვადასხვა ტიპის, ჟანრის თხზულებები მოიპოვება და მათთვის შესატყვისი სახელდებები არსებობს. სწორედ ივ. ჯავახიშვილის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა ჟანრებისათვის

ტერმინთა შერჩევა-გამოყოფა და შემუშავება. იგი უძველეს ჟანრად მიიჩნევის „მარტილობას“, რომელიც, მისივე თქმით, წარმომდგარია ბერძნული სიტყვიდან „მარტუროს“, ხოლო მისი ქართული შესატყვისია „წამება“. მეცნიერი ამავე პერიოდში მიიჩნევს ტერმინის - „ცხორება“ - ხმარებას. მისი თქმით, „შემდეგ ცხოვრება (ცხოვება და ცხოვრება) ძველ ქართულ მწეხრობაში საისტორიო თხზულებათა საზოგადო სახედად იქცა და სამოქალაქო ისტორიის ძეგლების აღსანიშნავად იხმაობოდა...“ [ჯავახიშვილი 1977: 28]. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად ივ. ჯავახიშვილი იმონებებს ბერძნული საისტორიო წყაროს „მარტივად“ სახელდებას - „ცხორება ბერძენთა“, ასევე - „ცხორება სომხთისა“ და „ცხორება სპარსთა“. მოგვიანებით „ცხოვრების“ ნაცვლად, მეცნიერის დაკვირვებით, ტერმინი „ისტორია“ გაჩნდა (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან), ასევე - „ისტორიათა-აღმწერლობა“ (ისტორიოგრაფია), თუმცა ქართულ მწერლობაში ის ვერ „შეუთვისებიათ“ და ამიტომაც არსად ჩანს.

უნდა შევნიშნოთ, რომ ივ. ჯავახიშვილის მიერ ტერმინთა ეს კლასიფიკაცია საყოველთაოდ აღიარეს და ამგვარადვე დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში. დღესაც ეს ტერმინები სავსებით ბუნებრივად და ლოგიკურად აღიქმება, თითქოს ისინი უხსოვარი დროიდანვე ამგვარად იწოდებოდა; ბევრმა არც კი იცის, მათი გამოყოფა და შემოღება ივ. ჯავახიშვილის სახელს რომ უკავშირდება, მისი დამსახურებაა.

ძველ ქართულ მწერლობაში შემუშავებულ მრავალრიცხოვან ტერმინთა საღარო-„ლექსიკონში“ ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს საისტორიო ნაწარმოებთა კიდევ ერთ ტერმინზე - „მატიანც“ („ძველი მათიანე ქართლისა“, „წმინდათა მათიანეები“). აღნიშნულთან დაკავშირებით მეცნიერი განიხილავს ეფრემ მცირის სიტყვებს და დაასკვნის, რომ „ძვედად ამ სახედით დაბადებახისხოვანი, მხოლოდ მოვდენათა მაჩვივად აღმწესხვერი საისტორიო თხზულებები იწოდებოდა. ხოლო ასეთი სახედები, ჩოგოხც „მატიანე მოსახ-

სენებელი სუღთა“, „მატიანენი სააღაპონი“, გვაფიქხებინებენ, რომ „მატიანეს“ სიის მსგავსად შედგენილს, საისტორიო ცნობების მატიანედ აღმწეხს ნაწახმოებს ეძახდნენ“ [ჯავახიშვილი 1977: 28]. აქვე ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ ისტორიისა და ჟამთააღმწერლობის აღსანიშნად „მატიანეს“ „საზოგადო შემკრებლობითი“ დანიშნულებით მხოლოდ ვახუშტი ბატონიშვილი იყენებს. შემდგომში სწორედ ამ გააზრებით დამკვიდრდა ტერმინი „მატიანე“.

ივ. ჯავახიშვილი უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ ტერმინს, რომელიც ძველ ქართულ მწერლობაში ერთხელ მაინც მოიხსენიება, თუმცა კი ქართულ სააზროვნო სივრცეში არ დამკვიდრებულა. ამის მაგალითად შესაძლებელია, დავასახელოთ „ხრონოგრაფი“, რომელსაც, ივ. ჯავახიშვილის თქმით, მხოლოდ ეფრემ მცირე ასახელებს ბერძნულ თხზულებასთან დაკავშირებით. ივ. ჯავახიშვილის აზრით, შესაძლოა, ამ ტერმინს მხოლოდ ბერძნული თხზულების (ხრონოგრაფის) მიმართ იყენებდნენ და ამიტომაც არ ჩანს მისი გამოყენების შემთხვევები ქართულ წყაროებში. ბერძნულად IV-VI საუკუნეებში შეიქმნა და ჩამოყალიბდა საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება „ქრონოგრაფია“, რომელიც ისტორიისა და საეკლესიო ისტორიისაგან განსხვავდებოდა; როგორც სიმონ ყაუხჩიშვილმა განმარტა, მისი მიზანი იყო მსოფლიო ისტორიის ასახვა დასაბამითგან ქრონოგრაფოსის დრომდე, რომელშიც ქრისტიანობამდელი პერიოდის ისტორია მისი გავრცელების პირველ საუკუნეებამდე ბიბლიური წიგნების მიხედვითაა გადმოცემული, ხოლო შემდგომი პერიოდის ისტორიას კი გადმოგვცემს საუკუნეების მიხედვით ადგილობრივი საარქივო მასალებისა და საქრონიკო ცნობების საფუძველზე. ქრონოგრაფს მსოფლიო ისტორია, კაცობრიობის ისტორია, უნდა აღეწერა ქრისტიანული რელიგიის თვალსაზრისით, რათა საზოგადოება ქრისტიანული ცნობიერების კვალობაზე აღზრდილიყო. ქრონოგრაფოსი სასულიერო პირი იყო, რომელიც მონასტერში მოღვაწეობდა და თავის

საისტორიო თხზულებას ყველასათვის მისაწვდომ, ხალხურ ენაზე წერდა, რადგან იგი თავისი მკითხველის დონეს ითვალისწინებდა [ყავახიშვილი 1973: 88-89]. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ IX საუკუნის ბიზანტიელი ბერისა და ისტორიკოსის, გიორგი ამარტოლის ამ სახელწოდების მქონე საისტორიო თხზულება, რომელიც გადმოგვცემს მსოფლიოს ისტორიას, სამყაროს შექმნიდან 842 წლამდე და აღწერს ისტორიულ მოვლენებსა და ეპოქის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას, ქართულად თარგმნილია არსენ იყალთოელის მიერ. შევნიშნავთ, რომ, გიორგი ამარტოლის თხზულების გარდა, ქართული ხელნაწერებიდან ტერმინ „ხრონოგრაფის“ გამოყენება დასტურდება პოლიევქტოს კარბელაშვილის მიერ 1886 წელს შედგენილი დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის ძველი ხელნაწერების კატალოგში, რომელშიც დასახელებული იყო 734-გვერდიანი „ხრონოგრაფი“. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, „ხრონოგრაფს“ ტერმინი „ჟამთააღმწერლობა“ შეესაბამება (XIV საუკუნის ისტორიკოსთან), ხოლო შემდგენელს – ჟამთააღმწერელი. ივ. ჯავახიშვილი განმარტავს, რომ ორივე ტერმინი – „ჟამთააღმწერლობა“ და „ჟამთააღმწერელი“ – ძველად უფრო ფართო, ისტორიისა და ისტორიკოსის, მნიშვნელობით გამოიყენებოდა.

ჟანრობრივი კლასიფიკაციის თვალსაზრისით ივ. ჯავახიშვილი გამოყოფს ტერმინს – „ჰამბავი“ (დასახელებულია ეფრემ მცირესთან საისტორიო თხზულებების სიაში, ასევე – ლეონტი მროველთან), რომელიც ძველ ქართულ მწერლობაში იშვიათად იხმარება, იგი აღორძინების ხანაშიც გვხვდება, მაგ., პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“. აქვე მეცნიერი ჟანრთან დაკავშირებულ სხვა სპეციფიკურ ტერმინებსაც გვანვდის, კერძოდ, ტერმინს – „მოთხრობა“ (ეფრემ მცირესთან – „საეკლესიო მოთხრობა“) და „შესხმა-მითხრობა“ (თამარ მეფის ისტორიკოსთან დამონმებულია იოანე ჭიმჭიმელის ამ სახელწოდების თხზულება). ივ. ჯავახიშვილი არკვევს და განმარტავს აღნიშნულ ტერმინთა შინაარსსა და

მნიშვნელობას და დასძენს, რომ „მოთხრობა“ რთული და გრძელი აღწერილობისათვის გამოიყენებოდა, ხოლო „მოთხრობა-შესხმა“ გარკვეული ამბის „მარტივ, მოკლე აღწერას“ ეწოდებოდა. ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი გულისხმობს კიმენურ ტექსტებს, თვით ტერმინს, კიმენს, მეტაფრასთან ერთად, ივ. ჭავჭავიძევილი ეფრემ მცირისადმი მიძღვნილ სტატიაში ახსენებს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. თუმცა ტერმინები „კიმენი“ და „მეტაფრასი“/„მეტაფრასტი“ უფრო კორნელი კეკელიძის კვლევა-ძიებათა გზით დამკვიდრდა ქართულ სამეცნიერო სივრცეში. ამავე რიგის („მოთხრობა“, „მოთხრობა-შესხმა“) კიდევ ერთი ტერმინი დაიძებნა, კერძოდ, „ხსოვნა-მოთხრობანი“ (ვახუშტი ბატონიშვილთან), რომელიც საქართველოს ისტორიის შესასწავლ საისტორიო წყაროდ იყო ვარგისი. ტერმინთა მნიშვნელობების გაანალიზება-განხილვის შედეგად ივანე ჭავჭავიძევილი მიდის შემდეგ დასკვნამდე: „...უფრო ხშირად „თხრობა“ და „მოთხრობა“ ქახთუდ საისტორიო მწეხრობაში თვით აღწეხას, ამბავის გახედმოცემას ეწოდებოდა და ამის გამო „თხრობანი“ და „მოთხრობანი“ ყოველი საისტორიო თხზულების შინაგანს შემადგენლობას ეკუთვნოდნენ“ [ჭავჭავიძევილი 1977: 29-30]. შემდგომში ამ ტერმინთა შინაარსი გაფართოვდა, თანამედროვე ლიტმცოდნეობაში „თხრობა“ ლათინურიდან მომდინარე ტერმინით - „ნარატოლოგიით“ - შეიცვალა, ხოლო „მოთხრობა“ თემატური მრავალფეროვნებით (ისტორიული, საყოფაცხოვრებო, სოციალური, სათავგადასავლო და ა. შ.) დაიტვირთა. რაც შეეხება „ქორონიკონებს“ (ვახუშტი ბატონიშვილთან იხსენიება), მეცნიერი ფიქრობს, რომ აქ მათიანეები, კვინკლოსები და ქრონოლოგიური მინანურები იგულისხმება. „ქორონიკონი“, როგორც ცნობილია, ქრისტიანულ სამყაროში მე-6 საუკუნიდან შემოღებულ წელთაღრიცხვას ეწოდება, ხოლო თანამედროვე ეტაპზე „ქრონიკა“ პოლისემანტიკურია და უცხო სიტყვათა ლექსიკონში ამგვარად განიმარტება: „ქრონიკა [ბეჰდ. *chronikos* დიხოსთან დაკავშირებული] - 1. მიმდინაჲე ცხოვრების ამსახველი

ცნობების, ახალი ამბების განყოფილება (გაზეთში, ჟუჰნაღში...).

2. დოკუმენტური კინოფილმი (ჩვეულებრივ, მოკლემეტრაჟიანი), ხომელშიც ასახულია მიმდინავე საზოგადოებრივი ცხოვრების ხაიმე მოვლენები, ამბები. 3. (ისტ.). საზოგადოებრივი მოვლენების, ამბების ქრონოლოგიური აღწერა; მაგნიანი. 4. დიგეხატუხური ნაწახმოები, ხომელშიც გადმოცემულია ხაიმე საზოგადოებრივი ან ოჯახური ამბების ისტორია“ (უცხო სიტყვათა ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=43738>).

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულის განხილვის საფუძველზე ირკვევა, ივ. ჯავახიშვილი ძველ ქართულ მწერლობაში ჟანრობრივი თვალსაზრისით გამოყოფს შემდეგ ტერმინებს: „მარტილობა“/„წამებად“, „ცხორებად“, „ცხოვრება“ (ისტორია), „ისტორიათა-აღმწერლობა“, „მატიანც“, „ხრონოგრაფი“, „ჟამთააღმწერლობა“/„ჟამთააღმწერელი“, „ჰამბავი“, „თხრობა“/„მოთხრობა“, „შესხმა-მითხრობა“, „ხსოვნა-მოთხრობანი“, „ქორონიკონები“. დასახელებულთაგან ბევრი ტერმინი განახლდა და ახალი დატვირთვით იხმარება, ზოგიერთის სემანტიკური ველი გაფართოვდა ან მცირედით შეიცვალა, ნაწილი კი დავიწყებას მიეცა.

ამდენად, ივ. ჯავახიშვილის მიერ მოძიებულ და შესწავლილ ჟანრის გამომხატველ ტერმინთა მრავალრიცხოვნება და მრავალფეროვნება კიდევ ერთხელ მოწმობს ქართული მწერლობის თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების დონესა და მიღწევებს, რაც თანამედროვე ცნებათმეტყველებისათვის უდავოდ გასათვალისწინებელია.

ივ. ჯავახიშვილის მიერ ძველი ქართული მწერლობის მონოგრაფიულად შესწავლამ, თხზულებათა ჟანრობრივ კლასიფიკაციაში შემავალ ტერმინთა გარდა, სხვა მრავალი პრობლემეტიკა და მასთან დაკავშირებული ცნება-ტერმინები წარმოაჩინა. ჩვენი საკვლევნი თემისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ნაწარმოებთა შექმნასთან, თარგმნასთან, მათს

სტილთან, თხრობის მეთოდისა და ავტორებთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხებისა.

ძველი ქართული თხზულებების საფუძვლიანი ანალიზის ფონზე ივ. ჯავახიშვილმა გამოკვეთა ჩვენს მწერლობაში შემუშავებული ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების მნიშვნელოვანი საკითხები; უპირველეს ყოვლისა, ნაწარმოებთა ქმნადობის პროცესთან დაკავშირებული პრობლემატიკა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მეცნიერმა ჩამოაყალიბა დასკვნა: „ქახთუდ საისგოხიო მწეხდობაში გაჩვეუდი, მგკიცე თეოხიუდი მოძღვება ყოფიდა, თუ ხოგოხ და ხა გზით უნდა დაწეხიდიყო კახგი და სამაგადითო საისგოხიო თხზულება“ [ჯავახიშვილი 1977: 31].

ივ. ჯავახიშვილის მიერ სიღრმისეულად შესწავლილი პრობლემატიკიდან ჩვენთვის საყურადღებოა თხზულებათა ავტორების „წერის წესი და მეთოდები“. როგორც ირკვევა, სასულიერო და საისტორიო მწერლობაში გამოიყენებოდა ქეშმარიტებისმეტყველების მეთოდი, რაც თვალთხილულის, კონკრეტულად „თუალთახილულის“, „თვალთხილულის“ და თავად ამბის „თვალთ მხილველის“, „თვთ-მხილველის“, „თანადახუდომილის“, „თანადამხუდარის“ მიერ აღწერას გულისხმობს. აღნიშნულს ზედმინევით გადმოცემს ჟამთააღმწერლის სიტყვები: „ჟამთააღმწეხეღობა ქეშმახიგების მეგყუეღება ახს, ახა თვადახმა ვისიმე“ [„ქართლის ცხოვრება“ 1959: 199]. ამბის დამაჯერებლობისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო მთხრობლის/მთხრობელთა სიბრძნისა და გონიერების, მათი ღირსებების უეჭველობა, სანდოობა, რისთვისაც შემუშავებული იყო შემდეგი გამოთქმები: „პირი უტყუელი“, „სარწმუნონი კაცნი“, რომლებიც „უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუვილისაგან“. ამდენად, ქეშმარიტების აღწერის პრინციპი და მიუკერძოებლობა თხზულებისათვის უმთავრესი მახასიათებელი იყო, ავტორის პიროვნულ თვისებებს განსაზღვრავდა და მსმენელ-მკითხველის ნდობის მოპოვებას ემსახურებოდა.

როგორც ივ. ჯავახიშვილის კვლევამ აჩვენა, ძველი ქართული თხზულებების შეთხზვისას ავტორები საგულდაგულოდ არჩევდნენ სათქმელს, რათა „მოსაწესნებლად არა უჯერო“ და შეუფერებელი, „არა საკადრებლად... უშუერი“ და, ამასთანავე, „ღირს წსენებისა და შუენიერებაჲ აღწერისა“ ყოფილიყო წარმოდგენილი. აქ საყურადღებოა ისიც, რომ შერჩეული მასალა „შუენიერებით“ აღწერას ითვალისწინებდა, რაც ესთეტიკის სფეროს (მიუხედავად იმისა, რომ ესთეტიკა თავისთავადი მნიშვნელობით ამ დროს არ არსებობდა), ამაღლებულის ესთეტიკას მიემართებოდა. როგორც კვლევა ცხადყოფს, ზღაპრული, გამონაგონი ამბებიც არ იყო მისაღები. ამდენად, ავტორთა მიერ ნაწარმოების თემატიკისათვის მასალა წინასწარ უნდა ყოფილიყო შერჩეულ-განსაზღვრული, სანდო წყაროებით გამყარებული და ნათქვამ-მონათხრობი სათანადოდ არგუმენტირებული.

ივ. ჯავახიშვილი შესავალ წერილში ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთ საკითხზე, კერძოდ, „სამწერლობო ტექნიკაზე“ და ვარაუდობს, რომ ამისათვის თეორიული მოძღვრებაც უნდა ყოფილიყო შემუშავებული, რასაც მოწმობს წყაროებში დაცული საისტორიო-სამწერლობო ტერმინოლოგია. აღნიშნულია, რომ ძველი ქართული „მეტად თუ ნაკლებად თვალსაჩინო“ თხზულებები წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით იქმნებოდა, რასაც მოწმობს იოანე საბანის ძის „აბოს წამება“ (კომპოზიცია, გეგმა, თავებად დაყოფა, დასათაურება). ამ თხზულების კვალობაზე ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ იკვეთება თხრობის წესის („წესი თხრობისა“ – ბასილი ზარზმელი) ჩანასახი. შემდგომ ეტაპზე, როგორც მეცნიერი შენიშნავს, თხზულებებში გეგმა წინასწარ აღარ იყო მოცემული, თუმცა მისი არსებობა „ცხადად საგრძნობი და სახილავი იყო“. ამას მოწმობს გარკვეული ამბის რიგის, წყობის შესახებ ტექსტებში ავტორისეული ჩანართები – „ზემორე“ ან „ქვემორე რიგსა მისსა დაგვიწერია“ [ჯავახიშვილი 1977: 33]. როგორც ირკვევა, გეგმა განსაზღვრავდა თხრობის შინაარსსა

და საზღვარს, რისთვისაც შემუშავებული იყო გარკვეული ტერმინოლოგია: „საზღვარი სიტყვისა“ და „სიტყვათა სარბიელი“, ხოლო თხრობის მიმართულებას, რომელსაც ასევე „თხრობის წესი“ განსაზღვრავდა, „გზა სიტყვსა“ აღნიშნავდა. თხრობის სტილი მკაცრად თანმიმდევრული უნდა ყოფილიყო, თამარ მეფის ისტორიკოსის თქმით, „უმარჯულო და უმარცხულო მავალი გზებისა“ [ჯავახიშვილი 1977: 33]. „თხრობის წესის“ დაცვა სავალდებულო ნორმად ითვლებოდა და მისგან გადახვევა - „გზისა გარდაქცეულობა“, სააუგოდ ითვლებოდა. თუმცა, გარკვეული შემთხვევებისათვის, როდესაც ავტორს სურდა რაიმე ვითარების განსაკუთრებულად გამოკვეთა, მცირედი გადახვევა - „გზისა მცირედ გარდაბიჯება“ - დაიშვებოდა. შეწყვეტილ თხრობას „ზემოდატევებული ამბავი ეწოდებოდა“, ხოლო დარჩენილ, მოსათხრობ ნაწილს - „ნეშტი თხრობისა“. თხრობის გასაახლებლად შემუშავებული იყო სპეციალური ფრაზები და გამოთქმები, კერძოდ, „ხოლო ან კუალად აღვედინ სიტყუად ჩუენი პირველდანყებულთა სიტყუათა“, „კუალად ქცევად საზღვართავე თვსთა სიტყუათა“, „მე სარბიელსავე სიტყუათა ჩემთასა ვიდოდი“, „ზემოდატევებული ამბავი აღმართმაბიჯებულთა კვალად ვინყოთ“, „ამიერ კუალად ვიპყრათ ნეშტი იგი თხრობისა და პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ“, „ხოლო ჩუენ, გზისა მცირედ გარდამაბიჯებელნი, კვალად მოგზაურ ვიქმენით“ და ა.შ.

განსაკუთრებით საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის მიერ ლექსიკური ერთეულის - „სიტყუად“ - სემანტიკური მნიშვნელობის შესწავლა-დადგენა, რაც, თუ არ ვცდებით, პირველი ასეთი ცდაა სამეცნიერო ლიტერატურაში. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ მას ძველ ქართულში უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა - „სიტყუად“ ეწოდებოდა ლაპარაკს, თხრობას, გამოთქმულს აზრს, საუბარს. ხოლო იმას, რასაც ჩვენ ახლა სიტყვას ვუწოდებთ, მაშინ „ლექსი“ ეწოდებოდა, „ლექსი სიტყვსა“... ამისდაგვარად „საზღვარი სიტყვსა“ - მოთხრობის საზღვარს, „სიტყუათა სარბიელი“ - მოთხრობის ასპარეზს,

„გზა სიტყუისა“ მოთხრობის გზას, ან მიმართულებასა ნიშნავდა“ [ჯავახიშვილი 1977: 33]. XI საუკუნიდან „სიტყუა“ მის დღევანდელ გაგებასაც ითავსებს.

ძველ ქართულ თხზულებათა კომპოზიციას, მასში შემავალ სეგმენტებს თავისი ტერმინოლოგია ჰქონდა, კერძოდ, „ზედნარნერილი“ (სათაური), „შესავალი თხრობისა“, „დასაბამი“/„დასაბამი თხრობისა“, „თხრობა“ და „დასასრული“/„დასასრული თხრობისა“. თხრობის შინაარსის შემადგენელი ნაწილებია: თხრობანი, მოთხრობა, სიტყვები ან სხვადასხვა „ამბავი“. მოთხრობის აღწერილ ნაწილს ეწოდებოდა „პირველდანყებული სიტყუა“/„პირველი სიტყუა“, მოსათხრობ ნაწილს კი - „წინამდებარე სიტყუა“ ან „ქუემორე სიტყუა“; ამ უკანასკნელის საპირისპიროდ - „ზემორე სიტყვა“ ან „ზემოჯსენებული“.

ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ შემოქმედებითი პროცესის აღსანიშნად გამოიყენებოდა ტერმინი „აღწერა“/„აღწერა“ „აღმწერელობა“, „მოთხრობა“ („მოთხრობა“ და „მოსათხრობელად“), „მითხრობა“ (როცა სხვა მსჯელობს ნაწარმოებზე), „წარმოთქმა“, „წარმოჩენა“, „უწყება“ და „ჯსენება“. საინტერესო ისაა, რომ თითოეულ მათგანს ზოგად მნიშვნელობასთან ერთად სპეციფიკური, მისთვის სახასიათო ელფერი აქვს და, როგორც მეცნიერი შენიშნავს, განსაკუთრებულ აზრს გამოხატავს; კერძოდ, „წარმოთქმა“ ამბის გადმოცემას ნიშნავს, „წარმოჩენა“ - რთული ამბის ბრძნულად თქმას, ხოლო „უწყება“, რომელიც შედარებით იშვიათად იხმარება, მკითხველისათვის ცნობებას, გაგებინებას, შეტყობინებას გამოხატავს; „ჯსენება“ ამა თუ იმ ისტორიული ცნობის აღნიშვნას, აღნუსხვას ეწოდება. რაც შეეხება ავტორს, იგი მოიხსენება როგორც „აღმწერელი“, „აღმწერელი ჰამბავისა“, „გამომთქმელი“, „მოთხრობელი“, XIV საუკუნეში ასევე გვხვდება „ჟამთააღმწერელი“, „მრავალმომთხრობელი“, „ყოველთააღმწერელი“, „სიტყვს მოქმედი“, „მემატიანე“ (ისტორიკოსთა და ჟამთააღმწერელთა საზოგადო სახელი, XVIII ს.).

ივანე ჯავახიშვილმა საისტორიო ნაწარმოებში ამბავთა ასახვის ფორმის მახასიათებლების შესახებ გამოთქვა მოსაზრება, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ერთი რომელიმე მოღვაწის ან მოქალაქეთა ერთი ჯგუფის, ან მთელი ქვეყნისა და სამეფოს „სიტყვს-მიერი გამოხატვად ვრცელისა ... ცხორებისა“ (ბასილი ზარზმელი), რის გამოც ისტორიის დაწერა სხვადასხვაგვარად შეიძლებოდა: 1. ვრცლად, გიორგი ხუცესმონაზონის სიტყვით, „ყოველივე სახე ცხორებისა“ სრულად აღწერილიყო, ან 2. მოკლედ, როდესაც ცხოვრების უმთავრესი მოვლენა უნდა ყოფილიყო წარმოჩენილი. მეცნიერმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი ზედმიწევნითი სიზუსტითა და გამონვლილვით შესწავლილი და განხილული აქვს ეფრემ მცირეს, რომელმაც საგანგებო ცნება-ტერმინებითაც მოიხსენია ისინი. ეფრემ მცირის მიერ შემოღებულ ცნება-ტერმინებზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ივანე ჯავახიშვილის ნარკვევში განხილულია საისტორიო ნაწარმოების უმთავრესი მიზანდასახულობა, კერძოდ, „ცხოვრების“ ამბავი და მოღვაწის „საქმენი“ სინამდვილით უნდა აღწერილიყო, რის გამოც ყოველი ისტორიკოსის საზრუნავი იყო „საქმენი“, „ნივთნი საქმეთანი“ უნდა ჰქონოდა, ანუ, „ნივთად თხრობათა საქმენი“ უნდა ჰქონოდა „კმად მისათხრობლად“ [ჯავახიშვილი 1977 : 38]. ეს მეთოდი ზემოხსენებულ ჭეშმარიტებისმეტყველებას თანხვდება. ამავე დროს, ყოველი მონათხრობი თანმიმდევრულობით გამორჩეული უნდა ყოფილიყო, როგორც ჰაგიოგრაფები მიუთითებენ (ბასილი ზარზმელი, „კონსტანტი კახის წამების“ ავტორი), „შ ე მ დ გ ო მ ი თ ი შ ე მ დ გ ო მ ა დ“, აღწერილი ამბავი კომპოზიციური თანმიმდევრულობით ისე უნდა ყოფილიყო დალაგებული, რომ ავტორს „მრავალკეცი თანააღრეულობა ჰამბავსა“ (არსენი კათალიკოსი) არ შეჰპარვოდა, ამბები „შეუნყობლად და განბნეულად“ არ ასახულიყო. მეცნიერმა გიორგი ხუცესმონაზონის ნააზრევის საფუძველზე განსაზღვრა, რომ მწერალს მთელი საჭირო მასალა, ცნობები უნდა მოეძიებინა, შეეკრიბა,

თანმიმდევრულად დაელაგებინა და მათი გათვალისწინების საფუძველზე „ვითარცა ჯაჭვ ოქროთა ერთობით შეთხზულ“ ერთმანეთზე გადაება და ასე „ერთობით“ შეეერთებინა „თხრობაჲ“ [ჯავახიშვილი 1977 : 38], რაც თხზულების კომპოზიციურ მთლიანობას გულისხმობდა, ძირითადი კომპოზიციური ხაზიდან გადაცდომას გამორიცხავდა. თხზულების ავტორს უნდა გაეთვალისწინებინა საისტორიო ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ერთმანეთთან კავშირი, მათი ურთიერთმიმართება, რასაც, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ქართველი ისტორიკოსები ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ.

ივანე ჯავახიშვილმა საგანგებოდ ისაუბრა საისტორიო თხზულების, საზოგადოდ ქართული მწერლობის ძეგლების, სამეტყველო ენის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაზე, აღნიშნა, რომ ისტორიკოსის ენა „ველოვნებითა რიტორობისათა“ და „ჯეროვანად რიტორობისა“ გამორჩეული იყო, რაც ერწყმოდა აღსაწერი, ასასახავი ამბის მნიშვნელობას, ე.ი. ამბავი და სამეტყველო ენა ერთმანეთის შესაფერისი უნდა ყოფილიყო. ისტორიკოსს არ შეჰფეროდა „ტყუილ-უბრალოდ სიტყვების რახა-რუხი და გაზვიადებული, ტლანქი მოქარგულობა“ [ჯავახიშვილი 1977: 39]. ფუჭი მრავალსიტყვაობა და ნაკლებმნიშვნელოვანი ამბის ვრცლად აღწერა თხზულების ნაკლად მიიჩნეოდა, რის ნიმუშად მეცნიერს ჰაგიოგრაფიაში დამკვიდრებული მეთოდის აღმნიშვნელი ფორმულა აქვს მოხმობილი. ესაა „მრავლისაგან მცირედის აღწერა“, რაც სხვადასხვა ვარიაციით გვხვდება ცალკეულ ჰაგიოგრაფიულ თუ საისტორიო თხზულებაში. ამ მეთოდს მიმართავდნენ იმის გამო, რომ ძირითადი აზრი არ ჩაკარგულიყო მეორეხარისხოვან ამბებში და თხრობაც მოსაწყენი არ გამხდარიყო. მან დაიმონმა ვახუშტი ბატონიშვილის აზრი და მეთოდი იმის შესახებ, რომ „მოქმედების აღწერილობა „გავრცელებულია“ და მოთხრობა შევამოკლე, რომ ისტორია „მკითხველთა საწყინოდ და ადრე საცნობელად იყოს“ [ჯავახიშვილი 1977 : 39]. ზოგჯერ ვრცელი თხზულებების ავტორებიც მიუთითებენ სიტ-

ყვის გაგრძელებაზე, და აღნიშნული აქვთ, რომ, მართალია, საამისო ჟამი არ იყო, მაგრამ აუცილებელს და საჭიროს ვერ გამოტოვებდნენ. ქართველი ისტორიკოსები არ მიმართავდნენ თავიანთი თხზულების ხელოვნურად გავრცობის ხერხს, რასაც „წიგნისა განგრძობა“, ზოგჯერ „ფრიადი განგრძობა“ ეწოდებოდა და ცდილობდნენ, რომ მათი ნაშრომი ადვილი წასაკითხი ყოფილიყო და არა მოსაწყენი, „ნამეტნავ სასმენელსა მსმენელთასა“ არ გამხდარიყო.

ივანე ჯავახიშვილი შეეხო თხზულებათა წერის გარეგანი ტექნიკის საკითხებს და აღნიშნა, რომ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით შემუშავებული იყო სპეციალური ცნება-ტერმინები. საამისოდ დამონშებული აქვს „წიგნი“, რომელსაც რედაქტორები და გადამწერები ხშირად იყენებდნენ და ნიმუშად მოაქვს შატბერდის კრებულის შემდგენელ-რედაქტორის და გადამწერის ანდერძ-მინაწერები, ასევე, გიორგი მერჩულის თხზულება და მასში ჩართული წმ. გრიგოლ ხანძთელის ეპისტოლეც კი „წიგნად“ იწოდებოდა; გიორგი მერჩულე იაკობ მიძნაძორელის ამბის აღწერლობას იმით ხსნის, რომ ეწინოდა „წიგნის განგრძობისა“, ე.ი. თხზულება არ გაზრდილიყო და თხრობა არ გაჭიანურებულოდ სხვა პერსონაჟთა ამბების ჩართვით. წიგნებს, ცხადია, ხელნაწერ წიგნებს, თავიანთი ტექნიკური აღჭურვილობა ჰქონდათ, ასეთები იყო „ანდერძი“ და „ზანდუკი“. აქვე აღნიშნავთ, რომ მეცნიერმა მონოგრაფიაში „ქართული სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“ ხელნაწერი წიგნის ტექნიკურ ნაწილად მიიჩნია კრულობითი მოწმობებიც, რომლებიც ხშირად ახლდა ხელნაწერსაც და სიგელ-გუჯრებსაც. იგი ყოველთვის ხელნაწერი წიგნის ან სიგელის ბოლოში იყო მოქცეული და მისი მთავარი დანიშნულება იყო ამა თუ იმ მონასტრის კუთვნილი ხელნაწერის დაცულობა, კრულობის მოწმობა ხელნაწერის დაცვის, მონასტრიდან მისი გატანის საწინააღმდეგო ერთგვარი გარანტი იყო.

„ანდერძი“ მდიდარ მასალას მოიცავს ხელნაწერის შესახებ, რადგან მასში უმეტესად აღნიშნულია ხელნაწერის თარი-

ლი, გადამწერის, დამკვეთის, ხარჯის გამღების, დამხმარე პერსონალის ვინაობა, გადაწერის ადგილი, ე.ი. ყოველივე ის, რაც საზოგადოდ თხზულების კოდიკოლოგიურ შესწავლას უკავშირდება. ივანე ჯავახიშვილმა დაიმონმა გიორგი მთაწმინდელის სიტყვები, რომლებიც მიუთითებენ წმ. იოვანე მთაწმინდელის განსაკუთრებული ღვანლის შესახებ შვილის წინაშე, რადგან მას უნდა გადაეკითხა წმ. ეფთვიმეს „მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი“ [ჯავახიშვილი 1977 : 40]. ასევე, დამონმებულია გიორგი ხუცესმონაზონის თხზულების ცნობა იმის შესახებ, რომ წმ. გიორგი მთაწმინდელის ყოველ ნაშრომს, თარგმანებს, ჰქონდა თავისი „ანდერძი“ [ჯავახიშვილი 1977: 40].

რაც შეეხება „ზანდუკს“, ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, ძველ ქართულ წიგნებს ბოლოში ახლავს ზანდუკი, რომელიც მკითხველს აუწყებს წიგნში მოთავსებული მასალის დასათაურებებს. მკითხველს შეეძლო წინასწარ გაეგო „ძალი თითოეულისა წიგნისაჲ, თუ რაჲ სწერია“ მასში, რომელშიც „ჰოოს აღრიცხულად და განმარტებულად“ თითოეული თხზულების შინაარსი და მეცნიერი იქვე აღნიშნავს, რომ ესაა თანამედროვე სარჩევი [ჯავახიშვილი 1977: 40].

ივანე ჯავახიშვილის მიერ განხილულ ცნებათა და ტერმინთა გარდა, ძველ ქართულ მწერლობაში მრავალი ცნება და ტერმინი გვხვდება, რომელთა ნაწილი ფილოლოგიურ-ისტორიული მეცნიერებების განვითარების მომდევნო ეტაპზე შესწავლილია, მაგრამ ამ მიმართულებით კიდევ ბევრია საკვლევ-საძიებელი. არც ჩვენ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ თვით ივანე ჯავახიშვილის მიერ შესწავლილ ცნებათა და ტერმინთა შესახებ სრული სურათი ვაჩვენეთ, ამ მხრივაც ბევრი რამ იქნება კიდევ გამოსაკვლევია.

ჩვენი დაკვირვების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ივანე ჯავახიშვილმა ქართული მწერლობის ძეგლების კვლევისას გამოავლინა და განმარტა ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის ტერმინები, რითაც ფასდაუდებელი წვლილი

შეიტანა, თუ შესაძლებელია ითქვას, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ბაზის შექმნაში. ცალკეულ ცნებასა და ტერმინთან დაკავშირებით გამოთქმული ყოველი მისი მოსაზრება გაჯერებულია სათანადო დოკუმენტური მასალით, განმტკიცებულია არგუმენტებით. ქართულ სამეცნიერო სივრცეში აღნიშნულ ცნება-ტერმინთა მხოლოდ მცირე ნაწილია დამკვიდრებული. ვფიქრობთ, დროა, ვიზრუნოთ წინაპართა დაუღალავი მუშაკობით დაგროვილ საუნჯეზე, მივაგოთ პატივი, სათანადოდ დავაფასოთ და ქართული ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების სფეროში მივუჩინოთ კუთვნილი ადგილი.

ლიტერატურა:

სირაძე რ. (1975), ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

უცხო სიტყვათა ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=43738>;

ქართლის ცხოვრება (1959), ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;

ყაუხჩიშვილი ს. (1973), ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“;

ჯავახიშვილი ი. (1977), ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ., ტ.VIII, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Ivane Javakhishvili's research on the style of narration of monuments of ancient Georgian literature, which is the introduction to his fundamental work – "Old Georgian Historical Writing~ – was of great importance for the study of conceptual issues of Georgian theological and secular literature in general. He was the first to pay attention and formulate his views on the narrative and narrative terminology used in the historical and religious writing traditions,

which discussed the issues of classification of works of ancient Georgian literature in parallel. These are: the question of the division of writing into two directions – ecclesiastical and civil – the method of orthodoxy used in theological and historical writings, which involves the description of the eye, the creation of a pre-designed plan of works, the question of narrative style. The abundance of terminology was conditioned by the content and genre diversity of the monuments of ancient Georgian literature. Ivane Javakhishvili made his terminological observations on historical works, however, most of them can be considered from a philological-literary point of view.

That is why the report discusses quite a number of different terms, in particular, in terms of genre: narrative, presentation, agency, ~recollection~, description, history, chronograph, pronunciation; Author: eyewitness, narrator, orator, chronicler; According to the style of narration: the rule of narration, the ~relic of narration~, the ~border of the word", the "path of the word", the race of words, the first word and the above story; Sequence of narration: ~further afterwards~, ~inconsistently and confusingly~, litany word, a story described by rhetorical art and proper rhetoric; Structurally: Manuscript book chest and will. Most of the conclusions drawn on these issues are universally recognized and established in the scientific space, some – supplemented, deepened and presented with new interpretations. The report discusses the different views on each issue raised on the basis of historical-philological research at the present stage.

Our paper presents the merits of Ivane Javakhishvili in the context of the thinking space of the medieval era on the understanding of the existence, classification, genre, narrative style, author and the essence of the names of ancient Georgian literature based on data from modern philological-literary science.

References:

Javakhishvili Iv. (1977), Old Georgian Historical Writing, Volume 8 of Essays, Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.

კავკასიის საცენზურო კომიტეტი თარგმანის
ზოგიერთ საკითხზე
Caucasian Censorship Committee on Certain Translation
Issues

ანა დოლიძე
Anna Dolidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

საკვანძო სიტყვები: კავკასიის საცენზურო კომიტეტი,
კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო, თარგმანი,
პრესა, „უცხოური ცენზურა“.

Key words: Caucasus Censorship Committee, Main Department of
the Crown Prince of the Caucasus, Translation, Press, “Foreign
Censorship”.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებში, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში (ფონდი 480), შეგვხვდა საინტერესო ცნობები თარგმანის საკითხებზე. ეს ცნობები შეეხება არა იმას, თუ როგორი პრინციპებით უნდა იქნეს შერჩეული სათარგმნი მასალა, ან როგორ უნდა ითარგმნოს იგი, არამედ იმას, თუ რისი გადმოთარგმნის უფლება აქვთ პერიოდული ორგანოების გამომცემლებს და რისი - არა; როგორ უნდა განსაზღვრონ მათ ეს უფლებები. ამგვარი მსჯელობა მოჰყვა „Тифлисский Вестник“-ის 1874 წლის 67-ე ნომერში დაბეჭდილ ნათარგმნ სტატიას - „როშფორის ახალი ფანარი“. ის გადმოთარგმნილი ყოფილა ამერიკული გაზეთიდან - „ნიუ-იორკის მაცნე“. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს უყურადღებოდ არ დარჩა ეს ამბავი და მთავარი სამმართველოს უფროსმა, სენატორმა, სტატსკი სოვეტნიკმა, ბარონმა ნიკოლაიმ კავკასიის საცენზურო კომიტეტს მაშინვე, 1874 წლის 14 ივლისს, მიმართა წერილობით იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა, რომ ასეთი სტატია, უცხოური ჟურნალიდან ნათარგმნი, საცენზურო კომიტეტის ნებართვით დაიბეჭდა „Тифлисский Вестник“-ში, რა წესებით სარგებლობდნენ უცხოური გაზეთიდან სტატიის თარგმანისას, მიღებულია თუ არა ამ მხარეში (კავკასიაში) კანონიერად უცხოური გაზეთის ეს კონკრეტული ნომერი, რომლის ნებართვის შესახებ „უცხოურ ცენზურას“ არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია [480-1-182].

„უცხოური ცენზურა“ წარმოადგენს რუსეთის საცენზურო კომიტეტის ერთ-ერთ ცენტრალურ განყოფილებას, ის მდებარეობს პეტერბურგში და მას პეტერბურგის უცხოურ საცენზურო კომიტეტად მოიხსენიებენ. პეტერბურგის საცენზურო კომიტეტი უგზავნის კავკასიის შინაგან საქმეთა სამინისტროს 2 ეგზემპლარად, ხოლო კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს 1 ეგზემპლარად ჩამონათვალს, რომელშიც აღრიცხულია ის წიგნები, რომელთა შემოტანის უფლებაც ეძლევათ ან არ ეძლევათ რუსეთში, ის უშვებს ან კრძალავს საზღვარგარეთიდან შემოსული წიგნების მოხმარებას და მათ

ხელმეორედ გამოქვეყნებას. კავკასიის შინაგან საქმეთა სამინისტროცა და მეფისნაცვლის კანცელარიაც მიღებულ ჩამონათვალს, წიგნების ანბანურ სიას, რომელიც უკვე განიხილა პეტერბურგის „უცხოურმა ცენზურამ“, აგზავნიან კავკასიის საცენზურო კომიტეტში. ასეთი დოკუმენტები მოდის ყოველ თვეში [480-1-26] და რჩება კომიტეტში.

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს კანცელარია თვეში 2-ჯერ აწვდის საცენზურო კომიტეტს 2 ეგზემპლარად პეტერბურგის კომიტეტის საზღვარგარეთული ცენზურის მიერ ნებადართული ან აკრძალული „წიგნების სააღფაბეთო სიებს“ თავისი დადგენილებებით თითოეული წიგნის შესახებ [480-1-42]. კავკასიის მხარეში საბაჟოთი შემოსული ნებისმიერი ბეჭდური მასალა იგზავნება კავკასიის საცენზურო კომიტეტში და ის პეტერბურგის „უცხოური ცენზურის“ მიერ გამოგზავნილი სიების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას, უნდა გაეგზავნოთ თუ არა საბაჟოში შემოსული ამანათები (ბეჭდური პროდუქცია) ადრესატებს. თუ აკრძალული წიგნი მაინც მოხვდება კერძო პირის ბიბლიოთეკაში, პოლიციას უფლება აქვს მისი კონფისკაციისა და განადგურების [480-1-135].

„Тифлисский Вестник“-ში გამოქვეყნებული უცხოური სტატიის გამო კავკასიის საცენზურო კომიტეტი თავს იმართლებს და კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში 1874 წლის 9 ივლისს აგზავნის განმარტებით ბარათს. ცენზორი წერს, რომ, მართალია, თბილისში არ იღებენ გაზეთ „ნიუ-იორკის მაცნეს“, მაგრამ იმის გამო, რომ „ბეჭდვითი საქმის მაჩვენებელში“ არ შედის საზღვარგარეთული გაზეთები, საცენზურო წესდებაშიც არაფერია ნათქვამი საზღვარგარეთული გაზეთებიდან გადმოთარგმნილი სტატიების დაბეჭდვის შესახებ და „საზღვარგარეთული ცენზურის“ მიერ ასეთი სტატიები არც ნებადართულია და არც აკრძალული, ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებული მსგავსი (გადმოთარგმნილი) სტატიების განხილვისას კავკასიის საცენზურო კომიტეტი ყურადღებას აქცევს მხოლოდ მათ შინაარსს; სტატია „როშფორის ახალი ფა-

ნარი“, კომიტეტის აზრით, არ შეიცავს არანაირ მავნე სწავლებას, არ ვნებს ხელისუფლების რაიმე ფორმას და მხოლოდ რესპუბლიკური ინტერესების დაცვას ემსახურება, ამიტომაც კავკასიის საცენზურო კომიტეტმა მისი დაბეჭდვა შესაძლებლად მიიჩნია [480-1- 182].

ბარონმა ნიკოლაიმ დამაკმაყოფილებლად არ ჩათვალა ეს ახსნა და ბიუროკრატიული აპარატის მთელი დემაგოგია გამოიყენა იმისათვის, რომ კავკასიის საცენზურო კომიტეტისთვის დაშვებული შეცდომა დაესაბუთებინა. მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ მხოლოდ კავკასიის საცენზურო კომიტეტი არ გამოდის ბეჭდვითი საქმის ორგანოების ერთადერთი დამსჯელი ორგანიზაცია, ის ექვემდებარება როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს და ზემდგომებიდან ისიც განიცდის ზეწოლას. ბარონი ნიკოლაი იმპერატიული ტონით შეახსენებს მასზე დაქვემდებარებულ კავკასიის საცენზურო კომიტეტს, რომ იმპერიაში საზღვარგარეთული პერიოდული გამოცემები შემოდის ფოსტის მეშვეობით, ხოლო ნებადართული ბეჭდვითი პროდუქციის შესახებ გამოდის სპეციალური სიები (მათზე ზემოთ ვისაუბრეთ). ამ სიებს ცენტრალური კომიტეტისთვის არ უნდა ჰქონდეს ნაკლები სავალდებულო მნიშვნელობა, ვიდრე „ბეჭდვითი საქმის მაჩვენებელს“, რომელშიც შესაძლებელია, არ შევიდეს ისეთი გამოცემები, რომლებიც პეტერბურგის საზღვარგარეთული ცენზურის ხელში საერთოდ არ ხვდება. თუ საცენზურო კომიტეტის წესდებაში არაფერია ნათქვამი საზღვარგარეთული გაზეთებიდან ნებადართული თუ აკრძალული სტატიების შესახებ, ეს არ აძლევს კომიტეტს არანაირ საფუძველს, დაუშვას საზღვარგარეთიდან შემოტანილი გაზეთებიდან და ჟურნალებიდან სტატიების თარგმნა შიდა ცენზურის მიერ დადგენილი წესებით; მით უმეტეს, რომ საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი, ევროპულ ენებზე შექმნილი პერიოდული გამოცემების გადასინჯვის უფლება „საზღვარგარეთის ცენზურის“ წესებით შეზღუდულია და ექვემდებარება

ცალკე შემოწმებას ცენზურის მიერ. ბარონი ნიკოლაი საცენზურო წესდებაში არსებულ პრობლემას საზღვარგარეთული გაზეთებიდან სტატიების თარგმანის შესახებ ხსნის შემდეგნაირად: თუ უცხოეთიდან შემოტანილი ჟურნალი ან გაზეთი არ არის დაშვებული იმპერიაში გასავრცელებლად და არ შედის ნებადართული გამოცემების კატალოგებში, ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება მათში დაბეჭდილი სტატიის გადმოთარგმნაც, რა შინაარსისაც არ უნდა იყოს ის; თუმცა, საცენზურო კანონის მიხედვით, უცხოური პუბლიკაციის დაბეჭდვისა და საზოგადოებაში მისი გავრცელების ნებადართვაც კი არ გულისხმობს თარგმანის შინაარსზე პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, მით უმეტეს, თუ ის ეხება უცხოურ სტატიას, რომელსაც რუსულ ენაზე ვერ წარვადგენთ. ბარონი ნიკოლაი თვლის, რომ კავკასიის საცენზურო კომიტეტმა ამ მხრივაც უპასუხისმგებლობა გამოიჩინა, რადგან სტატიის შინაარსი – რესპუბლიკური იდეების ქადაგება – დაუშვებელი იყო რუსეთის იმპერიისთვის. გაზეთ „Тифлисский Вестник“-ში მოთავსებული სტატია იყო თარგმანი უცხოური ჟურნალიდან – „რომფორის ფანარი“, ჟურნალიდან, რომელიც მთელი მკითხველი სამყაროსათვის ცნობილი იყო როგორც ყველაზე რადიკალური კომუნისტური შეხედულებების გამტარებელი პერიოდული ორგანო, ხოლო კონკრეტული სტატია სახელმწიფოს მართვის რესპუბლიკური ფორმისა და კომუნიზმის პირდაპირ ქებას წარმოადგენდა. ამასთანავე, საცენზურო წესდების 99-ე მუხლი ცენზორებს ავალებდა, უცხოური ნაწარმოებების ცენზურის დროს უფრო მეტი ყურადღება მიექციათ ავტორის მიზნისთვის, მისი სულისკვეთებისთვის და არ მიეღოთ ავტორის გამონათქვამები ვიწრო მნიშვნელობით. ეს მითითებული იყო უცხოური ცენზურის სახელმძღვანელოშიც და, ცხადია, რომ იგივე უნდა გავრცელებულიყო უცხოური პუბლიკაციების რუსულ ენაზე თარგმანების დროსაც.

„ყველა ამ მოსაზრებასთან ერთად“, – წერს ბარონი ნიკოლაი, – მოგახსენებთ, რომ საცენზურო კომიტეტს არა აქვს

საფუძველი, გაუშვას რუსულად თარგმნილი სტატია ან ამონარიდი უცხოური გაზეთიდან ან ჟურნალიდან, თუ არ დარწმუნდება, რომ ჟურნალი ან გაზეთი ნებადართულია რუსეთში შემოსატანად და რომ კონკრეტული სტატიაც (ორიგინალი) ნებადართულია. საცენზურო კომიტეტში მსგავსი სტატიების განხილვა გამოიწვევს შემდეგს: გამომცემელს, რომელსაც სურს, გამოაქვეყნოს ნათარგმნი სტატია თავის გამომცემაში, შეუძლია წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ ეს სტატია დაშვებულია უცხოური ცენზურის მიერ, თუმცა, ვიმეორებ, რომ მსგავსი ნებაართვა ჯერ კიდევ არ აძლევს ცენზორს უფლებას, გაუშვას ეს თარგმანი შიდა ცენზურის შესახებ დადგენილი წესების გათვალისწინებით“.

ბარონი ნიკოლაი ვარაუდს გამოთქვამს, რომ ამ ყოველივეს მოხსენების შემდეგ კავკასიის ცენტრალური კომიტეტი მიხვდება, თუ როგორ უნდა იხელმძღვანელოს მან მსგავს შემთხვევებში. ის აღნიშნავს, რომ სტატია „რომფორის ახალი ფანარი“ როგორც თავისი შინაარსით, ისე ავტორის აშკარა ჩანაფიქრით აღძრავს რესპუბლიკურ იდეებს და, საცენზურო წესების მიხედვით, მას არ უნდა ჰქონდა ადგილი „პროვინციულ გაზეთში“. ბარონი ნიკოლაი „Тифлисский Вестник“-ს უწოდებს პროვინციულ გაზეთს და ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ პროვინციულ გაზეთში ასეთი ინფორმაცია არ უნდა დაიბეჭდოს.

ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი (ბარონი), ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილის – სოფიოს – მეუღლე, იყო რუსი სახელმწიფო მოღვაწე. 1863 წლიდან ის მუშაობდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსად. ბარონ ნიკოლაის წინაპრები საფრანგეთში მცხოვრები განათლებული შვედეები იყვნენ, რომლებიც ეკატერინე II-ის მიწვევით გადმოსახლდნენ რუსეთში მემკვიდრის აღსაზრდელად. მათ ოჯახს ფინეთში უბოძეს დიდი მამულები და მიანიჭეს ბარონის ტიტულიც. 24 წლის ალექსანდრე თბილისში ჩამოდის და მეფისნაცვალთან იწყებს სამსახურს. მას გულწრფელად უყვარდება სო-

ფიო ქავჭავაძე, რაც ჩანს მამისადმი მიწერილ წერილში. ასევე უყვარს ის ქვეყანაც, რომელშიც ბედმა მიიყვანა და წერს მშობელს: „საბედნიეროდ ბედმა ამ მშვენიერ ქვეყანაში მიმიყვანა, რომელიც რაც უფრო მეტი დრო გადის, სულ უფრო მიყვარდება და მიჩნდება სურვილი, რომ ჩემი პატარა წვლილი შვეიცარიის კეთილდღეობის საქმეში“ [მიქაია 1978 : 3].

მიუხედავად საქართველოს დიდი სიყვარულისა და თავისი არარუსული წარმოშობისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბარონი ნიკოლაი რუსი სახელმწიფო მოხელეა და ყველანაირად იცავს რუსეთის იმპერიის ინტერესებს, რომლებიც უგულბებლყოფს თანამედროვე სამყაროში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ რუსეთის დაპყრობილ ქვეყნებში ინფორმაციის გავრცელებას, მით უმეტეს, თუ ეს ინფორმაცია პროვინციის გაზეთში იბეჭდება. „Тифлисский вестник“-ში კი ამ დროს ისეთი ცნობილი და მასშტაბური აზროვნების საზოგადო მოღვაწეები მუშაობენ, როგორებიც არიან: ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, დავით ერისთავი. ისინი ყველანაირად ცდილობენ, რომ ადგილობრივ პრესაში საცენზურო უფლებები გაუთანაბრდეს იმ წესებს, რომლებიც გამოიყენება და მოქმედებს სატახტო ქალაქებში [ჟურნალისტიკის... 1971 : 347]. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამას ისინი ვერ აღწევენ.

ლიტერატურა:

მიქაია ვ, 1978, ზოგი რამ სოფიო ქავჭავაძე, გაზ. „მებრძოლი“, ზუგდიდი, აპრილი (N39);

ჟურნალისტიკის ... 1978, ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ტ. II, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა;

საქართველოს... საქართველოს ეროვნული არქივის, ფონდი N480-ის, მასალები.

In the materials of the Caucasus Censorship Committee preserved in the National Archives of Georgia (Fund 480), we have found interesting information on translation issues. These references do not concern based on what principles the translation material

should be selected or how it should be translated, but what the publishers of periodicals have the right to translate and what not; and how they should have defined those rights. Such reasoning followed the translated article *Rochefort's New Flashlight* published in the 67th issue of the *Tiflissky Vestnik* in 1874. It was translated from an American newspaper the *New York Messenger*. This news did not go unnoticed by the Main Department of the Caucasus Viceroy and the Chief of the Main Department, Senator, Statsky Sovetnik (State Councilor), Baron Nikolai, immediately wrote to the Caucasian Censorship Committee on July 14, 1874, about how it happened that such an article, translated from a foreign magazine, was published in *Tiflissky Vestnik* with the permission from the Censorship Committee; what rules were used when translating the article from a foreign newspaper; if this particular issue of a foreign newspaper was legally accepted in this area (Caucasus); and which the *Foreign Censorship* had no information about [480-1-182].

Foreign Censorship was one of the central divisions of the Russian Censorship Committee; was located in St. Petersburg and was referred to as the St. Petersburg Foreign Censorship Committee. The St. Petersburg Censorship Committee sends 2 copies to the Ministry of Internal Affairs of the Caucasus and 1 copy to the Main Department of the Viceroy of the Caucasus, which lists the books that are allowed or are not to be imported into Russia; it allows or prohibits reading of books imported from abroad and their re-publishing. Both the Ministry of Internal Affairs of the Caucasus and the Chancellery of the Viceroy send the received list (the alphabetical list of books) that have already been reviewed by the Foreign Censorship of St. Petersburg, to the Caucasus Censorship Committee. Such documents arrive every month [480-1-26] and remain in the Committee.

The Chancellery of the Main Department of the Viceroy of the Caucasus provides the Censorship Committee 2 times a month in 2 copies, the ~alphabetical lists of books~ permitted or prohibited by

the St. Petersburg Committee for Foreign Censorship with its resolutions on each book [480-1-42]. Any printed material entering the Caucasus through customs is sent to the Caucasian Censorship Committee and it makes a decision based on the lists sent by the St. Petersburg Foreign Censorship, whether to send the parcels (printed products) that have entered the customs to the addressees. If the banned book still gets into the library of a private person, the police have the right to confiscate and destroy it [480-1-135].

Due to the foreign article published in the Tiflissky Vestnik, the Caucasian Censorship Committee tries to excuse itself and sends an explanatory card to the Chancellery of the Caucasus Viceroy on July 9, 1874. The censor writes that, although the New York Messenger newspaper is not accepted in Tbilisi, but because foreign newspapers are not included in the ~printing index~, the censorship statute does not say anything about the printing of articles translated from foreign newspapers and such articles are neither allowed nor prohibited by the Foreign Censorship, when reviewing similar (translated) articles placed in local newspapers, the Caucasus Censorship Committee pays attention only to their content; according to the Committee, the article *Rochefort's New Flashlight* does not contain any harmful teachings, does not hurt any form of government and only serves to protect republican interests, that is why the Caucasus Censorship Committee considered for it possible to be published [480-1-182].

Baron Nikolay was not satisfied with such explanation and used all the demagoguery of the bureaucratic apparatus to justify the mistake made by the Caucasian Censorship Committee. It is also an important fact that the Caucasus Censorship Committee is not the only organization that punishes printed media, it is subordinate to both the Ministry of Internal Affairs and the Main Department of the Caucasus Viceroy, also experiencing pressure from its superiors. Baron Nikolay in an imperative tone reminds the Caucasian Censorship Committee, subordinate to him, that foreign periodicals

enter the Empire through the mail and that special lists of permitted printed products are issued (as mentioned above). These lists should have no less binding value for the Central Committee than the “index of printed matters“, which may not include publications that do not fall into the hands of the Petersburg Foreign Censorship at all. If the Statute of the Censorship Committee does not say anything about articles from foreign newspapers, allowed or prohibited, this does not give the Committee any basis to allow the translation of articles from newspapers and magazines sent from abroad according to the rules established by the internal censorship; furthermore that the right to revise periodicals brought from abroad, created in European languages, is limited by the rules of the Foreign Censorship and is subject to separate inspection by the censorship.

Baron Nikolay explains the problem of the translation of articles from foreign newspapers in the Censorship Statute as follows: if a magazine or newspaper imported from abroad is not allowed to be distributed in the Empire and is not included in the catalogs of authorized publications, this means that the article printed in them cannot be translated, no matter what the content is; however, according to the Censorship Law, even permission to print a foreign publication and distribute it to the public does not imply exemption from responsibility for the content of the translation, especially if it concerns a foreign article that cannot be presented in Russian. Baron Nikolay believes that the Caucasian Censorship Committee showed irresponsibility in this regard as well, because the content of the article – the preaching of republican ideas – was unacceptable for the Russian Empire.

Baron Nikolai suggests that after reporting all this, the Caucasus Central Committee will understand how to act in similar cases in future. He points out that the article *Rochefort's new flashlight* both by its content and by the author's clear intention, arouses republican ideas and, according to censorship rules, it should not ha-

ve appeared in a ~provincial newspaper~. Baron Nikolay calls the Tiflissky Vestnik a provincial newspaper and draws attention to the fact that such information should not be printed in a provincial periodical.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის ზოგიერთი
ტენდენციის შესახებ
(XIX საუკუნის 70-80-იანი წლები)
Certain Trends of Caucasian Censorship Committee
(70s of 19th century)

გოჩა კუჭუხიძე
Gocha Kuchukhidze

*თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

საკვანძო სიტყვები: კავკასიის საცენზურო კომიტეტი, საარქივო
დოკუმენტები.

Key words: Caucasian Censorship Committee, archival documents.

კავკასიაში საცენზურო კომისიის მუშაობის შესწავლისას ამჯერად რუსეთის იმპერიას დაქვემდებარებულ ეროვნებათა მიმართ გატარებულ ეროვნულ და სოციალურ პოლიტიკაზე გავამახვილებთ ყურადღებას. რუსეთის სახელმწიფოში ბევრი ერი და ეროვნება შედიოდა და ყოველ მათგანთან თავისებური მიდგომა ჰქონდა სახელმწიფოს.

პოლონეთში 1863 წლის აჯანყების გამო მკაცრ პოლიტიკას აწარმოებდა რუსეთი: პოლონეთის სამეფო გაუქმდა, რუსეთს უშუალოდ შეუერთდა და ვისლისპირეთის მხარე, შემდეგ კი (1875 წ.) პოლონეთის გუბერნია ეწოდა, პოლონური ენა აიკრძალა და მაღალ თანამდებობებზე რუსი ეროვნების მოხელეები ინიშნებოდნენ...

უკრაინის მიმართ დამოკიდებულება ჯერ შედარებით ლოიალური იყო, მაგრამ, რადგან შემდგომ და შემდგომ უკრაინაში ეროვნული მოძრაობა გაძლიერდა, 1863 წელს ჯერ ე. წ. „ვალუევის ცირკულარით“ (რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი პ. ვალუევი) და შემდეგ კი გერმანიის ქალაქ ბად ემსში 1876 წლის 30 მაისს მიღებული განკარგულების ძალით (იგი ისტორიაში „ემსკი უკაზის“ სახელით არის შესული) სახელმწიფოს მხრიდან სიმკაცრე დაიწყო, რაც ბეჭდვით სიტყვაზეც აისახა; „მალარასიულ დიალექტზე“ განათლების მიღება აიკრძალა, რადგან, როგორც მიჩნეული იყო, უკრაინელი ხალხი, ჰეტმანის მეთაურობით, რუსეთისაგან გამოყოფას ცდილობდა. „ვალუევის ცირკულარით“ უკრაინულად დაწერილი მხოლოდ სიტყვაკაზმული ლიტერატურა („изящная литература“) იქნა დაშვებული. ამ განკარგულების თანახმად, თუ სპეციალური ნებართვა არ იქნებოდა გაცემული, უცხო ენიდან უკრაინულზე თარგმნა იკრძალებოდა, არ შეიძლებოდა საზღვარგარეთიდან უკრაინულად დაწერილი წიგნების შემოტანა, დაუშვებელი იყო უკრაინული კონცერტების ჩატარება, აკრძალეს უკრაინულ ენაზე დაწყებითი სწავლება; მხატვრული ლიტერატურის გამოცემა მხოლოდ 1881 წელს დაუშვეს, რაშიც პარიზში 1878 წელს გამართულ ლიტერატურის საერთაშორისო კონგრესზე (მისი ოფიცია-

ლური თავმჯდომარე ვიქტორ ჰიუგო იყო) ბად ემსში მიღებული განკარგულების გაკრიტიკებამაც შეიტანა წვლილი. როგორც მიჩნეულია, სწორედ ხსენებულმა განკარგულებებმა შეუწყო ხელი იმას, რომ უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაძლიერდა და მისმა ცენტრმა დასავლეთ უკრაინაში გადაინაცვლა [ვერნადსკი 2006: 347-369].

ალექსანდრე II (იმპერატორობის წწ. – 1855-1881) შედარებითი ლიბერალიზმითაა ცნობილი, თუმც ეს არის პიროვნება, რომლის დროსაც ეროვნულ ენებზე სწავლება ლიტვასა და ბელორუსიაშიც დაუშვებლად იქნა მიჩნეული. ამგვარი პოლიტიკა, ცხადია, ზემოხსენებულ 1863 წლის აჯანყებას მოჰყვა, რომელმაც პოლონეთი, ლიტვა, უკრაინა, ბელორუსია მოიცვა...

ებრაელთა მიმართ დამოკიდებულება ამ დროს შედარებით ლოიალური გახდა. ალექსანდრე II-ის დროს რუსებთან ებრაელი ხალხის დაახლოებას ცდილობდნენ, ებრაელთა გაუცხოებას ხელს უშლიდნენ. 1859 და 1880 წწ-ის განკარგულებებით ებრაელებს ნება მიეცათ, რუსეთის ნებისმიერ ადგილას დასახლებულიყვნენ... თუმც ეს ყოველივე არ ნიშნავს იმას, რომ სრული ოფიციალური თავისუფლება მოიპოვეს მათ, – 1873 წელს ებრაული სკოლები, რომლებიც 1844 წელს გაიხსნა, დაიხურა, მაღალ თანამდებობებზე ებრაული ეროვნების წარმომადგენელთა დანიშვნა არ ხდებოდა...

შეიძლება ითქვას, რომ გამონაკლისი იყო ფინეთთან დამოკიდებულება, – იქ, ნიკოლოზ I-ის დროიდან მოყოლებული, მის ავტონომიას უჭერდნენ მხარს; ფინეთს ჰყავდა საკუთარი ჯარი, ჰქონდა ეროვნული ვალუტა, განათლებას ამ ქვეყანაში ფინურ ენაზე იღებდნენ...

ლიბერალიზმის სრულად უარყოფელად ვერ წარმოჩნდებოდა რუსეთი და 1865 წლის 18 აპრილს ალექსანდრე II-მ, როგორც აღნიშნავენ ხოლმე, გაითვალისწინა „სახელმწიფო საბჭოს“ აზრი და გარკვეული წილი თავისუფლება მიანიჭა ბეჭდვით საქმეს, რაც საცენზურო საქმის რეფორმის დასაწყისი გახდა. 1863 წლის 26 იანვარს ლიტერატურისა და ჟურნა-

ლისტიკისათვის თვალ-ყურის დევნება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა და კანონმდებლობაში ახალი დაცვითი მექანიზმების შემუშავება მიიჩნიეს საჭიროდ. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის თავმჯდომარის, დ. ობოლენსკის, აღნიშვნით, ბეჭდვით საქმეშიც უნდა ასახულიყო ისეთივე ლიბერალური რეფორმები, როგორც ეს სხვა სფეროებში მოხდა. 1863 წელს ობოლენსკის უკვე შემუშავებული ჰქონდა პროექტი ბეჭდვითი საქმის შესახებ, ცენზურირების მთავარი ინსტანცია „ბეჭდვით საქმეთა მთავარი სამმართველო“ („Главное управление по делам печати“) გახდა და 1865 წლის 13 სექტემბერს მიღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმად, ცენზურისაგან უნდა გათავისუფლებულიყო სახელმწიფო და აკადემიური სამეცნიერო გამოცემები, კლასიკური ლიტერატურის ტექსტები, მათი თარგმანები... [ამ საკითხებზე იხ. მაკუშინი 2010: 94-104; პეტრუშევა 1990: 27-34; როზენბერგი, იაკუშინი 1905; ჩერნუხა 1988...]

როგორც ითქვა, იმპერიაში ყველა ხალხის მიმართ შესაბამისი პოლიტიკა ტარდებოდა და ჩვენს ყურადღებას ამჯერად უფრო იქით წარვმართავთ, რომ დოკუმენტებზე დაყრდნობით წარმოვაჩინოთ, თუ როგორი ვითარება იყო ამ მხრივ კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში, როგორ სრულდებოდა კანონები...

ცნობილია, რომ კავკასიაში ადგილობრივი მთის ხალხებს ტრადიციათა შენარჩუნებაში არ უშლიდნენ ხელს, მაგრამ დაპყრობის შემდეგ აქ ჯარს აყენებდნენ; ხდებოდა ხალხთა გასახლებები...

საქართველოში (ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები) მიხეილ ვორონცოვისეული „დათბობის პოლიტიკა“ იმპერიის სწორედ ამ მრავალეროვნული პოლიტიკის კავკასიური ნაწილია. იმპერია ქართულ კულტურას, მით უმეტეს, ვერ აკრძალავდა და აქ გამოუშვა პიროვნება, რომელიც ხალხში სიმპათიას დაიმსახურებდა და არც იმას დაუშვებდა, რომ ეროვნული კულტურის აღორძინებას საშიში ფორმები მიეღო. ატარებ-

დნენ ისეთ პოლიტიკას, რომ აქ პოლონეთის მსგავსი მოვლენები არ განმეორებულყო.

დაახლოებით იგივე დამოკიდებულება ჰქონდათ სომხეთისა (ერევნის გუბერნია) და აზერბაიჯანის (ელისავეტპოლის /განჯა/ და ბაქოს გუბერნიები) მიმართ.

1844 წელს კავკასიის მთავარმართებლად მიხეილ ვორონცოვის დანიშვნას და აქ კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებული შედარებით ლოიალური პოლიტიკისა და კავკასიის რეგიონებში ეროვნული კულტურის აღორძინების დაწყებას ის შედეგი მართლაც მოჰყვა, რომ შემდგომ და შემდგომ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მეტი სიფხიზლე გახდა საჭირო, რათა ზღვარი არ დარღვეულიყო და იმპერიას გარკვეული სახის საფრთხეები არ შექმნოდა. კავკასიაში რუსეთის პოლიტიკა კავკასიის საცენზურო კომიტეტის დაარსებამდე გაცილებით ადრე ჩანს დაწყებული და ამ კომიტეტის დაარსება და მანამდე კი მთავარმართებლად ვორონცოვის გამოგზავნის ფაქტები ერთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის გასაგები იყო, რომ მხოლოდ იარაღის ძალით ვერ დაიახლოვებდა იმპერიაში შემავალ, კულტურათა მხრივ სრულიად განსხვავებულ ხალხებს, რომ, ვთქვათ, ვერ გაასლავურებდა კავკასიელთა იდენტობას; რომც ჰქონოდა ამის სურვილი, წმიდად სლავურ კულტურას ვერ შეიტანდა მათში და ეს თანამედროვეობისაგან კულტურულადაც ძალიან დააცილებდა სახელმწიფოს... კავკასიასთან, კერძოდ, საქართველოსთან დაკავშირებით, ისეთი ეროვნული კულტურის გარკვეულწილი აღორძინება დაუშვეს, რომელიც ხალხის საკუთარი სახის შენარჩუნებასაც შეუწყობდა ხელს და ევროპულთან დაახლოებულ რუსულ კულტურასთანაც მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული; ამგვარი პოლიტიკა ლიბერალურ სახესაც გაუძლიერებდა რუსეთს და, ცხადია, ერთიანი სახელმწიფოს არსებობის საშიშროებას არ შექმნიდა.

ქართველი ეროვნული მოღვაწეები სათავისოდ იყენებენ რუსეთის ამ პერიოდის პოლიტიკას და ეროვნულ საქმეებს აკეთებენ. ოფიციალური განათლება რუსულენოვანია, მაგრამ, რადგან აკრძალული არ არის, უფრო და უფრო მეტი გამოდის ქართული გამოცემები, იქმნება ქართული თეატრალური დასი (1851; 1879 წელს – „ქართული დრამატული საზოგადოება“), არსდება „საადგილ-მამულო ბანკი“, რომელიც ეროვნულ საქმეებს აკეთებს, შემდეგ (1879 წ.) – „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რაც, ფაქტობრივად, ერთგვარი „განათლების სამინისტროა“... ქართული ენის, საქართველოს ისტორიის სწავლება შეზღუდულია, მაგრამ მთლიანად არ წყდება – ტფილისის კლასიკური გიმნაზია, გორის საოსტატო სემინარია, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია... 1879 წელს იხსნება ქართული „სათავადაზნაურო სკოლა“ და სხვ.

კავკასიის საცენზურო კომიტეტი (იგი 1848 წელს დაარსდა) დასაწყისში არცთუ დიდ აქტიურობას იჩენდა, აქტიურობა მოგვიანებით დაიწყო და, ჩანს, გამოცემათა გაფართოებამ, მათში პოლიტიკური, სოციალური და ეროვნული პრობლემების გაშუქებამ შეასრულა ერთ-ერთი უმთავრესი როლი (ამასთან, როგორც საფიქრებელია, დასაწყისში კომიტეტის სამოქმედო სპეციფიკაც ჯერ არ იყო სრულყოფილად დახვეწილი). კავკასიის სასწავლო ოლქისა და შემდგომ განათლების სამინისტროს დაქვემდებარებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს (1863 წ.), შემდეგ კი (1867 წ.) უშუალოდ კავკასიის მთავარმართებლის დაქვემდებარებაში გადასვლა თავისთავად ცხადყოფს, განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობა რომ შეიძინა კავკასიის საცენზურო კომიტეტმა.

70-იანი წლების შუა ხანებიდან უფრო და უფრო ფართოვდება კომიტეტის სამოქმედო ასპარეზი, – თუ ადრე სამი ცენზორი და თავმჯდომარე უძღვებოდნენ საქმეებს, შემდგომ შტატები გაიზარდა და, ნაცვლად მხოლოდ სამხრეთ კავკასიისა, სტავროპოლის, თერგის, ყუბანის გუბერნიების საგამომ-

ცემლო საქმიანობისადმი კონტროლიც დაევალა ამ კომიტეტს...

კომიტეტის საარქივო მასალების გაცნობიდან ცხადი ხდება, რომ დასაწყისში, ძირითადად, ამა თუ იმ გამომცემლისთვის გამოცემის ნების დართვითა და საზღვარგარეთიდან შემოტანილი მასალების კონტროლით არის იგი დაკავებული. მასალათა გაცნობა იმასაც გვიჩვენებს, საკმაოდ მძიმე სამუშაოს რომ ავალეებენ საცენზურო კომიტეტს. ძალიან აქტიურობენ საბაჟოები, კომიტეტს უგზავნიან საზღვარგარეთიდან შემოსული, საბაჟოს მიერ პოლიტიკურად საეჭვო სახისად მიჩნეული და იქ გაჩერებული ლიტერატურის სიას და ითხოვენ ამ ლიტერატურის შემოწმებას, რომელიც მრავალრიცხოვანია და რომლის რაოდენობა შემდგომ და შემდგომ უფრო იზრდება. როგორც იგრძნობა, არაერთ საბაჟოში მიაჩნიათ, რომ ამით სახელმწიფოს წინაშე თავს გამოიჩინენ და ზედმეტად აქტიურობენ; ამასთან, ჩანს, არაკომპეტენტურობის გამო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებაც აშინებთ. შესამოწმებლად გაგზავნილ სიებში ხშირად ვხვდებით ისეთ წიგნებს, რომლებიც, როგორც მათი დასახელებებიდან ჩანს, იმპერიისათვის არავითარ პოლიტიკურ საფრთხეს არ შეიცავს [480-1-40/ 1869 წ., 480- 1-215/ 1875 წ....]; მაგ., სიებში ვხვდებით ისეთ წიგნებს, როგორებიცაა: ფრანგული ენის სახელმძღვანელო, გეოგრაფიული ატლასები, სურათები და ნახატები (70-იანი წწ.-ის დასაწყისიდანვე დიდი რაოდენობით გვხვდება ფრანგული, გერმანული, საზღვარგარეთის რუსული ლიტერატურა და შემდგომ, მით უმეტეს, უამრავი შემოდის ევროპული წიგნები, ბროშურები და ა. შ.)... არის შემთხვევები, როცა საბაჟოზე მუსიკალური ნოტების ფურცლებია შეჩერებული [480-1-145/1873; 216/1875 წ.]... კომიტეტი ერთი განყოფილებიდან მეორეში აგზავნის უწყებებს იმის შესახებ, რომ ამა და ამ საბაჟოდან მიღებულია შესამოწმებელი ლიტერატურის სია. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც საბაჟოდან გაგზავნილი, ისე კომიტეტის მიერ სხვადასხვა ინსტანციაში გადაგზავნილი, საბუთების

უმეტესობა იმდენად გაკრული ხელითაა ნაწერი, რომ ხშირ შემთხვევაში მათი წაკითხვა ძალიან დიდ დროს მოითხოვს. ცენზორები ხელმოწერებს სვამენ ბოლოში, მაგრამ მათი გვარების ამოკითხვა უმეტესწილად შეუძლებელია. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ, ჩანს, საბაჟოებში განსაკუთრებით უჭირთ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შესული ლიტერატურის რაობის დადგენა; მაგ., როცა ფოთის საბაჟოში მიუღიათ დალუქული ყუთი (1869 წ.), რომელიც ირანის მოქალაქე მირზა მემედ ჰუსეინის სახელზე გაუგზავნიათ და რომელზეც, როგორც საბაჟოდან იტყობინებიან, „თათრულად“ („по татарский“) შესრულებული წარწერა ყოფილა გაკეთებული, საბაჟოში არაბული ტექსტი ვერ ამოუკითხავთ, ასოები პირდაპირ „გადაუხატავთ“ და ასეთი სახით გაუგზავნიათ კომიტეტში, მაგრამ იმდენად არასწორად არის „გადახატული“ ეს ასოები, რომ მხოლოდ რამდენიმე სიტყვის ამოკითხვას შეძლებდა კომიტეტში მომუშავე სპეციალისტი. მსგავსი ვითარებაა 1873 წელს იმავე საბაჟოდან გაგზავნილ შეტყობინებაში იმის შესახებ, რომ საბაჟოში გაჩერებულია 125 დასახელების არაბული გამოცემა, რომელიც სულეიმან ნაზარს ეკუთვნის. ჩანს, ყუთზე არაბულად ეწერა ასოები, რომლებიც ენის არმცოდნეს გადაუწერია და გაუგზავნია საცენზუროდ. კომიტეტში უცდიათ ნაწერის გარკვევა, თავზე რამდენჯერმე დაუწერიათ სავარაუდო სწორი ასოები, მაგრამ მთლიანობაში, ეტყობა, მაინც ვერ ამოუკითხავთ წარწერა [ფონდი 480-1-41]; არის შემთხვევა, როცა ერთ-ერთი საბაჟოდან იტყობინებიან, რომ გააჩერეს აღმოსავლურ ენაზე დაწერილი 340 წიგნი; დალესტნის ოლქის უფროსი იტყობინება, რომ Магомед Дабир-огли-მ თურქეთიდან მიიღო გარდაცვლილი მამის 19 არაბული წიგნი და კომიტეტს სთხოვს, გაარკვიონ, ხომ არ არის მათში რაიმე საეჭვო [480-1-143]...

საბაჟოებიდან გაგზავნილ წიგნებთან დაკავშირებით უნდა ითქვას: კომიტეტის არსებობის პირველ ხანებში თუ ძირითადად მრავალრიცხოვან სიებს უგზავნიან მას (მაგალითად, 1873 წელს 602 წიგნია დასახელებული, უმეტესად – ფრანგულ-

ენოვანები, მათ შორის – სასკოლო სახელმძღვანელოები და მსგავსი [480, 141...], სხვა შემთხვევაში წიგნებისა და ბროშურების 1100 სათაურია ჩამოწერილი [480, 1, 141...]; როგორც ჩანს, რაც დრო გადის, სულ უფრო უჭირთ გამოცემების სათითაოდ აღნუსხვა. მართალია, სიების შედგენა გრძელდება [480-1-214; 215; 216...], მაგრამ მატულობს შემთხვევები, როცა მხოლოდ ყუთების რაოდენობასა და ასახელებენ [480-1-32; 143, 218...] და იმასაც ატყობინებენ კომიტეტს, თუ რამდენი ფუნტი ლიტერატურაა საბაჟოში შეჩერებული და მათ შემოწმებას ითხოვენ [480-1-145; 216...]. შეიძლება ითქვას, რომ არაერთ შემთხვევაში საცენზურო კომიტეტში გარკვეულწილად ბიუროკრატიის საშუალებით იცავენ ამგვარი შრომისგან თავს, – სანამ შემოწმება მოხდება, ინერება საბუთები, რომ საბაჟოებიდან მიღებულია ესა თუ ის სია, რომ ამდენსა და ამდენს იწონის იქ გაჩერებული ყუთები და სხვ.

1869 წელს ცენზორების ორი კატეგორია ჰყავთ: ერთია აღმოსავლური ენების სპეციალისტი და მეორე – რუსულისა და ევროპული ენებისა (აღმოსავლურში, როგორც ჩანს, არაბულის, სპარსულის, თურქულ-აზერბაიჯანულის გარდა, კავკასიურ ენათა სპეციალისტებიც იგულისხმებიან); განსაზღვრულია მათი ხელფასების რაოდენობაც: „Цензору Восточных языков“ – 980 руб.; „Цензору Русского и Европейских языков“ – 980 руб.“; კომიტეტის თავმჯდომარის ხელფასი, ცხადია, გაცილებით მაღალია: „Председателю Комитета“ – 1960 руб“... კომიტეტის საარქივო ფონდებში დაცულია იმპერატორის, გუბერნატორის ბრძანებები, ოფიციალური სახის განკარგულებები; არის საბუთები მოსამართლედ ამა თუ იმ პიროვნების დანიშვნის შესახებ, შიდა ბრძანებები მივლინებაში კომიტეტის თანამშრომლის გაშვების, სამკურნალოდ მისი წასვლისა და მოვალეობის შემსრულებლად ამა თუ იმ პირის დანიშვნის თაობაზე (იმპერატორის, გუბერნატორისა და მსგავსი მაღალი რანგის საბუთები ბეჭდური სახით ინახება); საცენზურო კომიტეტში თავმოყრილია წლის განმავლობაში ჩატარებულ სხდო-

მათა ოქმები [480-1-55; – 393-გვერდიანი საქალაქდე...], ოფიციალური სახის ცნობები იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ პიროვნებას პენსია დაენიშნა [480-1-52; 77; 163...], რომ მის მოვალეობას ახალი ცენზორი შეასრულებს [480-1-53], რომ ერთ-ერთი თანამშრომელი დააჯილდოვეს [480-1-233...] და რომელიღაც მათგანი კი შვებულეებაში მიდის [480-1-50; 162...]; გვხვდება ბრძანებები, რომლებითაც ოფიციალურ ინსტანციებს ევალებათ, რომ პეტერბურგში სახელმწიფო პრესას შეატყობინონ, თუ რა მნიშვნელოვანი ფაქტები ხდება კავკასიის ამა თუ იმ რეგიონში, რათა პრესამ ასახოს ეს მოვლენები; არქივში დაცულია ინსტრუქციები, რომლებიც ადგილობრივ პერიოდიკას ავალებს, ცენტრალური პრესიდან გადმოიბეჭდონ ოფიციალური ცნობები...

კავკასიის საცენზურო კომიტეტში ყოველთვის შედის განცხადებები, საიდანაც ვხედავთ, რომ ჟურნალის, წიგნის გამოცემას ითხოვენ გამომცემლები; დგება ვრცელი სიები იმ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნებისა, რომლებიც გამოვიდა ამა თუ იმ რეგიონში (ათასობით არის ხოლმე დასახელებული წიგნი, ბროშურა, გაზეთი; მაგ., – 480-1-204...), სიები გამოცემებისა, რომლებიც სხვადასხვა უწყებას გადაეგზავნა შესასწავლად [480-1-165...]; არქივში გვხვდება უამრავი სია, რომელშიც ჩამონერილია, თუ რა ლიტერატურას მიეცა გამოქვეყნების ნებართვა [480-1-22; 34; 40...]; წლის ბოლოს ანგარიშებში წარმოდგენილია გამოცემები, რომლებიც საცენზურო კომიტეტის ნებართვით დაიბეჭდა... ფაქტობრივად ყველაფერი, რაც ამ წლებში ოფიციალურად არის გამოსული, აღნუსხულია სიებში.

როგორც ირკვევა, კავკასიის საცენზურო კომიტეტს ისეთი თანამშრომლებიც ჰყავს, რომლებიც კომიტეტში არ მუშაობენ ცენზორებად, მაგრამ გარედან ასრულებენ ამ მოვალეობას. არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ გიმნაზიის პედაგოგს სთხოვენ მასალის შემოწმებას, ან როცა გიმნაზიის დირექტორის რეკომენდაციას საჭირო, რათა ამა თუ იმ პედაგოგმა ცენზორის მოვალეობა შეასრულოს [480-1-50]; ხშირია შემთხვევა,

როცა ირკვევა, რომ მასალა არ გაუგზავნია ჟურნალს ან გაზეთს საცენზუროდ, ისე დაუბეჭდავს იგი და ამის გამო სასამართლოში საქმის აღძვრას ითხოვს კომიტეტი, თუმც არ ჩანს, აღიძრა თუ არა ეს საქმე და იგივე პირები შემდეგ ჩვეულებრივად აგრძელებენ მუშაობას; საერთოდ, არცთუ ცოტაა შემთხვევა, როცა მიაჩნიათ, რომ სამართალში უნდა მიეცეს ესა თუ ის პირი...

რედაქტორები ზოგჯერ ითხოვენ განმარტებას, თუ რატომ არ გასცა ამა თუ იმ წერილზე კომიტეტმა გამოქვეყნების უფლება, სურთ მასალის დაბეჭდვა... პასუხები თითქოს დასაბუთებულია, მაგრამ ზოგჯერ ისეთი ხელნაწერი დასაბუთებაა ჩვენ წინაშე, რომლის წაკითხვა, შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი იქნებოდა რედაქტორისთვის, რადგან ზედმეტად გაკრული ხელითაა ეს დასაბუთება დაწერილი (ამგვარი შემთხვევის ერთ-ერთ მაგალითს ქვემოთ ჟურნალ „Дирок“-ზე საუბრისას ვნახავთ)...

კომიტეტს ხშირად რომელიმე სახელმწიფო უწყებიდანაც უჩივიან და პასუხს სთხოვენ, – მაგ., გაზეთ „კავკაზის“ 1877 წლის ივნისის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულა მცდარი ცნობა საქართველოში „კნიაზ მიხაილ ნიკოლაევიჩის“ ჩამობრძანების თაობაზე, მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს გამგებელი კომიტეტის თავმჯდომარე „დმიტრი პეტროვიჩის“ (დმიტრი ფურცელაძე იგულისხმება) პასუხს სთხოვს, თუ როგორ გაიპარა ცნობა საქართველოში (ნახსენებია Грузия) ამ პიროვნების ჩამოსვლის შესახებ, „დმიტრი პეტროვიჩი“ საპასუხო წერილში სრულიად თავდაჯერებულად და თამამად წერს, რომ გაზეთმა ეს ცნობა ტფილისის გუბერნატორისგან მიიღო და კანონის საფუძველზე გაზეთს ევალებოდა, ცენზურის გარეშე გამოექვეყნებინა იგი [480-1-155].

გამომცემლობა ზოგჯერ ძალზე გაღიზიანებული უჩივის ამა თუ იმ ცენზორს და კანონდარღვევაში ადანაშაულებს მას. მაგალითად, ზემოხსენებული „Тифлисский Вестник“-ის რედაქტორი – თავადი კონსტანტინ ბებუთოვი („Князь Бибутов“) წე-

რილში კომიტეტის წინაშე უკმაყოფილებას გამოთქვამს ცენზორზე, რომელსაც კანონი დაურღვევია და ერთ-ერთი ნომრიდან, იმის ნაცვლად, რომ წინადადებები, რომელთა დაბეჭდვის მიზანშეწონილობა საეჭვოდ მოჩვენებია, „განსაკუთრებულ უწყებათათვის“ („особым ведомствам“) გადაეგზავნა, საერთოდ ამოუღია ისინი; ამასთან, ორ ადგილას სამი წერტილი ნაუშლია (როგორც ჩანს, ეს სამი წერტილი იმაზე მიანიშნებდა, რომ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანის თქმა უნდოდა, მაგრამ გახსნილად არ თქვა იგი სტატიის ავტორმა). რედაქტორი მოითხოვს, რომ სტატიის მთლიანად დაბეჭდვის ნებართვა გასცეს კომიტეტმა [480-1-168]; შემდეგ გვხდება წერილი, რომელშიც უკვე თავად მეფისნაცვალთან ჩივის კონსტანტინ ბებუთოვი იმის გამო, რომ ცენზორმა მაქსიმოვიჩმა თავის განმარტებით წერილში „არაკეთილსინდისიერი“ („недобросовестный“) უწოდა ბებუთოვს და სამართალში მის გადაცემას მოითხოვს [480-1-168]. არის შემთხვევა, როცა რედაქტორი შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებს ცენზორს, ვინც ამ გაზეთის რედაქციისათვის მიუღებელი სტატიის დაბეჭდვის უფლება მისცა სხვა გაზეთს [480-1-161].

ამა თუ იმ სახის საჩივარი კომიტეტის მიმართ სხვაც ბევრია. მაგ., იმავე „ტიფლისკი ვესტნიკის“ 1873 წლის № 125-ის მეთაურ წერილში 1873-1874 წლის კალენდრის რედაქტორი (რაბოროვსკი?) იმაში დაუდანაშაულებიათ, რომ საკუთარ თავზე ასეთი დიდი პასუხისმგებლობა აუღია (როგორც ჩანს, სასულიერო პირთა ნებართვის გარეშე დაბეჭდა კალენდრები); ხსენებული გაზეთის 1875 წლის № 65-ში დაბეჭდილია ცნობა თავად ჩოლოკაევის (ჩოლოყაშვილი) სასამართლო პროცესის შესახებ, რომელსაც სენატორი ოგოლინი უძღვებოდა, სტატიას ასეთი სათაური ჰქონია – „*ჩომედიც მთედი სხეომის განმავლობაში გაზეთ „მოსკოვის უწყებანს“ კითხულობდა*“; ცენზორს მთავარი სამმართველოს უფროსი საყვედურობს ასეთ სათაურს [480-1-196]; სხვა შემთხვევაში მოსამართლე ეკიბოვი

შეურაცხყოფის გამო უჩივის „ტიფ-ლისკი ვესტნიკს“ [480-1-237]...

საერთოდ, ბევრია შემთხვევა, როცა ცენზორის ნებართვის გარეშე იბეჭდება სტატიები, ან ზოგიერთი ფრაზა, და შემდეგ ამის გამო პასუხს სთხოვენ საცენზურო კომიტეტს (საქართველოში „კნიაზ მიხაილ ნიკოლაევიჩის“ ჩამოსვლის შესახებ საუბრისას ერთი ასეთი მაგალითი უკვე ვნახეთ); მაგ., 1875 წელს „ტიფლისკი ვესტნიკის“ №89-ში დაბეჭდილა სტატია, რომელშიც ასეთი ფრაზა გაპარულა: „ხედისუფადნი კი ახ წყვეტენ საქმეს, ახამედ ხადხი წყვეტს“ („не зосудари решают дело, а народ“). კომიტეტში მისულია ტფილისის გუბერნატორის რამდენიმე წერილი, იქ გამართულა სხდომა, მოუსმენიათ ცენზორ მელიქ მეგრადოვისთვის, საქმის ვითარება შეუსწავლიათ და გაურკვევიათ, რომ ეს ფრაზა ცენზორს არ დაუშვია, დამნაშავეებად ტიპოგრაფიის მფლობელები: ჩანცევი და კ-ო მიუჩნევიათ და გადაწყვეტილება მიუღიათ, საქმის კურსში ჩაეყენებინათ გუბერნატორი; ამ ყველაფრის შესახებ სხდომის ოქმი იტყობინება [480, 1, 198]; ტფილისში თურქი კონსული კომიტეტში გაგზავნილი წერილით უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ კომიტეტმა მისთვის მისაწოდებელი „La Turgiue“-ის 1875 წლის თებერვლის ნომერი შეაჩერა [480-1-217]...

კომიტეტის ხელში გადის ეროვნული სახის მქონე ყველა გამოცემა. მაგ., 1870 და სხვა წლების ანგარიშებში აღნიშნულია, რომ კომიტეტმა ნება გასცა და გამოიცა „ცისკრის“ („Заря“), „დროების“ („Время“) შემდგომი ნომრები. ანგარიშებში, როგორც სხვა დროს, ამ წელსაც არის დასახელებული სხვა გამოცემები და მრავალთა შორის – საფოს ლირიკული ოპერა, ქართული და რუსული ენების თვითშემსწავლელი, სომხურ ენაზე გამოსული ჟურნალი – „სომხური სამყარო“ („Армянский Мир“), სომხური გაზეთი – „Пчела Армении“ (გამოცემული ეჩმიადინის ტიპოგრაფიაში), ქართული „სასოფლო გაზეთი“ („Сельская жизнь“) და სხვ.; გამოცემათა შორის დასახელებულია

ასევე – „გურამოვის“ დავითიანი („Давитиани Гурамова“) [480-1-75] (ეს დავით გურამიშვილის „დავითიანის“ პირველი გამოცემა).

სხვა ქალაქებშიც თანამშრომლობენ ცენზორებთან, ერთი პიესა – „განდგომილი“ („Отщепенец“) ოდესელი ცენზორისთვის გაუგზავნიათ. იგი იწერება, რომ მისი გამოქვეყნება მიზანშეწონილად არ მიაჩნია, მისი თქმით, პიესაში გატარებული აზრი, რომლის თანახმად, ებრაელმა მართლმადიდებლობა არ უნდა მიიღოს, ებრაული მოსახლეობა რუსეთში ისედაც ჩაკეტილია და ეს პიესა ჩაკეტილობას უფრო გააღრმავებსო [480-1-32]. ჩანს, ოდესელი ცენზორის გამოცდილების გაზიარება დასჭირვებიათ, როცა ებრაულ საკითხს ეხებოდა საქმე და მანაც კოლეგიალურად გაუზიარა კავკასიის კომიტეტს ეს გამოცდილება. მისი ცენზურა მთლიანად ეხმაურება ზემოხსენებულ სახელმწიფო გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, ებრაელი ხალხი არ უნდა განცალკევდეს.

კომიტეტის მხრიდან შემოწმება სჭირდება ქართულ საეკლესიო ლიტერატურას. მაგალითად, 1869 წელს ეგზარხოს ევსევის (იგულისხმება 1858-1877 წწ.-ში საქართველოს ეგზარხოსი /ერისკაცობაში ალექსი ალექსის ძე ილინსკი) შემოწმებია 74 ქართული ხელნაწერი, რომლებიც მოხსენიებულია როგორც „Проповеди Эпископа Гавриила“ და მისი დაბეჭდვის ნებართვაც გაუცია [480-1-37]; ცხადია, გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებია აქ ნაგულისხმები; 1871 წელს იგივე ეგზარხოსი კომიტეტს სწერს, რომ ქართულ ენაზე შეიძლება დაიბეჭდოს წიგნი – „Краткое объяснение Божественной литургии священника Востокова“; აქვეა სომხური კალენდრის დაბეჭდვის ნებართვა, რომელშიც აღნიშნულია, რომ მასში არაფერია ისეთი, სომხურ საეკლესიო კანონმდებლობას რომ ეწინააღმდეგებოდეს [480-1-83].

სომხურ ენაზე სომხური გამომცემლობის მეპატრონე საცენზურო კომიტეტს უგზავნის საეკლესიო კალენდარს, რომელშიც მთელი წლის დღესასწაულების თარიღებია აღნიშნუ-

ლი და ითხოვს, მიეცეს ნება, რომ დროის მოგების მიზნით მანამ დაიწყოს ბეჭდვა, სანამ სასულიერო ხელმძღვანელობა შეამოწმებდეს ამ კალენდარს [480-1-32]. სომხური საეკლესიო მასალის დაბეჭდვისათვის თუ *ჩაიძე განსაკუთრებული საჭიროება ახ აჩსებობს*, სომხური სასულიერო იერარქიისაგან იღებენ ნებართვას. რადგან სომხური ეკლესია სომეხთა კათოლიკოსს ემორჩილება და არა ეგზარხოსს, ცხადია, ეს ასეც მოხდებოდა.

ამა თუ იმ ბეჭდვითი ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია, საცენზურო კომიტეტს შეატყობინოს, როცა, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილება ხდება რედაქციაში, რათა კომიტეტი იცნობდეს, ვინ იქნება ამ მნიშვნელოვანი მოვალეობის შემსრულებელი. მაგ., 1869 წლის 10 აპრილს გიორგი წერეთელი ატყობინებს კომიტეტს, რომ პირად საქმეებზე პეტერბურგში მიემგზავრება და „დროებისა“ და „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორისა და გამომცემლის მოვალეობას „პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტ სერგეი სიმონის ძე მესხს“ („студенту Петербургского Университета Сергею Семеновичу Месхи“) გადასცემს; ამას მოსდევს მისი მეორე განცხადება იმის თაობაზე, რომ ძალიან არის დაკავებული და 1870 წლისთვის მოვალეობა სერგეი მესხს უნდა გადააბაროს. 1869 წლის 20 ნოემბრით დათარიღებულ შეტყობინებაში უკვე სერგეი მესხი წერს, რომ მომავალი წლიდან თავად აიღებს მოვალეობას და იქვე აღნიშნულია, რომ კომიტეტს უგზავნის „მეტრიკულ მოწმობას წარმოშობის შესახებ“ („метрическое свидетельство о происхождении“), ჯანმრთელობის ცნობას და „პეტერბურგის ნამდვილი სტუდენტის წოდების ატესტატს“ („Атестат на звание Действительного Студента Петербургского Университета“) [480-1-35]. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ 1870 წელს სერგეი მესხს საცენზურო კომიტეტისთვის უთხოვია, ნება მიეცათ მისთვის, თავად გადაეწყვიტა, უცხოეთის პოლიტიკასთან დაკავშირებული რომელი მასალა გადმოებეჭდა „დროებაში“ რუსული პრესიდან და ანალიზიც თა-

ვადვე გაეკეთებინა. კომიტეტი აკმაყოფილებს მესხის თხოვნას, აღნიშნავს, რომ „კომიტეტი არ სწევს წინააღმდეგობას, თუკი ავტორი სხვა გაზეთიდან მოყვანილი სტატიის აზრს არ ცვლის და პოლიტიკურ ფაქტებს მათი ნამდვილი სახით აშუქებს“ („комитет не препятствует, если автор не изменяет смысла привадимой из другой газеты статьи и представляет политические факты в их настоящем свете“) [480-1-58]; იქმნება შთაბეჭდილება, რომ ცენზორი წერს, – თუ ავტორი აზრს არ ცვლის, კომიტეტი არც არასდროს ყოფილა თავისუფალი ანალიზის წინააღმდეგით.

1872 წელს უკვე თავად სერგეი მესხი სთხოვს კომიტეტს, რომ „დროების“ რედაქტორობა კირილე ლორთქიფანიძეს გადაეცეს, რადგან თვითონ საზღვარგარეთ მიემგზავრება; გიორგი წერეთელი კი ატყობინებს კომიტეტს, რომ შერყეული ჯანმრთელობის გამო („по случаю расстроенного здоровья“) იძულებულია, გათავისუფლდეს მოვალეობისგან და გამოთქვამს სურვილს, ჟურნალ „კრებულის“ („Сборник“) რედაქტორობა ასევე კირილე ლორთქიფანიძეს გადაეხაროს [480-1-125].

1875 წლის 5 ივნისს ივანე კერესელიძე კომიტეტს სწერს წერილს, რომელშიც იტყობინება, რომ მკურნალობა ესაჭიროება და იძულებულია, ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა დროებით შეაჩეროს („приостановить“) [480-1-195].

არსებობს ისეთი სახის განკარგულებები, რომლებიც განმარტავს, თუ როგორ უნდა დაიბეჭდოს სტატიები იმპერატორის გვარის მქონე პიროვნებათა შესახებ. მაგ., მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი საცენზურო კომიტეტს ერთ-ერთ წერილში (1874 წ.) ატყობინებს, რომ ამ გვარის მქონე პირთა მიერ რომელიმე ღონისძიებაზე ზეპირად წარმოთქმული სიტყვის დაბეჭდვა, ხსენებულ წელს მიღებული კანონის თანახმად, იმპერატორის სასახლის მინისტრის თანხმობით უნდა ხდებოდეს. მიუხედავად ამ კანონის არსებობისა, გაზეთ „Тифлиский Вестник“-ის 13 აპრილის 39-ე ნომერში (1874) საიმპერატორო სამედიცინო საზოგადოების სხდომაზე მთავარ-

მართებლის მიერ წარმოთქმული სიტყვა ასეთი ნებართვის გარეშე დაუბეჭდავს (მისი სახელი, როგორც ჩანს, მეფისნაცვალთან დაკავშირებული იმდროინდელი ეტიკეტის გამო, ნახსენები არ არის, წერია მხოლოდ – „Государь Великий Князь [...] Наместник“... ცხადია, დღეს ეტიკეტის დარღვევაში არ ჩაითვლება და შეიძლება ითქვას, რომ აქ მეფისნაცვალის მიხედვით რომანოვი იგულისხმება) [480-1-167].

მასალებში გვხვდება აკრძალვები, რომლებიც მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოდან იგზავნება (ამ უწყების საშუალებით უშუალოდ არის საცენზურო კომიტეტი მთავარმართველთან / მეფისნაცვალთან / დაკავშირებული), ხელს აწერს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, სენატორი, „სტატს-სეკრეტარი“, „კნიაზი“ „ბაგრატიონ-მუხრანსკი“. 1874 წელს აუკრძალავთ 14 რუსულენოვანი პიესა, მათ შორის: „Прометей или ужасные убийства“; „Елена в Трое“; „Рахел дочь благородного еврея“; „Риголетто или геройская корона и шутовская погремушка (перевод с итальянского)“. აკრძალვის მიზეზი იმითი არის ახსნილი, რომ ეს პიესები გამოსაქვეყნებლად უხერხულადაა მიჩნეული („признанные к представлению неудобными“) და, საინტერესოა, რომ გაცემულია განკარგულება, რომლის თანახმად, ამ აკრძალვის შესახებ შეტყობინებები ტფილისის თეატრალურ და კავკასიის საცენზურო კომიტეტს, ასევე, ამიერკავკასიის მთიანსა და შავიზღვისპირეთის ოლქებს უნდა გაეგზავნოს [480-1-192]; 1875 წელს მთავარი სამმართველოს უფროსი მიიჩნევს, რომ დაუშვებელია, გაზეთმა „კავკაზმა“ სამხედრო ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე დაბეჭდოს სტატიები, რომლებიც კავკასიის არმიის მოქმედებას, მის განკარგულებებსა და კავკასიის სხვა სამხედრო საკითხებს ეხება [480-1-197].

საინტერესოა, რომ სომხურ ჟურნალ „Дпроц“-ს („Դպրոց“, „სკოლა“) უარს ეუბნებიან, 1875 წლის №7-ში გამოაქვეყნოს სტატია, რომლის სათაურიც მოხსენიებულია როგორც „Исторические сведения о старых и новых народных школах“ (მასში

სომხეთსა და საზღვარგარეთ მდებარე იმ სკოლებზე ყოფილა საუბარი, რომლებიც, გაზეთის თანახმად, მე-18 საუკუნიდან არსებობდა). გაზეთს თანადგომას უცხადებს არქიმანდრიტი გასტამიანცი, რაზეც მთავარი სამმართველოს უფროსი პასუხობს, რომ არ იღებს ამ შუამდგომლობას; რედაქტორს მხარს უჭერს წმიდა გაიანეს მონასტრის წინამძღვარი, – წერს, რომ სტატია ისტორიულ წყაროებს ეყრდნობა, რედაქტორი ითხოვს, – რადგან სტატიის ბეჭდვა დაწყებულია, მოგვეცით უფლება, შემდეგ ნომერში გაგრძელდესო, მაგრამ თანხმობას მაინც ვერ იღებენ. მთავარი სამმართველოდან მოსულია პასუხი, რომელშიც უარის დასაბუთება ისეთი გაკრული ხელითაა დაწერილი, მისი წაკითხვა ალბათ თავად კომიტეტში გაუჭირდებოდათ [480-1-211; 212]. მაღალი ინსტანციიდან მისული წერილის მთავარ აზრს კომიტეტის თანამშრომელი შედარებით ნაკლებად გაკრული ხელით წერს ხოლმე და, ჩანს, უმეტესწილად ამ საბუთს აცნობენ მომჩივანსა და მთხოვნელს... საჭიროების შემთხვევაში, ალბათ, უშუალოდ იმ მაღალი ინსტანციის ხელნაწერსაც აჩვენებენ მომთხოვნს... კომიტეტიდან გაგზავნილი წერილები ასლების სახითაა შენახული.

საქმეებში დაცულია ცნობები, რომლებიც იმავე ჟურნალს Дпроиц-ს ეხება. 1875 წელს მას სხვა წერილის აკრძალვის მიზეზს განუმარტავენ; სამმართველოდან მისული განმარტება (№116) ამჯერადაც ძალიან ძნელად წასაკითხი კალიგრაფიითაა შესრულებული, კანცელარიაში შედარებით გარკვეული ხელნაწერით არის ახსნილი, რომ, როცა გამოსაცემად კვლავ ნებადართულ ჟურნალ Дпроиц-ს უარი ეთქვა სტატიის („Епархияльные инспекторы духовного ведомства“) დაბეჭდვაზე, მთავარი სამმართველოს ეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, სტატია, როგორც დასაბუთებაშია აღნიშნული, განსაკუთრებული განკარგულების გაცემის შემთხვევის გარდა, არც სხვაგან უნდა დაიბეჭდოს (მათ შორის არც – ჟურნალ „არარატში“), 1875 წლის 5 მარტს „მისმა იმპერატორობითმა ბრწყინვალეობამ“ (იგულისხმება მეფისნაცვალი)

დააკმაყოფილა [480-1-200]. ასეთი პასუხით იცილებენ ჟურნალის რედაქციას.

ყურადღებას იქცევს ფაქტი, რომ 1875 წელს მთავარი სამმართველო საცენზურო კომიტეტს სწერს, რომ საჭიროა, კომიტეტმა ტფილისში გამომავალი გაზეთების ცენზურირებისთვის სახელმძღვანელო ინსტრუქცია შეადგინოს; კომიტეტს შეახსენებენ, რომ ოფიციალური პირის შეურაცხყოფა დაუშვებელია; ამ საბუთში ვკითხულობთ, რომ მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ იწება, რამდენიმე მოსაზრება გამოეთქვა („изволил высказать некоторые мысли“), მაგ., მასში ნათქვამია, რომ რედაქციათა შორის გაუგებრობის ჩამოვარდნის დროს კომიტეტმა 1868 წლის 137-ე მუხლის შესაბამისად უნდა იმოქმედოს [480-1-220]; იმავე წელს მთავარი სამმართველოდან იტყობინებიან, რომ დაუშვებელია, ზოგი ჩინოვნიკი მივლინებაში წასვლის წინ ავანსებს რომ ითხოვს [480-1-219]... იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამუშაო დეტალები ბოლომდე ჯერაც არ არის დახვეწილი.

480-1-221 მასალებში (1874 წ.) იმპერატორის მანიფესტთან ერთად დაცულია საბუთები იმის შესახებ, რომ ქუთაისის გუბერნატორი გენერალ-ფელდცეიხმეისტერი ვლასტოვი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო თანამდებობიდან გადადგა, რომ ბაქოს სასამართლოს პროკურორად დანიშნეს ნიკოლოზ (Николай) ჭიჭინაძე; აქვე სხვა მრავალ საბუთთან ერთად ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა ზემოხსენებული დიმიტრი ფურცელაძე (ცნობილი მეცნიერი, ავტორი ნაშრომებისა: „ქართული საეკლესიო გუჯრები“, „სათავადაზნაურო გუჯრები“, „საგლეხო გუჯრები“, „კახეთის უმთავრესი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი“, „ბოდბის მონასტრის აღწერა“, „დღესასწაულნი საქართველოს ეკლესიისა“, „ანდერძი ანტონ კათალიკოსისა“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ვახტანგ მეფის სამართლის მიხედვით“... დ. ფურცელაძე იყო სასულიერო სემინა-

რიის პროფესორი, მთიელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, კავკასიის მეფისნაცვლის მრჩეველი, კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების საქმეთა გამგებელი და სხვ.); იგი სახელმწიფო მოხელეც არის, ისტორიკოსიც, ქართულ მწერლობას იცნობს, ჩანს, ენდობიან, მისაღებად მიაჩნიათ მისი კანდიდატურა და მალე კომიტეტის თავმჯდომარედაც ნიშნავენ; აღნიშნულია ხელფასიც [480-1-228]; 221-ე საქალაქო დეპუტატის ვხვდებით აგრეთვე ბრძანებას იმის შესახებ, რომ „სტატსკი სოვეტნიკი“ ბაქრაძე მთავარ სამმართველოსთან არსებული *ახქეოგრაფიული კომისიის* მუდმივ წევრად ინიშნება.

480-1-226 მასალებში გვხვდება დ. ბაქრაძის (Дм. Баградзе) წერილი (1875 წლის 7 თებერვალი), რომლითაც იგი „ალექსანდრ პეტროვიჩ მაქსიმოვიჩს სთხოვს, რომ კომიტეტის თავმჯდომარესთან (ე. ი. დიმიტრი ფურცელაძესთან) გაუწიოს შუამდგომლობა კომიტეტში მუშაობის დაწყების ნებაზე; აქვეა გაურკვევლად ხელმოწერილი შუამდგომლობა კომისიის წარმომადგენლისა („представитель комиссии“) იმის თაობაზე, რომ შუამდგომლობის ავტორი ვერავითარ ხელისშემშლელ ფაქტორს ვერ ხედავს და დ. ბაქრაძეს უმცროსი ცენზორის თანამდებობაზე ნიშნავენ (აქვეა 1875 წლის 4 მაისს შედგენილი საბუთი, რომლის თანახმად, სახელმწიფო პალატა კომიტეტს სთხოვს, რომ „სტატსკი სოვეტნიკ“ ბაქრაძეს დაენიშნოს ხელფასი 146 რუბლი და 33 კაპიკი); შემდეგ კი არის ახალი შუამდგომლობა, რომ დიმიტრი ბაქრაძე „რუსული და ევროპული ენების უფროს ცენზორად“ დაინიშნოს („старшим цензором русского и европейских языков“) [480-1-226]; მანამდე გვხვდება ცნობა (1873 წ.), რომელიც მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზეა დაწერილი კომიტეტის ერთ-ერთი თანამშრომლის მიერ (ხელმოწერა არ იკითხება); იგი აღნიშნავს, რომ კომიტეტს თანამშრომლები არ ჰყოფნის და რომ ერთი ადამიანისთვის ძალიან ძნელია ამ საქმის გაძღოლა, – „ხსენებულ თანამდებობაზე 23 წელი მუშაობდა დიდი ავტო-

რიტეტის მქონე ცენზორი კაიტმაზოვი, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობდა ადგილობრივ მწერალთა შორისო“ („У туземных писателей“) – და მთავარი სამმართველოს უფროსს სთხოვს, რომ ადგილობრივ და აღმოსავლურ ენათა მცოდნე უმცროსი ცენზორის ადგილზე მიიღონ სრულიად სანდო („вполне благонадежный“) პიროვნება „კოლეჟსკი სოვეტნიკი“ ბაქრაძე, რომელიც ამ სპეციალობის მქონე ცენზორს დახმარებას გაუწევს. აღნიშნულია, რომ ბაქრაძე კაიტმაზოვს (ხსენებული ცენზორის მიწვევით) არაერთხელ მიხმარებია მუშაობაში და რომ იგი ქართული ენის ცენზორის მოვალეობას ასრულებდა ხოლმე. წერილის ავტორი დასძენს, რომ ბაქრაძეს განათლება სასულიერო აკადემიაში აქვს მიღებული და იგი აქ ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ მწერლად არის მიჩნეული და დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს მათ შორის („он считается здесь одним из лучших грузинских писателей и пользуется между ними большим авторитетом и уважением“). როგორც მთავარი სამმართველოს უფროსი წერს: „ბაქრაძემ განმიცხადა, რომ მზად არის, თავისი თავისუფალი დრო ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ქართულ ენაზე არსებული თხზულებების ცენზურირებას მოახმაროს, მით უმეტეს, რომ ეს მისგან დიდ ძალისხმევას არ საჭიროებს, რამდენადაც თავისთვისაც კითხულობს ყველაფერს, რაც ამ ენაზე იწერებაო; გამომდინარე აქედან, ვშუამდგომლობ, რომ „კოლეჟსკი სოვეტკინკმა“, ბატონმა ბაქრაძემ, ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე არსებული გამოცემების ცენზურირებაში დახმარება გასწიოსო“ [480-1-160]. სხვა საქალაქდებში არის ცნობა, რომლიდანაც ცხადი ხდება, რომ კომიტეტის თავმჯდომარეს ატყობინებენ, აღმოსავლური ენების ცენზორის, ან განსვენებული, კაიტმაზოვის მეუღლეს პენსია რომ უნდა დაენიშნოს – 500 რუბლი წელიწადში (იმისი ნახევარი, რასაც განსვენებული კაიტმაზოვი ხელფასის სახით იღებდა) და მიეცეს აგრეთვე დახმარება („пособие“). კაიტმაზოვის ქვრივი მოხსენიებულია როგორც ქეთევან (Кетеван) კაიტმაზოვა [480-

1-163]. თავად კაიტმაზოვი ადრე აღმოსავლურ ენათა განყოფილების თანამშრომელი ყოფილა, სხვა ენებთან ერთად, სომხურიც სცოდნია და დამსახურებისათვის 1869 წელს ჯილდოც მიუღია [480-1-78].

კავკასიის საცენზურო კომიტეტი, ცხადია, *მხოლოდ ამკიხდავნი დაწესებულება ახ ახის*, – იგი *გამოცემების ნებადამთვერიც გახდავთ* და ცენზორებს და, მით უმეტეს, მის ხელმძღვანელს ამ წლებში დიდი ეროვნული საქმის ფრთხილად კეთების საშუალება ეძლევათ, რაც საკმაოდ დიდ რისკთანაც არის დაკავშირებული, რადგან, მიუხედავად ვორონცოვისდროინდელი შედარებითი „დათბობის“ პოლიტიკისა, როგორც ითქვა, ზედმეტის კეთების უფლებას არ იძლევიან.

ამ საბუთებში საინტერესო ისტორია იკვეთება და ქართველ პატრიოტთა განსაკუთრებული მოღვაწეობის კვალიც ჩნდება. 70-იანი წლების დიდძალი საბუთების გაცნობისას არ შემხვედრია არცერთი ცნობა, რომლიდანაც დავინახავთ, რომ ცნობილ ქართველ ისტორიკოსს – დ. ბაქრაძეს უარყოფითი შეფასება დაენეროს რაიმე ეროვნული მასალის შესახებ; სამაგიეროდ გვხვდება ვრცელი სიები დასაბეჭდად მიზანშეწონილი წიგნებისა, რომელთა შორის, ცხადია, ძალიან ბევრია ისეთი, რომლებიც საქართველოს ეხება და გასაგებია, რომ ამ *ნაშრომებზე დაბეჭდვის ნებახოვას უმეგესწიდავ დ. ბაქრაძე აწეხდა ხელს* (რადგან ეს იყო მისი პირდაპირი მოვალეობა). ცენზორთა გვარები, როგორც ამა თუ იმ წერილის დადებითად შემფასებლისა, უმეტეს შემთხვევაში არ ჩანს, დ. ბაქრაძის, როგორც კონკრეტული წიგნის მიმართ დადებითად განწყობილი ცენზორის გვარი, ჯერჯერობით შეგვხვდა მხოლოდ ერთხელ, – 1876 წელს მისთვის საცენზუროდ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები გადაუციათ და მას გაუცია დაბეჭდვის ნება [480-1-265]; ეს არის ნიკოლოზ ბარათაშვილის 1876 წელს გამოცემული კრებული; არაა შეუძლებელი, რომ გახმაურებული სახელის მქონე პოეტის შემოქმედების მთლიანად წარმოჩენის წინ მისი შემოქმედების ცენზურირება სადღაც მაინც საქი-

როდ მიუჩნევიათ და დიმიტრი ბაქრაძემ წარმატებით გაართვა ამ საქმეს თავი (ბარათაშვილის შემოქმედებაში, ამ მხრივ, შესაძლოა, „ბედი ქართლისა“ იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის საკითხებს ეხება ეს პოემა); საერთოდ, ეხოვნურ საქმიანობაში დიმიტრი ფუხცედაძის განსაკუთრებული როლი იკვეთება ხოგოხც დიმიტრი ბაქრაძის ხედვებში (ცხადია, ამ კონტექსტში შესასწავლია დიდი დამსახურების მქონედ ცნობილი ცენზორის – კაითმაზოვის /ივანე ყაითმაზაშვილი/ საქმიანობაც); დ. ფურცელაძე ასევე ისტორიკოსია და ჩვენ წინაშე ვლინდება პიროვნება, რომელიც ცდილობს, საქართველოს ისტორიის შესწავლასა და ქართული მწერლობის აღორძინებას ხელი შეუწყოს და ისეთი ადამიანები მიიზიდოს ცენზურირების საქმეში, რომლებიც ასეთი ფასეული წიგნების გამოცემის საქმეში გვერდით დაუდგებიან და მათი დამსახურება სათანადო დაფასებას საჭიროებას. ვფიქრობ, კავკასიის საცენზურო კომიტეტში დიმიტრი ფუხცედაძის და სხვა ადამიანების გავლენით 70-იან წლებში მოქმედებას იწყებს ქართული კულტურის აღორძინებისათვის ხედვებში პატივითი პატივითი ჯგუფი და, მიუხედავად იმისა, რომ იქნებ ზოგი არც იწონებდა საცენზურო კომიტეტში დ. ბაქრაძის და შემდგომ სხვა ეროვნულ მოღვაწეთა მუშაობის ფაქტს, ამგვარ მოღვაწეებსაც უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ისტორიოგრაფიამ და მწერლობამ მე-19 საუკუნეში ამგვარ სიმაღლეებს მიაღწია, – მათი ხედვებით იბეჭდებოდა ქართული პატივითი წიგნები, სხვაგვარად ისინი დღის სინათლეს ვეჩ იხილავდა. ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: დ. ბაქრაძეს დიდი თანამდებობა არ უკავია (ჯერ უმცროსი ცენზორია, შემდეგ უფროს ცენზორად გადაჰყავთ), მიუხედავად ამისა, „ჩინებულ-გულმოდგინე სამსახურისთვის“ („за отличную службу“) 1876 წელს მას 300 რუბლით აჯილდოებენ; ჯერ მისი ბიოგრაფიული ცნობებია ჩამოწერილი, შემდეგ კი კომიტეტიდან მთავარ სამმართველოში სწერენ, რომ დიმიტრი ბაქრაძემ (რატომღაც მოხსენიებულია ოდნავ არქაიზე-

ბული ფორმით როგორც Дмитрий Бакрадзе, Сын Захарьева) არაოფიციალურ ცენზორად მუშაობა 1871 წელს დაიწყო და შემდეგ კი გვხვდება ბრძანება, რომლის თანახმად, ხელმწიფე იმპერატორი მას 1876 წლის 20 დეკემბერს დიდი „კნიაზის“, კავკასიის მთავარმართებლის შუამდგომლობითა და კავკასიის საცენზურო კომიტეტის მოწმობით („Государь Император по ходатайству Великого Князя Наместника Кавказского и Удостоверению Кавказского Цензурного Комитета“) სხვასთან ერთად აჯილდოებს [480- 1-281]. ცხადი ხდება, რომ რიგითი ცენზორის ასეთი მაღალი რანგის დაჯილდოებაში უშუალოდ დიმიტრი ფურცელაძის ხელი ურევია, მისი შუამდგომლობაა აქ მთავარი (პირდაპირ, სრულიად გარკვევით წერია ჯილდოს მიცემის შესახებ კომიტეტის თანხმობის შესახებ), რადგან მეფისნაცვალის კომიტეტის თავმჯდომარის გარეშე არ განევიდა ასეთ შუამდგომლობას მისთვის იქნებ სრულიად უცნობი და უმნიშვნელო თანამდებობის მქონე პირის მიმართ. 1871 წელს მუშაობაზე იმიტომ ჩანს ყურადღება გამახვილებული, რომ პირადად დ. ფურცელაძის პროტეჟედ არ იქნეს დ. ბაქრაძე მიჩნეული და გადაწყვეტილების სამართლიანობაში ეჭვი არავინ შეიტანოს. ცხადია, 300 რუბლი ამ შემთხვევაში ბევრს არაფერს ნიშნავს, – მთავარია, რომ ნდობა ძალიან უძლიერდება დ. ბაქრაძეს და მხოლოდ ეროვნულ საქმეს რომ აკეთებს და სხვაგვარი ქმედება რომ არ ჩანს საქმეებში, ეს *документу хад дадасгუხებული ფაქტია*. ჩანს, *დ. ფურცელაძის ხელშეწყობით* ეროვნულ საქმეთა საკეთებლად რომელიდაც ჯგუფი იწყებს საცენზურო კომიტეტში მოქმედებას; თუ შეიძლება ასე ითქვას, შეპარებულები არიან ისინი კომიტეტში, საკმაოდ სარისკო საქმეს აკეთებენ და მათი ამ ღვაწლის დავიწყება არაფრით არ შეიძლება. მსგავსი მაგალითები სხვა პერიოდებზე საუბრის დროსაც შეგვხვდება... აქვე დავძენ: შემდგომში საჭირო იქნება განხილვა იმ ცალკეული კონფლიქტური სიტუაციებისა, რომელიც დ. ბაქრაძესა და ეროვნული სულისკვეთების მქონე სხვა პირებს ამა თუ იმ

მასალის დაბეჭდვას დროს მოსდით, – საჭიროა შესწავლა, თუ რა გახდა კონფლიქტის მიზეზი, გასათვალისწინებელია, მაგალითად, ის გარემოება, რომ დ. ბაქრაძეს დიდი შრომა მოუწევდა იმისთვის, რომ ესა თუ ის მასალა, ვიტყვი ასე, „გაეპარებინა“ დასაბეჭდად და ზოგჯერ, შესაძლოა, ავტორისეული სათქმელის შეფარვის მიზნით, რაიმეს შეცვლა მოეთხოვა მისგან...

თუმც, ცხადია, ყველა პრობლემის გადამწყვეტად არ გვევლინება ეს ჯგუფი; რევოლუციური იდეების მიმართ მისი დამოკიდებულება სრულიად განსხვავებულია და ეს საკითხი ცალკე შესწავლას საჭიროებს... მაგ., ხსენებული პერიოდის კავკასიის საცენზურო კომიტეტში არიან თანამშრომლები, რომლებიც ძალზე უნდობლად უყურებენ ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძეს და გამოცემებს, რომლებიც მასთან არის დაკავშირებული:

1875 წლის 9 სექტემბერს ნ. ნიკოლაძეს კომიტეტისგან მოუთხოვია, რომ 1877 წლის პირველი იანვრიდან გამოეცა კრებული „Капризы Пера“; როგორც კომიტეტის საბუთშია აღნიშნული, ნიკოლაძეს ჰქონია სურვილი, კვირაში ერთხელ გამოსულიყო ეს კრებული, რომლის ფასი 20 კაპიკი იქნებოდა (წელიწადში – 4-იდან 6 რუბლამდე) და ჩანცევის ტიპოგრაფიაში დაიბეჭდებოდა; იქვე აღნიშნულია, რომ ნიკოლაძე ითხოვს, ნება მიეცეს, კრებულში მხოლოდ საკუთარი ნაშრომები მოათავსოს და წერია, რომ 1870 წელს მან უკვე გამოთქვა სურვილი, გამოეცა პერიოდიკა „Остров“... ნ. ნიკოლაძის თხოვნასთან დაკავშირებით კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში კომიტეტიდან გაგზავნილია თავმჯდომარის შეტყობინება იმის შესახებ, რომ 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ნიკოლაძე პეტერბურგის არეულობაში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ მისდამი მოწყალება მაინც იქნა გამოცხადებული და 1864 წელს საზღვარგარეთ წასვლის ნება მიეცა; აღნიშნულია, რომ იგი ჟენევაში რუს ემიგრანტებთან (განსაკუთრებით ელპიდინთან) სხვადასხვა „ქუჩყიანი“ („пряз-

ных“) პოლიტიკური ბროშურებითა და შემდეგ კი რევოლუციური ხასიათის მქონე ფურცლებით („листов“) იყო დაკავებული, რომ ჟენევაში ფსევდონიმით – Никифор Г** ანტისამთავრობო ბროშურა – „Правительство и молодое поколение“ გამოსცა და, აქედან გამომდინარე, დიდმა თავადმა, მეფისნაცვალმა, შეუძლებლად მიიჩნია, რაიმე სახის გამომცემლურ საქმიანობასთან მისი დაშვება და ამასთან მთავარი სამმართველოს უფროსმა მოითხოვა, რომ კომიტეტმა ფხიზლად ადევნოს თვალი („иметь бдительный надзор“) ნიკოლაძეს, რათა მან რაიმე სახის უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს ლიტერატურულ ჟურნალებსა და გაზეთებზე; ბოლოს წერია, რომ ახალი აკრძალვის შემთხვევაში იგი წამებული გმირის მანტიაში გაეხვევა („Новый отказ придал бы ему несвойственное значение опасного героя-страдальца“), მას უნდა, რომ სახელი შეუცვალოს გამოცემას (რომელიც ადრე უკვე აკრძალა) და ძველი საქმეები განაგრძოს, ამიტომ, თუ დიდი თავადი მეფისნაცვალის ნებას დართავს, შეიძლება მივცეთ უფლება, რომ გამოსცეს კრებული, რომელიც საცენზურო მოთხოვნებს დამორჩილებული იქნება და სახელად „Капризы Пера“ კი არა, არამედ „Наблюдатель“ დაერქმევაო; ბოლოში, ამჯერად უკვე 1876 წლით დათარიღებულ უწყებაში (დიდხანს ულოდინებით ნიკო ნიკოლაძე, სანამ ოფიციალურ პასუხს გასცემდნენ), რომელიც მთავარი სამმართველოდან არის კომიტეტში გაგზავნილი, ვკითხულობთ, რომ „მისმა ბრწყინვალეობამ“ (ე. ი. მეფისნაცვალმა) ნიკოლაძის თხოვნის დაკმაყოფილება „არ ინება“ [480-1-232].

კომიტეტისათვის ცნობილია, რომ ნიკოლაძე აქტიურად თანამშრომლობდა ციურიხში ქართველ სტუდენტთა მიერ დაარსებულ საზოგადოებასთან, რომელსაც ერქვა „უფელი“. 1873 წელს ტფილისის გუბერნიის ჟანდარმერიის უფროსი (წერილს ხელს ჟანდარმერიის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი ს. ესაძე აწერს) საცენზურო კომიტეტს, პირადად „ალექსანდრ პეტროვიჩს“ („Милостивый Государь Александр Пет-

повиц“) ატყობინებს, რომ ნიკოლაძემ სცადა, ციურიხიდან შემოეტანა 47 დასახელების აკრძალული წიგნი და ბროშურა, აგრეთვე საზოგადოება „უღელის“ („Ярмо“) მიერ 1873 წლის 12 მარტს გამართული სხდომის ქართულენოვანი ოქმები, და ითხოვს, ამ ოქმების ასლები რუსულ თარგმანთან ერთად ჟანდარმერიაში გაუგზავნონ; ჟანდარმერიის წარმომადგენლის აღნიშვნით, „მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ“ („состоящий под надзором“) ყოფილ სტუდენტ ნიკოლაძეს ციურიხიდან შემოეტანია ლითოგრაფიული დანადგარი („литографический станок“) და ხსენებული წარმომადგენელი ითხოვს, აცნობონ, კონკრეტულად რისთვის გამოიყენება ეს დანადგარი [480-1,-142].

მასალებიდან ვხედავთ, რომ ნიკო ნიკოლაძე მაინც არ ნებდება და ხალხისათვის რევოლუციური იდეების მიწოდების სხვადასხვა გზას ეძებს. საარქივო ფონდის [480-1- 300] საქმეში ვკითხულობთ, რომ ცნობილ ქართველ ეხოვნურ მოღვაწე არისტო ქუთათელაძეს (ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს გორის, შემდეგ ხონის სემინარიებში, ტფილისის სასწავლო ინსტიტუტის თანამშრომელს; ავტორს ნაშრომებისა: „პირველდანყებითი ქართული გრამატიკა“, „ქართული ზმნების კლასიფიკაცია“, „სახელმძღვანელო მოსამზადებელი კლასებისათვის“, „საზოგადო გეოგრაფია“, „კონსპექტი საქართველოს ისტორიიდან“, „არხეოლოგიური მოგზაურობა“, „სოფელი მარტყოფი და ხელთუქმნელი ღვთაების ისტორია“ და სხვ.) 1877 წელს საცენზურო კომიტეტისათვის უთხოვია ნებართვა, გამოეცა კრებული სახელით „Физиономия войны“, – მასში მხოლოდ ერთი ავტორის სტატიები იქნება დაბეჭდილი და, თუ ამისი საჭიროება იარსებებს, ავტორის ვინაობასაც შეგატყობინებთო; ჩანს, საეჭვო სტატია წარუდგენია, ამიტომ 5 აგვისტოს მისგან (იხსენიებენ როგორც Аристотел Кутателадзе) სტატიის ავტორის ვინაობის დასახელება მოუთხოვიათ და 6 აგვისტოს ქუთათელაძე ერთგვარად ფამილარული ტონით (ალბათ კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობს) იწერება, რომ ავტორი ნ. ნიკოლაძეა („Имя автора сочинении [...] никто

иной, как Н. Я. Николадзе“) და არწმუნებს კომიტეტს, რომ გაუგებრობა აღარ მოხდება და ნიკოლაძის სტატიები საცენზურო კომიტეტის ან მისი ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ ჯერ კიდევ მათი კორექტირებისას იქნება განხილული (იმაში კი არ მიიჩნევს თავს დამნაშავედ, რომ ნიკოლაძესთან აპირებს თანამშრომლობას, – არამედ პირობას დებს, რომ მომავალში მისი, როგორც ავტორის, გვარის მოხსენიება არ დაავიწყდება); ჩანს, პირველი სტატიის გაგზავნისას ავტორის ვინაობის დამალვა უცდიათ... კრებულის სათაური „Физиономия войны“ / „ომის ფიზიონომია“ (ისევე, როგორც „Капризы Пера“ / „კალმის ახირებანი“) ნ. ნიკოლაძის მოფიქრებულს ჰგავს.

ნ. ნიკოლაძის შესახებ არქივში იძებნება ამ პერიოდის სხვა ვრცელი მასალებიც, რომელთა შესახებაც, ვეცდები, სხვა დროს ვისაუბრო...

კავკასიის საცენზურო კომიტეტს რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადამიანების მიმართ განსაკუთრებული სიფხიზლის გამოჩენა ევალება.

ზემოხსენებულ №480-1-232 საქალაქო ადმინისტრაციის არის საინტერესო ცნობები, რომლებშიც, როგორც ითქვა, კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ ნიკოლაძის შესახებ დაწერილი წერილია დაცული და, ამ წერილში, *თითქოს* სასხვათაშორისოდ, იმაზეცაა მსჯელობა, რომ შესასწავლია, რამდენად ახდენს მოსახლეობაზე ლიტერატურული სახის გაზეთები ზეგავლენას. ჩანს, გასაგები ხდება, რომ თანდათან საშიშ ფორმებს იღებს მხატვრულ ლიტერატურაში გამოთქმული იდეები, შიშობენ, რომ მასში სახელმწიფოსათვის საშიში რევოლუციური აზრებიც გაიჰარება.

ამრიგად, 70-იან წლებში ბიუროკრატია ძალიან ძლიერია საცენზურო კომიტეტში. საბაჟოებიდან შესული თუ ადგილობრივი პერიოდიკისა და იმგვარი წიგნების გაცნობა ევალებათ, რომლებიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ არიან პიროვნებები, რომელთაც ნდობით არ

ეკიდებიან და მათ მიმართ განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული...

ასევე ყურადღებას იმსახურებს არქივში დაცული საბუთები იმის თაობაზე, რომ სომხურ გაზეთში – „Мшак“ („Работник“), „Надз“ („Опыт“), „Апарат“ და სხვებში გადაჭარბებული მნიშვნელობა („преобладающее значение“) აქვს მინიჭებული ვაჭრობაში სომხური მოსახლეობის როლს, რომ ეს ყველაზე მეტად ამ გაზეთებისთვისაა დამახასიათებელი („она распространена здесь более других“); მთავარ დამნაშავედ ამაში „ტიფლისკი ვესტნიკი“ გამოყვანილი, მასთან ერთად კრიტიკულად არის განხილული გაზეთი „კავკაზი“, წერილში ვკითხულობთ, რომ „ტიფლისკი ვესტნიკმა“ „კავკაზზე“ მეტ წარმატებასაც კი მიაღწია და ეს – მაშინ, როცა არც მენინავე სტატიები აქვს, არც ნათლად ჩამოყალიბებული პოლიტიკა და, როგორც აქ არის აღნიშნული, არც მთავარ საკითხებს ეხება ეს გაზეთი (იგულისხმება ოფიციალური პოლიტიკური ხასიათის წერილები); „ტიფლისკი ვესტნიკი“ სკანდალურ წერილებს იბეჭდავს სხვა გაზეთებიდან, არ შეუძლია, რომ ამ მხარეში რუსული სიტყვა და რუსული აზრი წამოსწიოს წინო („поднять в крае русское слово и русскую мысль“); წერია, რომ იგი ფაქტობრივად ცარიელი ფურცელია („это представляет чистый лист бумаги“), რომ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და სომხური ინფორმაციის გავრცელებისათვის სხვა გაზეთებისათვის ასპარეზის შექმნაში სწორედ იგია დადანაშაულებული („открывает простор преобладания армянскому“...). შემდეგ მოყვანილია მაგალითი, – მაშინ, როცა რუსეთის საზოგადოებრივი ყურადღება აღმოსავლეთის საკითხებმა მიიპყრო, სომხურ ლიტერატურაში მხოლოდ იმგვარი სახით პოვა ამ საკითხებმა გამოხმაურება, რომ თურქეთის სომხეთზე დაბეჭდეს სტატიებიო; ტფილისურმა რუსულმა გაზეთებმა კი ასეთ დროს იმაზე მეტი ვერაფერი დაინახეს აღსანიშნავი, რომ ალექსანდროვის ბაღში სლავიანთა სარგებლობისათვის სეირნობა გაიმართა და მზრიდან შემოწირულობები გამოიგზავნაო („было гуляние в

пользу славян и из уезда прислали пожертвования“); ბოლოს არის დასკვნა, რომლიდანაც ზუსტად ვერ ირკვევა, ითხოვს, თუ არა თავმჯდომარე (ხსენებული წერილის ავტორი) ამ გაზეთის დახურვას და ახლის დაარსებას, მაგრამ წინადადება ისეა დაწერილი, რომ, გასაგები იყოს, – თუ განახლება არ მოხდა გაზეთისა, მის დახურვას წინ არაფერი დაუდგება, – წერილში ვკითხულობთ, რომ „ყველა ამ მდგომარეობის შეჯამებას საცენზურო კომიტეტი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ რუსულ ენაზე ახალი პერიოდული გამოცემა არის საჭირო“ („Сумма всех этих обстоятельств приводит Цензурный Комитет к заключению Ногого повременного издания на русском языке“).

„ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორი ბებუთოვი (გაზეთის ადმინისტრატორი დ. ერისტოვია; ტიპოგრაფია – ჩანცევისა) იძლევა ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა, რომ 1876 წლის 144-ე ნომერში ცენზურის გარეშე დაიბეჭდა მასალები და აქვე საუბარია იმის თაობაზე, რომ მომავალში გაშუქდება მხარის ლიტერატურულ-პოლიტიკური ცხოვრება [480-1-236]. როგორც ჩანს, ეს არის გამოჰასუხება კომიტეტის თავმჯდომარის კრიტიკაზე. ამ ყოველივეს ცალკე საგანგებო მსჯელობის საგნად არ ხდიან, მაგრამ კრიტიკაც ხდება და მასზე პასუხიც არის გაცემული. თავმჯდომარე გონიერი პოლიტიკოსი და დიპლომატია, იგი იმ გარემოებაზე აკეთებს ძირითად აქცენტს, რომ რუსულ პოლიტიკას კარგად არ აშუქებს „ტიფლისკი ვესტნიკი“ და ამით ხელს უწყობს იმგვარი ტენდენციის გაძლიერებას, რომ სხვა გამოცემებმა მხოლოდ ერთი ეროვნების მოსახლეობის სავაჭრო თუ სხვა საქმიანობაზე გაამახვილონ ძირითადი ყურადღება და საქართველოს ცხოვრებაში კი მხოლოდ არასერიოზული საქმიანობის შესახებ რომ წერენ, ამაზეც ახერხებს ყურადღების გამახვილებას; როცა ალექსანდროვის ბაღში სეირნობაზე წერს და, როგორც ვხედავთ, იქვე სლავიანთა სარგებლობას ახსენებს, ეს კარგად მტყველებს კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის პიროვნებაზე (ცხადია, დიმიტრი ფურცელაძეზეა საუბარი)

და იმდროინდელი სახელმწიფო იდეოლოგიის თავისებურებებზეც იძლევა მსჯელობის ძალზე ფართო კონტექსტში განვრცობის საშუალებას...

ცნობილია, რომ „ტიფლისკი ვესტნიკთან“ ნ. ნიკოლაძეც თანამშრომლობდა, მაგრამ ამ გაზეთთან დაკავშირებით მისი გვარი ხსენებული წლების საცენზურო მასალებში ჯერჯერობით არ შემხვედრია.

„ტიფლისკი ვესტნიკის“ საქმეებში მეფისნაცვალთა არის უშუალოდ ჩართული. საქალაქო 480-1-240-ში დაცულია 1876 წელს კომიტეტის თავმჯდომარესთან გაგზავნილი ანგარიში იმის თაობაზე, რომ შეჩერდა იმ ყველაფრის ბეჭდვა, რაც მეფისნაცვალმა აკრძალა; იქვე, როგორც ჩანს, იმისათვის, რომ პრესაში განხორციელებულმა ცვლილებებმა განსაკუთრებული რეზონანსი არ შეიძინოს, აქცენტი კონკრეტულ წერილებზეა გადატანილი, რაც ასევე იმსახურებს ყურადღებას, – წერია, რომ მეფისნაცვალმა აკრძალა წერილები, რომლებიც „ტიფლისკი ვესტნიკში“ უნდა გამოქვეყნებულყო, რომ ერთი ეხებოდა ჟენერალ-გუბერატორის მინერალური წყლების ჯგუფის მუშათა და სხვა თანამშრომელთა საჩივარს, მეორე – ქართულ გაზეთ „დროებიდან“ გადმობეჭდილ სტატიას, რომელშიც გურიის მოსახლეობის მდგომარეობაზე იყო საუბარი და მესამე კი – სვანეთში რაზმის მოქმედებას („действия нашего отряда в Сванетии“); შემდეგ ვხედავთ, რომ შეტევა ამ გაზეთზე ისევ გრძელდება, – კომიტეტში მოუწვევიათ კრება, რომლებიც აღუნიშნავთ, რომ „ტიფლისკი ვესტნიკი“ კორექტირებულ მასალას გვიან აგზავნის კომიტეტში და წინადადება მიუციათ მისთვის, რომ დილის 7 საათიდან დღის 2 საათამდე მოასწროს მასალის გაგზავნა [480-1-251]; გაზეთს რაღაც შეურაცხყოფისათვის უჩივის რომელიღაც „ნადზორნი სოვეტნიკი“ [480- 1-252]; ერთ-ერთი გიმნაზიის დირექტორიც უჩივის ამ გაზეთს; გუბერნატორი კი უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ხსენებულ გაზეთში ცენზურის გარეშე იბეჭდება მასალები [480-1-253].

1876 წელს მეფისნაცვალს კომიტეტიდან ატყობინებენ, რომ „ტიფლისკი ვესტნიკმა“ შეცვალა სარედაქციო პოლიტიკა, რომ იგი ხსენებული წლის პირველი იანვრიდან ყოველდღიურად გამოდის (ბებუთოვის თხოვნა ამ ნებართვის შესახებ დაცულია საქალაქო დეპუტატების – 480-1-201); აქვე წერია, რომ გაზეთი გადავიდა „კალმის ამხანაგობის“ („Товарищество по пере“) ერისტოვისა და „K-o“-ს მფლობელობაში და, გამომდინარე აქედან, კანონის შესაბამისად, თანხის გაზრდის უფლებაც მიეცა გაზეთს; ამ საბუთების მიხედვით, თურმე მთელმა რედაქციამ ისურვა ცვლილება, – ამიერიდან ყველა მოვლენა გაშუქდებაო; ფულადი პრობლემებით ხსნიან ძველ შეცდომებს; რადგან გადანყვეტილა ეს პრობლემები, ახლა ყველაზე უნინარეს, ორი დღით ადრე, „ტიფლისკი ვესტნიკი“ აწვდის მოსახლეობას ცნობებს და, რამდენადაც ეს გაზეთი და „კავკაზი“ ერთმანეთის მეტოქეები არიან, მანაც უნდა გამონახოს საკუთარი გზაო; აღნიშნულია, რომ უფრო მეტი ენერგიულობა და სერიოზულობა მართებს „კავკაზს“, რომ გაზეთმა უნდა ასახოს კანონებში მომხდარი ცვლილებები, ოფიციალური ბრძანებები, კავკასიის ყოფითი ამბები, ცნობები ვაჭრობის შესახებ; აქვე ნათქვამია, რომ მან უნდა გააშუქოს ისგოჩია, ხომელიც მოგონებებსა და აჩქივებშია შემონახული; შემდეგ რუსული ქრონიკების, რუსული განათლების, უცხოური ამბების ასახვის აუცილებლობაზეა საუბარი, ნათქვამია, რომ ფელეტონებსაც დაბეჭდავს გაზეთი... აქვეა მითითებები – რუსეთიდან „დიმიტრი პეტროვიჩის“ (ფურცელადის) სახელზე გამოგზავნილი; როგორც ჩანს, ამ და სხვა მითითებათა საფუძველზე კომიტეტში თვითონვე შეუდგენიათ სახელმძღვანელო გეგმა, რომლის თანახმად, გაზეთმა მიმდინარე ყოველდღიური მოვლენები, კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები უნდა განიხილოს; წერია, რომ უნდა შეეხოს ეთნოგრაფიას, კურდუხას, ეკონომიკას, კავკასიის ისგოჩიას, ამასთან დაკავშირებით დაბეჭდოს აჩქივებიდან ამონაწილები, ხანში შესუდთა მოგონებები, აქვე აღნიშნულია, რომ საჭიროა, რუსეთში მიმ-

დინარე მოვლენები გააშუქოს, რუსული და უცხოური პრესი-დან პოლიტიკური ცნობები გადაბეჭდოს და სხვ.; შემორჩენი-ლია კომიტეტში დაწერილი სახელმძღვანელოს ის ხელნაწე-რი, რომელიც შემდგომში ალბათ დაზუსტდა; ფურცელი გადა-სათეთრებელია, რამდენიმე ადგილას წითელი ფანქრით არის გადახაზული; მაგ., ასეა წაშლილი წინადადება „Русское общество, Хроника русской жизни... корреспонденции из Петербурга“, ერთგან წითელი ფანქრით ჩაუმატებიათ სიტყვები: „сочинения преимущественно о Кавказе“ [480-1-258]; *შესწოხება კომიტეტის მალადი თანამდებობის პიხის მიეხ უნდა იყოს გაკე-თებული (საფიქხებედია, ხომ დიმიგხი ფუხცედაქა ეს პიხოვნე-ბა). აქვე უნდა ითქვას, რომ 1876 წელს უკვე გამკაცრებულია ბეჭდვით სიტყვასთან დამოკიდებულება, მაგ., ამ წელს მეფის-ნაცვალი ბრძანებს, რომ სია ყველა იმ ლიტერატურისა, რაც უცხოეთიდან შემოდის, განსახილველად საცენზურო კომი-ტეტს უნდა გადაეგზავნოს, არსებობს იმ მასალების სია, რომ-ლის გადმობეჭდვა არ შეიძლება უცხოეთის რუსული პრესი-დან [480-1-260].*

„ტიფლისკი ვესტნიკსა“ და „კავკაზზე“ თითქოს ჩერდება მძაფრი შეტევა, თუმც ჩივილი მაინც გრძელდება, მაგ., ტფი-ლისის პროკურორი უჩივის „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქ-ტორს, რომ რომელიღაც სტატია საავადმყოფოს და სასამარ-თლოს რვანლიანი რეფორმის შესახებ არასწორად დაბეჭდა და მის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე წერს [480, 1, 259].

საარქივო მასალებში გვხვდება ცნობა ერთი წიგნის გამო-ცემის ისტორიის შესახებ. 1866 წლის 24 იანვარს ნება დაურ-თავთ, რომ დაბეჭდილიყო „სარკე თქმულთა“; „მილოსტივი გოსუდარ“ ივან ლაზარევიჩს სწერენ, რომ გამომცემლობაში გაურკვეველ მიზეზთა გამო წინასიტყვაობა დაიკარგა, რომ წიგნი მზად არის გამოსაცემად, მაგრამ წინასიტყვაობა აკლია და წერილის ავტორი 1870 წლის მაისში იტყობინება, რომ ხელნაწერიდან თავიდან გადაწერს შესავალს, მაგრამ, მიუხე-დავად იმისა, რომ დაბეჭდვის ნებართვა უკვე გაცემულია,

ვერც გამომცემლობა და ვერც ქუთაისის საგუბერნიო ტიპოგრაფია ვერ დაუშვებს, რომ საცენზურო კომიტეტის ნებართვის გარეშე დაიბეჭდოს ეს შესავალი; ამის შემდეგ კი წერილის ავტორი სთხოვს „მონყალე ხელმწიფე ივან ლაზარევიჩს“, ნება დართოს შესავლის დაბეჭდვისა და პირადად იღებს თავზე პასუხისმგებლობას, რომ ყოველ ასოს და წერტილს („до буквы и до точки“) ისეთი სახით აღადგენს წინასიტყვაობაში, როგორითაც ადრე უკვე მიეცა მას გამოქვეყნების უფლება; ამას მოსდევს ქუთაისის საგუბერნიო ტიპოგრაფიაში გაგზავნილი წერილის ასლი, რომელშიც წერია, რომ საცენზურო კომიტეტს „აქვს პატივი“, აცნობოს გამომცემელს, ვისი გვარიც მოხსენიებულია როგორც Кокра-швили, დაბეჭდოს ბროშურა სახელწოდებით „სარკე თქმულთა“, რომელიც თეიმურაზ მეორეს ეკუთვნის („Сарке Ткмулта Теймураза 2-го“ [480, 1, 62; გვ. 9]).

თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულთა“ გრიგოლ ქოქრაშვილის გამომცემლობაში (ქუთაისი) 1870 წელს გამოვიდა. ამ საბუთებიდან ირკვევა, რომ წინასიტყვაობის დაკარგვის გამო 4 წლით დაგვიანებულია მისი გამოცემა. ძნელი გასაგებია, ამდენი წელი რად დასჭირდა ახალი ნებართვის თხოვნას და, საერთოდ, მართლა ეს იყო თუ არა დაგვიანების მიზეზი.

1877 წელს ფოთის საბაჟოდან იწერებიან, რომ შეასრულებენ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 3 მაისს გაცემულ განკარგულებას და შიდა მიმონერის ასლებს საცენზურო კომიტეტს გადაუგზავნიან [480, 1, 299]; საერთოდ, კავკასიის საცენზურო კომიტეტის არქივზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სახელმწიფოში ბეჭდვითი საქმის მიმართ განსაკუთრებული გამკაცრება 1875 წლიდან იწყება, რაც, ცხადია, იმ ზემოხსენებულ რეფორმასთანაც არის კავშირში, რომლის დროსაც (1874 წ.) გაფართოვდა კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმიანობა და მისი საშტატო შემადგენლობა გაიზარდა.

გამკაცრებასთან დაკავშირებით ყურადღებას გავამახვილებ 480-1-298 საქალაქო დასულ ცნობებზე (მათი ნაწილი დაკარგულია), – კავკასიის საცენზურო კომიტეტს „სამხედრო

ცენზურიდან“ („Военная Цензура“) 1879 წლის 6, ასევე 15 ივნისს, ატყობინებენ, რომ გაზეთებში სამხედრო ცენზურის გვერდის ავლით არ უნდა დაიბეჭდოს ისეთი სტატიები, ტელეგრამები, რომლებიც სამხედრო საკითხებს ეხება და ერთ გამოცემას მხოლოდ იმ გამოცემიდან ეძლევა მასალის გადაბეჭდვის უფლება, რომელსაც „სამხედრო ცენზურისაგან“ აქვს ამისი ნებართვა მიღებული; 1880 წლის 8 ივლისს გუბერნიის უფროსთან შინაგან საქმეთა სამინისტროს ბეჭდვით საქმეთა მთავარი სამმართველოდან გამოგზავნილია კონფიდენციალური წერილი (წერილს აწერია „Конфиденциально“), რომელშიც გუბერნატორს აფრთხილებენ, რომ არ დაიბეჭდოს სტატიები, რომლებიდანაც გამოჩნდება, რომ ჩინეთის საზღვრებთან, ამურისპირეთში, მდებარე დამცავი ძალები სუსტია... ამ საბუთების ნაწილი, როგორც ითქვა, არ არის შემონახული, რაც, შესაძლოა, შემთხვევითი არც იყოს.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის მუშაობის თავისებურებათა შესახებ ბევრის თქმა არის შესაძლებელი, ამჯერად მოკლე დასკვნებით სჯობს შემოფარგვლა:

დასაწყისში კომიტეტის მუშაობა განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩევა, რაც იმ ფაქტით უნდა იყოს გამოწვეული, რომ სამოქმედო გეგმები ჯერაც არ არის ბოლომდე დახვეწილი; ამ პერიოდში უფრო აქტიურობენ გარედან, რითაც საბაჟოები სხვებზე მეტად გამოირჩევიან; კომიტეტში ძლიერია ბიუროკრატია; კავკასიის ცალკეულ ეროვნებებთან მუშაობა 70-იან წლებში, ჩანს, ჯერაც დამუშავების პროცესშია, საქართველოში ამ მხრივ შედარებითი დათბობის პერიოდი დგას, დაშვებულია ეროვნული ისტორიის, ეთნოგრაფიის შესწავლა, რითაც სარგებლობენ ადგილობრივი ეროვნული ძალები და ქართული კულტურის აღორძინებისათვის იწყებენ ზრუნვას; 70-იან წლებში ამ მიმართებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დიმიტრი ფურცელაძის, დიმიტრი ბაქრაძისა და სხვათა მოღვაწეობა, რომელთა შორის მყოფთა არაერთი სახელი ალბათ ჯერაც გამოსავლენია. საცენზურო კომიტეტს განსაკუთ-

რებული სიფხიზლე რევოლუციურად განწყობილ პირთა მიმართ ევალება. XIX ს-ის 70-იანი წლების შუალედიდან საცენზურო მუშაობა შედარებით მკაცრდება. ეს სიმკაცრე შემდგომში განსაკუთრებით სიძლიერეს მიაღწევს.

ლიტერატურა:

- ვერნადსკი გ. (2006),** „Считаю себя украинцем и русским одновременно“ (Ab Imperio, 2006, №4);
- მაკუშინი ლ. (2010),** Закон о печати 6 апреля 1865 г. // Известия Уральского государственного университета. 2010. № 1 (71);
- პეტრუშევა ნ. (1990),** Учреждение Главного управления по делам печати (1865 г.) и начало его деятельности, Книжное дело в России во второй половине XIX – начале XX в. Вып. 4, Ленинград;
- როზენბერგი ვ., იაკუშინი ვ. (1905)** Русская печать и цензура в прошлом и настоящем. Москва;
- ფირსოვი ვ. (2000),** Фирсов В. Государственное законодательное регулирование деятельности библиотек. Глава 2. СПб;
- ჩერნუხა ვ. (1988),** Правительственная политика в отношении печати, 60-е –70-е годы XIX века, Ленинград.

First part of the work briefly provides history of Caucasus Censorship Committee, further, there are discussed directly the materials (documentation is preserved in Georgian State Archive; collection № 480).

Based on the archive materials, it is clear that in 60s of 19th century, the Caucasus Censorship Committee did not work very actively, its task was only clarification of the contents of literature brought from abroad. Activation can be seen from the 70s. Materials show that the customs offices detained the literature (newspapers, scientific and fiction books, as well as personal letters) and forwarded their lists to the Censorship committee for inspection.

From 70s, quantity of the literature regarded by the customs offices as doubtful increased significantly, there were cases, where

the customs offices were unable to draw up the lists and they sent to the Committee the notices, specifying number of boxes of the literature and the weights of publications. Initially, the Censorship Committee was a small organization, with growth of the work scopes, the number of subdivisions and staff was increased as well. This organization, initially subordinated to Caucasian education district and further to the ministry of education, later was transferred to the ministry of internal affairs and further to the commander in chief of Caucasus.

At the Archive, there are preserved the documents, from which it is clear that everything was published with the Committee's permit. The reports were prepared about what was published by the end of certain year.

According to the documents preserved in the archive, the editors frequently complained against the Committee, as they regarded that one or another censor has unreasonable restricted publication of the materials; there were cases, where the Censorship Committee received the letters from the high state authorities, expressing dissatisfaction as certain publisher has issued some materials unacceptable for the state; there were many cases where one or another publisher issued the articles that was not sent to the Censorship Committee for inspection.

In the period of reign of Alexander II, in Russia, there was relatively favorable attitude to the printed media. Study of the materials related to Georgia showed that Georgian patriotic forces took advantage of this and attempted to publish as much materials as possible, contributing to revival of Georgian literature, the history of Georgia. In that period, there were issued nationally-oriented magazines, newspapers, collections and, naturally, this could not be done without permission of Dimitri Bakradze. As said above, his direct duty was inspection of such materials. And once, Bakradze, nominated by Dimitri Purtseladze, then chairperson of the Censorship Committee and governor of Caucasus, was awarded by the em-

peror with 300 rubles. Certainly, it is doubtful that the Governor and especially the emperor could know anything about Bakradze (he was at quite low position, he was junior censor and late he was slightly promoted) and, supposedly, Purtseladze (one the civil servant but also the historian, specialist of the history of Georgia) assisted Bakradze to obtain such award, so that the latter was not regarded with distrust. In our opinion, in certain period, at Caucasus Censorship Committee, there was a group secretly engaged in national movement. Supposedly, Dimitri Purtseladze secretly assisted Dimirti Bakradze to find employment at the Committee, to contribute to the national liberation struggle.

Certainly, this group faced significant risk, as he is not able to help everyone, or, maybe, in some cases they do not desire such help... For example, the Committee put obstacles to young Niko Nikoladze, further outstanding public figure, publicist, Nikoladze. There was a doubt that Nikoladze participated in revolutionary movement, he was under gendarmery's surveillance (the Committee received a letter from the gendarmery, requesting to pay particular attention to this person). Hence, there were many cases, where Nikoladze's one or another publication was rejected.

From 80s, Caucasus Censorship Committee became much stricter. They applied much stricter approach to Georgian literature as well. This resulted from change of general policies in Russian Empire, impacting the Committee's work as well.

გიორგი მუხრანბატონის თხზულება „ნაციონალური ინდივიდუალობის არსისა და მსხვილი სახალხო ერთეულების საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ“ – ნაციონალური და ინტერნაციონალური კონტექსტი

Giorgi Mukhranbatoni's Essay – On the Essence of National Individuality and on Educational Significance of Large Public Units – National and International Context

ნინო მამარდაშვილი

Nino Mamardashvili

საქათვედოს საპაგჩიიხქოს წმიდა ანდრია პიხვედწოდებულის ქახოუდი
უნივერსიტი

The Saint Andrew The First-Called Georgian University (SANGU)

ჰუმანიტაჰუდ მეცნიეხებათა და სამაჰთის სკოლა

The School of Humanities and Law

საკვანძო სიტყვები: ეროვნული, ენა, ცნობიერება, ფენომენი, ლიტერატურა.

Key words: national, language, consciousness, phenomenon, literature.

1872 წელს თბილისში გაზეთ „კავკაზის“ დამატებად გამოცა გიორგი მუხრანბატონის წიგნაკი „ნაციონალური ინდივიდუალობის არსისა და მსხვილი სახალხო ერთეულების საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ“. 1873 წელს ეს თხზულება გამოქვეყნდა პეტერბურგში, 1873 წელს კი პარიზში. ბროშურა ავტორს ორ ნაწილად ჰქონდა ჩაფიქრებული. ის ვარაუდობდა, რომ სწორედ მეორე ნაწილში დაასაბუთებდა პირველ ნაწილში წარმოდგენილ დებულებებს. გიორგი მუხრანბატონი მიიჩნევს, რომ მცირერიცხოვანი ერების შერწყმა-ასიმილაცია დიდ ერებთან არის კანონზომიერი და პროგრესული მოვლენა: „ის ხადხები, რომლებმაც აქამდე შეინახუნეს საკუთარი ენა, თავისი მცირერიცხოვნობის გამო მაინც განწიხუნნი აჩიან და ისინი სხვა, უფრო ძლიერი ხადხების შემადგენელ ნაწილებად უნდა გადაიქცნენ... მცირე ხადხები ვეხ შეძლებენ სხუდყოფილი სახელმწიფო ოხგანიზმის შექმნას. თავისი მშობლიური ენით ვეხ შეიმეცნებენ საკაცობიო ცივილიზაციის სიკეთეს ... მსხვიდ ეხოვნურ ეხთუედებში მცირერიცხოვანი ხადხის შეჩწყმა აუცილებელი და გახდამავადი კანონზომიერიებაა“ (ჯოლოგუა 2013: 265). ავტორი მიიჩნევს, რომ ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებრივი მდგომარეობაა ლტოლვა სულიერი და მატერიალური სრულყოფისაკენ. ამის იარაღად ცოდნა და განათლება მიაჩნია; ცოდნის მიღების საშუალება კი ენაა. თანამედროვე ცოდნას სრული სახით და მთლიანად ფლობს მხოლოდ მრავალრიცხოვანი ხალხების ენები. ასეთ ენებად მუხრანბატონს მიაჩნია: ინგლისური, ფრანგული, ესპანური, იტალიური, რუსული, გერმანული. აქედან გამომდინარე, მცირერიცხოვანი ხალხების ენები უნდა შეერწყას მრავალრიცხოვანი ხალხების ენებს. მართალია, ეს მტკივნეული პროცესია, მაგრამ, თუ არ დათმობენ და ჩაებლაუჭებიან თავიანთ მშობლიურ ენებს, მაშინ მათ გარდაუვალი ჩამორჩენა ელით, რადგან ვერ გაუთანაბრდებიან მრავალრიცხოვან ხალხებს. მარადიული ჩამორჩენილობა, სულიერი და მატერიალური სიდუხჭირე უფრო დი-

დი და ხანგრძლივი ტანჯვაა, ვიდრე იმ ენის დაკარგვა, რომელიც არაფერში გარგიათ (ბაქრაძე 2005 : 189;113-114).

ორიოდე სიტყვით შევაჩეროთ ყურადღება გიორგი მუხრანბატონის პიროვნებაზე. იგი დაიბადა 1821 წელს. ბაგრატიონის სამეფო კარის წარმომადგენელია, არის ერეკლე მეორის შვილთაშვილი. რუსეთის სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებული დიდმოხელე (სენატორი და საიდუმლო მრჩეველი), მეფისნაცვლის საბჭოს წევრი (1855), ამიერკავკასიაში ბატონყმობის გასაუქმებლად პირობების შესამუშავებელი ცენტრალური კომიტეტის წევრი (1864), თბილისის საადგილმამულო ბანკის წესდების პროექტის შესამუშავებლად არჩეული სარედაქციო კომიტეტის საპატიო წევრი. გარდაიცვალა 1877 წელს პარიზში. დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში. ბუნებრივია, ქართველი მოღვაწეები ამ საკითხს გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ და მალევე მოჰყვა მწვავე რეაქცია. პოლემიკაში ჩაერთნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გაბრიელ ეპისკოპოსი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე და სხვა მოღვაწეები. ამ ნაშრომების გაცნობამ გამოიწვია ჩვენი ინტერესი და გაგვიჩინდა სურვილი, რომ უფრო ღრმად შეგვესწავლა აღნიშნული ბროშურის იდეური წყაროები და გამოგვერკვია, თუ რა არის მისი შექმნის ქეშმარიტი საფუძველი და რა არის მიზანდასახულობა გიორგი მუხრანბატონისა, როგორია ნაციონალური და ინტერნაციონალური კონტექსტი, ინტერნაციონალურ კონტექსტში ცალკე საკითხად გამოვყოფთ რუსულ კონტექსტს.

კოლონიური მმართველობის პირობებში ენის საკითხი უალრესად აქტუალური იყო მთელი იმპერიის ფარგლებში. მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში იწყება ნაციონალური საკითხის ახლებური გააზრება. პოლიტიკურმა და სოციოკულტურულმა ცვლილებებმა განსაზღვრეს „თერგდალეულთა“ „ეროვნული პროგრამის“ არსი და მიზანდასახულობა.

ამ პროგრამის უმთავრესი და უპირველესი საკითხი იყო მშობლიური ენის ფუნქციის გამოკვეთა და ცხოვრებაში განხორციელება. ეს ბროშურა უნდა განვიხილოთ ნაციონალური მსოფლმხედველობის კონტექსტში, რადგან ენობრივი საკითხი არის ერთ-ერთი კომპონენტი ქართული ნაციონალიზმისა. გიორგი მუხრანბატონის ამ ბროშურის გამოქვეყნებამდე მწვავე წერილები იბეჭდებოდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ პეტერბურგსა და მოსკოვშიც. არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა ენის საკითხზე. 1867 წელს გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი წერილები სრულიად უსარგებლოდ მიიჩნევდნენ ქართულ ენაზე სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის გამოცემას. ამით გამოთქვამდნენ თვალსაზრისს ეროვნული მწერლობისა და ბეჭდვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ამ პუბლიკაციებს მაშინ დიდი რეზონანსი არ ჰქონია მოსკოვისა და პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ 70-იანი წლებიდან ვითარება უფრო გამწვავდა. დაიწყო დევნა ყოველივე ქართულისა, 1872 წელს პეტერბურგიდან მოვიდა რევიზორი, რომელმაც სასულიერო სემინარიაში ქართული ენა აკრძალა. 1871 წლის „უსტავში“, რომელიც შეეხებოდა გიმნაზიებს, ე.წ. „ტუბემცების“ ენებიდან კავკასიაში დაშვებული იყო უმთავრეს ენათა სწავლება მხოლოდ მსურველთათვის, პროგრამის გარეშე და საგანგებო გადასახადით. ეს მოვლენა მხატვრულ ტექსტებშიც აისახა, მაგალითად, გიორგი წერეთელის „პირველ ნაბიჯში“. იგი თარიღის მითითებით წერს ამ მოვლენის შესახებ: „1870 წლიდან უბედულების ხანა დადგა საქართველოს ახადგაზიარების განათლებისთვის. ამ წელს აღიძრა კითხვა, რომ ქართული ენის საფუძვლიანი სწავლება გიმნაზიაში უნდა შემცილებულიყო, შტატის მასწავლებლები უნდა მოსპობიდიყვნენ და ის დხო, რომელიც ხმახდებოდა ქართულ ენას, ქართულ მწიგნობრობისა და მისი ისტორიის შესწავლას, დათინუხისა და ბეხძნული ენის შესწავლას უნდა მოხმახებოდა“ (წერეთელი გ., 1996:486). სასამართლოდანაც გააქრეს ქართული ენა. ამგვარი უმწვავესი რეალობა დახვდა საქართველოში გიორგი მუხრანბატონის ბრო-

შურას. შევეცდებით, თანმიმდევრულად წარმოვადგინოთ ქართველ მოღვაწეთა მწვავე შეფასებები გიორგი მუხრანბატონის ნაშრომთან დაკავშირებით. ბროშურას გამოცემასურა გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) წერილით „პასუხი გიორგი მუხრანბატონის წერილზე“. თავდაპირველად გიორგი მუხრანბატონს პირადი წერილით მიუმართავს მეუფისათვის და უთხოვია მისთვის აზრის გამოთქმა ამ ნაშრომთან დაკავშირებით. ეს წერილი მიკვლევული არ არის, მაგრამ არსებობს გაბრიელ ეპისკოპოსის პასუხი, რომელშიც იგი აღფრთოვანებას გამოხატავს ავტორის შესანიშნავი ქართულის გამო და იქვე დასძენს, რომ მას ასეთი დახვეწილი ქართულით წერა არ შეუძლია. გაბრიელ ეპისკოპოსი კეთილმოსურნე ტონით განიხილავს ამ ნაშრომს, თუმცა უწუნებს ავტორს კვლევის მეთოდებსა და ანალიზს. მან მწვავედ გააკრიტიკა ავტორი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაღალი პოლემიკური კულტურა გამოიჩინა: „შენი თეოხიის თავსაკიდუი აზი ეს ახის: „სახედმწიფო ახის და უნდა იყოს ეხთი ოხგანიზმი. ეხთ ოხგანიზმს ეხთი სუდი უნდა ქონდეს. ენა სუდია ოხგანიზმისა. მაშასადამე, ეხთი ენა უნდა იყოს სახედმწიფოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახედმწიფო ახ იქნება მაგახი და მკვიდხი“. ეს აზი თეოხიკუდია... ჰიაქტიკა გამოცდიდება ამტიკებს თუ ახა შენს თეოხიას? ... თეოხია გამოცდიდებაზე უნდა იყოს დამყაჩებუდი ფაქტებისგან უნდა იყოს გამოყვანიდი და ახა უკუდმა, ე. ი. ფაქტები თეოხიიდან ახ გამოიყვანება ... ისტოხია მახთდა ახსენებს მხავადთა თესდთა და ენათა, ხომედნიც თითქმის განქაჩდნენ ისტოხიუდი ასპაჩეზიდან, მაგხამ ხა იყო ამის მიზეზი? ძადადობა, მტხისგან შევიწხოება, იძულება, ამოწყვეტა! ... ხადხის ინდივიდუალობის უმთავხესი ედემენტი ახის ენა ... მციხე ხადხი, მოკდებუდი ყოვედი ინდივიდუაღუხი ხასიათის თვისებათა, უსაჩგებდო იქნება თავისთვისაც და სხვისთვისაც, ხოგოხც კეხდო პიხი, ახა მეონი თვითმდგომაჩეობისა, ვეხაფეხი კეთიდ და სასაჩგებდო საქმეს ვეხ იქმს“ (თ. ჯოლოგუა 2013 : 266). ეროვნული ცნობიერებისა და ენის ფენომენის საკითხი წამოწია პეტრე უმიკაშვილმა თავის

საპასუხო წერილში - „მცირე ტომთა ენებზე“, რომელიც მ. პეტრიწის ფსევდონიმით გამოაქვეყნა. ამ წერილთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს ვრცელი გამოკვლევა, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ მოკლედ შევხებით პეტრე უმიკაშვილის დასკვნებს. ავტორი მიიჩნევს, რომ ბროშურაში წარმოდგენილი მოსაზრებები მოკლებულია ანთროპოლოგიურ და ფიზიოლოგიურ საფუძვლებს. პეტრე უმიკაშვილი იმპერიის წიაღში შემავალი მცირერიცხოვანი ერების ენის ფუნქციისა და მნიშვნელობის შესახებ მსჯელობას წარმართავს ევროპული და ამერიკული კონტექსტის გათვალისწინებით. მას მიაჩნია, რომ „მახტო მეცნიეხებაზე დამყაჩება ახ კმაჩა, თუკი მახთდა და საფუძვლიანად გვინდა დავასკვნათ ხამე ცხოვხების შესახებ, საჭიხოა თვით ცხოვხების გამოცდიების ცოდნა და შემეცნება ცხოვხების მსვდელობის მიმახთუდებისა“ (პ. უმიკაშვილი 1905:51); მეორე საკითხი, რომელზეც პეტრე უმიკაშვილი ყურადღებას ამახვილებს, არის ის, რომ არ არსებობს ენა, რომელიც დაიტევს კაცობრიობის სიბრძნეს, ასევე „უგანათლებულესნი პირნი მეცნიერებისა“ საკუთარ ენას არ „ჰკმაყოფილებიან“, ასევე ყველა ენაზე შეიძლება კაცობრიობის სიბრძნის გავრცელება. მას ამის დასადასტურებლად სახარების მაგალითი მოჰყავს - სახარება თარგმანის გზით გავრცელდა სხვადასხვა დიდ თუ პატარა ერში. მოაზროვნე ადამიანთა რაოდენობა არ არის განსაზღვრული ერის მრავალრიცხოვნებით. გიორგი ბაგრატიონი ამ მოსაზრების საფუძვლად მიიჩნევს „სახელმწიფოების ერთდონობას, თანატოლობის თეორიას“. აღნიშნულმა წერილმა გააჩინა კითხვა, სად უნდა მოღვაწეობდეს ქართველი კაცი. მუხრანბატონს უპასუხა სერგეი მესხმა წერილში - „ჩვენი მეცნიერები“. „მამუდის ყოვედ ნამდვიდ შვიდს ყვედაზე პიხვედად თავის სასიამოვნო და სასახგებდო შიხომათ ის უნდა მიაჩნდეს, ხაც ამ მამუდისთვის სასახგებდო და გამოსადეგია... ყოვედი კაცის მუშაობა იქ უფხო ნაყოფიეხი და სასახგებდოა, სადაც ის დაბადებუდა, სადაც ის ყვედა გახემოებას იცნობს, ამის გამო ყვედა თავის სამშობდოში უნდა

მუშაობდეს“ (ბაქრაძე აკ. 2005: 105-106). როგორც ვხედავთ, სერგეი მესხი მიიჩნევს, რომ ყოველი ადამიანი ნაციას უნდა ეკუთვნოდეს. ამ აზრს იზიარებენ „თერგდალეულები“, მხოლოდ გარკვეულწილად განსხვავებული მოსაზრება აქვს ნიკო ნიკოლაძეს: „მას მიაჩნია, რომ ინდივიდი საჩვენებლობის მომგანი უნდა იყოს თავისი სამშობლოსთვის, გინდ შოხაპანში იცხოვროს, გინდ პაჩიჟში“ (ბაქრაძე აკ. 2005 : 106). იგი ქართველ ახალგაზრდობას ორ განსხვავებულ ნაწილად ყოფს: ერთი, უფრო მრავალრიცხოვანი – მხოლოდ საკუთარ თავზე და პირად მიზნებზე ფიქრობს, მცირე ნაწილი კი – საზოგადოებას და თავის ქვეყანას ანიჭებს უპირატესობას: „სიბიჩიყვა, ეხთი ხომედიმე უჩიგო და უნიჭო კაცი გფიდისის მოედანზე უსახებდოთ დაეთიგოდეს და თან ვინმე მშიომედს და ხეიხიან პიახს, ხომედიც პაჩიჟის ბიბლიოთეკაში შიომობს, მამუდის უსიყვახუდობას აბხადებდეს მაჩგო იმისთვის, რომ საქაჩთვედოში ჩემსავით უსახებდოთ ჩაგომ დალოლიადობსო ... სადაც გინდათ იშიომეთ, სადაც გსუხდეთ ისწავდეთ, ჩაც გინდათ ჰქენით, ოლონდაც კი თქვენი მამუდი გიყვახდეთ, ოლონდ კი მის სასახებდოდ იშიომეთ, ოლონდ კი მისი მდგომაჩეობის გაუმჯობესებაზე, მისი სახედის გადიდებაზე, მისი კეთილდღეობის მოახლოებაზე იბხუნეთ“ (იქვე), თუმცა ამავე წერილში იგი ხაზგასმით აღნიშნავს ქართული ენის მნიშვნელობას ხალხის თვითშეგნების ამაღლების საქმეში. იქვე დასძენს, რომ ქართველებს სჭირდებათ „ორმაგი შრომა“, რომ თავიანთ სამშობლოს სარგებელი მოუტანონ. ამის მაგალითი თავადაც იყო. იგი თანამშრომლობდა ქართულ, რუსულ, ფრანგულ პერიოდულ გამოცემებთან და თავისუფლად ფლობდა მრავალ უცხო ენას. გიორგი მუხრანბატონს გამოუხმაურა ილია ლექსით „რჩევა“. 1872 წლის 30 აგვისტოს პეტრე უმიკაშვილისადმი გაგზავნილ წერილში ილია წერს მუხრანსკის ბროშურაზე: „ნავიკითხე... მაგ ბროშურის პასუხად აი რა დავწერე და გთხოვ დროებაში დააბეჭდინო, ჩემს გვარს ნუ მიაწერ.“

რჩევა

თუ გინდა, ძმაო, იგემო
ამა ქვეყნისა შვებანი,
დიდთა საფეროდ მოჰმართე
შენი გულ-სიტყვის ებანი.
მერე გრძნობით შეიმოსე,
დიდთა უკმე, სხვათ არა
და იქადაგე: - „წესია,
რომ დიდმა ჰყლაპოს პატარა“.
ამა წესის სიმართლისა
შენ საბუთი ვინც მოგკითხოს,
- „ჯერ ეგრე - თქო, დამიჯერეთ,
საბუთი - თქო მერე იყოს“.
დიდნი ხომ დაგიჯერებენ,
აბა უარს რად იტყვიან?!
პატარებს ჯანიც გავარდეს,
დიდნი მადლს გადაგიხდიან.
თუმცა დიდთა პირფერობა
არის მონებრივი ქცევა,
მაგრამ მაღლა აცოცვისთვის
უნდა თურმე კუდის ქნევა.
ამას გირჩევ, იმიტომ რომ
ჩვენ გვყავს ერთი მეგობარი,
რომელიცა ამგვარ ქცევით
ჩვენში მეგობარი არი“

(ჭავჭავაძე ი. 1992 : 61).

ასე მძაფრად გამოხატა ილიამ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გიორგი მუხრანბატონის ბროშურისადმი, ფაქტობრივად, ღიად დაადანაშაულა ის იმპერიის ინტერესების დაცვაში, პირფერობასა და მონურ ქცევაში.

გიორგი მუხრანბატონს მიიჩნევენ „პასუხის პასუხის“ ადრესატად, აკაკი წერეთლის „ენების გასამართლებაც“ მას ეძღვნება. ეს ლექსი ალეგორიული ფორმით არის დაწერილი და მასში აკაკის ჩვეული, მძაფრი სატირა იგრძნობა. თავადაც აღნიშნავს, რომ ეს ფორმა ცენზურის თვალის ასახვევად გამოიყენა. მას მუხრანბატონი მოღალატედ ჰყავს გამოყვანილი.

როგორც ვხედავთ, საქართველოში კრიტიკა მეტად მძაფრი და დაუნდობელი აღმოჩნდა გიორგი მუხრანბატონის მიმართ. მისი ბროშურის შინაარსი სრულიად ეწინააღმდეგებოდა „თერგდალეულების“ ეროვნულ იდეალებს. ისმის კითხვა: ბროშურის ავტორი რამდენად მიზანმიმართულად ცდილობდა რუსეთის იმპერიის ინტერესების გამოხატვას. აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს: *„მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ქაჩთუღ აზხოვნებაში ოხი ნაკადი ებძოდა ეხთმანეთს - იმედი და ნიჰილიზმი. ყველაზე უფრო მტკივნეული ის იყო, რომ ნიჰილისტები ახყოფიდან ქაჩთვედი ხადხის მტხები. მათ უყვარხათ საქაჩთვედო, მაგხამ ახ სწამდათ მისი ეხოვნედი ენეხია. ამიგომ სხვის იმედად ყოფნა ეჩჩიათ. უჩწმუნოება კი გამოწვეუდი იყო ხანგხდივი ეხოვნედი ჩაგვჩით“* (ბაქრაძე აკ. 1992 : 7).

ბროშურაში გამოთქმული თვალსაზრისი ეყრდნობა ევროპასა და ამერიკაში მიმდინარე პროცესებს, როგორც პოლიტიკურს, ასევე მეცნიერულ სიახლეებს. გიორგი მუხრანბატონი კარგად იცნობს თავისი თანამედროვე მეცნიერების თეორიულ მოძღვრებებს, თუმცა ბროშურაში არ მოიხსენიებს ავტორებს. ბროშურის ინტერნაციონალური კონტექსტის განხილვისას ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ ფაქტს, რომ იგი ეყრდნობა მე-19 საუკუნეში ახლადშექმნილ მეცნიერულ თეორიებს, როგორებიცაა ავგუსტ შლაიხერის ენათმეცნიერების ნატურალისტური თეორია (ნაშრომი გამოქვეყნებულია 1861 - 1862 წლებში) და „ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის კომპენდიუმი“. ამ პერიოდში იქმნება დარვინის ევოლუციური თეორიაც. მისი მოძღვრების თანახმად, *„ენა აჩის ყუხთა სმენით შესმენიდი გამოთქმა იმისთანა საქმიანობისა, ხომედიც*

ნივთიეხად აეჩთებს ეხთმანეთსა და დამოკიდებუდსა ჰყოფს გვინისა და სიგყვის იახალის შენობასა და თავიანთის ნეხვე-ბითა, ძვლებითა, მუსკუდებითა და სხვ.“ [უმიკაშვილი პ. 1905:68]. ცალკე უნდა გამოიყოს რუსეთის იმპერიის კონტექსტი. მაგალითად მოვიყვანთ გაზეთ „მოსკოვის უწყებებში“ გამოთქმულ თვალსაზრისს – ხელისუფლება უნდა კრძალავდეს იმპერიაში შემავალი ხალხის ენებს. ადგილობრივი ენები მმართველობამ უნდა ჩაიგდოს ხელში და მოიხმაროს, როგორც იარაღი.

ბროშურის ანალიზი ცხადყოფს, რომ ავტორის აზრით, ერის განვითარების საფუძველი განათლებაა და ამისთვის მცირერიცხოვანი ერების ენას შესაბამისი მასშტაბი არ გააჩნია. გიორგი მუხრანბატონის მოსაზრება ეწინააღმდეგება ეროვნული ცნობიერებისა და ენის ფენომენის ერთიანობის საკითხს.

ლიტერატურა:

- ბაქრაძე აკ. (1992)**, „მეცხრამეტე საუკუნე“, წიგნში: „ქართული მწერლობა“, თბილისი, „ნაკადული“;
- ბაქრაძე აკ. (2005)**, ნიკო ნიკოლაძე, თბილისი, „ნეკერი“;
- უმიკაშვილი პ. (1905)**, სახალხო ლექსები. მცირე ტომთა ენებზე. სამზადისი, ტფილისი. ამხ. „ცისკარის“ გამოცემა N 1;
- ჩხაიძე ი. (2009)**, ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი („თერგდალეულები“), თბილისი, გამომცემლობა „ახალი აზრი“;
- წერეთელი გ. (1996)**, წიგნში: „ქართული მწერლობა“, ტ.13, თბილისი, „ნაკადული“;
- ჭავჭავაძე ი. (1996)**, წიგნში: „ქართული მწერლობა“, ტ.11, თბილისი: „ნაკადული“;
- ჯოლოგუა თ. (2013)**, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე), თბილისი, „არტანუჯი“.

In 1872, Giorgi Mukhranbatoni's notebook *On the Essence of National Individuality and the Educational Significance of Large Public Units* was published in Tbilisi as a supplement to the *Kavkaz Newspaper*. In 1873, this essay was published in St. Petersburg and in 1873, in Paris. The author conceived the pamphlet to be in two parts. He assumed that in the second part he would justify the provisions presented in the first part. Giorgi Mukhranbatoni believed the merging and assimilation of small nations with large nations is a regular and progressive event: "the peoples who have preserved their own language are still doomed because of their small number; and they must become constituent parts of other, stronger peoples...smaller peoples will not be able to form a perfect State. They will not be able to learn the goodness of human civilization just through their native language... The merging of smaller peoples with large national entities is a necessary and transitory regularity~ [Jologia 2013:265] The author acknowledges that the innate, natural state of human beings is the desire for spiritual and material perfection. He considers knowledge and education to be the tools of this. He considers knowledge and education to be the means of obtaining knowledge. Language is the means of acquiring knowledge. Modern knowledge is fully and completely possessed only by the languages of large nations. Mukhranbatoni believes such languages to be: English, French, Spanish, Italian, Russian, German. Therefore, the languages of the smaller national must be merged with the languages of the large nations. Although it is a painful process, if they do not give up and hold on to their native languages, then they will inevitably fall behind, as they will not be able to keep up with the large nations. Eternal backwardness, spiritual and material hardship is a greater and long-lasting suffering than the loss of a language that is useless [Bakradze 189; 113-114]. Let us give some attention to the personality of Giorgi Mukhranbatoni. He was born in 1821. He was a representative of Bagrationi Royal Family; great gran-

dson of King Erekle II; he was a high-ranking official, promoted in the Russian state service (Senator and Secret Adviser); member of the Council of the Viceroy (1855); member of the Central Committee for the Development of Conditions for the Abolition of Serfdom in the Transcaucasia (1864); Honorable Member of the Editorial Committee for the Development of Draft Statute of the Tbilisi Land Bank. He died in Paris in 1877. He is buried in the Svtitskhovli Cathedral. It is natural that Georgian public figures could not ignore this topic and the harsh reaction soon followed. Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Bishop Gabriel, Sergey Meskhi, Niko Nikoladze and other public figures joined in the dispute. Reading these works aroused our interest and made us want to study in-depth the ideological sources of the aforementioned pamphlet and find out what is the true basis of its creation and what is the goal of Giorgi Mukhranbatoni; what is the national and international context; in the international context we will point out the Russian context as a separate issue.

Under colonial rule, the issue of language was highly relevant throughout the Empire existence. From the 60s of the 19th century, a new perception of the national issue began in Georgia. Political and socio-cultural changes determined the essence and purpose of the National Program~ of the Tergdaleulis. The main and primary task of this Program was to outline the function of the native language and to implement it in life. This brochure has to be considered in the context of the national worldview, as the language issue is one of the components of Georgian nationalism. Before the publication of this brochure by Giorgi Mukhranbatoni, critical letters were published not only in Georgia, but also in St. Petersburg and Moscow. There was a difference of opinion on the issue of language. In the letters published in Kavkaz Newspaper in 1867, publication of scientific and educational literature in the Georgian language was considered to be considered completely useless. In such way, authors expressed their opinion regarding the expediency of national wri-

ting and printing. At that time, these publications did not have much response in Moscow and St. Petersburg magazines and newspapers, but since the 70s, the situation became more intense. Persecution of everything Georgian began. In 1872, an Inspector came from St. Petersburg, who banned Georgian language in the Theological Seminary. Georgian language also disappeared from the Court proceedings. Giorgi Mukhranbatoni's brochure faced such harsh reality in Georgia. Bishop Gabriel (Kikodze) responded to the brochure with a letter *Response to Giorgi Mukhranbatoni's Letter*, he severely criticized the author, however, showing high polemical culture. The issue of national consciousness and the phenomenon of language was raised by Petre Umikashvili in his response letter *On the Languages of Small Tribes*, published under the pseudonym M. Petritsi. The author claimed that the opinions presented in the brochure lacked anthropological-physiological grounds. Petre Umikashvili discussed the function and significance of languages of the smaller nations, that were part of the Empire, by considering the European and American context. Giorgi Bagrationi considers the ~unity of states, the theory of equality~ to be the foundation of this opinion. Sergey Meskhi replied to Mukhranbatoni with the letter *Our Scientists*. Sergey Meskhi believed that every person should belong to the nation. The Tergdaleulis agrees to this opinion; only Niko Nikoladze thought slightly different: "He believes that an individual should be useful for his homeland, "not depending on if he lives in Shorapani or in Paris". Ilia responded to Giorgi Mukhranbatoni with the poem *Advice*; Giorgi Mukhranbatoni is considered the addressee of the *Response to Response* as well and Akaki Tsereteli's *Trial of Languages* is also dedicated to him.

The viewpoint expressed in the brochure was based on the then processes underway in Europe and America; both political and scientific news. Giorgi Mukhranbatoni was well acquainted with the theoretical doctrines of modern scientists, although he did not specify the relevant authors in the brochure. The given fact must be

considered when discussing the international context of the pamphlet. In the 19th century, new scientific theories were created, such as August Schleicher's Naturalistic Theory of Linguistics and Darwin's Evolution Theory. The context of the Russian Empire must also be highlighted separately; Government should be banning languages of the people that are part of the Empire.

Analysis of the brochure shows that the basis of the nation's development is education and for the cause, languages of the smaller nations does not have the appropriate significance. Giorgi Mukhranbatoni's opinion contradicts the issue of unity of national consciousness and language phenomenon.

ემოციური იდიომების რეფლექტირების ხერხები
მხატვრულ ტექსტში
The Ways of Reflecting Emotional Idioms in Literary
Texts

სოფიო მუჯირი
Sophio Mujiri

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

საკვანძო სიტყვები: ემოციური იდიომები, ტრანსფორმაცია, პოზიტიური და ნეგატიური მნიშვნელობები, ვერბალური და არავერბალური საკომუნაკაციო საშუალებები.

Key words: Emotional Idioms, transformation, positive and negative meanings, verbal and non-verbal communicative.

ფრაზეოლოგიურ კვლევებში მეცნიერები იდიომებს ახასიათებენ როგორც ექსპრესიულ და ემოციურ ფრაზეოლოგიზმებს. თუმცა ისინი იშვიათად თანხმდებიან იმაზე, თუ რომელ იდიომს შეიძლება ვუნოდოთ ემოციური და რომელს – ექსპრესიული.¹

მხედველობაშია მისაღები ის მოსაზრება, რომ არც ერთი ენობრივი ნიშანი არ შეიძლება იყოს აპრიორულად ექსპრესიული და ემოციური, რადგან ექსპრესიულობა, ისევე როგორც ემოციურობა, წარმოადგენენ განსაზღვრული ფაქტორების ინტერაქციის შედეგს სპეციფიკურ კომუნიკაციურ სიტუაციაში.

ემოციას განიხილავენ როგორც პიროვნების რეაქციას გარე სამყაროს მოვლენებზე. შესაბამისად, ემოციურ იდიომებს თვლიან მარკირებულ ენობრივ ერთეულებად: „კომუნიკაციის *პროცესში* ისინი გამოხატავენ მოსაუბრე პირის შეფასებას, მის სუბიექტურ პოზიციას ან საზოგადოებრივ, კონვენციურ შეხედულებას“ [Leis 2010 : 32].

მეცნიერთა ნაწილი ექსპრესიულობასაც მარკირებულ ელემენტად მიიჩნევს, რადგან ექსპრესია გამოხატავს მოსაუბრე პირის შინაგან მდგომარეობას და გადმოსცემს დამატებით, ემოციურად შეფერილ კონოტაციებს: „ექსპრესიულობის გამოხატველი ენობრივი საშუალებები ხასიათდებიან ერთი მნიშვნელოვანი კოგნიტიური თვისებით – წახმოვნით: ექსპრესიულობას და მასთან ერთად ემოციურობას აღვიქვამთ და ვეხბადეხად გამოვხატავთ ხოგოხც თვისებრივად მაჩვიებუდ პროცესს. ექსპრესიუდად ითვდება სიყვებე და გამოთქმები, ხომლებსაც, გახდა დენოგაგუხი კომპონენტისა, გააჩნიათ ემოციურობის და შეფასების კონოტაციური კომპონენტიც“ [Wolf, 2010 : 35]. ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ექსპრესიულობა

¹ ცნება „ემოციური“ („emotional“) „Duden“-ში განმარტებულია როგორც „ემოციებთან დაკავშირებული, ემოციიდან გამომდინარე, გრძობისმიერი“, ხოლო ცნება „ექსპრესიული“ (ლათ. *expressus*, *express*), როგორც: „გამომხატველი, წარმოჩენილი, ზემოქმედების მქონე“ [Duden, 2003 : 459,507].

ითვლება დომინანტურ კატეგორიად, რომელიც მოიცავს როგორც ემოციურობას, ასევე შეფასებას.

გარდა ექსპრესიულობისა, იდიომების მნიშვნელოვან, განმსაზღვრელ თვისებად ითვლება ხატოვნება. ხატოვნება დახასიათებულია როგორც „ენობრივი ნიშანი (ან მათი შეეხთება), რომელიც ჩვენს წახმოდგენაში ქმნის კონკრეტულ ვიზუალურ სუხათ-ხატს, მაგ., იდიომის: *Öl ins Feuer gießen* (ცეცხლზე ნავთის დასხმა¹) ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა ხატოვანია, ხამდენადაც ის მეტაფორული გადააზრების გზითაა წახმოქმნილი“ [Burger, 2018 :1].

ხატოვნება ი. კორჰონენსაც იდიომის ტიპურ ნიშნად და მისი ექსპრესიულობის წყაროდ მიაჩნია. თუმცა მას მაგალითად ისეთი ფრაზეოლოგიზმებიც მოჰყავს, რომლებიც არ ხასიათდებიან ხატოვნებით, მაგ. „an und für sich“ (საკუთრივ, თვითონ, თავისი არსით), „es bei/mit etwas bewenden lassen“ (რაიმის ბოლომდე არმიყვანა, არდასრულება; საქმის ვადაზე ადრე შეწყვეტა).² ამიტომ ი. კორჰონენის აზრით, „ხატოვნება უნდა მივიჩნიოთ იდიომის ფაკულტატიურ თვისებად“ [Korhonen 2007 : 577]. გამოდის, რომ იდიომების რელევანტური ფუნქცია ექსპრესიულობისა და მისი სხვადასხვა გრადაციის გამოხატვაა.

ლიტერატურულ ტექსტებში გამოყენებული ექსპრესიული იდიომები გამოხატავენ:

1. ემოციას, მაგ.: „vor Wut platzen“ (ვინმე გაცეცხლებულია, განრისხებულია³); 2. ინტენსიურობასა და კვანტიტატიურობას, მაგ.: *tausend Tode sterben*“ (შიშისაგან ლამის მოკვდე, ძალიან შეშინდე⁴);

3. რაიმის წარმოჩენას, ხაზგასმას, მაგ.: *“jemandem auf der Nase herumtanzen*“ (თავის ნებაზე ვინმეს მართვის, თავზე დაჯდომის სურვილი⁵). [Burger 2010 :82].

¹ იხ. გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, 271.

² იქვე, 27, 61.

³ იქვე, 466.

⁴ იქვე, 399.

⁵ იქვე, 259.

იდიომთა ემოციური, შეფასებითი კონოტაციების შესწავლის ბაზაზე ჰ. ბურგერი ასკვნის, რომ ექსპრესიული იდიომები გამოხატავენ როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური სახის კონოტაციებს. თუმცა გერმანულ ენაში ადამიანის ნეგატიური ემოციები და ქცევები უფრო ხშირადაა წარმოდგენილი, ვიდრე პოზიტიური. პოზიტიური კონოტაციები მხოლოდ მცირერიცხოვან იდიომებს აქვთ, მაგ.: „wie zwei Tauben“ (ორი მტრედვით, შეყვარებულები)¹. ნეგატიური იდიომები გამოირჩევიან მეტი ექსპრესიულობით. ისინი გადმოსცემენ აფექტურ განწყობას, რაიმე თვისების ან მოვლენის სიჭარბეს და ემსახურებიან ინტენსიურობისა და კვანტიტატიურობის მანიფესტაციას [Burger1984 : 18].

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე აღინიშნება, რომ ექსპრესიულობა მოიცავს აფექტურობას და სპონტანურობას, რომელთა გამოხატვა შესაძლებელია არა მხოლოდ ვეხბადეხი, ახამედ ახავეხბადეხი საკომუნიკაციო საშუალებებითაც, მაგ.: ჟესტით, მიმიკით, სხეულის მოძრაობით და სხვ.: „ექსპრესიულობა ემსახურება ახა მხოლოდ ემოციისა და აფექტის გამოხატვას, ახამედ გამონათქვამის დომინანტური ახის წახმოჩენას: ფონეტიკური, დექსიკური, სინტაქსური და სტილისტური საშუალებების მეშვეობით“ [Jachnow 2001 : 490].

ამრიგად, საკითხის თეორიული ნაწილის განხილვისა და შეჯამების ბაზაზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ექსპრესიულობა არის დომინანტური ცნება, რომელიც მოიცავს ემოციურობას, ინტენსიურობასა და კვანტიტატიურობას. ექსპრესიული იდიომები ლიტერატურულ ტექსტებში ხასიათდება აფექტურობითა და სპონტანურობით და ემსახურება ენობრივი ერთეულის მარკირებასა და წარმოჩენას, როგორც ვერბალური (ფონეტიკური, დექსიკური, სინტაქსური და სტილისტური), ასევე არავერბალური (ჟესტი, მიმიკა, ინტონაცია) კომუნიკაციის საშუალებებით. ექსპრესიული იდიომები აღწერს მოსაუბრე

¹ იხ. გერმანულ-რუსული ლექსიკონი, 561.

პირის შინაგან მდგომარეობას, სუბიექტურ პოზიციას, შეფასებას და სხვ. სხვადასხვა კონოტაციის მეშვეობით.

მოცემული დასკვნის შესაბამისად, ნაშრომის მეორე ნახევარში განვიხილავთ მხატვრულ ლიტერატურაში მოძიებულ ექსპრესიულ იდიომებს, რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა ემოციას. რაც შეეხება იდიომებით ინტენსიურობისა და კვანტიტატიურობის გამოხატვის საკითხს, ის აქ მხოლოდ ნაწილობრივ არის წარმოდგენილი, რადგან სცდება მოცემული ნაშრომის ფორმატს.

ემოციის გამომხატველი იდიომები მხატვრულ ლიტერატურაში

ლიტერატურული ნაწარმოები ასახავს როგორც რეალურ, ასევე ფიქციურ სამყაროს. მწერალი ირჩევს რეალური სამყაროს განსაზღვრულ ასპექტებს, რომელზე დაყრდნობითაც თხზავს მხატვრულ სამყაროს მთელი რიგი ვერბალური (ლექსიკური და ფორმალური) საშუალებების გამოყენებით¹, რის საფუძველზეც მას მკითხველი ემოციურად აღიქვამს. ემოციები ლიტერატურულ ნაწარმოებებში გადმოცემულია არა მხოლოდ ვერბალური, არამედ არავერბალური საშუალებებითაც, მაგ., პერსონაჟთა ჟესტების, მიმიკის, სხეულის პოზების, სახის ფერის აღწერის, ასევე ინტონაციის მეშვეობით. ვერბალური და არავერბალური ემოციის გამომხატველი საშუალებების გამოყენება მკითხველში იწვევს სათანადო რეაქციას და ემოციურად განაწყობს მას მოცემული თემის, პიროვნებისა თუ პერსონაჟის მიმართ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ზემოქმედებას მკითხველზე ემოციური იდიომები ახდენს.

ემოციური იდიომები მოიცავს ემოციათა მრავალფეროვან სპექტრს: აღქმას, გრძნობებს, სურვილებს, ინტელექტუალურ,

¹ მაგ.: პერსონაჟთა სახელები, გამოყოფილი აბზაცები, პუნქტუაცია და სხვ.

ფიზიოლოგიურ და სხვ. შეგრძნებებს, რომლებიც „შეფასების თეორიის“ მიხედვით შეიძლება დავეყოს სამ ძირითად კატეგორიად. ესენია: შეფასება, აფექტი და განაჩენი. შეფასება მოიცავს სემიოტიკური და ბუნებრივი ფენომენების შეფასებებს განსაზღვრულ სფეროში. აფექტი კავშირშია მნიშვნელობის პოზიტიურ და ნეგატიურ გრძნობებთან. განაჩენი გამოხატავს პოზიციას პიროვნების ქცევის მიმართ, რომელსაც აქებენ, აკრიტიკებენ, ითვალისწინებენ და ა. შ. [White, 2005].

შეფასების თეორია იკვლევს ტექსტში შეფასების ვერბალურ საშუალებებს. შეფასების გამოხატვა შესაძლებელია ექსპლიციტურად და იმპლიციტურად, მაგ., ფიზიოლოგიურად: პერსონაჟის კანკალი, სიცილი, ხმის მახასიათებლები და სხვ.

მკითხველზე განსაკუთრებულ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს აფექტური, ხატოვანი იდიომები, რომლებიც გადმოსცემს *პოზიტიუხ და ნეგატიუხ ემოციებს*. ეს იდიომები ლექსემების მსგავსად პოზიტიურ და ნეგატიურ ემოციებს გადმოსცემენ ექსპლიციტური და არაექსპლიციტური ფორმით.

მომდევნო მაგალითებით, რომლებიც მოძიებულია მხატვრულ ლიტერატურაში,¹ შევეცდებით, აღვწეროთ პოზიტიური (სიყვარული, მადლიერება, სიმამაცე, აღფრთოვანება, გამბედაობა, გამოსწორება) და ნეგატიური (გაბრაზება, განადგურება, შიში, საფრთხე, აღელვება, ნუხილი, იმედის დაკარგვა, გამოუვალ სიტუაციაში ყოფნა). იდიომების თემატური ჯგუფები და მათი მოდიფიკაციის ხერხები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი ხდება მათი ხატოვნებისა და ექსპრესიულობის ხარისხის მნიშვნელოვანი ზრდა.

პოზიტიური იდიომებით გამოხატული ემოციებია:

1. მადლიერება

მოცემულ წინადადებაში – „Und er schenkte ein paar dankbare Blicke im Vorbeigehen“ – ლექსიკონში კოდიფიცირებული

¹ ნ. ხარატიშვილის რომანი „Das achte Leben (für Brillka)“; ჰ. კანტის რომანი „Die Aula“.

იდომის - „Jmdm. einen Blick zuwerfen“¹ („ვინმეს მზერა მი-
აპყრო“) – ზმნური კომპონენტი („zuwerfen“) შეცვლილია სხვა
ზმნით: „schenken“ [Haratischwili 2014 : 232]. ხატოვნებისა და
პოზიტიური ემოციის („მადლიერების“), ასევე კვანტიტატიური
კონოტაციის გასაძლიერებლად იდიომში ჩამატებულია სიტ-
ყვები „ein paar dankbar“ (რამდენიმე მადლიერი), რის შედე-
გადაც ვლელობთ ავტორის მიერ მოდიფიცირებულ, უფრო
ექსპრესიულ და ხატოვან იდიომს.

2. სიმამაცე

მომდევნო წინადადების - „Der war der Einzige, der **den Kopf oben behielt**, als wir im Sand verschwunden waren“ [Kant 1986 : 123] - ორივე იდიომი აღწერს მოსაუბრე პირების შინაგან
მდგომარეობას და სუბიექტურ პოზიციას, როგორც ვერბალუ-
რი (ლექსიკური და სინტაქსური), ასევე არავერბალური (ჟეს-
ტი, მიმიკა) საშუალებებით. ორივე იდიომის ექსპრესიულობის
წყაროა მათი ხატოვნება (მეტაფორული ხაზგასმა). ორივეში
ვლინდება არაექსპლიციტურად გამოხატული შეფასების კო-
ნოტაცია. პირველი იდიომი გამოხატავს პოზიტიურ შეფასებას
(მნიშვნელობით: არ დაკარგო გამბედაობა, მხნეობა, შეინარ-
ჩუნე სიმამაცე), რომელსაც უპირისპირდება მეორე იდიომის
ნეგატიური შეფასება. მეორე იდიომი ფორმალურად მოდი-
ფიცირებულია ავტორის მიერ. ლექსიკონში კოდიფიცირებუ-
ლი იდიომია: „den Kopf in den Sandstecken“² (მნიშვნელობით:
„შეგნებულად არ შემჩნევა რეალობის, საშიშროების, სირაქ-
ლემის პოზიციაში ყოფნა“). ტექსტში შენარჩუნებულია მოცე-
მული კოდიფიცირებული იდიომის სურათ-ხატი, მაგრამ გამო-
ტოვებულია ამ იდიომის ორი კომპონენტი: „der Kopf“ და
„stecken“ (თავის ჩარგვა). ისინი ჩანაცვლებულია ზმნით “ver-
schwinden“ (გაქრობა). ავტორის მიერ მოდიფიცირებული
იდიომის ნეგატიურ მნიშვნელობას („ქვიშაში გავერით“) „ში-

¹ გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, 64.

² იქვე, 123, 207.

შის“ კონოტაცია დაემატა და იდიომი ბევრად უფრო ინტენსიური და ემოციური გახდა.

3. სიყვარული/მოწონება

იდიომის - „j-n mit den Blicken verschlingen“ („ლამის თვალებით ჩაყლაპა“) - ექსპრესიულობის წყაროა მისი მეტაფორული ხატოვნება. იდიომის მნიშვნელობაა: მოწონება, შეყვარება. წინადადებაში - „Er schien sie **mit den Blicken regelrecht zu verschlingen**“ [Haratischwili 2014 : 130] - ექსპრესიულობისა და პოზიტიური ემოციის (მოწონებისა და სიყვარულის) გამოხატვა გაძლიერებულია სიტყვის *regelrecht* (აქ: „ლამის“) ჩამატებით.

4. აღფრთოვანება

ხატოვანი იდიომი - „für j-n, etwas Feuer und Flamme sein“ (სიტყვასიტყვით: „ცეცხლი და ალი იყო ვინმესთვის“) - გადმოსცემს პერსონაჟის ძლიერ აღტაცებას, აღფრთოვანებას: „Das Publikum sei in seinem Club für alles aufgeschlossen und seine Band fände die Idee sicherlich ebenfalls super, und da heute ohnehin ein Freitag sei, könne man direkt dorthin fahren. Natürlich: Sie war sofort **Feuer und Flamme**“ [Haratischwili 2014 : 793]. აქაც იდიომის უშუალო კონტექსტში ემოციის გრადაციის ასამაღლებლად ჩამატებულია სიტყვა „sofort“ (მაშინვე, მყისიერად).

5. გაბედულება

შემდეგ წინადადებაში - „Eines Abends **fasste** ich mir mein großes, blubberndes Herz und fragte...“ [Kant1986 : 94] სიტყვა „das Herz“ ნიშნავს „გულს.“ იდიომის - „das Herz fassen“ - მნიშვნელობაა „გაბედულების მოკრება“. იდიომის ექსპრესიულობას, ინტენსიურობასა და კვანტიტატიურობას მნიშვნელოვნად ზრდის სიტყვების - „gross, blubbernd“ („დიდი, მფეთქავი“) - ჩამატება. ხაზგასმულია პერსონაჟის აფექტური მდგომარეობა.

6. გამოსწორება

იდიომი - „etwas in den Griff bekommen/kriegen“ - ნიშნავს, შედლო რაიმეს გამოკეთება, გამოსწორება: „Alania, du bist sentimental. Du musst dich zusammenreißen und dein Leben wieder **in den Griff kriegen**. Wir kriegen das zusammen hin, wir haben schon Schlimmeres überstanden“[Haratischwili2014 :1008]. იდიომის ზმნური კომპონენტის - kriegen - გამეორება მომდევნო წინადადებაში ემსახურება ექსპრესიულობის გაძლიერებას.

ნეგატიური იდიომებით გამოხატული ემოციებია:

1. გაბრაზება, განრისხება

პერსონაჟი გაბრაზებას გამოხატავს ორივე იდიომით ექსპლიციტურად, თუმცა არავერბალურად, ინტონაციისა და ძახილის ნიშნის მეშვეობითაა გადმოცემული მისი ყვირილი, რაც ამდაფრებს ემოციის გამოხატვას:

„- Sag ihm, er soll **aus dem Weg gehen!**“ rief sie ihm zu.“ Oder **ich fahre ihn eigenhändig über den Haufen!**“ [Haratischwili 2014 : 517].

პირველი იდიომი - „aus dem Weg gehen“ - ნიშნავს, „ვინმეს გზიდან ჩამოეცალო“; მეორე იდიომი - „Jmdn. über den Haufen rennen/ fahren/ reiten“ - ნიშნავს, „ვინმეს ან რამეს გადაუარო, დაეჯახო, წააქციო“.¹

2. შიში

შიშის ექსპლიციტური გამოხატვა გაძლიერებულია შიშის ალმნიშვნელი ორი იდიომით („vor Angst in die Hosen machen“ (მნიშვნელობით: „ძლიერი შიშის ჭამა, შიშისგან ლამის გულის წასვლა“) და „Gummi Beine haben/ bekommen“ (მნიშვნელობით:

¹ იქვე, 163, 448.

„შიშისაგან მუხლების აკანკალება, ფეხზე ვერდადგომა“¹ და მიკროკონტექსტში შიშთან დაკავშირებული ლექსიკის – „Himmel, Angst“ – ჩართვით: „Himmel, ich habe **mir fast in die Hosen gemacht vor Angst...** Wie du mir damals geholfen hast“, sagte sie und zupfte ihren Rocksäum über die Knie, „ das war wirklich nett. **Meine Knie waren weich wie Gummi**, solche Angst hatte ich. Ich weiß gar nicht, was mit mir los war“ [Kant1986 : 89].

3. საფრთხე

მომდევნო იდიომში – „es geht/ kommt hart auf hart“ – სიტყვა „hart“-ის (მნიშვნელობით: „მაგარი“) სემანტიკური გაორმაგება იდიომის ექსპრესიულობის წყაროა, რაც ემსახურება ინტენსიურობისა და კვანტიტატიურობის წარმოჩენას. იდიომის მნიშვნელობაა: „საქმე კრიტიკულ ზღვრამდეა, საშიშ ფაზაშია შესული“:² „Zudem war Simon ein Mann des Militärs und sollte es **hart auf hart kommen**, würde er auch für die Noten von nutzen sein“ [Haratischwili 2014 : 61].

4. აღელვება

მოცემული წინადადების ხატოვან იდიომში – „**Stasjas-tockte der Atem**“ [Haratischwili 2014 : 107] – შეცვლილია ზმნური კომპონენტი. ლექსიკონებში კოდიფიცირებულია მხოლოდ იდიომი: „J-m nimmt/versetzt/verschlägt (etwas) den Atem“, „სუნთქვის შეკვრა (რადაცის გამო).“ ეს უზუალური იდიომი მწერლის მიერ მოდიფიცირებულია სუბსტიტუციის (ჩანაცვლების) ხერხით. იდიომის ზმნური კომპონენტის ჩანაცვლება სინონიმური ზმნით „stocken“ უფრო ინტენსიურად გამოხატავს აღელვების ემოციას (მნიშვნელობით: აღელვებისაგან „სუნთქვის შეკვრა“).

¹ იქვე, 179,199.

² იქვე, 162.

5. განადგურება, მოკვლა

მომდევნო მაგალითში ადამიანის განადგურების, მისი მოკვლის სურვილი გადმოცემულია ორი იდიომით: „die Finger um den Hals legen“ (მნიშვნელობით: „ვინმესთვის კისრის მოტეხა, ვინმეს განადგურება“) და „j-m den Hals umdrehen“ (მნიშვნელობით: „ვინმესთვის კისრის მოგრეხა“). ორივე იდიომშია სიტყვა „der Hals,“ რომლის ორმაგი გამოყენება მიკროკონტექსტში, ემოციის გამოხატვას მნიშვნელოვნად ამძაფრებს: „Wenn hier j-m der Hals umgedreht werden sollte, dann diesem Mann. Ich hätte nie gedacht, dass ich mir mal mit solch grenzlosem Vergnügen ausmalen würde, einen anderen Menschen umzubringen. Aber ich bin sicher, wenn ich einmal **die Finger um den Hals legendürfte...**“ [Kant1986 : 138].

6. გამოუვალი სიტუაცია

შემდეგი წინადადების ხატოვანი იდიომი – „Jmdn. in Getriebe treiben“, მნიშვნელობით: „ვინმეს კუთხეში, ჩიხში მიმწყვდევა, გამოუვალ სიტუაციაში ჩაყენება“ – აღწერს აფექტურ სიტუაციას და გამოირჩევა ექსპრესიულობით. ემოცია ძლიერდება სიტყვის – „eng“ („ვინრო“)¹ –ჩამატებით: „Er fühlte sich sowohl ideologisch wie finanziell **in die enge Getriebe** und seine Hoffnung, dass die Liberalen sein Land gegen die Kommunisten verteidigen würden, schwand von Tag zum Tag“ [Haratischwili 2014 : 72].

7. ნუხილი, ტირილი

წინადადებაში „Stasja spürte, wie ihr Tränen in die Augen schossen“ [Haratischwili2014 : 107] უზუალური იდიომის – „Jmdm. treten/ kommen Tränen in die Augen“² [Haratischwili 2014 : 107] – ვარიაციული ზმნური კომპონენტები შეცვლილია ემოციის გა-

¹ იქვე, 95.

² იქვე, 403.

ცილებით უფრო ინტენსიურად გამომხატველი ზმნით: „schießen“ (აქ: თვალზე ცრემლები მოასკდა). ადგილი აქვს იდიომის კომპონენტის სუბსტიტუციას.

8. იმედის დაკარგვა

ლექსიკონებში ფიქსირებული იდიომის – „die Hoffnung verlieren“ – მნიშვნელობაა „იმედის დაკარგვა“, რომელიც ავტორს გაცილებით ინტენსიურად აქვს გადმოცემული ზმნური კომპონენტის სუბსტიტუციის მეშვეობით და სიტყვის – „alle“ („ყველა“) – დამატებით. მოდიფიცირებული იდიომის მნიშვნელობაა: „Dann sind alle Hoffnungen begraben“ („ყველა იმედის დასამარება“) ავტორის მიერ ტრანსფორმირებული იდიომი ბევრად უფრო ხატოვანი და ექსპრესიულია, ვიდრე მისი უზუალური ვარიანტი [Haratischwili 2014 : 276].

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ემოციები განსაზღვრავენ ჩვენი ცნობიერების მდგომარეობას, აზროვნებისა და მოქმედების პროცესებს. ისინი რეპრეზენტირებული არიან ადამიანის ეგზისტენციალური ყოფისა და გამოცდილების თითქმის ყველა სფეროში. ექსპრესიული იდიომებით ემოციების გამოხატვა ენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციად უნდა ჩაითვალოს.

ის, თუ როგორ გამოიხატება ემოციები ენაში, დამოკიდებულია ერის კულტურაზე, საზოგადოებრივ ნორმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის აზროვნებასა და ქცევას და მოცემული ენის კანონზომიერებებზე.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ავტორის მიერ სხვადასხვა ხერხით მოდიფიცირებული ემოციური იდიომები წარმოადგენს რეაქციას ცალკეულ გამომწვევ ვითარებაზე და ემსახურება განსაზღვრული ემოციების წარმოჩენასა და პერსონაჟის შეფასებების გადმოცემას. ასეთი იდიომები ხასიათდება ხატოვნებით (მეტაფორული ან მეტონიმიური გადააზრებით), ბგერითი და რიტმული მახასიათებლებით, სემანტიკური (მსგავსი სიტყვების) გაორმაგებით და ა.შ.

პოზიტიური იდიომების ხატოვნებისა და ექსპრესიულობის გასამძაფრებლად ავტორი იყენებს ტრანსფორმაციის განსაზღვრულ ხერხებს: იდიომში ან მის უშუალო გარემოცვაში სიტყვების ჩამატება, იდიომის კომპონენტების გამოტოვება ან მათი ჩანაცვლება სხვა სიტყვებით (სუბსტიტუცია), სემანტიკური გაორმაგება (იდენტური ან მსგავსი სემანტიკის სიტყვების ორმაგად გამოყენება იდიომში ან მის მიკროკონტექსტში).

ნეგატიური ემოციის გასაძლიერებლად ავტორი იყენებს მოდიფიკაციის შემდეგ ხერხებს: იდიომის კომპონენტის ორმაგი ნომინაცია იდიომში ან მის მიკროკონტექსტში, იდიომში ემოციის გამაძლიერებელი სიტყვის ჩამატება, ემოციის ვერბალური (იდიომით) და არავერბალური (ინტონაცია, პუნქტუაცია) საშუალებებით გამოხატვა და იდიომის კომპონენტის სუბსტიტუცია (ჩანაცვლება სხვა სიტყვით).

მოდიფიცირებული იდიომები მარკირებული ელემენტებია. ისინი გაცილებით ხატოვანი და ექსპრესიულია თავის უზუალურ შესატყვისებთან შედარებით, უფრო მძაფრად გამოხატავს ემოციების მრავალფეროვან სპექტრს, პერსონაჟის შეფასებებს, აფექტურ განწყობებს, რაიმე თვისების ან მოვლენის სიჭარბეს და ემსახურება ემოციების ხაზგასმას, ინტენსიურობისა და კვანტიტატიურობის მანიფესტაციას.

ლიტერატურა:

- Burger H. (1984, 2010)**, Phraseologie. Eine Einführung am Beispiel des Deutschen, Berlin : Erich Schmidt Verlag;
- Fleischer W. (1982, 1997)**, Phraseologieder deutschen Gegenwortsprache,Tübingen : Max Niemeyer Verlag;
- Haratischwili N. (2014)**, Das achte Leben (für Brilka), Frankfurter Verlagsanstalt;
- Kant H. (1986)**,Die Aula, Gebundenes Buch, Berlin : Verlag Rütten und Loening;

- Jachnow H. (2001)**, Quantität und Graduierung als kognitiv-semantische Kategorien, Wiesbaden : Harrassowitz Verlag;
- Korhonen J. (2007)**, Probleme der kontrastiven Phraseologie, In: Burger, H. u. a. Phraseologie; Ein internationales Handbuch der zeitgenössischen Forschung, Berlin : Walter de Gruyter;
- Leis C. (2010)**, Evaluative und emotionale Tendenzen in Zeitungstexten, In: Vančková, L. u. a. Aspekte der Emotionslinguistik, Ostrava : Universitätsverlag;
- Wolf N. R. (2010)**, Gibt es eine Grammatik der Emotionen? Studia Germanistica 6, Ostrava : Universitätsverlag.
- ლექსიკონები:**
- აბაშიძე მ. (2006)**, გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, „საქართველოს მაცნე“;
- Duden. Deutsches Universalwörterbuch, 5 (2003)**, überarbeitete Auflage. Mannheim. Leipzig. Wien. Zürich: Dudenverlag;
- Lexikon der Fremdwörter (2005)**, Königswinter: Tandem Verlag GmbH;
- Немецко-русский фразеологический словарь (1975)**, ред. Бинович, Л.Э.; Гришин, Н.Н. Москва: „Русский язык“.

The paper starts with the analysis of the existing scientific works and opinions of modern scholars regarding German idioms and their peculiarities. The paper outlines outstanding features of idioms: expressiveness, impulsiveness, spontaneity, emotive charge, figurativeness, intensity and quantitiveness. Based on the analysis of the theoretical approach, it is considered that none of the linguistic signs can be a priori expressive, emotive or figurative, because each sign represents a result of interaction of certain factors in a specific communicative situation. The expressiveness of idioms has been assessed as a dominant category, embracing emotive charge, evaluation, intensity and quantitiveness. Therefore, the topic of the research is “The Ways of Reflection of Emotive Idioms in the Literary Text“.

Based on the examples taken from literary texts, it is proved that expressive idioms chiefly express the following: emotion, in-

tensity, quantitiveness, emphasis and underlining. Emotive idioms embrace a broad spectrum of emotions, which can be divided into three main categories: evaluation, impulse and verdict. The study of emotive, evaluative connotations of idioms has proved that impulse is related to the positive and negative connotations of expressive idioms. The paper describes thematic groups of positive idioms (related to love, gratitude, courage, delight, improvement) and negative idioms (related to anger, destruction, fear, threat, anxiety, worry, despair, inevitability). The paper also describes the ways of modification of emotive idioms, leading to significant increase in the degree of figurativeness and expressiveness.

In order to increase the degree of expressiveness and figurativeness of positive idioms, the author uses certain means of transformation: insertion of additional words in the idiom or its immediate context, omission of the components of the idiom or their substitution with other words, semantic repetition (double use of identical or similar words in the idiom or its micro-context).

In order to enhance the negative emotion, the author applies the following means of modification: double nomination of the component of the idiom either in the idiom itself or in its micro-context, insertion of intensifying words in the idiom, expression of emotion by verbal (idiom) or non-verbal (intonation, punctuation) means, substitution of the component of the idiom by another word etc.

The emotive idioms modified by various means are characterized by figurativeness (metaphoric or metonymic transformation), peculiar sound and rhythm, semantic repetition (double use of similar words) and so on.

Modified idioms are marked elements. They are far more expressive and figurative than their usual correlates; they emphasize emotions, evaluations, impulses of the main character, excess of a certain quality or phenomenon. They underline emotions and manifest intensity and quantity.

ალენ გინზბერგის ლექსის „სუპერმარკეტი
კალიფორნიაში“ ორიგინალისა და თარგმანის
შეპირისპირებითი ანალიზი
A comparative analysis of the original and translation of
Allen Ginsberg’s poem „A Supermarket in California“

მერი სამაკაშვილი
Meri Samakashvili

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

საკვანძო სიტყვები: ალენ გინზბერგი, უოლტ უიტმენი,
კონსუმერიზმი, კონფორმიზმი, პოეზიის თარგმნა.
Key words: Allen Ginsberg, Walt Whitman, consumerism, conformism,
translation of poetry.

ლექსი „სუპერმარკეტი კალიფორნიაში“ ალენ გინზბერგმა 1955 წელს დაწერა. იგი ბით თაობის წარმომადგენელი ამერიკელი პოეტია. ბით მოძრაობა ამერიკული სოციალური და ლიტერატურული მიმდინარეობაა, რომელიც 1940-იან წლებში გაჩნდა, ხოლო საზოგადოებაში აღიარება 1950-იან წლებში მოიპოვა. ლექსის შინაარსიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ლირიკული გმირი თავად ალენ გინზბერგია. ავტორის მსგავსად, მე-20 საუკუნის ამერიკით ისიც უკმაყოფილოა და მის ანმყოსა და მომავალზე ღელავს.

„სუპერმარკეტი კალიფორნიაში“ მშვიდი სურათით იწყება. ლირიკული გმირი ერთ საღამოს მთვარის შუქზე კალიფორნიის ქუჩებში სეირნობს და თავის საყვარელ პოეტზე – უოლტ უიტმენზე – ფიქრობს. უ. უიტმენი მე-19 საუკუნეში მოღვაწეობდა. მას ამერიკული პოეზიის სულისჩამდგმელად და ვერლიბრის მამად მიიჩნევენ. მან უგულვებელყო თავისი ეპოქის პოეტური ნორმები და შეეცადა უფრო ცოცხალი პოეზიის შექმნას სტროფებისა და სტრიქონების თავისუფალი ფორმის მეშვეობით. ალენ გინზბერგი ცდილობდა, მისთვის მისაბაძი პოეტის მემკვიდრეობა სტილისტურად და თემატურად გაეგრძელებინა.

ამგვარად, ფიქრებში გართული ლირიკული გმირი, რომელსაც თავის ტკივილი აწუხებს და შიმშილით დაღლილა, სუპერმარკეტში შედის. ეს შიმშილი არა მარტო ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა, არამედ აქ სულიერი შიმშილიც იგულისხმება. შიგნით შესულს, უამრავი ხილბოსტნეული დახვდება, რომლის შესაძენად ქმრები, ცოლები და ბავშვები გვიან ღამით მისულან. იგი საზამთროებთან ფედერიკო გარსია ლორკასაც შეამჩნევს. აღსანიშნავია, რომ ალენ გინზბერგი მასთანაც სულიერ სიახლოვეს გრძნობდა. ესპანელი დრამატურგი და პოეტი ფედერიკო გარსია ლორკა ესპანეთის ფაშისტურმა ხელისუფლებამ 1936 წელს მოკლა, რადგან თვლიდნენ, რომ კულტურულ და პოლიტიკურ საფრთხეს უქმნიდა ესპანეთის მმართველ ფაშისტებს თავისი ჰომოსექსუალისტური და არატრადიციული

ცხოვრების გამო. შესაბამისად, იგი კონტრკულტურის წარმომადგენელი კიდევ ერთი ფიგურაა, რომელიც სოციალურ ნორმებს დაუპირისპირდა [ინტერნეტრესურსი 1].

მეორე სტროფში ლირიკული გმირი მართოხელა და უშვილო უოლტ უიტმენტან შეხვედრას წარმოიდგენს, რომელიც მაცივართან დგას და ხორცს შორის აფათურებს ხელს; ამავე დროს, სუპერმარკეტში მომუშავე ყმანვილებს უმზერს და შეკითხვებს უსვამს. ამის შემდეგ ლირიკულ გმირს საყვარელი პოეტი სექციებს შორის მიუძღვის და ისინი საფასურის გადახდის გარეშე აგემოვნებენ სხვადასხვა პროდუქტს. მის წარმოსახვაში მათ სუპერმარკეტის კონსულტანტი მიჰყვებათ უკან. გასინჯული პროდუქტებისთვის საფასურის გადაუხდელობით რეალობაში თუ არა, სულ მცირე, ლირიკული გმირის წარმოსახვაში ის და მისი წინამძღვარი პოეტი საზოგადოებრივ ნორმებსა და წესებს უპირისპირდებიან.

მესამე სტროფში მთავარი პერსონაჟი აანალიზებს, რომ ეს „ეპიკური მოგზაურობა“ სუპერმარკეტში მხოლოდ ოცნებაა. ისურვებდა, რომ მათ ერთად წარმოედგინათ „სიყვარულ-დაკარგული ამერიკა“, როდესაც თავიანთი მყუდრო კოტეჯისკენ მიმავალნი ლურჯ ავტომობილებსა და იდენტურ სახლებს ჩაუვლიან. საბოლოოდ, ლექსი უ. უიტმენისადმი უპასუხო შეკითხვით მთავრდება, თუ როგორი იყო ამერიკა მისი გარდაცვალების დროს, როდესაც ქვესკნელის მენავე ქარონმა მიცვალებულთა სამყაროში გადაიყვანა მისი სული.

უოლტ უიტმენი ქვესკნელში მდინარე ლეთეს ნაპირთან მდუმარედ დგას, რაც სრულიად ეწინააღმდეგება მისი ლექსების ენერგიულობასა და სიცოცხლისუნარიანობას. ამაობის გრძნობა კიდევ უფრო მძაფრდება, რადგან წინამძღვარი ისევ ქვესკნელშია, ლირიკული გმირი კი სუპერმარკეტიდან სახელში ბრუნდება და არცერთი მათგანი არ არის სანატრელ ამერიკაში.

მთავარი გმირის „მოგზაურობა“ კარგად დამკვიდრებული არქეტიპია ლიტერატურაში. ჰომეროსის „ოდისეასა“ ან დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიაში“ კონკრეტული სახის მოგზაურობებია აღწერილი. ალენ გინზბერგი ამ არქეტიპს ირონიულ დატვირთვას აძლევს. მისი ლირიკული გმირი რეალურად არსად არ მიდის და არც ნამდვილი თავგადასავალი არ გადახდება თავს, ეს მხოლოდ მის გონებაშია. ლექსი, სავარაუდოდ, მიგვანიშნებს, რომ ამგვარი მოგზაურობა კონსუმერისტულ ამერიკაში შეუძლებელია. ლიტერატურაში მკითხველისთვის ასევე ნაცნობი მოტივია ცნობილი პოეტის წინამძღოლად არჩევა. მაგალითად, დანტეს ჯოჯოხეთში ძველი რომაელი პოეტი ვირგილიუსი მიუძღვის. ამ ლექსში ალენ გინზბერგი წინამძღოლად უოლტ უიტმენს ირჩევს. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ვირგილიუსი თავდაჯერებულია, რადგან მან იცის გზა ქვესკნელში, უ. უიტმენი კი ლექსში წარმოდგენილ სამყაროში, მე-20 საუკუნის ამერიკაში, დაკარგული და დაბნეულია [ინტერნეტრესურსი 1].

ლექსში ა. გინზბერგი რამდენიმე ძირითად საკითხს წამოწევს წინ. იგი საჭაროდ უპირისპირდება მე-20 საუკუნის ამერიკაში გაბატონებულ კონსუმერიზმსა და კონფორმიზმს. „სუპერმარკეტი კალიფორნიაში“ იმ დროს დაიწერა, როდესაც ომის შემდგომი ეპოქის ამერიკა აღდგენას ცდილობდა და ხალხს მშვიდი ცხოვრება სურდა. კონსუმერიზმი ცხოვრების ისეთ წესს გულისხმობს, როდესაც ადამიანები ორიენტირებულნი არიან ნივთების შეძენასა და ქონების დაგროვებაზე, მათ აქვთ ფული და შესაძენი ნივთების ფართო არჩევანი. ლირიკული გმირისთვის სუპერმარკეტში არსებული გარემო – პროდუქტით სავსე დახლები, ცოლებით, ქმრებითა და ბავშვებით სავსე სექციები – მიუღებელია. იქ უოლტ უიტმენის წარმოდგენით ცდილობს, წარმოიდგინოს, როგორი შეიძლება იყოს განსხვავებული ამერიკა. თუმცა იგი პირდაპირ არ საუბრობს ამაზე, არამედ მისტიკურ სიყვარულით აღსავსე ამერიკას, ანუ ისეთს, როგორიც იყო ის ოდესღაც.

პოეტი ლექსში აკრიტიკებს კონფორმიზმს. მე-20 საუკუნის ამერიკელებს სჯეროდათ, რომ ბედნიერების განმსაზღვრელი ბევრი და ერთნაირი ნივთის შექმნა იყო. ამის ნათელი მაგალითია მაგისტრალზე მიმავალი „ლურჯი ავტომობილები“. ხალხი გარეუბნებისაკენ მიიწევდა და ცხოვრების სტილით ყველა ერთმანეთს ემსგავსებოდა.

ალენ გინზბერგი არაპირდაპირ საუბრობს საზოგადოებისთვის პოეზიის მნიშვნელობაზე, ამის დასტურია ლექსში ორი ცნობილი პოეტის გამოჩენა. ლირიკული გმირი წუხს, რომ თანამედროვე ამერიკაში აღარ აფასებენ ფანტაზიასა და შემოქმედებით ნიჭს, რადგან სხვა ღირებულებები გახდა მნიშვნელოვანი.

ლექსის კიდევ ერთი ძირითადი თემაა ჰომოსექსუალიზმი. როგორც ცნობილია, ალენ გინზბერგი, უოლტ უიტმენი და ფედერიკო გარსია ლორკა განსხვავებული ორიენტაციის პოეტები იყვნენ. სამივე მათგანი იმ ეპოქებში ცხოვრობდა, როდესაც ჰომოსექსუალიზმი ტაბუდადებულ თემად ითვლებოდა.

ლექსში ალენ გინზბერგი ჰომოსექსუალიზმზე პირდაპირ განზრახ არ საუბრობს, არამედ თავის მკითხველს სიმბოლოების საშუალებით მიანიშნებს, რომ ჰომოსექსუალიზმი და არატრადიციული ურთიერთობები ფარულად ყოველთვის არსებობდა. უოლტ უიტმენის მიერ მაცივარში ხორცს შორის ხელის ფათური და თანამშრომელი ბიჭების ყურება მინიშნებაა მის სექსუალურ ლტოლვებზე.

პოეტი დასახული მიზნის მისაღწევად და მრავალფეროვნებისთვის სხვადასხვა სტილისტურ ხერხს იყენებს, როგორებიცაა: ალიტერაცია, ეპითეტი, მეტონიმი, ანაფორა, კონსონანსი, ასონანსი, ასინდეტონი, პოლიპტოტონი. იგი ასევე იყენებს რიტორიკულ შეკითხვებს, მეტაფორებს და ალუზიებს და მოეხსიან, რომ მკითხველს ისტორია, პოეზია და მითოლოგია მათ ამოსაცნობად სათანადოდ ეცოდინება. ლექსი ქართულ ენაზე ნათარგმნია ქართველი მთარგმნელის, ქეთი თუთბერიძის მიერ. მისი თარგმანი განთავსებულია Demo.ge-ზე, პოპულა-

რულ ვებგვერდზე. უცნობია თარგმნის თარიღი. საინტერესოა, თუ როგორ ახერხებს იგი ზემოთ ნახსენები სტილისტური ხერხების შენარჩუნებას თავის თარგმანში.

თარგმანის თეორეტიკოსი გივი გაჩეჩილაძე თავის წიგნში – „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“ – პოეტური ტექსტის თარგმანთან დაკავშირებით ერთ ქვეთავს უძღვნის ალიტერაციის თარგმნას. იგი მიუთითებს ალიტერაციის თავდაპირველ ფუნქციაზე, რომ იგი რითმის ფუნქციას ასრულებდა და შემდეგ გადავიდა კონვენციურ ლექსში. გ. გაჩეჩილაძე სვამს შეკითხვას, ითარგმნება თუ არა ალიტერაცია და პასუხს თავადვე სცემს, რომ ალიტერაციის თარგმნა შესაძლებელია. იგი შეიძლება თარგმანში გადმოვიდეს, მაგრამ ვერ გაიმეორებს იმავე ბგერას, რომელზეც ორიგინალში მოდის. ამიტომ მთარგმნელებს ურჩევს, ყურადღება არა ბგერების გამეორებაზე, არამედ შინაარსობრივ-აზრობრივი ნიუანსების შენარჩუნებაზე გადაიტანონ და თარგმანში ალიტერაცია შეცვალონ მჟღერი და მკვეთრი სიტყვებით [გ. გაჩეჩილაძე 2014]. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ალიტერაციის გამეორებაც. მაგალითად, Hills of Annesley ი. მერაბიშვილმა ალიტერაციის შენარჩუნებით თარგმნა, როგორც ენსლის სერები [ი. მერაბიშვილი 2005].

ალენ გინზბერგი უოლტ უიტმენის სახელს *Walt Whitman* უკავშირებს სიტყვა სეირნობას *Walked*. რადგან ლექსში უოლტ უიტმენის ფუნქციაა, ლირიკული გმირს წინამძღოლობა გაუწიოს, შესაბამისად, მას უნდა უკავშირდებოდეს სიარულის მოქმედების აღწერაც. ამავე მოტივით იყენებს ავტორი /w/ ბგერის ალიტერაციას მესამე სტროფშიც: **where, we, Walt Whitman, which way** და **will we walk** (*Where are we going, Walt Whitman? The doors close in an hour. Which way does your beard point tonight? Will we walk all night through solitary streets?*). ქ. თუთბერიძემ თარგმანში ალიტერაცია ვერ შეინარჩუნა. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ, როდესაც უ. უიტმენი სუპერმარკეტშია, მისთვის უცხო გარემოში, მისი სახელი არცერთ სიტყვასთან

არ ქმნის ალიტერაციას. ამით ავტორი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, თუ რამდენად უცხოა ეს სამყარო ლირიკული გმირის წინამძღოლისთვის.

ავტორი რამდენიმე მეტაფორას იყენებს. შიმშილით დაღლილი ლირიკული გმირი, რომელიც პოეტური ხატების საყიდლად მიდის, ნეონის ხილის სუპერმარკეტში შედის და უ. უიტმენის ჩამონათვალზე ოცნებობს. **შიმშილით დაღლილი (hungry fatigue)** მეტაფორაა. ლექსის მთავარი გმირი მის დასაკმაყოფილებლად სუპერმარკეტში შედის. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ საკვებთან დაკავშირებული შიმშილი არაა, მასში სულიერი და ინტელექტუალური შიმშილიც იგულისხმება. აღნიშნული მეტაფორა თარგმანში შესაბამისადაა შენარჩუნებული. **ხატების ყიდვა (shopping for images)** ასევე მეტაფორაა. იგი აღწერს პოეტის შემოქმედებით პროცესს, რაც ლექსისათვის შესაბამისი პოეტური ხატებისა და ფრაზების მოფიქრებას მოითხოვს. მთავარ პერსონაჟს იმედი უცრუვდება, როდესაც, სუპერმარკეტში შესულს, პოეზიის შესაბამისი ხატები კი არ დახვდება, არამედ – სანახაობა, რომელიც მისთვის მიუღებელი რეალობაა. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეტაფორა ლექსის თარგმანში უგულებელყოფილია, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია. **ნეონის ხილის სუპერმარკეტი (Neon fruit supermarket)** გულისხმობს, რომ თანამედროვე ამერიკაში წარმოება ზედმეტად სრულყოფილი და მიმზიდველია და რომ პროდუქტები აღარ უკავშირდება წარმოების ადგილს. თუ ადრე შეიძლებოდა, რომ პური ხაბაზისგან შეგეძინა, ხორცი – ყასაბისგან, ხილი და ბოსტნეული – ფერმერისგან, ახლა ყველაფერი ერთ სივრცეშია მოქცეული. შესაბამისად, მწარმოებელსა და მყიდველს შორის ურთიერთობა განყდა. ლირიკულ გმირს აწუხებს, რომ ადამიანური ურთიერთობები გაქრა და მის თანამედროვე ამერიკაში ყველაფერი ისეთი ხელოვნურია, როგორც ნეონის ხილის სუპერმარკეტი. რაც შეეხება ქეთი თუთბერიძის თარგმანს, მასში სიტყვა **fruit (ხილი)** დაკარგუ-

ლია და წარმოდგენილია როგორც **ნეონის შუქით განათებული სუპერმაჩკეტი**.

მეტონიმის ვხვდებით ლექსში, როდესაც ლირიკული გმირი წინამძღოლს ეუბნება, რომ იგი *ოცნებობს მის ჩამონათვარზე (dreaming of your enumerations)*. სიტყვა, *enumerate* Dictionary.ge-ს მიხედვით, ნიშნავს დათვლას, გადათვლას შესაბამისად, საკმაოდ შესაფერისი ტერმინია სუპერმარკეტის გარემოსთვის [ინტერნეტრესურსი 2]. მაგრამ ის ასევე უოლტ უიტმენის პოეტურ სტილზეც მეტყველებს, რომელიც კარგად იგრძნობა მის კრებულში – „ბალახის ფოთლები“. პოეტი თავის შემოქმედებაში ხშირად ასახავდა საკუთარი თვალით დანახულ ამერიკას მთელი თავისი სიცოცხლისუნარიანობითა და ცვალებადობებით [ინტერნეტრესურსი 1]. ამაზე ხაზგასმით პოეტი მკითხველს მიანიშნებს, რომ სუპერმარკეტში ისეთი სამყაროს დანახვა სურს, როგორზეც უოლტ უიტმენი საუბრობს თავის ლექსებში. ვინაიდან, არსებით სახელში *enumerations* უოლტ უიტმენის შემოქმედება იგულისხმება, ქ. თუთბერიძემ მკითხველს აღქმა გაუმარტივა და იგი შეცვლა სიტყვით – **დექსები**, რაც, ჩვენი აზრით, სწორი გადაწყვეტილებაა.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს კონსონანსი. ლექსის მეორე სტრიქონში მეორდება /n/, /m/, /f/, /t/ ბგერები. თანხმოვანთა ასეთი მრავალფეროვნება მიგვანიშნებს, თუ როგორი სავსეა სუპერმარკეტი ნაირგვარი საკვებით და როგორი მიმზიდველია კონსუმერიზმი: *In my hungry fatigue, and shopping for images, I went into the neonfruit supermarket, dreaming of your enumerations !* [ინტერნეტრესურსი 3]. ქ. თუთბერიძე თავის თარგმანში /შ/, /ლ/, /ს/ და /ნ/ ბგერების გამეორებით კონსონანსს ინარჩუნებს: **შიმშილით დაღლილს, ნეონის შუქით განათებულ სუპერმაჩკეტში, მაგონებოდა შენი დექსები** [ინტერნეტრესურსი 4].

ასონანსია გამოყენებული ტაეპში: *lonely old grubber, poking among the meats* [ინტერნეტრესურსი 3]. გრძელი /o/ ხმო-

ვანი სევდიან განწყობას ქმნის და მკითხველს აგრძნობინებს უოლტ უიტმენის მარტოსულობას. ასონანსი მთარგმნელს თარგმანში /ე/ ხმოვნის გამეორების საშუალებით გადააქვს: ბავშვის *გაჩეშე, მაჩგოსური, ბებეჩი გღეხი*. საყინუდეში ხედის ცეცებით *ედებღი უმ ხოხცს* [ინტერნეტრესურსი 4].

ასინდეტონი განგაშის ატმოსფეროს ქმნის, რადგან ლექსის ტემპი ჩქარდება: *The trees add shade to shade, lights out in the houses, we'll both be lonely* [ინტერნეტრესურსი 3]. აღნიშნული სტილისტური ხერხი ქ. თუთბერიძის თარგმანშიც გადატანილია: *ხეები ხეებს ესვჩიან ჩხდიდებს, ღამის სახლებში ქჩება სინათდე. იქნებ ოჩივე მაჩგოსური ვაჩთ?* [ინტერნეტრესურსი 4].

პოეტი ლექსში არაერთხელ მიმართავს რიტორიკულ შეკითხვას, რაც მკითხველს ლირიკული გმირისა და მისი წინამძღოლის დაბნეულობას აგრძნობინებს. რიტორიკულ შეკითხვას სვამს მთავარი პერსონაჟი, როდესაც თავის ხილვაში ფედერიკო გარსია ლორკას ხედავს საზამთროებთან: ***and you, Garcia Lorca, what were you doing down by the watermelons?*** [ინტერნეტრესურსი 3]. ესპანელი პოეტის გამოჩენა დაბლა საზამთროებთან მინიშნებაა იმაზე, რომ ის მალულად ასრულებდა აკრძალულ მოქმედებას. იგულისხმება მისი არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია.

ალენ გინზბერგი ესპანელ პოეტს მიმართავს როგორც ***გაჩსია დჩკას (Garcia Lorca)***, ქ. თუთბერიძეს კი მისი სახელი სრულყოფილად გადმოაქვს და მას ***ფედეჩიკო გაჩსია დჩკად*** იხსენიებს. ფრაზა ***what were you doing down by the watermelons?*** სიტყვასიტყვით ნიშნავს: ***ჩას აკეთებღი დაბღა საზამთროებთან?*** იგი მთარგმნელმა ქართული ენისთვის უფრო ბუნებრივი ფორმით თარგმნა: ***ჩა დაგკაჩგვია საზამთროებთან?*** და, შესაბამისად, შეინარჩუნა რიტორიკული შეკითხვის ფორმაც. მკითხველი ხედავს, რომ გიდად არჩეული პოეტიც კი დაბნეულია მისთვის ახალ გარემოში და ცდილობს, იქაურობა შეისწავლოს. იგი სამ რიტორიკულ შეკითხვას სვამს და თითო-

ეულში განსხვავებული ფარული აზრი დევს: პირველი შეკითხვაა: *Who killed the pork chops?* [ინტერნეტრესურსი 3] (ვინ დაკლა ღორი კატლეტებისთვის?). უოლტ უიტმენი მე-20 საუკუნის ამერიკას მე-19 საუკუნის თვალთახედვიდან აკვირდება და, შესაბამისად, მისთვის უცნაურია, ხორცი არ იყიდებოდეს ბაზარში ყასაბთან, პური – საცხობში და ა.შ. მის დროს უ. უიტმენმა იცოდა, საიდან მოდიოდა საკვები, რადგან მიწოდების ჯაჭვი არ იყო ასეთი ვრცელი და ჩახლართული. ლექსის მიხედვით, კავშირი განწყდა პროდუქტის მწარმოებელსა და პროდუქტის მომხმარებელს შორის; *What price bananas?* [ინტერნეტრესურსი 3] (რა ღირს ბანანები?) ერთი შეხედვით, ბუნებრივი შეკითხვაა, რომელიც შეიძლება სუპერმარკეტში დაისვას. ბანანი, შესაძლოა, ფალოსის სიმბოლო იყოს ან, უბრალოდ, მინიშნება ქვეყანაში იმპორტსა და სავაჭრო ხაზების გაფართოებაზე; მესამე რიტორიკული შეკითხვაა: *Are you my Angel?* [ინტერნეტრესურსი 3] (ჩემი ანგელოზი ხარ?). დაბნეული პოეტი წინამძღვარიც დაკარგულია, მან გზა არ იცის და ეძებს ვინმეს, ვინც მას თვალს ადევნებს, დაიცავს და გზას უჩვენებს. ვინაიდან უოლტ უიტმენი ანგელოზებს სუპერმარკეტში ეძებს, საფიქრებელია, რომ მე-20 საუკუნის ამერიკაში სულიერი საზრდოს ნაკლებობაა, რადგან ადამიანებისთვის მატერიალური ცხოვრება უფრო მნიშვნელოვანია. ქ. თუთბერიძემ რიტორიკული შეკითხვები შესაბამისად გადაიტანა თარგმანში. მრავლობით რიცხვში მოცემული შეკითხვა – *What price bananas?* – მან მხოლობით რიცხვში თარგმნა – *რა ღირს ბანანი*, ხოლო მხოლობით რიცხვში დასმული შეკითხვა – *Are you my Angel?* – თარგმანში მრავლობითი რიცხვის ფორმით გადაიტანა – *ნუთუ თქვენ ჩემი ანგელოზები ხართ?*

ლექსში გვხვდება პოლიპტოტონიც, რაც სხვადასხვა ბრუნვაში ერთი და იმავე სიტყვის მრავალგზის გამეორებას გულისხმობს [ინტერნეტრესურსი 5]. სუპერმარკეტში კონსულტანტის გამოჩენით უკვე აშკარად გამოიკვეთა, რომ ლირიკული გმირი და მისი წინამძღვარი უცხო პირები არიან. შესაბა-

მისად, *ფევნას (following)* მოსდევს *გაფევნება (followed)*, რაც ჭაშუშობისა და ინტრიგის ატმოსფეროს ქმნის. ჩვენი აზრით, მალაზიის კონსულტანტი ამერიკის კანონის მეტაფორაა, რომლის მიხედვითაც, ყველა კანონდამრღვევი უნდა დაისაჯოს. გასინჯული პროდუქტისთვის საფასურის გადაუხდელობით, რეალურად თუ არა, ლირიკული გმირის წარმოსახვაში მაინც, არღვევენ კანონს და ამით პროტესტს გამოხატავენ არსებული ყოფის მიმართ.

ლექსში - „სუპერმარკეტი კალიფორნიაში“ - რამდენიმე ალუზიაც გვხვდება. ჩვენი აზრით, სიტყვა *წიგნი (book)* ალუზიაა უოლტ უიტმენის კრებულზე - „ბალახის ფოთლები“, რომელშიც საუბარია ბუნებასა და მასში ადამიანის ინდივიდუალურ როლზე. სავარაუდოა, რომ ალენ გინზბერგისთვის მისთვის მისაბაძი პოეტის საყოველთაოდ აღიარებული „წიგნი“ ძვირფასი იქნებოდა და იგი სწორედ ამ კრებულზე უნდა საუბრობდეს.

„ლექსში სიტყვა *ოდისეა* ასევე ალუზიაა ძველ ბერძენ ლეგენდარულ ავტორ ჰომეროსზე. მის ეპიკურ პოემაში „ოდისეა“ მოთხრობილია ოდისევსის გასაოცარ თავგადასავალზე ზღვით მოგზაურობისას. ლექსის გარემოდან გამომდინარე, ირონიული შეუსაბამობაა ალუზიასთან იმის გათვალისწინებით, რომ სუპერმარკეტში „მოგზაურობა“ ძნელად შესაძარებელია ოდისევსის მოგზაურობასთან [ინტერნეტრესურსი 1]. ავტორი ამით თითქოს იმის თქმას ცდილობს, რომ ამგვარი თავგადასავალი ან ლიტერატურული ნაწარმოები მე-20 საუკუნის ამერიკაში შეუძლებელია არსებობდეს.

ლექსის ბოლო ნაწილში გვხვდება ალუზია ძველი საბერძნეთისა და რომის კლასიკურ მითოლოგიაზე. ქარონი ქვესკნელის მენავეა, რომელსაც ახალგარდაცვლილთა სულები მიცვალებულთა სამყაროში გადაჰყავს. ლირიკული გმირი წინამძღოლს ეკითხება, თუ როგორი იყო ამერიკა, როცა ის გარდაიცვალა. ლეთე არის განსაკუთრებული თვისებების მქონე ქვესკნელის მდინარე. ვინც მის წყალს სვამს, მეხსიერებას

კარგავს. ჩვენი აზრით, მდინარე ლეთეს ხსენებით ლექსში ალენ გინზბერგს სურდა ეთქვა, რომ ამერიკა, რომელზეც უოლტ უიტმენი ოცნებობდა, საბოლოოდ მხოლოდ მის გონებასა და შემოქმედებაში არსებობდა, პოეტის გარდაცვალების შემდეგ კი დავინწყებას მიეცა.

მოცემულ სტრიქონებში ალენ გინზბერგი ანაფორას იყენებს: **Will we**. ეს ხაზს უსვამს ლირიკული გმირის განწყობას, თუ როგორ ეძებს იგი ინტელექტუალურ, სულიერ და შემოქმედებით წინამძღვარს. მთარგმნელმა თარგმანში ანაფორა შეინარჩუნა, რადგან აღნიშნულ სტრიქონებში იმეორებს სიტყვას **იქნებ**.

ლირიკული გმირი წინამძღოლი პოეტის დასახასიათებლად სამ განსხვავებულ ეპითეტს იყენებს. მისთვის უოლტ უიტმენი *ძვიფასი მამაა (dear father)*, რადგან მან ამერიკული პოეზიის განვითარებისთვის ძალისხმევა არ დაიშურა. იგი ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით ინოვაციური იყო. მეორე ეპითეტი მას ახასიათებს როგორც *ჭალაჩა წვეჩიანს (graybeard)*, რაშიც პოეტის ფილოსოფიური, სულიერი და ინტელექტუალური სიბრძნე იგულისხმება. უ. უიტმენზე ასევე ნათქვამია, რომ *მაჩგოხედა მოხუცი სიმამაცის მასწავლებელი (lonely old courage-teacher)*. აქ კიდევ ერთხელ ხაზი ესმევა, რომ ის ლირიკული გმირის მორალური წინამძღოლია. ქეთი თუთბერიძემ ეპითეტები ორიგინალის შესაბამისად თარგმნა. ხოლო მესამე ეპითეტის - **lonely old courage-teacher** - თარგმნისას მან უგულვებელყო სიტყვები: **მოხუცი** და **სიმამაცის მასწავლებელი**, რომლებიც შეცვალა წარსული დროის ფორმის ზმნით: **შენგან ვისწავდე სიმამაცე!** სანამ უშუალოდ ტექსტისა და ქეთი თუთბერიძისეული თარგმანის შედარებას დავინწყებთ, რამდენიმე სიტყვით შევეხებით ცნობილი თეორეტიკოსების მოსაზრებებს თარგმანზე და, კონკრეტულად, პოეზიის თარგმანზე. თარგმანი და თარგმანის პროცესი რთული ფენომენია და მთარგმნელი მუდმივად ეძებს თარგმანის ენაში სათარგმნი ერთეულის ყველაზე შესაფერის მნიშვნელობას,

შესატყვისს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თარგმანი არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ კულტუროლოგიური პროცესიცაა. ამიტომ მთარგმნელს მოეთხოვება როგორც ორი ქვეყნის კულტურის შესაბამის დონეზე ცოდნა, ასევე კულტურთრეგერობაც.

პოეტური ტექსტის თარგმანზე არცთუ ბევრი ნაშრომი არსებობს ქართულ თარგმანმცოდნეობაში. ერთ-ერთი პირველი, ვინც პოეტური ტექსტის თარგმნის პრობლემებზე საუბრობს და მკითხველს ამ პრობლემების გადაჭრის გზებისკენ მიუთითებს, გივი გაჩეჩილაძეა. მისი აზრით, პოეზიის თარგმნისას მთავარ სირთულეს სწორედ სხვადასხვა ენის ლექსთწყობის სისტემები ქმნის. მკვლევარი დეტალურად განიხილავს კონვენციური, თავისუფალი და თეთრი ლექსის თარგმნის თეორიებს და ასკვნის, რომ ქართველი მთარგმნელისთვის ერთადერთი სწორი და მოქნილი საზომი (როგორც თავად გ. გაჩეჩილაძე უწოდებს – დარბაისლური საზომი) 14-მარცვლიანი ლექსია [გ. გაჩეჩილაძე 2014].

პოეტური თარგმანის თავისებურებებზე მსჯელობს დალი ფანჯიკიძე თავის წიგნში – „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“. იგი აღნიშნავს, რომ თარგმანში შესაძლებელია, შენარჩუნდეს დედნისეული რიტმი და ინტონაცია, მაგრამ ამ ამოცანას შეეწიროს აზრობრივი სიზუსტე, ლექსში გაჩნდეს არარსებული დეტალები, რომლებმაც შემავსებელი როლი ითამაშოს თარგმანის რიტმულ და ინტონაციურ ხმოვანებაში [დ. ფანჯიკიძე 1988 : 33].

საყურადღებოა ინესა მერაბიშვილის ნაშრომიც „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“, რომელშიც იგი ოთხი სახის შინაარსობრივ ინფორმაციას განასხვავებს: 1. ლექსის ზედაპირული შინაარსობრივი ქარგა, ანუ შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია, 2. კონცეპტი, ანუ შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია, 3. ქვეტექსტი, ანუ შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია და 4. ხატი, ანუ შინაარსობრივ-ხატობრივი ინფორმაცია [ი. მერაბიშვილი 2005 : 196]. შესაბა-

მისად, მთარგმნელი საკმაოდ საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე დგება, რადგან მან უნდა შეძლოს ოთხივე სახის შინა-არსობრივი ინფორმაციის ამოცნობა და თარგმანში გადატანა.

პოეტი თავის პოეტურ სახეებს საკუთარ ენაში პოულობს. პოეტური სახის ასეთმა მჭიდრო კავშირმა კონკრეტული ენის სტრუქტურასთან არაერთ მკვლევარს აფიქრებინა, რომ პოეზიის თარგმნა შეუძლებელია. კარგია იმის გაცნობიერება, რომ თარგმანს სირთულეები ახლავს. მაგრამ მეორე მხრივ ვიცით, რომ პოეტურ სახესა და ენას შორის კავშირი შემთხვევითი ხასიათისაა. ეს არის შემთხვევითი განვითარების შედეგი. ის, რაც ერთ ენაზე შემთხვევითია, შემთხვევით შეიძლება სხვა ენაზეც მოიძებნოს. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ დამაკმაყოფილებელი გამოსავლის პოვნა უფრო რთული იქნება მთარგმნელისთვის, ვიდრე თავად დედნის ავტორისთვის. მეორე სირთულე არის ის, რომ პოეტური სახე გარდა იმისა, რომ დაკავშირებულია კონკრეტული ენის სტრუქტურასთან, ჩართული არის კონკრეტული ლიტერატურული და ესთეტიკური ტრადიციების რთულ ქსოვილში. ეროვნული კულტურის ხანგრძლივი განვითარების დროს გარკვეული ლიტერატურული სახეები სტანდარტულ სიმბოლოებად იქცევა, რომლებიც ხშირად გვხვდება ხალხურ სიმღერებში. მთარგმნელი უნდა ეცადოს, რომ ასეთი სიმბოლოები თავის ტექსტში არ გადაიტანოს, რადგან ისინი სამიზნე ენაზე სხვადასხვა სენტიმენტს გამოიწვევს. ამ შემთხვევაში მთარგმნელი სხვა გზას მიმართავს ეკვივალენტური გამონათქვამის მოსაძებნად [Bohuslav Ilek 1970 : 135-137].

სირთულეები, რომლებიც მთარგმნელს ხვდება ლექსის ინგლისურიდან ან სხვა უცხო ენიდან საკუთარ ენაზე თარგმნისას, განსაკუთრებით დიდია, თუ იგი რომანტიკულია ან ლირიკულია. ლირიკული ლექსის ავტორმა ორი ეტაპი უნდა გაიაროს, სანამ თავისი შემოქმედების ნაყოფს დაწერს: 1. მოსამზადებელი ეტაპი (გრძნობებისა და აზრების ეტაპი, რომლებსაც ის შთაგონებამდე მიჰყავს) და 2. შემოქმედებითი

ეტაპი (შეიძლება იყოს უფრო მოკლე ან გრძელი ეტაპი, როდესაც იგი შთაგონების საშუალებით ლექსს წერს). პოეზიის ნამდვილმა მთარგმნელმა, რომელიც მიზნად რთული ამოცანის შესრულებას ისახავს, რაც ლირიკული ლექსის უცხო სამყაროდან საკუთარ ენაზე გადატანას გულისხმობს, უნდა გაიაროს არა ორი, არამედ ოთხი ეტაპი, რათა ეს მისია მაქსიმალურად წარმატებით შეასრულოს. ეს ოთხი ეტაპი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: 1. მოსამზადებელი ან კვლევის ეტაპი; 2. იდენტიფიკაციის ეტაპი ანუ ინგლისური რომანტიკული პოეზიის მთარგმნელის ეტაპი; 3. ორმაგად შემოქმედებითი ეტაპი; და 4. საბოლოო და კრიტიკული ეტაპი. პირველი ანუ მოსამზადებელი ეტაპი საკვლევი პოეტის ცხოვრების გულდასმით შესწავლას გულისხმობს. ეს არის კვლევა, რომელშიც მნიშვნელოვანი დეტალების დიდი ნაწილი შეიძლება შეგროვდეს, რათა ნათელი მოეფინოს პოეტის იმ გრძნობებსა და ფიქრებს, რომლებიც წინ უსწრებდა ლექსის შექმნას. ამ ამოცანის შესასრულებლად მთარგმნელი უნდა იყოს ქეშმარიტი სწავლული, რომელსაც შეეძლება იკვლიოს და დიდი დრო დაუთმოს ლიტერატურის იმ დარგს, რომლიდანაც თარგმნის. მეორე ეტაპი, ანუ იდენტიფიკაციის ეტაპი, ნიჭიერ მსახიობს მოგვაგონებს, რომელიც სპექტაკლისთვის ემზადება და თავისი როლის შესრულებისას საკუთარ თავს პერსონაჟთან აიგივებს. მსგავსად ამისა, ლირიკული პოეზიის ქეშმარიტი მთარგმნელი საკუთარ თავს დედნის ავტორთან აიგივებს და პოეტის გრძნობებსა და ფიქრებს ითავისებს. იმისათვის, რომ ეს შეძლოს, მთარგმნელს პოეტთან განსაკუთრებული სიახლოვე უნდა აკავშირებდეს. შესაძლოა ეტაპი ორმაგად შემოქმედებითია იმ გაგებით, რომ არის კრეატიულიც და რეკრეატიულიც. ამ ეტაპზე პოეზიის ქეშმარიტი მთარგმნელი საკუთარ თავს დედნის ავტორთან აიგივებს და ფანტაზიის საშუალებით მაქსიმალურად უახლოვდება გონების იმ მდგომარეობას, როდესაც პოეტმა ლექსი დაწერა; თავის ენაზე ლექსს იმგვარად ადგენს, თითქოს თავადვე იყოს დედნის ავტორი და გონებაში ინახავს ორიგი-

ნალი ტექსტის მნიშვნელობასა და მის განსაკუთრებულ მუსიკალურ ჟღერადობას. რაც უფრო საფუძვლიანად მუშაობს მოსამზადებელ ეტაპზე და რაც უფრო სრულყოფილად გააიგივებს საკუთარ თავს პოეტთან და მის ხასიათთან, მით უფრო მეტად ხდება დედანი მისი პოეტური პიროვნების განუყოფელი ნაწილი და ნაკლებად უწევს ფიქრი მას ორიგინალის მნიშვნელობასა და მუსიკალურობაზე. თარგმანი იქნება ახალი პოეტური ნაწარმოები და შესაბამისად, შემოქმედებითი. ამავე დროს ეს იქნება ორიგინალის ნამდვილი რეპროდუქცია, თითქოს ორიგინალი ახლიდან შეიქმნა და ამგვარად საქმე გვაქვს ახალ შემოქმედებით პროცესთან. იმისათვის, რომ ლირიკული პოეზიის ნამდვილმა მთარგმნელმა ზემოთ ნახსენებები ოთხი ეტაპიდან ამ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე წარმატებას მიაღწიოს, იგი თავადაც პოეტი უნდა იყოს. ლირიკული პოეზიის თარგმნისას საბოლოო და გადამწყვეტი ეტაპი მიზანმიმართულად უნდა შეყოვნდეს, რადგან საქიროა, რომ მასა და წინა ეტაპს შორის დრო გავიდეს, სანამ მთარგმნელის პოეტური აღფრთოვანება არ ჩაცხრება და შეეძლება თავისი ნამუშევრის შესწავლა მიკერძოების გარეშე. იგი შეადარებს დედნის მნიშვნელობას საკუთარი თარგმანის მნიშვნელობასთან, საკუთარი თარგმანის მუსიკალურობას დედნის მუსიკალურობასთან (მხედველობაში მიიღება მეტრული და რითმული სქემა) და საკუთარი ლიტერატურული ენის თვალსაზრისით შეისწავლის მისეულ ვერსიას, რათა დარწმუნდეს, რომ ის ისე იკითხება, თითქოს შედგენილი იყოს უშუალოდ ინგლისური რომანტიკული პოეზიის თარგმნით თავის მშობლიურ ენაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოეზიის ქვშმარიტი მთარგმნელი მიჰყვება „სამი სახის ერთგულების კანონს“: მისი თარგმანი შესაბამისი იქნება: ა. ორიგინალის მნიშვნელობასთან, ბ. ორიგინალის მუსიკალურობასთან და გ. თავისი მშობლიური ენის სულთან. თუ ლირიკული პოეზიის და განსაკუთრებით რომანტიკული ლირიკული პოეზიის მთარგმნელს ეს ოთხი ძირითადი ეტაპი არ გაუვლია და ყველა ზემოთ ჩამოთ-

ვლილი თვისება არ გააჩნია, მისი შრომის შედეგი არ იქნება შესაბამისი სამი სახის ერთგულების კანონთან [Ranka Kuic' 1970 :182-185].

ქ. თუთბერიძე სიტყვასიტყვით არ მისდევს დედანს, არამედ ცდილობს, ლექსი ქართულისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ენით თარგმნოს. ვნახოთ, როგორ ახერხებს ქართველი მთარგმნელი თავის თარგმანში ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტების გათვალისწინებას ლექსის განსაკუთრებით რთული სიტყვებისა და ფრაზების თარგმნისას.

პირველ სტრიქონში მთარგმნელი სიტყვა **tonight-ს** (ამალამ) უგულებელყოფს. არსებით სახელს: **thoughts-ს** (ფიქლები) კი ცვლის ზმნით - **ჩამ გამახსენა**.

Side street თარგმანის ლექსიკონის Dictionary.ge-ს მიხედვით აღნიშნავს **გვეჩიოთ ქუჩას ან პაგაჩა ქუჩას, შესახვევს** [ინტერნეტრესურსი2], ქ. თუთბერიძე კი თარგმნის **შუა ქუჩად**, რაც სხვა მნიშვნელობისაა.

ორიგინალში გვხვდება **under the trees** (ხეების ქვეშ), თარგმანში კი ჩამატებულია სიტყვა **ჩხეილი**, იქიდან გამომდინარე, რომ ღამეა და ხეები ჩრდილს ქმნიან მთვარის შუქზე.

self-consciousDictionary.ge-ს მიხედვით აჩისმოხცვი, მოჩივებული ადამიანი [ინტერნეტრესურსი 2], თარგმანის მიხედვით კი ლირიკული გმირი **ჩვეული თავდაჯეხებით მიდის**. **Full moon** სავსე მთვარეს აღნიშნავს, თარგმანში კი წარმოდგენილია **მთვარის სიმჩვადე**.

თარგმანში დაკარგულია სიტყვა **fruit** (ხილი) და ლირიკული გმირი კი არ შედის **ნეონის ხილის სუპეჩმაჩკეჭში**, არამედ უკვე იქაა და კი არ **ოცნებობს (dreaming)**, არამედ **იხსენებს** უოლტ უიტმენის ლექსებს.

ფრაზას - **Whole families** - ქ. თუთბერიძე თარგმნის არა როგორც **მთელ ოჯახებს**, არამედ როგორც **ხადებს**, რაც, ჩვენი აზრით, უფრო ზოგადი მნიშვნელობის მატარებელი სიტყვაა.

ორიგინალში მთები ნახსენები არ არის, მაგრამ მთარგმნელმა მეტი მხატვრული ეფექტისთვის **ავოკადოს მთები** წარმოგვიდგინა.

Dictionary.ge-ს მიხედვით, არსებითი სახელი **grubber** აღნიშნავს **მმაჩვდელს, ამომძიიკველს**. ქ. თუთბერიძის თარგმანში **Lonely old grubber** ნათარგმნია როგორც **მაჩვოსული, ბებეჩი გლეხი**. ჩვენი აზრით, ეს საქმიანობა მან გლეხს დაუკავშირა. მთარგმნელი თავის თარგმანში სიტყვა **ხმცთან უმს** ამატებს, რომელიც ორიგინალში არ იყო მოცემული, მაგრამ იგულისხმებოდა.

ლირიკული გმირი ამბობს: **followed in my imagination by the store detective** [ინტერნეტრესურსი 3]. Dictionary.ge-ს მიხედვით, **detective** განიმარტება როგორც **სამძებხო პოლიცია**. მთარგმნელი კი თარგმნის ამგვარად: **სუპეჩმაჩვეგის დაჩაჯი კი ფეხდაფეხ გვევდა** [ინტერნეტრესურსი 4]. კონტექსტუალური მნიშვნელობით მან სწორი არჩევანი გააკეთა, მაგრამ ქართულ სუპერმარკეტებში ამ პროფესიის აღსანიშნად სუპერმარკეტის კონსულტანტი გამოიყენება. ქ. თუთბერიძე არ აკონკრეტებს, რომ ეს მოქმედება ლირიკული გმირის წარმოსახვაში ხდება. ამან შეიძლება მკითხველს აფიქრებინოს, რომ მას მაღაზიის კონსულტანტი სინამდვილეში დაჰყვება ფეხდაფეხ.

Dictionary.ge-ს მიხედვით, ზმნა **possess** ნიშნავს **ფლობას**. მთარგმნელმა კი ქართულ ენაზე შეუსაბამა სიტყვა **გასინჯვა**, რაც უფრო შესაფერისი შესატყვისია, კონტექსტიდან გამომდინარე.

ფრაზა **never passing the cashier** [ინტერნეტრესურსი 3]–**ახასოღეს ჩაგვივდია მოდაჩესთან** – ქეთი თუთბერიძეს თავის თარგმანში გადმოაქვს ამგვარად: **ქთი ცენტიც აჩ დაგვიხაჩჯავს** [ინტერნეტრესურსი 4]. იგი ორიგინალისაგან განსხვავდება, რადგან იქ ცენტი და ფულის დახარჯვა ნახსენები არ არის, მაგრამ აზრობრივად მსგავსი შინაარსი აქვს. როგორც ჩანს, მთარგმნელმა საკუთარი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა.

The doors close in an hour [ინტერნეტრესურსი 3] პნკარედული თარგმანით არის **კაჩები ქით საათში იკეგება**. ქ. თუთბერიძის თარგმანში კი წარმოდგენილია: **ქით საათში კაჩს**

ჩახაზავენ [ინტერნეტრესურსი 4]. ამგვარად, მთარგმნელმა უფრო მეტი განგაშის განწყობა შემოიტანა და სიტუაცია დაამძიმა.

ორიგინალში ხაზგასმულია, რომ ლირიკული გმირის ოცნებაა, შეძლოს „იმოგზაუროს“ სუპერმარკეტში თავის საყვარელ პოეტთან ერთად. ქ. თუთბერიძის თარგმანში სიტყვა *ჩვენი (our)* დაკარგულია და მხოლოდ ოდისეაზე ოცნება ჩანს. **feel absurd** (ვეჩხნობ აბსუხდს) ნათარგმნია როგორც – **ამანაც აბიი დაკაჩგა**. როგორც ჩანს, მთარგმნელი საკუთარი ინტერპრეტაციით თარგმნის ფრაზას, თუმცა ორიგინალის შინაარსი არ იცვლება.

ლირიკული გმირი უოლტ უიტმენს ეკითხება, ისეირნებენ თუ არა ისინი მთელი ღამე ცარიელ ქუჩებში – **Will we walk all night through solitary streets?** [ინტერნეტრესურსი 3]. ქ. თუთბერიძის თარგმანში კი იგრძნობა, რომ ლირიკული გმირი უოლტ უიტმენს სთავაზობს, რომ ერთად იარონ. ამავე დროს, მთარგმნელი ორ სიტყვას იყენებს ამ მნიშვნელობით, რაც განასხვავებს ფრაზას ორიგინალისგან: **იქნებ ცაჩიედ ქუჩებში გვევდო, გვეხეტიდა?** [ინტერნეტრესურსი 4].

მთარგმნელი ცდილობს, ფრაზა **trees add shade to shade** [ინტერნეტრესურსი 3] ქართული ენისთვის შესაფერისი ფორმით თარგმნოს და სიტყვა **add**, რაც **ღამატებას** ნიშნავს, ჩანაცვლებულია **სხოღით**. მთავარი პერსონაჟი ამბობს: **we'll both be lonely** [ინტერნეტრესურსი 3] (*ჩვენ ოჩივე მაჩგო ვიქნებით*), მაგრამ თარგმანში ფრაზა კითხვითი წინადადებით იცვლება: **იქნებ ოჩივე მაჩგოსუდი ვაით?** [ინტერნეტრესურსი 4].

Our silent cottage [ინტერნეტრესურსი 3] (*ჩვენი მყუდრო კოტეჯი*) თარგმანში დაკარგულია და მის ნაცვლად გვხვდება შეთავაზება უოლტ უიტმენისადმი, რომ იქნებ წავიდნენ მყუდრო ადგილას.

მაგისტრალზე მიმავალი დუჩი ავტომობილები (**blue automobiles in driveways**), რაც კონფორმისტული ცხოვრების მნიშვნელოვანი სიმბოლოა, დაიკარგა თარგმანში და მხოლოდ

მანქანით გადმოიცა. შესაბამისად, თარგმანში აღარ ჩანს ის კონფორმიზმი, რომელსაც ალენ გინზბერგი დაუპირისპირდა.

Dreaming of the lost America of love [ინტერნეტრესურსი 3] გულისხმობს ისეთ ამერიკაზე ოცნებას, რომელიც ოდესღაც სიყვარულით იყო აღსავსე. ქეთი თუთბერიძე აღნიშნულ ფრაზას თარგმნის როგორც: **გვეოცნება ამეხიკაზე, ბოლო წვეთამდე ხომ დაცდიდა სიყვარულისგან** [ინტერნეტრესურსი 4]. ჩვენი აზრით, მიუხედავად სხვა სიტყვების გამოყენებისა, მთარგმნელმა საკმაოდ მხატვრულად გადმოსცა ორიგინალში ნაგულისხმევი აზრი.

ლირიკული გმირი უოლტ უიტმენს ეკითხება, თუ როგორი იყო ამერიკა, როდესაც ქარონმა თავისი ნავით აღმოდებულ ნაპირზე გადაიყვანა, მაგრამ მთარგმნელმა **ამეხიკის** ნაცვლად სიტყვა **სამშობლო** გამოიყენა, რაც არ ცვლის ორიგინალის მნიშვნელობას.

ალენ გინზბერგის ლექსი „სუპერმარკეტი კალიფორნიაში“ სამი სტროფისაგან შედგება. თუ დავაკვირდებით, ტაეპების მოცულობა თანდათან იზრდება. ჩვენი აზრით, პოეტმა ამ მეთოდს განზრახ მიმართა, რადგან მოცულობის თანდათანობით გაზრდით ადამიანების კონსუმერისტული სურვილების ანალოგია წარმოგვიდგინა. გავიხსენოთ, რომ მე-20 საუკუნის ამერიკაში ხალხი უფრო და უფრო მეტი ნივთის შეძენაზე იყო ორიენტირებული.

„სუპერმარკეტი კალიფორნიაში“ არის ვერლიბრი, თავისუფალი ლექსი. სტროფები და სტრიქონები სხვადასხვა ზომისაა, რომლებსაც განსაზღვრული რითმული სქემა არ აქვს. თხრობა ისე მიმდინარეობს, თითქოს მკითხველი ლირიკული გმირის გონებაში იხედება და მის ფიქრებს კითხულობს. თავისუფალი ლექსის სტრიქონების არაპროგნოზირებადი ხასიათი ლექსს ძიებისა და კონკრეტული მიზნისათვის ბრძოლის სახეს აძლევს. როგორც ცნობილია, უ. უიტმენმა მეტრი და რითმა უარყო, რადგან ისინი ხელისშემშლელ ფაქტორებად

მიაჩნდა და ცდილობდა, ცოცხალი პოეზია შეექმნა. ალენ გინზბერგმაც აღნიშნული ლექსი საყვარელი პოეტის მიბაძვით დაწერა.

მიუხედავად იმისა, რომ ალენ გინზბერგის ლექსი „სუპერ-მარკეტი კალიფორნიაში“ ქართულ ენაზე ნათარგმნია ქეთი თუთბერიძის მიერ, ორიგინალი და მისი თარგმანი შესწავლილი არ არის. სწორედ ეს წარმოადგენს ნაშრომის სიახლეს. ლექსი მრავალფეროვანია როგორც თემატიკის, ასევე პოეტური ხერხების თვალსაზრისით. ქ. თუთბერიძის თარგმანში შენარჩუნებულია ლექსის ძირითადი თემები და ქართველი მკითხველისთვის თვალნათელია, თუ რა აწუხებს ავტორს და რის თქმას ცდილობს თავისი მკითხველისთვის. ქართველი მთარგმნელი შეეცადა თავის თარგმანში სტილისტური ხერხების შენარჩუნებასაც და ზოგიერთ ადგილას საკმაოდ წარმატებით გაართვა ამ ამოცანას თავი. ნაშრომის ბოლო ნაწილში გამოყოფილია სათარგმნელად განსაკუთრებით რთული სიტყვები და ფრაზები და შედარებულია ქართულ თარგმანთან. ქ. თუთბერიძე სიტყვა-სიტყვით არ თარგმნის დედანს, რადგან ცდილობს, ლექსს ქართული ენისათვის ბუნებრივი ჟღერადობა და ფორმა შეუნარჩუნოს. მთარგმნელმა შეძლო ტექსტის შინაარსის, სტილისტური ხერხების, ძირითადი მახასიათებლებისა და ელემენტების შესაბამისად თარგმნა ქართულ ენაზე.

ლიტერატურა:

გაჩეჩილაძე გ. (2014), „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

მერაბიშვილი ი. (2005), „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“, თბილისი, „საქართველოს ბაირონის საზოგადოება“;

ფანჯიკიძე დ. (1988), „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“;

Bohuslav Ilek (1970), „On Translating Images“, In the book „The Nature of Translation: Approaches to translation studies, No1“, Edited by James

S. Holmes, 135-137, Mouton, The Hague Paris, Publishing house of the Slovak Academy of Sciences Bratislava;

Ranka Kuic' (1970), „Translating English Romantic Poetry“, In the book „The Nature of Translation: Approaches to translation studies, No1“, Edited by James S. Holmes, 182-185, Mouton, The Hague Paris, Publishing house of the Slovak Academy of Sciences Bratislava.

ინტერნეტრესურსები:

LitCharts - <file:///C:/Users/MobiMoli/Downloads/LitCharts-a-supermarket-in-california.pdf>

დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი - <https://dictionary.ge/>

Poetry Foundation - <https://www.poetryfoundation.org/poems/4766-0/a-supermarket-in-california>

Demo.ge - <https://demo.ge/index.php?do=full&id=783>

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=226829>

Oxford Learner's Dictionaries - <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/>

Cambridge Dictionary - <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/household>

This piece of work presents a comparative analysis of the original and its Georgian translation of Allen Ginsberg's poem „A Supermarket in California“. Allen Ginsberg wrote the poem in 1955. He is one of the most important members of the Beat Generation. It was a youth movement in 20th century America, whose members began to write about taboo topics of the time, rejected the norms that framed poetry and challenged the life style and social norms of their era. It is likely that the lyrical hero of the poem is Allen Ginsberg himself, because like the author he is also dissatisfied with the situation created in 20th century America and feels alienated and lonely there.

The poem „A Supermarket in California” tells about the „travel” of the lyrical hero in the supermarket in California. The supermarket is full of all kinds of products and the whole families who want to buy them. In the main character’s imagination, he is guided by the famous 19th century poet Walt Whitman and they taste different products without paying, that’s why they are followed by the store detective. Then the action takes place outside the supermarket, where the streets are already empty and dark and only these two are wandering there. The lyrical hero wants to dream about „the lost America of love” with his guide. Finally, the poem ends with the unanswered question to Walt Whitman about what America was like at the time of his death when Charon, the ferryman of the underworld transported his soul to the world of dead people. The feeling of futility is intensified at the end of the poem because the guide is again in the underworld and the lyrical poem is returning home from the supermarket and neither of them is in desirable America.

A poem with a seemingly simple content is quite deep and Allen Ginsberg talks about several important issues in it. He opposes the prevailing consumerism in society, because people have money and a large selection of things to buy. The poet also opposes the conformist life style. In 20th century America people tried to buy the same houses, automobiles and things and therefore, everyone’s lives were similar. In the poem Allen Ginsberg indirectly talks about homosexuality and non-traditional sexual relationships, which were considered taboo at the time and nobody talked about them publicly. He gives clues to his readers and invokes in the poem two famous poets, Walt Whitman and Federico Garcia Lorca, who like him were homosexual or bisexual. At the same time, with the appearance of these two dead poets in 20th century America, Allen Ginsberg emphasizes the importance of literature for society. But he worries that people are no longer interested in literature, because other values are more important to them.

Allen Ginsberg's poem „A Supermarket in California” consists of three stanzas. It is vers libre, free verse. Stanzas and lines are of different lengths and they don't have defined rhyme scheme. The narration proceeds, as if the reader is looking into the mind of the lyrical hero and reading his thoughts. As it is known, Walt Whitman rejected meter and rhyme, because he considered them as obstacles and tried to create a living poetry. Allen Ginsberg wrote this poem in imitation of his favorite poet. Allen Ginsberg uses various stylistic devices in his poem, such as: alliteration, epithet, metonymy, anaphora, consonance, assonance, asyndeton, polyptoton. He also uses rhetorical questions, metaphors, allusions and expects the reader to know enough history, poetry and mythology to recognize them.

„A Supermarket in California” is translated into Georgian by the Georgian translator Keti Tutberidze. The original and its translation have not been studied yet. That is the novelty of this piece of work. In This piece of work main themes of the poem and used stylistic devices are analyzed and here is discussed how the Georgian translator manages to transfer them in her translation. Here are presented the opinions of well-known Georgian and foreign theorists and researchers on translation and specifically on the translation of poetry. And then it is analyzed how the Georgian translator manages to translate particularly difficult words and phrases of the poem. Keti Tutberidze does not translate the original word for word, because she tries to preserve in her translation the natural sound and form of the Georgian language. She successfully translated the text according to its content, stylistic devices, main characteristics and elements.

**XII საუკუნის ისტორიული რეალობა და რუსთველის
პოემის „დასაწყისი“
Historical reality of the 12th century and the “Beginning”
of Rustaveli’s poem**

**ინგა სანიკიძე
IngaSanikidze**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, „დასაწყისი“, დემნა
უფლისწული, პროლოგის გვიანდელობა.

Key words: Knight in the Tiger’s Skin, Beginning, Prince Demna, prologue
lateness.

ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის უცხო არ არის ის აზრი, რომ XII საუკუნის ისტორიული სინამდვილე ამა თუ იმ ფორმით თავს იჩენს რუსთველის პოემის სხვადასხვა მხატვრულ პასაჟსა და მსოფლმხედველობრივ კონცეპტებში. ამასთან დაკავშირებით დ. წერედიანიც შენიშნავდა: „ახლა კი ერთი წუთით წაჩმოვიდგინოთ, რომ ხუსთავედი საკუთარ განცდილსა და ნანახსაც ამბობდა, ჰქონდა იმედები, ეჭვები, იღუბიები, შეცდომები... რომ თავის სამშობლოსთან სისხლხორცეუდად იყო დაკავშირებული“ [წერედიანი 2014: 11]. ჩვენი მეცნიერული გზიცი ამ საკვანძო მიმართულებას მიჰყვება, ამიტომ ვფიქრობთ, რომ მართლაც „სისხლხორცეული“ კავშირი შეინიშნება XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ ვითარებასა და „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტურ ქარგას შორის (ნიმუშად თამარის ქმრის, გიორგი რუსისა, და უცხოტომელი სასიძოს პარალელის მოყვანაც საკმარისი უნდა იყოს). ვფიქრობთ, რომ რუსთველის თანადროული ვითარების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში პოემის ღირებული გააზრება ან პოეტის მსოფლმხედველობის, როგორც მთლიანი სურათის, დანახვა ძალზე გაჭირდება. „ვეფხისტყაოსნის“ თითოეული მიკროკონცეპტი, თითოეული მხატვრული ინტერპრეტაცია, ზოგჯერ ერთი ლექსიკური ერთეულის დონეზე გადმოცემულიც კი, იმ გენიალური მთელის ნაწილია, რომელსაც თავად რუსთველმა უწოდა „ობოლი მარგალიტი“. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც პოემის პროლოგი, ანუ დასაწყისია, მაგრამ ვიდრე მასზე მსჯელობას შევუდგებით, ჩვენი აზრით, ჯერ ეპოქაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ფაქტების გათვალისწინებაა აუცილებელი, ამიტომ მსჯელობას ისტორიულ დისკურსს წავუძღვარებთ.

„ისტორიანი და აზმანის“ წყაროზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი წერს: დავითის (იგულისხმება დავით V) სიკვდილის შემდგომ „შემონაზონებულს დემეტიხეს პიხი კვდავ სამეფო ცხოვრებისაკენ უბიხუნებია და თავის თანამოსაყდრედ სახედმწიფო გახვბუ თავისი საყვახედი შვიდი გიოხგი III დაუსვამს. ამის

შემდეგ დემეტრეს დიდხანს ალაჰ უცოცხდია“ [ჯავახიშვილი 1983: 226]. წყაროში არ ჩანს, რამ მოუსწრაფა დღენი დემეტრეს – სიბერემ, ჯანმრთელობის გაუარესებამ თუ სინდისის ქენჯნამ, რომელიც ყველაზე უღვთო კაცშიც კი გაჩნდებოდა გარიყული შვილისა და ქვეყნის მემკვიდრის მეტ-ნაკლებად გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების შემდგომ. პირველი ორი რამ – სიბერე ან ჯანმრთელობის გაუარესება – რომ ყოფილიყო მისი სიკვდილის მიზეზი, ვფიქრობთ, რომ „ისტორიანი და აზმანის“ მიკერძოებული ავტორი ამას აუცილებლად გვეტყოდა და კიდევ ერთ გამართლებას მოუძებნიდა, ჩვენი აზრით, უკანონო ქცევას (უკანონობაში ფეოდალური სამართლის მამიდან უფროს შვილზე მემკვიდრეობის გადაცემის დარღვევას ვგულისხმობთ). ფაქტია, რომ რაღაც მნიშვნელოვანი არ იცის ისტორიის მეცნიერებამ. თუმცა, რაც უპირობოდ მოჩანს, ეს მემატიანეთა მხრიდან მომხრეობა და ხოტბა-შესხმაა გიორგი III-ის დინასტიური ხაზისა, მისივე შთამომავლობის ერთადერთობის გამართლება და მეტაფორული, თუმცა მაინც მკრეხელური, მცდელობა მეფე თამარის სამების დოგმატთან მიახლოებისა¹ – „მეცა ესხეთ ვიწყო ამის თამაჩისა, სამგზის სანაგ-

¹ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში არსად არ არის თქმული, რომ თამარი წარმოადგენს ამა თუ იმ (გნებავთ, მეოთხე) ჰიპოსტასს, ანუ ტერმინი ჰიპოსტასი და მისი ქართული ეკვივალენტები (პირი, გვამოვნება) ხსენებულ ძეგლში არ არის“ [ჭელიძე 2011]. მეცნიერის აზრით, საქმე მეტაფორულ აზროვნებასთან გვაქვს. ასე რომ, „ზემორე პოემებიც (იგულისხმება „თამარიანი“ და „აბდულმესიანი“ - ი.ს.) ისევე, როგორც „ისტორიანი და აზმანი“, თამარის შესახებ მხოლოდ მეტაფორულად გვესაუბრებიან და არანაირად – პირდაპირი გაგებით“ [იქვე]. ეჭვმიუტანელი ისტორიული ფაქტია ის, რომ „საქაჩთვედროში აჩახდხოს დასმულა საკითხი თამაჩის მეოთხე ჰიპოსტასობისა ან თუ მისი სუდიწმინდობისა და ღვთისმშობლობის შესახებ“, როგორც ამას თავისი ნაშრომის ბოლოს ე. ჭელიძე დაასკვნის. არც ის არის სადავო, რომ ავტორი მეტაფორულად გვესაუბრება, მაგრამ, ჩვენი აზრით, სწორედ ეს მეტაფორა მოჩანს გადაჭარბებულ-მიუღებელი. „სამებისაგან ოთხად თანააღზავებული“ სხვას არაფერს შეიძლება ნიშნავდეს,

ხედისა და სამებისაგან ოთხადთანააღზევებულისა, ხომელი ეთეხოან იქმნა ჯედწიფეთა შოხის“ [„ისტორიანი და აზმანი“ 1959: 3]. ასეთი შეფასებით, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ ვაკნინებთ თამარის ღვანლსა და მეფობის სიმაღლეს, ჩვენ უბრალოდ ეპოქაში პოლიტიკური ტენდენციებისა და მთხრობელი ისტორიკოსის კარგად დანახვა გვსურს, რათა „ვეფხისტყაოსანთან“ მართებული პარალელი გავავლოთ.

ფაქტია, რომ ქართულ ისტორიულ წყაროებში მემატიანენი სხვა სახედველიდან იმზირებიან, რუსთველი კი თავისას წერს და რეალობას მხატვრულ სამოსს უკერავს გვირისტით.

თამაზ ჭილაძე „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგზე საუბრისას პოემის დამკვეთის ვინაობის გარკვევასაც ცდილობს და არაშემთხვევით, რადგან, ჩვენი აზრითაც, ეს გამორჩეულად ააშკარავებს ავტორის ქცევის ტაქტიკას, რომელიც უკვე დაწერილ პოემაში გამოიყენა (ვეთანხმებით თვალსაზრისს, რომ პოემის შექმნამ წინ გაუსწრო ნაწარმოების წინათქმას, ანუ პროლოგს). მკვლევარი წერს: „ის უფხო საინგეხესოა, თუ ვინ

თუ არა მათთან თანამდგომსა და თანაამაღლებულს, არა ჰიპოსტასს, მაგრამ სამებასთან მდგომს (ყურადღება უნდა მიექცეს ზმნიზედური წარმოშობის თანა-სა და ქვემოდან ზემოთა მიმართულების გამომხატველ აღ-ზმნისწინს, რომლებიც ერთ სიტყვაში მოიყრის თავს [**თანააღზავებულისა**]). თამარის მეოთხე ჰიპოსტასობის შესახებ საყურადღებო მსჯელო-ბაა მოცემული ლ. წერეთლის ნაშრომშიც, თუმცა ავტორი მემატიანეთა ტექსტების სხვა კონტექსტებს შეეხება და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს წყაროებში დადასტურებული „სამი ყრმის“ გააზრებას. საკითხი შუასაუკუნეობრივი საღვთისმეტყველო აზროვნებისა და ბიბლიურ-ევანგელისტური სახისმეტყველების რაკურსშია განხილული, დასკვნა კი ასეთია: „*გამოვ-ჩიცხავთ თამაჩის „ცხოვრებაში“ მემატიანის მიეხ მეფის „სამების მეოთხე ჰიპოსტასად“ გამოცხადების მცდელობას*“ [წერეთელი 2006 : 338].

მსჯელობის ამ ნაწილში ჩვენი მთავარი მიზანი „ისტორიანი და აზმანის“ უცნობი ავტორის ტენდენციურობის დანახვაა, ამიტომ ვფიქრობთ, რომ შეფასებისას არ ვარღვევთ ობიექტურობის საზღვრებს, როცა უცნობ მემატიანეს გიორგი III-ის დინასტიური ხაზისადმი მიკერძოებულს ვუწოდებთ, ხოლო მის მიერ წარმოთქმულ მეფის ქებაში მკრეხელურ აზრს ვხედავთ.

ახის პოემის დამკვეთი. მე, პიხადად, ის შეხედულება უფიხო სახ-
წმუნოდ მიმაჩნია, ხომღის მიხედვითაც დამკვეთი თამაჩი კი ახ
ახის, ახამედ – თამაჩის მამა, მეფე გიოხგი III“ [ჭავჭავაძე 2014: 61];
გიორგი III-ის გარდაცვალების თარიღად კი საისტორიო მეც-
ნიერება ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით 1184
წელს დებს, ხოლო თამარის თანამოსაყდრეობას 1178-1179
წლებით ათარიღებს¹ [ჯავახიშვილი 1983: 244]. სავარაუდოდ,
სწორედ ეს 1179-1184 წლებია დროის ის შუალედი, როცა უკვე
სახელმძოხვეჭილი პოეტი „ბრძანების“ შესრულებას შეუდგა.
უმალეს პოლიტიკურ სამეფლოში (სამეფო კარზე) მისადმი
არაერთგზისი თხოვნა თანხმობის მიზეზად იქცა, გაუტეხელი
და გაჭიუტებული აღმასიც კი „გატეხა“ („გასტეხს ქვასაცა მა-
გარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“ [რუსთაველი 1966 : 5]).
როგორც ჩანს, მან კარგად მოიფიქრა, „გონით შუაფენაში“
(ტერმინი ეკუთვნის გერმანელ ენათმეცნიერს, რ. ჰობერგს)
ოსტატურად დაწერა, რა უნდა ეთქვა სამზეოდ, როგორი მხატ-
ვრული საფარველი მოუხდებოდა ეპოქის ტკივილებს, როგორ
უნდა შეეყვანა „შეცდომაში“ დამკვეთი, რომელსაც, რბილად
რომ ვთქვათ, არ წყალობდა.

ჩვენი აზრით, ტარიელის ხატ-სახეში, მის გრაფიკულ მო-
ნახაზში დემნა უფლისწულის ტრაგედია იკითხება, თუმცა
ქართველი მემატიანეების მხრიდან არა თუ მისი შინაგანი
ბუნებისა და შესაძლებლობების შესახებ ვიცით რამე, არამედ
დავით V-ის პირმშოს პოლიტიკურ ნაბიჯებსა და პიროვნულ
ქცევებზე მხოლოდ ტენდენციურ დამოკიდებულებას ვხე-
დავთ. მსჯელობას თამარის მეხოტბე უცნობი მთხრობელის,
„ისტორიანი და აზმანის“ ავტორის, ერთი დეტალით განვაგ-

¹ ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „გიოხგი მეფეს თავისი ასუდი, დი-
ებული თამაჩი, საქართველოს სახედმწიფო გახგზე 1178-1179 წ.
დაუსვამს“. მეცნიერი იქვე აზუსტებს: „გიოხგი მეფის გახდაცვა-
ლების თაჩილად 1184 წ. სდებენ აგხეთვე ვახდანი, სგეფანოზ ოხბე-
ღიანი და სხვადასხვა ქაჩთუდი კვწკვოსებიც. დასასხუდ, გიოხგი III
გახდაცვადებას 1184 წ. ადასგუხებს სანაჰინის მონასტჩის სომხუჩი
წაჩწეჩაც“ [ჯავახიშვილი 1983: 244].

რძობთ. საისტორიო თხზულებაში დემეტრე უფლისწულის შესახებ ვკითხულობთ: „ამას ესევეთაჲსა და სხუდყოფასა სოფრისასა და საწუთხოთა გემოთა საწადედთა მოიწიფა ძმისწული მისი (საუბარია გიორგი III-ზე - ი.ს.), შვიდი დავით ძმისა მისისა უხუცესისა, სახელით დემეტრე, სახე-კეთილი და ყოვლითა ჯვრითა მაჩუქე, ნასწავდი, მსგავსი სახდი-შვიდობისა მათისა“ [ისტორიანი და აზმანი 1959: 18]. ჩანს, რომ თვით გიორგი III-ის დინასტიური ხაზის მგალობელსაც უჭირს, ისტორიას გადაუმალოს უფლისწულ დემნას „სახეკეთილობა“, მარჯვე მხედრობა-მეომრობის უნარი, განსწავლულობა ან ბაგრატიონთა სამეფო სახლის წინაპარ შვილთა ბუნებისადმი მიმსგავსებულობა. მის თხრობაში ამგვარი „გადაცდომა“ შემთხვევითი არ უნდა იყოს, ეს ობიექტური შეფასება მოჩანს. ძნელად თუ წარმოიდგენს კაცი იმას, რომ თხზულების ავტორს დადებით მახასიათებელთა ტექსტში განთავსება დემნა უფლისწულისადმი პატივისცემისა ან სიმპათიის გამოხატვამ უბიძგა, რადგან იქვე, ტექსტის ამავე ადგილას, მას ღვთისმომშიშობის არქონაში, ქრისტეს მცნებათა გარდასვლაში, სიკეთისა და სწავლულების უკეთურ საქმეთა გამოყენებაში სდებს ბრალს („*ხომედი ცუდ იქმს ყოვედთა სიკეთეთა და სწავდუდებათა, სახე-უკდებობათა და ჭაბუკებათა, იგი ექმნა მკვდედ და შემმწაჲებედ ჟამთა ცხოვრებისა მისისათა*“ [ისტორიანი და აზმანი 1959 : 18]). დემნას მამისდაგვარად ჩაუსახლდაო ეშმაკი („*შევიდა ეშმაკი გუდსა და გონებასა მისა*“ [იქვე: 18]), არ ცხრება „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი და სრულიად ავიწყდება ის, რითიც მასზე ამბის გადმოცემას შეუდგა. გიორგი III-ის მძლეთა მძლეობის წინაშე („*მისცა გიორგივე ძლევა, მძლეთა მძლესა*“ [იქვე: 18]) განა რა ფასი აქვს დემეტრეს გვარიშვილობას, ბაგრატიონთა დინასტიური ხაზის წარმომადგენლობას, მის პირმშობობას ან მეომრულ სიმარჯვე-სწავლულებას? „ისტორიანისა და აზმანის“ ტექსტში ხომ ერთხელაც არ არის ნახსენები, რომ დემეტრესაც ჰქონდა თავისი წილი სამართლიანი პრეტენზიები სამეფო ტახტის დაკავებისა და რომ სულ მცირე ამ პრეტენზიე-

ბის გამო დაისაჯა ასე უმოწყალოდ („*და დემეტრე კდუე-კახთა დასუეს, უკანის თუაღნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამახხეს*“ - [ლაშა გიორგის მათიანე 1955: 367]). სამწუხაროა, მაგრამ ეს ყველაფერი დავით აღმაშენებლის იმ შვილთაშვილის თავს ხდება, რომელიც, შესაძლებელია, თავისი დიდი პაპის არაერთ თვისებასა თუ გენეტიკურ მიდრეკილებას ატარებდა. „სახეკეთილიც“ ყოფილა, მარჯვეც და განსწავლულიც. დემეტრე-დემნას გამეფებას მომხრენიც ჰყოლია. მისი სამეფო ტახტზე ასვლის მოსურნეთაგან მხოლოდ არმია მოჩანს 30.000 ქართველ კაცზე მეტი, მხედრობად შეკრული ქართველობა ისტორიის ფურცლებიდან რალაც მნიშვნელოვანს გვაუწყებს. სტეფანოზ ორბელი წერს: „სპანი იყვნეს ხიცხვით უფიოს ოცდაათი ათასისა“ [ორბელიანი 1978: A, 46]. ეს მხოლოდ საერთო საფუძველზე, ერთ იდეაზე მდგარი ოცდაათათასიანი ჯარია, დემნა-ორბელთა მომხრე საზოგადოებისგან რომ შეკრებილა, თორემ სულ მინიმუმ მათი ოჯახის წევრებს ან საფეოდალო მამულებში მცხოვრებ მოსახლეობას თუ დავამატებთ, მაღალი ალბათობით ჩვენ წინაშე საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი დგას. რთულია, ასეთი შფოთი, ბორგნა, რისხვა თუ სპად შეკვრა მოწინავე და მაღალი სოციალური კლასის ფეოდალთა თავგასულობას დააბრალო მხოლოდ. პოლიტიკური ეროზიის საფუძველში სხვა მნიშვნელოვანი რამ უნდა იდოს. რა შეიძლება იყოს ეს სხვა მიზეზი? თუკი საქართველოს ისტორიის მრავალჟამიერობას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ქართველთა ქვეყანაში არცერთი დიდი სოციალური აფეთქება ან თუნდაც ტერიტორიების დაკარგვის სამწუხარო რეალობა არ გამხდარა ბიძგი ასეთი მრავალრიცხოვანი და რამდენადმე ორგანიზებული ამბოხება-ჯანყისა (ამას ბოლო ორი-სამი საუკუნის საქართველოს ისტორიაც დაგვიდასტურებს). ვინც ქართველი ხალხის ბუნებას კარგად იცნობს, დაინახავს, რომ ქვეყნისთვის სასიცოცხლო ეტაპებზე, რომლებსაც თავისი წილი პოლიტიკური ბრძოლები და პირადი ინტერესები ერთვის ხოლმე, ის თავდაუზოგავი მეომარია,

ზოგჯერ გადაჭარბებულად თავდაუზოგავიც. ვფიქრობთ, რომ გიორგი III-ის წინააღმდეგ მიმართული შფოთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ლოგიკურ მიზეზად უსამართლობის განცდა უნდა დასახელდეს, რომელსაც არა მხოლოდ მაღალი სოციალური კლასი გრძნობდა, არამედ დაბალი სოციალური წრეებიც კარგად აცნობიერებდნენ ფეოდალური სამართლის სიმრუდეს – მემკვიდრეობის პირმშობის პრინციპით გადაცემისა და ზნეობრივი კანონმდებლობის დასამარებას.

რუსთველის ეპოქაში დატრიალებული მოვლენების შესაფასებლად ურთიერთდაპირისპირებული აზრების გათვალისწინება ერთგვარი აუცილებლობაა. ერთ მხარეს სტეფანოზ ორბელი და დემეტრე დგანან [პოემის მიხედვით – ტარიელი] – „იყვნეს ეხოთობით ყოვედნი თავადნი და აზნაუხნი იოვანეს თანა, ყოვედნივე იგი ეხო გუნდ მისხუდ და მიწვევნუდ მისსა აგაჩაკსა დახბაზისასა: ქახთღისა ეხისთავნი ყოხყოხედნი, ჭავახნი, კახნი და შვიდნი მათნი, კახმაგედი დიდი და ჭაყყდ მემნა და ტაშიხედნი...“ [ორბელიანი 1978: A, 45] და სხვანი. ერთი სიტყვით, აჯანყებაში მონაწილეთა არც საფეოდალო ტიტულებია უმნიშვნელო და არც მათი საერთო რაოდენობა. როგორც ზემოთ ვთქვით, სულ მცირე ნახევარი საქართველო ორბელებს უჭერს მხარს და დემნას გამეფების მოსურნეა. ვფიქრობთ, რომ მაღალი სოციალური კლასისა თუ არისტოკრატიის უკმაყოფილება და გიორგი III-ის საწინააღმდეგოდ ამხედრება მნიშვნელოვანწილად სამართლიან საფუძველზე უნდა მდგარიყო. ისინი ხედავდნენ, რომ ერთმმართველობისა და ხელისუფლების სრული განმგებლობისათვის დავით V-ს რაღაც [?] ვითარებაში უღებენ ბოლოს¹; ამ სავარაუდო მკვლევლობის ეპოქაში კი, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი უნდა სცოდნოდათ იმის შესახებ, რაც მოხდა (როგორი სიფრთხილით დუმს რუსთველიც). ჩანს, მოარულ-კულუარული ამბები თუ ჩვენთვის უცნობი მტკიცებულებები გაუმჟღავნებელი არ დარჩენილა. იჭვნე-

¹ შევადაროთ პოემაში სარიდან მეფის უცაბედი სიკვდილი, გადმოცემული ორსიტყვიანი კონტექსტით – „მამა მომიკვდა“.

ულ საქმეს - „აჰა ახს დაფაჩუდ, ხომედ აჰა განცხადნეს“ [ოთხთავის სიმფონია 1986: მათე, 10,26] - მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ექნებოდა ახდილი ფარდა. როგორც ჩანს, სამეფო ტახტს ჩაბლაუჭებული გიორგი III არ სჯერდებოდა მხოლოდ საკუთარი ძმის მკვლელობას [შდრ. „და ვარ“]. ერთგვის კაენად გარდაქცევა მცირედი შედეგი იყო, ამიტომ ყველაფერს აკეთებდა, რომ დავითის მემკვიდრეს სამეფო ტახტი არ დაეკავებინა (მან ხომ წინასწარვე გამოიტანა განაჩენი დემეტრე უფლისწულის სამეფო ტახტიდან ჩამოსაშორებლად, როცა ცოლად იოანე ორბელის ქალი შეართვევინა); მაღალ არისტოკრატიას კი აგრძნობინებდა, რომ სამეფო ტახტზე დემნას დასმა არ გამოვიდოდა და კიდევ ვინ იცის, რას ჩადიოდა მამის, დემეტრე I-ის, მიერ სამეფო ტახტისთვის შერჩეული [„მარჩევალი ძისა“] შვილი. ამრიგად, ქვეყნის შიდა პოლიტიკური ვითარება უმძიმესია, სწორედ ამიტომაც უნდა ვხედავდეთ გიორგი III-ის წინააღმდეგ ამხედრებულ და 30 000-იან სპად გაერთიანებულ ქართველთა მხედრობას. ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ აჯანყებას ობიექტური მიზეზები ედებოდა საფუძვლად და მხოლოდ ურჩი და გათამამებული ფეოდალების პირადი სურვილები ვერ იქნებოდა განმაპირობებელი გაღვივებული ესკლაციისა.

„*ხოგოხც ამბობენ, ბუნების თანახმად, უსამაჰთდობის ჩადენა კახგია, მისი აგანა კი - ცუდი; მაგჰამ უსამაჰთდობის აგანა გაციდებით უფხო ცუდია, ვიდჰე მისი ჩადენაა კახგი*“, - განგვიმარტავს პლატონი [პლატონი 2003: 46]. ახლა მეორე მოწინააღმდეგე მხარეა საინტერესო - დემეტრე I და რაღაც მიზეზთა გამო დაწინაურებული უმცროსი ვაჟი გიორგი III. ამ უკანასკნელს გაურჩეული ფეოდალების დამორჩილება ქვეყნის ძლიერებისა და ერთიანობისათვის სჭირდებოდა, ამიტომ „*გიოხგი დაჰყხოზიდ-შემოეხთებუდ ქვეყნებში დიდებულებს პორიტიკუხ ხედისუფდებს ახ აძდევდა. მეფის კახზე დიდ უფდებებს ახ ანიჭებდა*“ [ლორთქიფანიძე 1979: 291], ხოლო უკმაყოფილო ფეოდალებმა დემნა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს და

1178 წელს აჯანყებაც მოაწყვეს (დანვრილებით იხ. ლორთქიფანიძე, 1979).

ლოგიკურია, რომ დემეტრე I-ის ვაჟს, გიორგის, თავის მხრივ, პრეტენზია ჰქონდა სამეფო ტახტზე, რადგან ის მამამ, ბერობის შემდგომ ტახტზე დაბრუნებულმა, თანამოსაყდრე მონარქად დასვა. აქედან გამომდინარე, შეიძლება მართლაც ასე გვეფიქრა - „*დემეტრეს გახდაცვალების შემდეგ უკვე ტახტის კანონიერი მემკვიდრე მისი შვილი გიორგი იყო და ახა შვილიშვილი დემნა*“ [ლორთქიფანიძე 1979: 288]. ეს აშკარად გიორგი III-ის მხარის სასარგებლო არგუმენტია. მის წისქვილზე წყალს ისიც ასხამს, რომ უკვე აღსაყდრებულმა უმცროსმა ვაჟმა მტკიცე ნებისყოფა გამოიჩინა ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეში და დემნა უფლისწულს ამოფარებული ბევრი თავგასული და საკუთარ ამბიციებს აყოლილი ძლიერი ფეოდალი გონივრული ნაბიჯებით დაადუმა. რა თქმა უნდა, სხვა საფუძვლით (ჩვენი აზრით, დემნას უგულებელყოფით) წამოწყებული აჯანყების მოთავეთა შორის პირადი ინტერესების დამცველნიცა და მათი მიმბაძველნიც უხვად იქნებოდნენ, მაგრამ აუცილებლად შევცდებით, თუ ამ შეხედულებას 30 000 ქართველზე გავავრცელებთ. ერთაზროვნება, ანუ ერთი პირი, აჯანყებაში მონაწილეთა შორის რომ არ იქნებოდა, ამაში ისევ ქართველი კაცის ბუნებიდან გამომდინარე ვართ ღრმად დარწმუნებული. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ გაუადვილდა გიორგი III-ს ორბელთა აჯანყების ჩახშობაც.

ფაქტია, რომ მემათიანენი საგულდაგულოდ მალავენ დემეტრე I-ის მიერ ფეოდალური სამართლის უმნიშვნელოვანესი მუხლის შეცვლის ნამდვილ მიზეზს; არასაკმარისია წყაროებში დამონშებული მტკიცებულებანი (დემეტრე „მარჩევალი“, „მლარწველი“, „მკიცხველი“ უფროსი ძისა - „ისტორიანი და აზმანი“), როცა საქმე სამეფო ტახტის დაკავებას ეხება; სავარაუდოდ, ეპოქის თანამედროვე ისტორიკოსთათვისაც დამატებელი არგუმენტების არქონამ განაპირობა მათი მხრიდან სიტყვიერი მასალით ესოდენ შეზღუდული და ზნეობრივ-სა-

მართლებრივად მიუღებელი თხრობა; როგორც ჩანს, გიორგი III-ის ჯერ თანამოსაყდრეობა და შემდეგ უგვანი საქმენი აძლიერებდა მისდამი სიძულვილს ქართულ საზოგადოებაში. მავანნი იტყვიან: გიორგი III-მ საქართველოს ცენტრალიზაციას შეუწყოო ხელი. არა გვგონია, ამ ნაწილში სადავოც რამე იყოს. მამულის გოდოლ-გალავნის ან მასში აგებული სასახლის სიმტკიცეში ხომ ისედაც არავის ვეკამათებით. აშენებული ციხე--სიმაგრე ნამდვილად ტურფა და მშვენიერია, მაგრამ ის არასამართლებრივად მოპოვებულ მიწაზე დგას, მემკვიდრე ძმისა და ძმის შვილისთვის წაგლეჯილ მამულში!

*„მო, დავსხდეთ, გაჩიებისთვის ცხემლი გვდის შეუშხობედი,
მისებში მახთ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!“*

[რუსთაველი 1966 : 7]

პროლოგის ეს სტრიქონები „ვეფხისტყაოსნის“ შავტაიჭოსანი რაინდის ისეთივე ხოტბა ეგონებოდა მკითხველს, როგორიც „ღანჯ-ბალახშ“, თმაგიშერა თამარისა, მაგრამ ის გმირის დატირებას უფრო ჰგავს. ჩანს, რომ ცრემლი არ შემშრალა. ტრაგედია ახალია, ჯერ არძველია¹... მოდითო, - მოუწოდებს რუსთველი, ალბათ, ყველა იმ დამტირებელს, რომელნიც პოეტური ქოროს უკან დგას. შეუდარებელ მოყმეს აქებს შოთა, შენატრის მასავით დაბადებულთ და გვიმხელს, რომ ტარიელის გამოა სასიკვდილოდ დაჭრილი, „გულ-ლახვარ-სობილი“. „აქამდის ამბად ნათქვამიო“, ერთ ამოსუნთქვად ამოაქვს სიტყვები, ამბის სიმრთელე კი ისტორიამ დაშალ-დაანაწევრა, ბედისაგან განწირული უსტარივით დახია (ჩვენ ხომ სწორედ

¹ „ყოფილა შობილი“ - ორივე ეს ფორმა წარსულ დროს გამოხატავს ზმნის I თურმეობითითა [ყოფილა] და ნამყო დროის მიმღეობით [შობილი], როცა თამარის ან სოსლანის [?] ქების შემთხვევაში რუსთველი მოქმედებებს ახლანდელ და მომავალ დროში ავითარებს (ძირითადად მომავლის გამომხატველი კავშირებითებით); მაგ., „ვის შვენის“, „ხამს“; ან: „შეკადრო“, „ვაქებდეთ“.

ამას ვჩიოდით ისტორიულ წყაროთა და შეხედულებათა მიმოხილვისას), შოთამ კი უკვე გადაიტანა პოემაში, მოასწრო... იცოდა, ადამიანური მლიქვნელობა თუ მეხოტბეობა ცხოვრების უნაპირო ზღვაში უმონყალოდ ჩაახრჩობდა ტარიელ-დემნას სიმართლეს, იჩქარა და გვითხრა - ახლა უკვე მარგალიტად აწყობილიაო ამბავი და ამ კონტექსტშიც წარსული დროის მიმღეობა გამოიყენა („ან მარგალიტი წყობილი“).

საოცარი ძალა აქვს ენას, წარსული არასდროს ერევა აწმყოსა და მომავალში. თითოეულს თავის გამოხატულებას აძლევს და მარტივად ანანილებს ჟამის მსოფლგაგებას, სადემარკაციო ხაზებს ავლებს დროთა მსვლელობის სიგრძეში. წასული დროისა (წყვეტილის) და დასრულებული მოქმედების (სრული ასპექტის) გამომხატველი ფორმები - „დავჯე“, „გავლექსე“, „გარდავთქვი“; უსრული წარსული - „ვემენ“; ნამყო დროის მიმღეობა - „ნათარგმანები“ - მომხდარ მოქმედებებზე მიგვანიშნებენ და არა - მოსახდენზე. ერთი მათგანის მაგალითზეც რომ ვაჩვენოთ, ასეთ შემთხვევაში „ნათარგმანების“ ნაცვლად „სათარგმანები“ უნდა გვქონდეს. აშკარაა, რომ პოემა უკვე მზადაა, „ან“, ანუ ახლა, ის „წყობილი მარგალიტია“. მაშ, რაღა უნდა დავუშვათ? ის, რომ დალაგებულ-დანყობილი ლოგოსი შოთას დასაწყობ-დასალაგებელ პოეტურ სიტყვაში აერია?! აშკარაა, რომ გალექსილი ამბები რუსთველის წინ დევს, ახლა კი პროლოგზე ფიქრობს... წერს თუ აწერინებენ?.. ჩვენ მეორე, ანუ რუსთველის იძულება, მიგვაჩნია მართებულად. ადამიანმა პოემის დარბაზშიც რომ ვერ მოახერხო შესვლა და მხოლოდ ასმათის მიერ აზიდული ფარდაგიდან მოჰკრა თვალი მის გახურებულ გულს, მიხვდები, რასთან გაქვს საქმე. რუსთველმა თამარის ქებას ტარიელი მოაყოლა, ტარიელს კი - „დავჯე, რუსთველმან, გავლექსეო“. „დასაწყისი“ ამბავი არ არის, რომ მასში შერმადინ-ასმათივით ვეძებოთ პერსონაჟები, ან თორმეტმა მონამ გაიეღვოს ჩვენ თვალწინ. ის შესავალია, შედეგებული აზრი, მოაზროვნის იდეათა უპერსონაჟო საგანძური, რომელსაც მხატვრული გა-

მონაგონი უნდა დაებას. რეალურ ისტორიულ სუბიექტთა - მეფე თამარსა და გამლექსავ რუსთველს - შორის ტარიელის სახე დგას და რატომ? როგორ მოხვდა ის პროლოგში? რა მოტივით? „ვეფხისტყაოსნის“ სათაური ხომ ისედაც მიგვანიშნებდა ჯერეთ უცნობ რაინდზე, რომელიც ნაწარმოებში უნდა გვეხილა, რაღა საჭირო იყო მისი ხსენება წინათქმაში, რომელშიც პოეტმა თამარიც შეაქო და საკუთარი ავტორობაც დააფიქსირა?.. ტარიელი თამარს და გამლექსავ რუსთველს შორისაა მოთავსებული, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ისეც რეალური პირია, პოეტის თანამედროვე ყმა, მიღმიერ სამყოფელში გადასული. ეჭვი შეგვეპარებოდა ჩვენსავე ნათქვამში, ქართული ენის მიხედვით „შენვენას“ („მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფაცდა უნდა ხსენება“ [რუსთაველი 1966 : 6]), ანუ დახმარება-თანადგომას, მხოლოდ ცოცხალნი რომ საჭიროებდნენ. რუსთველის ენა არაერთი მოცემულობით ახალი ქართულია, მეტიც, „ვეფხისტყაოსანი“ იწყებს ენის განვითარების ახალ ეტაპს და სწორედ დასახელებულ სიბრტყეზე ხდება ის, რომ ნელ-ნელა უფერულდება „შენვენის“, „შევეწივით“ თუ ამავე ფუძიდან წარმოქმნილი „შესანევარის“ გამოყენება ცოცხალთა მიმართ. ამ კონტექსტში უმართებულო იქნება ქრისტიან მლოცველთა მხრიდან უფლის ან ღმრთისმშობლის შეწვევის თხოვნის განხილვა (ღვთისმშობლისადმი ლოცვა - „ყოვდაღ წმიდაო ღვთისმშობელო შეგვეწიენ და გვაცხოვნენ ჩვენ“), რადგან ლოცვის არქაულობა ბუმერანგივით გვაბრუნებს ძველ ქართულ ენაში და ის ახალი ქართული ენის ვითარება-დამოკიდებულებას თუ შინაარსობრივი ვექტორის შეცვლას არ გამოხატავს. იმისთვის, რომ მსჯელობა განვაგრძოთ, განსახილველ სტრიქონს გავიმეორებთ: „მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფაცდა უნდა ხსენება“. ჩვენ, მკითხველნი, იმით („მით“) დავეხმარებით ტარიელს, თუკი მის „ტურფა“ სახსენებელს არათუ არ მოვსპობთ, არამედ აუცილებლად აღვასრულებთ („უნდა ხსენება“), - ასეთი მოჩანს ხელოვანების ოსტატის აზრი და, ვგონებ, საკმაოდ მკაფიოც. ენობრივ-შინაარსობრივ ლოგიკას გარდაცვლილი

გმირისაკენ მივყავართ, რომლის პირდაპირი ხსენება მიზეზთა გამო არ გამოდის. ის ენიგმად გადაქცეული სახლობს გალექსილ ამბებში, რათა მოდგმააღმოფხვრილი, თესლნალექილი ტარიელობა და ამქვეყნიური არარსებობისთვის გამეტებული - „სახეკეთილი“ და „ყოვლითა ჴელითა მარჯუე“ - რაინდი დავინწყებას არ მიეცეს.

დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს ზ. გამსახურდია თავის ნაშრომში - „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“. ის წერს: „*გაჩიედი ისეთი განსაკუთრებული ახსებაა, ხომდის შობაც უნიკადუხია, ყვედა სხვა ახსების შობისგან განსხვავებული! ამასთან ხუსთვედი გვეუბნება, რომ მისი მიზანია შეწევნა, ე.ი. დახმარება გაჩიედისა, ხაც იმაზე მიუთითებს, რომ გაჩიედი გახდასუდი ისტოხიუდი პიხიკი ახ ახის, ხომედმაც დაასხუდა თავისი საქმე და თავადაც აღესხუდა, ახამედ მისი ბრძოლა გხედდება კვდავაც. იგი ამჟამადაც ისევე აქტუადუხია, პოემის წეხის პეხიოღში, ხოგოხც უწინ, და ამ ბრძოლაში მას სჭიხდება „შეწევნა“, „გუხფად ხსენება“.* ასეთი ხამ კი გაუგებახი იქნებოდა გახდასუდი ჟამის დიგეხაგუხუდ პეხსონაჟზე“ [გამსახურდია 1991: 184]. ზ. გამსახურდიას იმ ნაწილში ვეთანხმებით, რომ რუსთველის ეპოქაში დემნა-ტარიელის აქტუალობის თამასა მაღალია, თუმცა პროლოგის მიხედვით ის გარდაცვლილი მოჩანს და ისტორიულ პირთა (თამარსა და რუსთველს) შორის ჩართვით პოეტი მაღალი ალბათობით მის რეალურ არსებობაზე მიგვანიშნებს. ამიტომ ტარიელის, როგორც პერსონაჟის, ხატ-სახე თავად პოემაშია საძიებელი და არა - პროლოგში. რაც შეეხება იმას, რომ „მისი ბრძოლა გრძელდება კვლავაც“, ამ კონტექსტშიც ნაწილობრივ ვეთანხმებით მეცნიერს. რა თქმა უნდა, დემნა-ტარიელის გარდაცვალება ქართული მოწინავე და გონიერი საზოგადოების ბრძოლის შეწყვეტას სულაც არ ნიშნავდა, ამას კი ისტორიულ დისკურსში ყურთლუ-ასლანის კარავიც დაადასტურებს.

ცალსახაა, რომ ზემოთ ნათქვამი ვერ ამოწურავს თუნდაც მხოლოდ პოემის „დასაწყისზე“ მსჯელობას, თუმცა, ჩვენი აზ-

რით, ამ კვლევითაც ნათლად მოჩანს, რომ პროლოგი მხატვრული ტექსტის ზედნაშენური მასალაა, „წყობილი მარგალიტის“ შემდგომ შექმნილი და ისეთივე „ნაბრძანები“ („მიბრძანეს...“), როგორც თავად მხატვრულ ამბავთა გზაჯვარედინი.

ლიტერატურა:

გამსახურდია ზ. (1991), ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;

ისტორიანი და აზმანი (1959), ისტორიანი და აზმანი შარავანდედ-თანნი, გვ.1-114, „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. II, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;

ლაშა გიორგის მემატიანე (1955), ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, „ქართლის ცხოვრება“ [ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ], ტ. I, თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი“;

ლორთქიფანიძე მ. (1979), საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;

ოთხთავის სიმფონია (1986), ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა.შანიძის რედაქციით, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა;

ორბელიანი ს. (1978), „ცხოვრება ორბელიანთას“ ძველი ქართული თარგმანები, საქართველოს ისტორიის წყაროები, 4, ე. ცაგარეიშვილის გამოცემა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;

პლატონი (2003), სახელმწიფო, ბ. ბრეგვაძის თარგმანი, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“;

რუსთაველი შ. (1966), „ვეფხისტყაოსანი“ [მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი], თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;

წერედიანი ა. (2014), „ესე ამბავი სპარსული“, კრებულში: „ანარეკლი“, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა;

წერეთელი ლ. (2006), „სამთა ყრმათა ბაბილონს“ (თამარ მეფის „სამების მეოთხე ჰიპოტასად“ ცნობის ათეისტური თეორია), კრებულში: შოთა მესხია 90 [საიუბილეო კრებული შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი], თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“;

- ჭელიძე ე. (2011)**, წმ. თამარ მეფის ე.წ. მეოთხე ჰიპოსტასობისა და „ბუნებითი“ ღმერთობის შესახებ, <http://library.church.ge/index.php?option=com-content&view=article&id=812%3A2018-12-01-09-21-46&catid=49%3A2010-12-12-19-59-31&Itemid=69&lang=ka>
- ჭილაძე თ. (2014)**, ვარდის ფურცლობის ნიშანი, კრებულში: „უკვდავების ათინათი“ [წერილები, ესეები], რედ. ზ. კვარაცხელია, თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“;
- ჯავახიშვილი ივ. (1983)**, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.

Georgian humanitarian studies are familiar with the idea that the historical reality of the 12th century appears in one form or another in various artistic passages and worldview concepts of Rustveli's poem. Our research also follows this key direction, as we think that if Rustveli's contemporary situation is not taken into account, a valuable understanding of the poem or seeing the whole picture of the poet's worldview would be complicated.

It is a historical fact that during the era of Demetre I, the most important article of feudal law was violated – the necessity of transferring inheritance from father to eldest son. In the end, Demetre's youngest son – Giorgi III – takes the royal throne. It is clear that in the Georgian sources the chroniclers favor the dynastic line of Giorgi III. We know nothing factual about the causes of the death of Demetre's eldest son, David V. Demetre, or Demna, Prince (son of David V), was first involved in a rebellion against his uncle and then mercilessly punished by his uncle, Giorgi III. These historical facts were painfully perceived by a large part of the Georgian society in its contemporary era. It should be considered that the Georgian army alone, in the rebellion against George III, consisted of approximately 30,000 men.

We agree to the opinion that, the tragedy of Prince Demna can be seen in Tariel's image (this idea is not new to Georgian scholars). The events of the Rustveli era appear in many places of the

poem. From this point of view, ~Beginning~ seems to be no exception. The expressive forms of the past tense used in the prologue should indicate that it was written after the poem and that its creation did not precede the plot.

The point is that the past of the language never confuses with the present and the future. It gives each its own expression and easily crosses the demarcation lines in the course of time. Forms expressing past time [partial] and completed action [full aspect] - "I sat", "I read", "I said"; Past Infinitive - "I created"; the receivers of the past tense - "translated", "in-lined" indicate the actions that happened and not - the action. If we show an example of one of them, in such a case we should have "to be translated~ instead of ~translations~. It is obvious that the poem is already ready, "now"; it is an "in-lined pearl". In fact, factually inadmissible that the Rustaveli has confused in-lined logos with to be in-lined poetic word. It is apparent that the poem has already been completed and Rustaveli starts thinking about the prologue later.

Rustvel's praise of Tamar was accompanied by that of Tariel, and he says - "I Rustaveli sat down and wrote the poem". "Beginning" is not a story in which we look for characters like Shermadin-Asmati, or twelve slaves flashing before our eyes. It is an introduction, an impersonal treasury of the thinker's ideas, to which the artistic invention has to be attached. Tariel's image stands between the real historical persons - King Tamar and Poet Rustveli - and why? How did he get into the prologue? What was the motive to it? The title - Knight in the Tiger's Skin already hinted at an unknown Knight that we were to see in the poem; why was it necessary to mention him in the prologue, in which the poet praised Tamar and confirmed his own authorship?... Tariel is placed between Tamar and Poet Rustaveli, therefore, we think that he is a real person, poet's contemporary young man, moved to the abode beyond. We would have doubts about what we said, if, according to Georgian language, only those alive needed "help", or "support". In many res-

pects, the language of Rustveli is the New Georgian, moreover, *The Knight in the Tiger's Skin* initiates the new stage in the development of the language and it where it happens that the use of "help", "reach out to", or "assistance" originating from the same roots in relation to the living gradually fades away.

The linguo-content logic leads to the deceased character, whose direct mentioning is impossible due to some reasons. Turned into an enigma, he manifests himself in stories told as poems so that the Knight, cut off from his family – "kind-faced" Knight is not forgotten.

It is clear that the above-mentioned cannot exhaust the reasoning even only about the "Beginning" of the poem, however, in our opinion, this study also shows that the prologue is an add-on of the material of the literary text created after the "in-lined pearls" and "ordered" ("I have been ordered...~), just like the fabric of literary fiction itself.

გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლი XIX საუკუნის
საზოგადოებრივ-ლიტერატურულ აზროვნებაში
Bishop Gabriel's Contribution to the Social and Literary
Thought of the 19th Century

თამარ შარაბიძე
Tamar Sharabidze

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

საკვანძო სიტყვები: გაბრიელ ქიქოძე, ცდისეული ფსიქოლოგია,
სარწმუნოება, მეცნიერება, ფიზიოლოგია.

Key words: Gabriel Qiqodze, e[perimental psychology, faith, science,
physiology.

XIX საუკუნის საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნების ანალიზი შეუძლებლად მიგვაჩნია გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) მოღვაწეობისა და ნააზრევის წარმოჩენის გარეშე. ამ საზოგადო მოღვაწის გარდაცვალების გამო ილია ჭავჭავაძე წერდა: „სტიხის და გლოობს მთელი საქაჩთვედო. მახთდადაც უნდა იტიხოს და იგლოვოს. დაკაჩგვაც აჩის და დაკაჩგვაც. დღეს საქაჩთვედომ დაჰკაჩგა ეხთი იმისთანა დიდებური კაცი, ხომედრიც ახამც თუ ჩვენში, საცა ასე იშვიათია კაცუხი კაცობა, სხვაგან ყვედგანაც, საცა დიდებუნებოვანება ადამიანისა ხშირია, იქაც კი ამისთანა კაცი სასახედოა და თავმოსაწონებელი მთედის ეხისათვის... ხოცა ხომედისამე ეჩის სიკეთე გნებავთ დაანახვოთ ვისმე, ეჩის აღმაგებულობა დააჯეხოთ, სწოხედ ამისთანა კაცებს დასახედებენ ხოდმე, აი ამ ეხს ამისთანა კაცები ჰყავსო. ამისთანა კაცების ჩამოთვდით ეჩის კაცობას ზომავენ“ [ჭავჭავაძე ი. 2007 : 210].

გაბრიელ ეპოსკოპოსის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე შემოგვრჩა იაკობ გოგებაშვილის საინტერესო წერილი და ერთი მოგონებაც, რომლის შინაარსსაც მოკლედ გადმოვცემთ. 60-იანი წლების შემდგომ დაიბეჭდა რუსულად გაბრიელ ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“. ამ ნაშრომმა მთელი განათლებული რუსეთის ყურადღება მიიპყრო. ამ დროს გოგებაშვილი კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა. იქაურმა საუკეთესო პროფესორებმა სთხოვეს მას, ამ კაცის შესახებ ყველაფერი მოეყოლა, რაც კი იცოდა. იაკობის ვრცელი ნაამბობის შემდეგ ერთხმად გამოთქვეს აზრი, რომ „აქტიმანდხიგი ქიქოძე ეხთსა და იმავე დხოს შემკუდია ღხმა სახწმუნობით და საფუძვდიანი, მხავად-მხხოვანი აწინდელი განათლებით. ეს ღიხსება-კი ყვედგან ძდიეხ იშვიათია და ბევხისათვის შეადგენს იდეადს, მიუწდომედს საგანს ნაცხისასაო“ [გოგებაშვილი, ტ.III 1954 : 10]. იაკობი იმასაც აღნიშნავს, რომ თავისი სათაყვანებელი მწყემსმთავრის მთავარი ღირსება იმერმა ხალხმა მდაბიურად ორი სიტყვით გამოხატა – „მეცნიერი არქიერიო“. მართლაც, სარწმუნოება და მეცნიერე-

ბა ჰარმონიულად იყო შეთავსებული ამ ადამიანში. იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისეული პრინციპი - „ხე ნაყოფით იცნობება“ - თვალსაჩინოდ დაამტკიცა გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობამ, რომლის ერთ-ერთ მაგალითად გოგებაშვილი ასახელებს იმერთა ხალხის ცხოვრებაში მომხდარ უპრეცედენტო მოვლენას. საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხობას არ დარჩა თავისი სანადელო მიწა. მას მიეცა მხოლოდ უფლება, რომ გამოესყიდა ეს მიწა მებატონისგან. ქართლ-კახეთში ასიდან ერთმა გლეხმაც ვერ მოახერხა ის, რაც ყოველმხრივ შევიწროებულმა იმერლებმა შეძლეს. მათ გამოისყიდეს რამდენიმე მილიონი მანეთის მამული და სრული მესაკუთრეები გახდნენ ამ ნადელებისა. მათთვის არც მთავრობას და არც კერძო პირს შემწეობა არ აღმოუჩენია. ამ მოვლენას ბარონი ნიკოლაი (რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ალ. ჭავჭავაძის სიძე) უმაგალითოდ თვლის მთელ მსოფლიო ისტორიაში. იაკობ გოგებაშვილი კი მართებულად აღნიშნავს, რომ გლეხის ამგვარი შრომისმოყვარეობა და მიზანმიმართული ქმედება იყო იმ კაცის ცოდნისა და რჩევის ნაყოფი, რომელიც ნამდვილი მამასავით ზრუნავდა თავის სამწყსოზე, ხალხი დაემსგავსა თავის მწყემსმთავარს, რომლის გამუდმებული გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა 35 წლის განმავლობაში.

გაბრიელ ეპისკოპოსის ძირითადი ნაშრომის - „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ გამოსვლას წინ უძღოდა გამალებული და აღგზნებული პოლემიკა ადამიანის ბუნების საკითხის გარშემო „სოვრემენიკისა“ და „რუსკი ვესტნიკის“ ფურცლებზე. მოწინააღმდეგეთა ერთი მხარე ემხრობოდა მატერიალისტურ შეხედულებას, ხოლო მეორე - იდეალისტურს. მატერიალისტურ შეხედულებას ყველაზე სრულად გამოხატავდა ჩერნიშევსკის სტატია - „ანტროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში“, ხოლო იდეალისტურს - კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორის, იურკევიჩის, ტრაქტატი სახელწოდებით - „მეცნიერებიდან ადამიანის სულის შესახებ“. გაზეთმა „სოვრემენიკმა“ იურკევიჩის სტატიას დასცინა, ჩათვალა შაბლონუ-

რად და მეცნიერებისაგან დაშორებულად. ამავე პერიოდში დაიბეჭდა არქიმანდრიტ გაბრიელის ნაშრომიც. მოსალოდნელი იყო, რომ მასაც იგივე ბედი გაეზიარებინა მოწინააღმდეგეთა მხრიდან, ან უკეთეს შემთხვევაში - გამოხმაურების გარეშე დარჩენილიყო. მოხდა პირიქით, „სოვრემენიკი“ არა თუ გამოეხმაურა შრომას, არამედ მოწონება და გულწრფელი პატივისცემა გამოხატა დობროლიუბოვის წერილით და მეცნიერს წარმატება უსურვა. ქიქოძის ნაშრომში დაინახეს საკითხისადმი არაშაბლონური მიდგომა, დამაჯერებელი მსჯელობა და გულწრფელობა, გადმოცემის სიმარტივე, თავისუფალი აზროვნება, საფუძვლიანი ცოდნა ფიზიოლოგიისა, რომელსაც საფუძვლად უდებს ავტორი ფსიქოლოგიურ დასკვნებს.

იურკევიჩი მოხიბლული იყო გაბრიელ არქიმანდრიტის სტატიით, სწორედ მან მიიწვია იაკობ გოგებაშვილი თავისთან, რომ მისი საშუალებით გაეცნო ახალი ფილოსოფიური თხზულების ავტორი, მისი პიროვნება. იურკევიჩთან მისულ იაკობს აკადემიის სხვა დამსახურებული პროფესორებიც დახვდნენ. გოგებაშვილი რამდენიმე დღე კარგად მოემზადა, რომ დაწვრილებით მოეთხრო ეპისკოპოსის ცხოვრების შესახებ. ჩვენც ძირითადად იაკობ გოგებაშვილის წერილს ვიყენებთ მისი ცხოვრების აღსაწერად და ვურთავთ მასში სხვადასხვა ბიოგრაფიულ ცნობებს:

გერასიმე ქიქოძე, ბერობაში გაბრიელი, დაიბადა 1825 წლის 15 ნოემბერს სოფელ ბახვში, დასავლეთ საქართველოში. წარმოშობით ეკუთვნოდა სასულიერო წოდებას. მამამისი, მაქსიმე ქიქოძე, გურიის უკანასკნელი მთავრის - მამია გურიელის - კარის მოძღვარი იყო. პატარა გერასიმე ღრმად ღვთისმოსავ ოჯახში იზრდებოდა. მისი ბიოგრაფი მელიტონ კელენჯერიძე წერს: *„ვეჩავითაჲი სკოღა ... ვეჲ შედღებს იმ გჲძნობის ღამეაჲებას ბავშვის სუღში, ჲა გჲძნობითაც იყო გაბჲიედი შემკუდი და შეპყჲობიდი. ეს ღჲმა ჲედიგუჲი ჲწმენა, ეს მუყაითობა და მოუწყინაჲობა ჲედიგუჲი ვადღებუღებათა შესჲუღებაში, ეს სუღიეჲი სიფჲთხიდე, ეს მღუღაჲე ცჲემდი, ხაგის წინ მყუღჲო, ბნეღ*

ოთახში ნაფხქვევი, ეს მუხღზე გგომა საათობით, ეს ღვთისადმი აპყხობიდი ხედები, ყველა ის, ჩითაც განსვენებუდ მღვდელმთავახს განცვიფხებაში ჰყავდა მოსამსახუხე და მესაიდუმდე პიხეობი, ჩნდება და ვითაჩდება, მუშავდება, მგკიცდება მხოლოდ იმ სკოლაში, რომელსაც ეწოდება ოჯახი“ [კელენჯერიძე 1913 : 12].

1839 წელს გერასიმემ დაამთავრა თბილისის სამაზრო სასულიერო სასწავლებელი და სწავლა გააგრძელა თბილისის სემინარიაში, 1842 წლიდან გადავიდა ფსკოვის სასულიერო სემინარიაში, 1845 წლიდან კი პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგაც შევიდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. აკადემიაში სწავლის წლებში ის დაუახლოვდა მიხეილ ბატონიშვილს, გიორგი XII-ისა და მარიამ დედოფლის ვაჟს, უაღრესად ნაკითხსა და განათლებულ ადამიანს, ფილოსოფიის კარგ მცოდნეს. ბატონიშვილის ფილოსოფიურმა საუბრებმა გავლენა მოახდინა ახალგაზრდა გერასიმეზე.

1849 წელს გერასიმემ დაამთავრა პეტერბურგის აკადემია მაგისტრის ხარისხით. იმავე წელს დაქორწინდა და მალე სამშობლოში დაბრუნდა ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად, რომელიც იყო პეტერბურგის მაშინდელი მთავარეპისკოპოს ვლადიკინის ქალიშვილი. აღსანიშნავია, რომ მეუღლე მან სიყვარულით შეირთო. თბილისში გერასიმე დაინიშნა სასულიერო სემინარიის ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ საღვთისმეტყველო საგნებში. 1851 წლიდან ის ფიზიკისა და მათემატიკის პროფესორი გახდა და ასწავლიდა ამ საგნებს სემინარიაში. გერასიმე ინსპექტორის თანამდებობის აღსრულებას მთელი სერიოზულობით მოეკიდა, გააუქმა დისციპლინის მანამდე არსებული მოთხოვნები და კეთილგონივრულად განსაზღვრა მნიშვნელოვანი და არსებითი წესები, რომელთა შესრულება ყველასთვის სავალდებულო იყო. 1854 წელს გერასიმე აკურთხეს მღვდლად. ამავე წლიდან პარალელურად მუშაობდა თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში საღვთო რჯულის მასწავლებლად.

ზნეობრივი ცხოვრების საუკეთესო საშუალებად სემინარიის ინსპექტორს გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთმანეთთან შენაცვლება მიაჩნდა. ამ წესს თვითონაც მკაცრად იცავდა. რეგულარულად ჭრიდა შეშას განსაზღვრულ საათებში, რითაც ანაცვლებდა ინტენსიურ გონებრივ სამუშაოს. მოსწავლეებიც ბაძავდნენ მას და თვითონაც მონაწილეობდნენ სამეურნეო სამუშაოებში. თუ წინათ სემინარიაში ცუდ ტონად ითვლებოდა სხვადასხვა ფიზიკურ თამაშებში მონაწილეობა, გერასიმემ სულ სხვა თვალთახედვა დანერგა. ის თამაშს მიიჩნევდა აუცილებელ მეცადინეობად არა მარტო სხეულისთვის, არამედ სულისთვისაც. ყოველდღე, ნასადილევის, რამდენიმე საათის განმავლობაში ათამაშებდა ბავშვებს ჰაერზე, აჩვენებდა მოხერხებულობას, სისწრაფეს, თვითონაც ამ დროს ეზოში იყო და შეშას აპობდა, ან აივნიდან ადევნებდა მათ თვალყურს. განსაზღვრულ დროს სემინარიის ეზოში თამაშობა წყდებოდა და ისადგურებდა სრული სიწყნარე, მოსწავლეები იწყებდნენ მეცადინეობას. ასეთი ცხოვრების წესის შედეგად სემინარიაში შემცირდა ბავშვთა „საიდუმლო ბიწიერებანი“, შემცირდა დაავადებათა რიცხვიც, რადგან სასარგებლო თამაშები ბავშვთა ჯანმრთელობაზე აისახებოდა. მოსწავლეთა სწავლაში წარმატებას კი ხელი შეუწყო მეცადინეობის ახალმა სისტემამ. გაზეპირების ნაცვლად ინსპექტორმა მოსწავლეებს გამოუცხადა, რომ მის საგნებში სახელმძღვანელოები არ შეეძინათ, გაკვეთილები კლასში არ ჩაენერათ, მხოლოდ ყურადღებით მოესმინათ მისი ახსნა-განმარტება კლასში. ინსპექტორი გაკვეთილს ხსნიდა მთელი სიმარტივით, ყოველგვარი ზედმეტი სიტყვებისა და ფრაზების გარეშე, იმეორებდა მას რამდენჯერმე, შემდეგ კი ამეორებინებდა საუკეთესო მოსწავლეებს მანამ, სანამ გაკვეთილი ბოლომდე არ იქნებოდა ათვისებული. გაკვეთილების დასრულების შემდეგ ეს მოსწავლეები ვალდებულნი იყვნენ, აეხსნათ მასალა დანარჩენი ამხანაგებისათვის მის სრულ შეთვისებამდე. თითოეული მერხის თავში, რომელიც 7-8 მოსწავლეს იტევდა, იჭდა საუკეთესო

მოსწავლე. ის პასუხისმგებელი იყო ჯგუფის წარმატებაზე. ამ სისტემამ, მართალია, მოითხოვა პროგრამის განახევრება, მაგრამ სამაგიეროდ საგნის არსებით და მნიშვნელოვან ნაწილს ყველა მოსწავლე ითვისებდა შეგნებით. აღსაზრდელებმა კარგად იცოდნენ, რომ ცოდნის მიღება მათ შეეძლოთ მხოლოდ მასწავლებლის ცოცხალი სიტყვიდან და არა სახელმძღვანელოდან, ამიტომ გაკვეთილებზე სმენად იყვნენ გადაქცეულნი. ინსპექტორის ეს ხერხი სემინარიის ახალგაზრდა მასწავლებლებმაც გადაიღეს და ზუთხვის მეთოდი გააუქმეს. თუ მანამდე ფიზიკას მოსწავლეები ცდის გარეშე სწავლობდნენ, რადგან არ იყო სემინარიაში ფიზიკის კაბინეტი, ქიქოძემ იზრუნა ისეთი სრულყოფილი კაბინეტის შესაძენად, რომლის მსგავსი მაშინ თბილისში არ იყო. დროგამოშვებით ამ კაბინეტით ინსპექტორი საერო სასწავლებლებსაც ასარგებლებდა. შეიძინეს ტელესკოპიც ასტრონომიული დაკვირვებებისათვის. სემინარიაში დაინყეს საუკეთესო საერო ჟურნალებისა და სხვადასხვა დარგის წიგნების გამოწერა, რამაც ხელი შეუწყო გონებრივი საქმიანობის ფართოდ გაშლას. სადამოს სემინარიის აივანზე გაცხოველებული აზრობრივი პაექრობა მიმდინარეობდა მასწავლებლებს შორის, რომლის დროსაც, გოგებაშვილის ცნობით, „ახალგაზრდა ინსპექტორი ხშირად ამჟღავნებდა გურულ სიფიცხეს“ [გოგებაშვილი, ტ. III, 1954 : 41]. ეს გონებრივი პაექრობა მოსწავლეთა თვალწინ ხდებოდა, ამიტომ მათაც უღვიძებდა ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს გონებრივი საქმიანობისადმი.

ქიქოძის ავტორიტეტს მოსწავლეებში ხელი შეუწყო მისმა შინაგანმა თვისებებმა. ინსპექტორის სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთი იყო, მის ყველა მოქმედებას განსაზღვრავდა სამართლიანობა. თუ წინა წლებში სემინარიის აღსაზრდელები უწესო საქციელს სჩადიოდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ მასწავლებლებს, ერთი ინსპექტორი კიდეც სცემეს, მსგავსი რამ არ ხდებოდა გერასიმე ქიქოძის სემინარიაში მოღვაწეობის პერიოდში, ხოლო მას შემდეგ, რაც მან დატოვა სემინა-

რია, კვლავ გაგრძელდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის უთანხმოებანი, რაც ერთის ან მეორის მხრიდან შეურაცხყოფით და აღსაზრდელების სემინარიიდან გაგდებით სრულდებოდა.

სრული ოჯახური ბედნიერებით გერასიმე ქიქოძემ მხოლოდ ექვსი წელი იცხოვრა. მან ერთდროულად დაასაფლავა საყვარელი ცოლი და ოთხი შვილი. დამსწრეთა და ახლობელთათვის დაუვინყარი იყო მისი უსიტყვო და ღრმა მწუხარება. უფროსი შვილი, ხუთი წლის პეტია, მამას მიეჭაჭვა, მალულად მიდიოდა სახლიდან სემინარიაში, შედიოდა საკლასო ოთახში და გაკვეთილების დამთავრებამდე გერასიმეს თვალს არ აშორებდა. მაგრამ მამას ეს უკანასკნელი იმედიც გამოეცალა. პეტიაც მალევე გარდაიცვალა.

ოჯახის დაკარგვა მღვდელმა ქიქოძემ ღვთის ნებად მიიჩნია და 1856 წელს ბერად აღიკვეცა (ენოდა სახელი გაბრიელი). ბერობაში მან მეცნიერული მუშაობა მაინც განაგრძო და დაასრულა „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“. მალე იგი ხელდასმულ იქნა გორის ეპისკოპოსად და საქართველოს ეგზარქოსის ქორეპისკოპოსად (მაშინ ის 33 წლისა იყო); ამასთანავე დაინიშნა ქართლ-კახეთის უწმინდესი სინოდის წევრად. ამიერიდან მან უმთავრესად მქადაგებლურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. ყოველი წირვის დროს გაისმოდა შინაგანი ძლიერებითა და ტალანტით, „იშვიათი ცხოველმყოფელობით აღსავსე“ მისი სიტყვა. გაბრიელს ჩააბარეს სამღვდელო და სადიაკვნო ადგილების მოსაპოვებელი გამოცდებიც. თუ ადრე ამ თანამდებობებზე დანიშნვა მხოლოდ ძღვენით ხდებოდა, არქიმანდრიტმა შეიმუშავა არართული, მაგრამ ზუსტად განსაზღვრული საგამოცდო პროგრამა, რომელიც შეიცავდა მხოლოდ არსებით საკითხებს; ეპისკოპოსი მკაცრად მოითხოვდა პროგრამით გათვალისწინებული მასალის სრულსა და შეგნებულ ცოდნას. მან შესთავაზა გამოცდის ჩაბარების მსურველებს პრაქტიკული გზა. ეს იყო ნასადილევს სემინარიის უფროსი კლასის საუკეთესო მოსწავლეების მიერ ჩატარე-

ბული სამედავითნეო გაკვეთილები. ისინი ამ გაკვეთილებში იღებდნენ მცირეოდენ ჯილდოს, რომელიც არ აღემატებოდა ძღვენის ღირებულებას. ეს ღონისძიება ორმხრივ იყო მნიშვნელოვანი, ამზადებდა სასულიერო პირებს და მატერიალურად ეხმარებოდა სემინარიელებს. გარდა მატერიალურისა, ისინი სწავლობდნენ გამარტივებულ ახსნას, სასულიერო ამბების გასაგებად და უბრალოდ გადმოცემას და თავად ემზადებოდნენ სასულიერო პირობისათვის. „გადაჭიით უნდა ითქვას, ხომ ვეიც ეითი უღიხსი ვეი ღებუდობდა ადგიდს, ვიდეე გამომცდედი იყო ახქიმანდხიგი გაბხიედი, ხომედიც გამომცდედაც დახჩა საქახთვედოს ქოხეპისკოპოსად კუხთხევის შემდეგაც. ასე ამალდებდა, აცოცხდებდა და აუმჯობესებდა ის ყვედაფეხს, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა“ [გოგებაშვილი, ტ. III, 1954 : 44].

1860 წელს გაბრიელი იმერეთის (იმერეთ-სამეგრელო-გურია-სვანეთის, რომელსაც მალე აფხაზეთიც შეუერთდა) ეპისკოპოსად დაინიშნა. ახალგაზრდა ეპისკოპოსის სამოღვაწეო სარბიელი რთული იყო, მოითხოვდა დიდ პასუხისმგებლობას და მთელი ძალ-ღონის კონცენტრაციას. გაბრიელი ჩვეული თავდადებით შეუდგა საქმიანობას, ამასთანავე განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას, რაშიც დიდ სიამოვნებას ნახულობდა.

გარდა იმისა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი თავის მრავალრიცხოვან სამწყსოში 35 წლის განმავლობაში მართლმორწმუნეობასა და სახარების ზნეობას ამკვიდრებდა, აღადგენდა დაანგრეულ ტაძრებს, ზრუნავდა ქრისტიანობის განმტკიცებაზე (გააქრისტიანა 18 000 აფხაზი), აარსებდა და აკონტროლებდა სკოლებს, ქადაგებდა დიდ ქალაქებში და უფრო მეტად - სოფლებში, უპირველესად თავისი ცხოვრებით იძლეოდა მაღალი ზნეობის მაგალითს. მისი სამწყსო ამაღლდა ზნეობრივად, გონებრივად და ეკონომიკურადაც, რასაც ადასტურებს ქუთაისის გუბერნიის გლეხთა მიერ რამდენიმე მილიონი მანეთის სანადელო მიწების შესყიდვა საკუთარი ხარჯებით. მსგავსი რამ არ მომხდარა აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც დასავლეთ საქართველოზე მაღლა იდგა განვითარებით 30-40 წლის წინათ.

გაბრიელ ეპისკოპოსი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი იყო. 1890 წლის 21 ნოემბერს ის ამ საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს განათლების საქმეში ფასდაუდებელი სამსახურისთვის. მისი თაოსნობითა და უშუალო ხელშეწყობით ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოში ასზე მეტი სამრევლო სკოლა და მრავალი ბიბლიოთეკა გაიხსნა. მისივე ხელმძღვანელობით 1890 წელს ქუთაისში ქალთა ეპარქიული სასწავლებელი, ხოლო 1894 წელს სასულიერო სემინარია დაარსდა.

მეუფე გაბრიელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მოღვაწეც. ამ მხრივ უპირველესად აღსანიშნავია მისი თავდადებული მოღვაწეობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. გაბრიელ ეპისკოპოსს ეკუთვნის არაერთი ნაშრომი საქართველოში ქრისტიანობის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე (გაბრიელ ეპისკოპოსის პირადი არქივი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში). ეპისკოპოსი ებრძოდა იანოვსკი-ლევიცკის მუნჯური მეთოდით სწავლებასაც, რომლის მიზანი იყო ქართული ენის სრულად განდევნა სკოლებიდან. ამდღური დაპირისპირება და განხეთქილება იქამდე მისულა, რომ ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორს, ლევიცკის, გაბრიელის ეპისკოპოსობიდან გადაყენება მოუთხოვია. დროდადრო გაბრიელ ეპისკოპოსს საიდუმლო მეთვალყურეც ჰყოლია მიჩენილი, რადგან ყველა სფეროში ეროვნულ ნიადაგზე დგომის გამო მთავრობისათვის არასაიმედოდ იყო მიჩნეული.

1872 წელს გაბრიელ ეპისკოპოსმა წერილებითა და ქადაგებებით გაილაშქრა გიორგი მუხრანბატონის წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებდა დიდი ერების მიერ პატარა ერების ასიმილაციისა და მცირე ენების გაქრობის გარდაუვალობას. „რით ამტკიცებ შენ, რომ ეს მოვლენა (მცირე ხალხის ენის განქარვება) არის ბუნების წესი?“ – მიმართავდა გაბრიელ ეპისკოპოსი მუხრანსკის, – „პირიქით, ხალხი უნდა ეცადოს

ენის გავრცელებას, გამდიდრებას და არა დამარხვასა და დაკარგვას.“

გაბრიელი თვლიდა, რომ ხალხის ინდივიდუალურობის გამომხატველი სწორედ ენაა, თავის ენას მოკლებული ხალხი კარგავს ინდივიდუალურობას და უსარგებლო ხდება როგორც თავისი თავისთვის, ასევე – სხვებისთვისაც.

ფართოდაა ცნობილი მეუფე გაბრიელის ზეპირად წარმოთქმული სიტყვები და ქადაგებანი, რომელთა ორთომეული გამოიცაქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. იაკობ გოგებაშვილი თავის ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში“ დანანებით საუბრობს საქართველოს მღვდელთა უმრავლესობის შესახებ, რომლებიც წირვაზე არ ქადაგებდნენ. გოგებაშვილი სასულიერო პირებს იმერეთის ეპისკოპოსის ქადაგებათა წიგნზე მიუთითებს, რომელიც, დიდი პედაგოგის თქმით, დაეხმარებოდა მათ საეკლესიო კათედრების გაცოცხლებაში. იაკობი წუხს იმის გამო, რომ სამღვდელოებამ უყურადღებოდ დატოვა ეს წიგნი და ერთიც კი არ შეუძენია; მაშინ, როდესაც გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი ევროპაში ღირსეულად დააფასეს. თბილისში გამოცემული „ქადაგებანი“ მალევე ითარგმნა ინგლისურ ენაზე და ლონდონის პრესამ მას მაღალი შეფასება მისცა (ეს შეფასება დაიბეჭდა თბილისის გაზეთებშიც). გოგებაშვილი წერს: „*აჲ გასუდა ოჲი წუღიწადი მათის დაბეჭდვის შემდეგ, ხომ ღონღონში გამოიცა ცაღკე დაზათიან ცომად მათი თაჲგმანი. ინგლისელებს ცყუიდ-უბხადოდ გაჲჭა და ხაჲჯი აჲ უყვაჲთ. ჩვენ დაჲწმუნებუდნი ვაჲთ, ხომ ჩვენი ყოვდად-სამღვდელო გაბჲიედის ქადაგებანი აჲამც თუ თვითონ ინგლისში წაჲმოითქმიან იქაუჲი პასტოხების პიჲით, მჲავად კადონიებშიც კი უთუოდ ხში-ჲად დაამწვენებენ საეკლესიო კათედჲასა...*“ [გოგებაშვილი, ტ. I, 1952 : 387]. მართალს ბრძანებდა დიდი პედაგოგი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებში გასაგებადაა გამოთქმული ნებისმიერი შინაარსის საკითხი, მხოლოდ რელიგიური თემები კი არ არის ახსნილი, არამედ წარმოჩენილია, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ამა თუ იმ რელიგიურმა მოვლენამ ადამიანზე,

მრევლზე, რათა ის სულიერად დაიხვეწოს და ქეშმარიტი რელიგიური ცხოვრებით იღვანოს. მაგალითად, ახსნილია ქრისტეშობის უნიკალური მნიშვნელობა, მაგრამ ძირითადი ყურადღება ეთმობა მრევლს, თუ როგორ უნდა შეძლოს მან ქრისტეს დაბადება საკუთარ არსებაში, არა მარტო დაბადება, არამედ მისი სიყვარულის განმტკიცება, გაბეგრება და ზოგადად საკუთარი ცხოვრების მისადმი მიმსგავსება და სრულყოფა. გაბრიელ ეპისკოპოსი, გარდა სასულიერო თემებისა, ყოველთვის აძლევდა მრევლს სასარგებლო რჩევებს ცხოვრებისეულ საკითხებზე. მაგალითად, წარმოაჩენდა ქალთა ამოო მისწრაფებას სამკაულებისა და ფერუშარაილისადმი, რასაც არაქრისტიანულად მიიჩნევდა, რადგან ქალი კარგავდა თავის ბუნებრივ სისადავესა და თავმდაბლობას. კიცხავდა ადამიანის მავნე სენს - დამბეზღებლობას, რითაც საბოლოოდ თავისავე თავს ვნებდნენ დამბეზღებლები. მას თავისი ცხოვრებიდან მოჰყავდა მაგალითი და ხატავდა დაბეზღებულისა და დამბეზღებლების მდგომარეობას ღვთის წინაშე: „*ქეშმაიღებებს ვიგყვი, მე თვით იგინი მეცოდებიან, ხომეღიც ამეღენს მამბეზღებენ, ახა თუ ვემღუი და ვუწყხები მათ. მე კი ახ მამგყუნებენ, ახამედ თავის თავს ამგყუნებენ: საკუთაიხის ხედით სიგედს სწეხენ თვისი ცოდვისას, ხომეღიც მათ ეღესა სასჯელისასა წაიმოუღგება შესახცხვენედად, მე კი ახ მავნებენ, იგინი თვის თავს ავნებენ... ღვთის წინაშე დიდ პასუხისგებაში ჩავახედიან, თუ ახ შეინანეს. ამაზედ უმეტეს ხამეს გეტყვი, თუ გინდ ახ დაიჯეხო. მე კიდევ მიხახია და მადლობედი ვახ მათი, ვინც ასე მღევნის და მასმენს მთავხოობასთან. ეს ხოგოხ იქნებაო, იგყვი შენ. ხა ახის აქ სასიხახუროო? აი ხა: ეხთ კახგ წიგნში, ხომეღიც მე მიყვახს და თქვენცა, ესხედ ახის დაწეხიდი: „ნეგახ იყვნეთ თქვენ, ხაჟამს გღევნიდენ და გყვეღიდენ, და სთქვან თქვენზედა ყოვედი სიგყვა ბოხოგი“. აი ეს სიგყვა მანუგეშებს მე. გაამჩავდონ ჩემზედ ყვეღება, ციღისწამება, დაბეზღება, - ამით მე იგინი კეთიღს მიყოფენ. სხვა ხამეკეთიდი და სათნო ღვთის წინაშე ახაფეხი მიქნია, ჩემი დიდი წოდება მე ცოდვიდმან ვეი გავამახთედ და ყო-*

ვერთვის მეშინია, რომ ახ დავისაჯო ღვთისაგან, გახნა იქნება ამით მაინც შემიწყნახოს ღმეხთმა და ახ დამსაჯოს, რომ ვითმენ ამას ყოველსა სუდგმურად, ახ ვურივი მათ ღმეხთთან დოცვაში, ახამედ კიდევ ვევედები: მიუტევოს მათ, გაასწოროს მათი ცუდი ხასიათი“ (<https://www.orthodoxy.ge/tserilebi/gabriel/-dabezgebaze.htm>). გვაკვირვებს, როგორ მარტივად და გასაგებად უხსნის მღვდელმთავარი თავის მრევლს, როგორ უსაბუთებს ქრისტიანულ ქეშმარიტებას, რომ ცოდვით ადამიანი მხოლოდ თავის თავს ვნებს. საოცარია გაბრიელ ეპისკოპოსის შიშიც უფლის წინაშე, თავმდაბლობაცა და მოთმინების უნარიც. ის თავის დამბეზღებლებსაც კი არ აბეზღებს ღმერთთან. საბოლოოდ კი პირადი საქციელით მაგალითს აძლევს სხვას.

დიდია გაბრიელ ეპისკოპოსის წვლილი ქართული გალობის შენარჩუნებისა და საგალობლების ნოტებზე გადმოტანის საქმეშიც. ეს ის დრო იყო, როდესაც გაუქმდა სამღვდელმთავრო გუნდები, სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებშიც აიკრძალა ქართული გალობა, სემინარიის რექტორმა მოსწავლეებს უბრძანა, სლავური პარტიტურის ნოტების ქვეშ ქართული სიტყვები მიეწერათ და ისე ეგალობათ, ხოლო ქართული გალობა, როგორც არაპარმონიული, დაევიწყებინათ. ამ ყოველივეს საპირისპიროდ 1860 წელს თბილისში შეიქმნა „ქართული გალობის აღმდგენელი კომიტეტი“; იმერულ-გურული კილოს საგალობლების აღდგენა გაბრიელ ეპისკოპოსმა ითავა. მისი ლოცვა-კურთხევით ამ საქმისათვის 4000 მანეთი შეკრიბეს. კომპოზიტორმა ფილიმონ ქორიძემ კი, ამ საქმის თავად მოსურნემ, ნოტებზე გადაიღო ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის წირვის საგალობლები. სულ ჩაიწერეს 400 საგალობელი, რომლებიც კომიტეტმა შეამოწმა და მოიწონა. ნოტებზე გადაღებული გალობა ორჯერ იგალობეს ქუთაისის საკათედრო ტაძარში, ერთხელ ზესტაფონში და ერთხელ მარტვილში. გაბრიელ ქიქოძის ღვაწლით საეკლესიო მუსიკის ასეულობით უნიკალური ნიმუში შემოგვენახა.

დაულაღავი მოღვაწეობის შედეგად გაბრიელ ეპისკოპოსი ნაადრევად „დაიფერფლა“, შეერყა ჯანმრთელობა, სრულიად დაკარგა ძილი, „გადაიქცა ჩონჩხად და გაჩდაიცვად სხუდიად ღაღრიდი... კეთილმა მწყემსმთავაჩმა თავი დასდო მისდამი ხწმუნებუდ სამწყსოსთვის“ [გოგებაშვილი, ტ. III, 1954 : 46]. ეს მოხდა 1896 წლის 25 იანვარს. ეპისკოპოსის დევიზი - „ყველაფერი სამწყსოსათვის და არაფერი - საკუთარი თავისთვის“ გამოიხატა მის ანდერძშიც, რომელსაც გაბრიელმა შემდეგი სიტყვები წაუმძღვარა - „მე არა მეკუთვნის რა, ყველაფერი ღვთისაა“. მან მთელი თავისი ქონება დაუტოვა სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებას, ქვრივ-ობლებსა და უპოვართ და არა თავის მრავალრიცხოვან ნათესავებს, რომელთადმი ყოველთვის მამობრივ მზრუნველობას იჩენდა.

გაბრიელი დაკრძალეს გელათის ღვთისმშობლის ეკლესიაში. დასაფლავებაზე დიდი დელეგაცია ჩავიდა თბილისიდან ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ილიამ მეტად შთამბეჭდავი სიტყვა წარმოსთქვა, რითაც სრულყოფილად თუ არა, შეძლებისდაგვარად შეაფასა გაბრიელი ქიქოძის ეროვნული, სულიერი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მისი თქმით, გაბრიელი იყო ის კაცი, რომელიც „სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა“. 1995 წლის 19 სექტემბერს საქართველოს ეკლესიამ ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გაბრიელ ეპისკოპოსი წმინდანად შერაცხა.

გაბრიელ ეპისკოპოსის **„ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“** სასულიერო-სამეცნიერო ნაშრომია, რაზედაც თავად სათაური მიგვანიშნებს. ავტორს სურს, ფსიქოლოგია ააგოს არა გონებრივი განჭვრეტის საფუძველზე, არამედ ცდის მონაცემებზე დაკვირვების გზით. გაბრიელ ქიქოძის დიდი დამსახურებაა, რომ მატერიალიზმის შემოტევის ეპოქაში მეცნიერულ საფუძველზე განიხილა სულის არსებობის აუცილებლობის იდეა, ხოლო ფიზიოლოგიური ცდებითა და ფიზიკური კანონებით იდეა რეალობად წარმოაჩინა, და რადგანაც სული არ დაიყვანება სხეულზე, მის შემსწავლელ მეცნიერებად მან

ფსიქოლოგია მიიჩნია. გაბრიელი ზუსტად მიუთითებს, სად მთავრდება ფიზიოლოგიური კვლევა და სად იწყება ფსიქოლოგიური. შეგრძნებათა პროცესის კვლევისას ის ნათლად გვიჩვენებს, რომ ნერვული სისტემისა და ტვინის გარეშე შეგრძნება არ აღიქმება, მაგრამ, ამავე დროს, შეგრძნება არ არის ნივთიერი - შეიგრძნობს არა ტვინი, არამედ სული. ის დაწვრილებით ანალიზებს, როგორ შეიგრძნობს ადამიანი მხედველობის, სმენის, სუნის, გემოს, შეხების ორგანოთა მეშვეობით, როგორ ხორციელდება ნებისმიერი ფიზიოლოგიური პროცესი, რომელიც ყოველთვის თავის ტვინამდე აღწევს და შემდგომ უკანვე უბრუნდება სხვადასხვა ორგანოს; მეცნიერი აღწერს ნერვულ სისტემას, სხვადასხვა ორგანოსა და მათ ფუნქციებს, მაგრამ აქვე დასძენს: „ფიზიოლოგს, რომლის ამოცანასაც მხოლოდ ის შეადგენს, რომ გამოაჩვენოს ადამიანის სხეულის ორგანოების დანიშნულება და მოქმედება, შეუძლია აქ შეჩერდეს, ხადგან მას ახ სჭიხდება ამის იქით წასვლა; ფსიქოლოგმა კი, რომელსაც სუხს შეისწავლოს ადამიანის უხიდავი მხაჲე, სწოხედ ამ პუნქტიდან უნდა დაიწყოს თავისი კვლევა-ძიება“ [გაბრიელ ეპისკოპოსი 1993 : 12]. ფიზიოლოგიური ფაქტების გულდასმით განხილვის შემდეგ მეცნიერ-ეპისკოპოსი მიდის დასკვნამდე: „საწყისი ანუ სუბსტანცია, რომელიც ადამიანში ყვედაფეხს შეიგძნებს და ამოძხავენს, სხუდიად განსხვავებუდია ტვინისაგან და საეხთოდ ყოვედგვახი ორგანიზმისაგან. ეს ახის ახასხეულებიხვი, სუდრეხი სუბსტანცია, რომლის ძიხითად ძადას შეგძნება შეადგენს. ტვინი კი მხოლოდ უკანასკნელი და ამავე დხოს ცენგხადუხი ორგანოა, სადაც თავს იყხის ყვედა შთაბეჭდილება, ხათა საბოლოოდ აისახოს სხვადასხვაგვახი შეგძნებების სახით ამ უხიდავ სუბსტანციაში“ [გაბრიელ ეპისკოპოსი 1993 : 13]. წიგნი ამ დებულების მტკიცებაა ფიზიოლოგიური და ფიზიკური ფაქტების ანალიზით, რომელთა განხილვას მეცნიერი მიჰყავს შემდეგ დასკვნამდე: „... ადამიანში ახ შეიძლება ახ დაუშვათ ახსებობა ხადაც ისეთი ახამაგეხიადუხი ახსებისა, რომელიც სხუდიად განსხვავდება მისი ორგანიზმისგან;

სხვაგვარად ვეი ავხსნით იმას, თუ ხოგოი წახმოიშობიან მასში შეგხდნებები“ [გაბრიელ ეპისკოპოსი 1993 : 180]. ფიზიოლოგიური უნარების გაანალიზების შემდეგ მეცნიერი საუბრობს სულის უნარების შესახებ, რომლებიც ორგვარია: შემეცნებითი და სურვილისეული (ანუ მოქმედებისეული). შემეცნებითი უნარებში შედის: ყურადღება, შედარება ანუ მსჯელობა, გააზრება, წარმოსახვა, დასკვნა, მეხსიერება, ცნება. მოქმედებისეული უნარებია: გასაჭირი, რომელიც აღძრავს ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მოუსვენრობა, სურვილი, ვნებები, იმედი, ნება ანუ ნდომა, საქმე და მოქმედება, აზროვნება (რომელიც ყველა სულიერი უნარის გამოვლენაა), ცნობიერება და თვითცნობიერება. მეცნიერი მიდის დასკვნამდე, რომ სულის უნარები თვითონ სულის გამოვლინებებია, ხოლო სულისთვის ყველა უნარი თანაბრად აუცილებელია. გარეშე საგანთაგან მიღებული შთაბეჭდილებები გრძნობის ორგანოთა საშუალებით გადაეცემა გრძნობის ცენტრს, ანუ ტვინს, სადაც მათ სული აღიქვამს თავისი უნარებით [გაბრიელ ეპისკოპოსი 1993 : 193].

მეცნიერული მსჯელობები გაბრიელ ქიქოძის ნაშრომში ყოველთვის უკავშირდება რელიგიურ გააზრებას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებისას, როგორებიცაა: სიკეთე და ბოროტება, შური და სიყვარული, იმედი და სასონარკვეთილება, სირცხვილი და ამპარტავნება, რელიგიური სიხარული, ადამიანის დანიშნულება და ა.შ. მეცნიერი სამარდჟამოდ გადაუნყვეტელ საკითხზეც მსჯელობს და ასეთად მიაჩნია, თუ როგორ უნდა ავხსნათ სულისსხეულთან საბოლოო შეერთება (ანუ როგორ აღიქვამს სული ორგანულ შთაბეჭდილებებს). ავტორი უაღრესად გასაგებად საუბრობს ურთულეს პრობლემებზე, ღრმა და გონებამახვილური არგუმენტებით იცავს თავის პოზიციას საპირისპირო თვალსაზრისებისაგან, რომლებიც იქვე მოჰყავს, რათა მკითხველსაც მისცეს არჩევანის უფლება.

ლიტერატურა:

გოგებაშვილი ი. (1952), თხზულებანი, ტ. I, თბილისი, ინსტიტუტის გამომცემლობა;

გოგებაშვილი ი. (1954), თხზულებანი, ტ. III, თბილისი, ინსტიტუტის გამომცემლობა;

კელენჯერიძე მ. (1913), გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა, ქუთაისი;

ჭავჭავაძე ი. (2007), თხზულებანი, ტ. XIII, პუბლიცისტური წერილები, თბილისი, გამომცემლობა „ილიას ფონდი“.

Gabriel Kikodze's *Fundamentals of Experimental Psychology* was published in Russian in the 60s of the 19th century. The work caught the attention of all educated Russia. The publication of the main work by Bishop Gabriel – *Fundamentals of Experimental Psychology* was preceded by a precipitate and excited polemic about the topic of human nature, in the pages of *Sovremennik* and *Russky Vestnik*. One side of the opponents supported the materialistic point of view and the other – the idealistic one. The materialist view was most fully expressed in Chernyshevsky's article – *The Anthropological Principle in Philosophy* and the idealist one by Yurkevich, Professor of the Kiev Theological Academy, in a treatise entitled – *From the Sciences to the Human Soul*. The newspaper *Sovremennik* derided Yurkevich's article, considering it templated and far from science. Archimandrite Gabriel's work was published in the same period. It was expected that it would share the same fate from its opponents or at best – remain without any feedback. The opposite happened – *Sovremennik* did not only respond to the work, but even expressed its approval and sincere respect in the letter by Dobrolyubov and wished success to the scientist. In Kikodze's work, they saw a non-template approach to the issue, convincing reasoning and sincerity, simplicity of presentation, free thinking, thorough knowledge of physiology, which the author based on psychological conclusions.

In 1839, Gerasime graduated from the Tbilisi County Theological School and continued his studies at the Tbilisi Seminary; from 1842 he moved to the Pskov Theological Seminary and from 1845 to the St. Petersburg Theological Seminary, after graduating from which, he entered the St. Petersburg Theological Academy. In 1849, Gerasime graduated from the St. Petersburg Academy with a Master's Degree. The same year, he got married and soon returned to his homeland. Gerasime was appointed as an Inspector of the Theological Seminary and Assistant to the Rector in theological subjects. From 1851 he became a Professor of physics and mathematics and taught these subjects in the Seminary. Gerasim took the execution of Inspector's duties seriously - abolished the previous requirements of discipline and judiciously defined important and essential rules, the fulfillment of which was obligatory for all. In 1854, Gerasime was ordained a priest. The Inspector of the Seminary believed alteration between mental and physical work to be the best way of moral life. He himself strictly followed this rule. Students also imitated him and participated in everyday physical labor activities. If previously, in the Seminary it was considered a bad manner to participate in various physical games, Gerasime introduced a completely different approach. He considered the games as necessary exercise not only for the body, but also for the soul. As a result of this way of life, children's ~hidden nefariousness~ decreased in the Seminary, the number of diseases also reduced, as useful games had an impact on children's health. The new teaching system facilitated the successful learning by students. Instead of learning by heart, the Inspector told students not to buy textbooks in his subjects, not to write down the lessons during classes, but to attentively listen to his explanations. The Inspector explained the lesson in all simplicity, without any unnecessary words or phrases, repeated all several times and then had students to repeat it, until the lesson was completely absorbed. Young teachers of the Seminary also started using the method of the Inspector. If before, students

studied physics without any experiments, as there was no physics lab in the Seminary, Kikodze took care to buy such a perfect laboratory, the like of which was not available elsewhere in Tbilisi at that time.

Gabriel Kikodze's personal life was full of tragedies – he lost his wife and five children almost at the same time, which he considered to be God's will, and in 1856 he became a monk (was named Gabriel). In his monkhood, he still continued his scientific work and completed the *Fundamentals of Experimental Psychology*. Soon he was ordained as the Bishop of Gori and Chorepishop of the Exarch of Georgia (he was 33 years old then); at the same time, he was appointed as a member of the Holy Synod of Kartli-Kakheti. From that time, he mainly engaged in preaching activities. During every service, his speech was filled with inner strength and talent, "with rare vitality~. Reverend Gabriel's orally spoken words and sermons are widely known; and they have been published in two volumes in Georgian, Russian and English languages. Gabriel was also made responsible to supervise the exams for obtaining priest and deacon positions. If previously appointments to these positions were made only by making gifts, the Archimandrite developed a simple but precisely defined examination program, which contained only essential topics; the Bishop strictly demanded full and conscious knowledge of the material included in the Program. He offered a practical way for the aspirants to pass the exam. These were the disciplinary lessons conducted by the best students of the senior class of the Seminary. They received a small reward for these lessons, which did not exceed the value of previously traditional gifts. This method was important in two ways, it trained the clergy and materially helped the seminarians.

In 1860, Gabrieli was appointed Bishop of Imereti (Imeret-Samegrelo-Guria-Svaneti, to which Abkhazia joined soon). In addition to the fact that Bishop Gabriel established Orthodoxy and gospel morality in his numerous congregations for 35 years, restored des-

troyed churches, took care of strengthening Christianity (he converted 18,000 Abkhazians to Christianity), founded and controlled schools, preached in big cities and mostly - in villages, he gave the example of high morality primarily by his way of life. His congregation improved morally, mentally and economically, which is confirmed by the purchase of several million rubbles worth of pasture land by the peasants of Kutaisi Province at their own expense. Nothing similar happened in Eastern Georgia, which was higher than Western Georgia in terms of development 30-40 years before that.

Reverend Gabriel was also an active member of the national liberation movement. In this regard, must be noted his dedicated work to restore the autocephaly of the Georgian Orthodox Church. Gabriel Bishop is the author of a number of works on the history of Christianity in Georgia and the history of Georgia. The Bishop also fought against the Yanovsky-Levitsky MuteMethod of teaching, the aim of which was to completely expel the Georgian language from schools. From time to time, Bishop Gabriel had a secret watcher assigned to him, because he was considered unreliable by the government due to his position on the national ground in all different areas.

Gabriel Bishop's contribution to the preservation of Georgian chants and transferring of chants to musical notes is also great. This was the time when the priestly choirs were abolished, Georgian chanting was banned in theological seminaries and schools, the Rector of the Seminary ordered the students to write Georgian words under the notes of the Slavic score and sing them like that and to forget the Georgian chant as inharmonious. Contrary to all this, in 1860, the Georgian Hymn Restoration Committee was created in Tbilisi; the restoration of the chants of Imeretian-Gurianacent was initiated and successfully completed by Bishop Gabriel.

September 19, 1995, the Georgian Church canonized Bishop Gabriel with the blessing of Catholicos-Patriarch Ilia II.

ნიცშეანური ეტიმოლოგია: ძალაუფლების ნება და
პერსპექტივიზმი ქართულ ენაში
Nietzschean Etymology: Will to Power and Perspectivism
in Georgian Language

მინდია ცეცხლაძე
MindiaTsetskhladze

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
Grigol Robakidze University

საკვანძო სიტყვები: ცნობიერება, კომუნიკაცია, ქეშმარიტება,
თვალსაზრისი, პერსპექტივა, მოტყუება, შექმნა.

Key words: Consciousness, Communication, Truth, Point of view,
Perspective, Deception, Creation.

1. ძალაუფლება და ენა: დარტყმა თუ მეტყველება?!

მიშელ ფუკო ამბობს, რომ „მთელი ნიცშე აჩის ჩამდენიმე ბეჩძნული სიტყვის ეგზეგეზა“ [Sheridan 2005 : 75]. სხვა საკითხია, მიშელ ფუკო რამდენად არის ნიცშეს ადეკვატური შემფასებელი, თუმცა სიტყვათა ფილოსოფიური ეტიმოლოგიის ნიცშეანური პრაქტიკა აშკარად ითხოვს გაგრძელებას ცალკეული ენის ფილოლოგიების მიერ. აქ უნდა მოხდეს ნიცშეს პასაჟების ვრცელი ციტირება, რომ თვალსაჩინო გახდეს ზუსტი ნიუანსები. დავიწყოთ ნიცშეს ციტატით, რომელიც, სხვათა შორის, ეხება სწორედ ენისა და ფილოსოფიის კავშირს. ნიცშე ამბობს, რომ ფილოსოფია წინასწარვე არის განსაზღვრული ენის, გრამატიკის მიერ. ჯერ კიდევ ადრეულ წერილში – „ენის წარმოშობის შესახებ“ (1869-1870 წწ.) – ნიცშე წერს: „ყოვედგვაჩი ცნობიერი აზროვნება, მხოლოდ ენის დახმარებით აჩის შესაძლებელი. (...) უღმესი ფილოსოფიური მიგნებები უკვე გამზადებული დევს ენაში. (...) უბედოდ, იფიქრეთ სუბიექტსა და ობიექტზე; მსჯელობის ცნება გჰამატიკური წინადადებიდან აჩის მიღებული. სუბიექტი და პიქტიკა იყო სუბსტანციისა და აქციდენციის კატეგორიები“ (VUS) [Nietzsche 2016 : 2659]. 1886 წელს ნიცშე იმავეს წერს: „უხად-ადრეული ენობივი სიხიცის ფილოსოფოსები (ხომეშიც სუბიექტის კონცეფცია ყვედაზე ცუდად აჩის განვითარებული), დიდი ადრეობით, განსხვავებულად შეხედავენ „სამყაროს“ და განსხვავებულ გზებზე აღმოჩნებიან, ვიდე ინდოგეჰმანელები და მუსლიმები: განსაზღვრული გჰამატიკური ფუნქციების ჯადო, საბოლოო აზრით, აჩის ფ ი ზ ი ო დ ო - გ ი უ ხ ი ლიხებულებივი განსჯებისა და ხასობივი პიხოების ჯადო“ (JGB-20).

სიტყვა „ცნობიერება“ უკავშირდება სიტყვებს: „გამოცნობა“ და „ცნობება“, „შეტყობინება“. ნიცშეს თანახმად, ცნობიერების გაჩენა დაკავშირებულია სწორედ საზოგადოების შიგნით ცნობების, შეტყობინების ანუ კომუნიკაციის აუცილებლობასთან:

„— ცნობიერების (უფრო სწორად: საკუთარი თავის გაცნობიერების) პირობება პიხვედად მაშინ ჩნდება ჩვენ წინაშე, როდესაც ვიწყებთ იმის გააზრებას, თუ რა დროით შეგვიძლია მასზე უახის თქმა: და ამ გააზრების დასაწყისში გვაყენებს, ახლა, ფიზიოლოგია და ზოოლოგია (რომელთაც, შესაბამისად, ორი საუკუნე დასჭირდათ, რომ დაიბნინათ წინმსწიხებ ეჭვს დასწოდებენ). კეიხოდ, ჩვენ შეგვეძლო ფიქი, შეგხდებო, სუხვებო, გახსენებო, ჩვენ შეგვეძლო, მსგავსად ამისა, „გვემოქმედა“, ამ სიგყვის ყველა გავებით: და, მიუხედავად ამისა, ახ მოითხოვდა ეს ყველაფეი, „ცნობიერებაში შემობიჭებას“ (როგორც ეხთი ხაგოვნად ამბობს). მთელი ცხოვრებო შესადლებელი იქნებოდა, ასე ვთქვათ, მის მიეხ საკუთარი თავის სახკეში დანახვის გახეშე: როგორც, დიახ, ნამდვიდად, ახდაც კი, ჩვენთვის, გაცილებით მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ცხოვრების, ამ ახეკვლის გახეშე გადის, — და მახთდაც, თვით ჩვენი აზროვნებითი, გხძნობითი, ნებდობითი ცხოვრებო, ხაც ახ უნდა მტკივნეულად ჟლეხდეს ეს განცხადებო ძველი ფილოსოფოსისთვის. ხის თვის ახის საეხთოდ ცნობიერებო, თუკი ის, ძიხითადად, ზეღმეგია? — მაშ, მე მიმაჩნია, თუკი ამ კითხვაზე ჩემი პასუხის და მისი, შესადლოა, თამამი ვახუდის მოსმენას ინებებთ, რომ ცნობიერების დახვეწილობო და სიძლიეე მუდამ ადამიანის (ან ცხოველის) კომუნიკაციის უნახი, თავის მხიივ, კომუნიკაციის საჭიროების პირობიეი (...)
 ცნობიერებო, როგადად, მხოლოდ კომუნიკაციის აუცილებლობის ზეწოდის ქვეშ განვითახდა, რომ იგი, თავიდანვე, მხოლოდ ადამიანსა და ადამიანს შოხის (განსაკუთებით მბხძანებდესა და მოხჩიდს შოხის) იყო საჭირო, სასახვებდო და მხოლოდ და მხოლოდ ამ სახვებდიანობის პირობიეიედად განვითახდა“ (FW-354).

ამგვარად, ცნობიერებო გაჩნდა კომუნიკაციის, უფრო ზუსტად კი, მართვის საჭიროების გამო. მართვა არის პირველადი, ძალაუფლების ნებო არის პირველადი, ცნო-

ბიერება „არ არის მმართველობა, არამედ მ მ ა რ თ ვ ე -
ლო ბ ი ს ო რ გ ა ნ ო “ (NF-1887,11[145]). უფრო კონკრეტულ
დონეზე, მართვას უკავშირდება ასევე ქვეშარიტებისკენ
სწრაფვა და საგნების აღნიშვნის საყოველთაო წესის, ენის,
ცნებების გამოგონება. სიტყვები - „მართვა“ და „მართალი“ -
მიანიშნებს, რომ სიმართლე, ქვეშარიტება დაკავშირებულია
მართვასთან, ძალაუფლებასთან, საზოგადოებრივ იერარქიას-
თან. ნიცქეს თანახმად, მშვიდობიანი თანაცხოვრება, საზოგა-
დოების ჩამოყალიბება და კასტური იერარქიის აგება
მოითხოვს გარკვეულ ლტოლვას ქვეშარიტებისაკენ და,
შესაბამისად, ენის შექმნას:

*„ამ სამშვიდობო ხედვეკუდებს თან მოაქვს ხალაც, ხაც
ჰგავს პიხვედ ნაბიჯს ქვეშაიტიების იმ იღუმაღი დგოდვის მოჰო-
ვებისაკენ. ხადგან ახდა ხდება ფიქსიხებუღი ის, ხაც ამიეხიდან
„ქვეშაიტიება“ უნდა იყოს, ე.ი. ხდება საგანთა თანაბხად ვაიჯისი
და სავადღებუღო აღნიშვნის გამოგონება და ენის კანონმდებ-
ლობა, ასევე, ქმნის ქვეშაიტიების პიხვედ კანონებს: ხადგან აქ
ჩნდება, პიხვედად, სიმახითესა და გყუიღს შოხის კონგხასტი (...)
ყვედაფეხი, ხაც ადამიანს ცხოვეღებისგან განასხვავებს, დამოკი-
ღებუღია ამ უნახზე, ხომ მკაფიო მეგაფოხები სქემაში გაფან-
ტოს, ანუ გამოსახუღება ცნებაში განაზავოს; ხადგან ამ სქემების
სფეხოში ისეთი ხამ ახის შესადღებუღი, ხაც მკაფიო, პიხვეღი
შთაბეჭდიღებების პიხობებში ვეხასღეხოს გამოვიღოღა: პიხამიღუ-
ღი იეხაიქიის აგება კასტებისა და ხაიისხების მიხეღვით, კანონე-
ბის, პიხვიღევიების, სუბოხღინაციების, დემაიკაციების ახადი
სამყაიხოს შექმნა, ხომეღიც, ახდა, პიხვეღი შთაბეჭდიღებების იმ
სხვა, მკაფიო სამყაიხოსთან ახის შეპიხისპიხებუღი, ხოგოხც უფ-
ხო მყაიხი, უფხო საყოვეღთაო, უფხო ნაცნობი, უფხო ადამიანუიხი
და, შესაბამისად, ხოგოხც მაიეგუღიხებუღი და იმპეხატიუღი. იმ
ღეხოს, ხოცა ყოვეღი მკაფიო მეგაფოხა ახის ინღივიღუადუი და
განუმეოხებუღი და ამის გამო შეუღღია, ყოვეღგვაი კდასიფიკაცი-
ას მუღამ გაექცეს, ცნებების ღიღი ნაგებობა წაიხმოგვიჩენს ხომა-
უღი კოღუმბაიუემის ხისგ კანონზომიეიებას და ამოისუნთქავს*

ლოგიკაში იმ სიმკაცხესა და სიცივეს, ხაც მათემატიკას ახასიათებს. ვისაც ეს ცივი სუნთქვა შეეხება, ძნელად დაიჭეხებს, რომ თვით ცნება, ძვლოვანი და ხვაკუთხა, ხოგოხც კამათელი და მოძხავი, ხოგოხც ის, მაინც მხოლოდ მ ე ტ ა ფ ო ხ ი ს ნ ა შ თ ა დ ხ ჩება, და რომ გამოსახულებებში ნეჩვული სტიმულის მხაგვხული გადატანის იღუზია დედა თუ ახა, ბებია მაინც ახის ყოველი ცნებისა. მაგჩამ ამ კამათელის თამაშში ცნებებისა, „ჭეშმაჩიგება“ ნიშნავს – ყოველი კამათელი ისე გამოიყენო, ხოგოხც ეს დადგენილია; ზუსტად დათვადო მისი წეჩტიდები, სწოჩი კატეგოჩიები ააგო და კასტუჩი იეჩაჩეია და ჩანგობჩივი კლასიფიკაციების წოდებჩივი თანმიმდევჩობა აჩასოდეს დაჩლოვო“ (WL-1).

სიტყვა „აზრი“ ქართულში შემოსულია არაბულიდან. ლექსიკონში ვკითხულობთ: „ჰაზრი – მცირე რამ შეტყობა“. ასევე: „მოჰაზრე – აზრით მამვლელი“.¹ ბიბლიის უფრო ახალ თარგმანში, ძველქართული „მოჰაზრეს“ მაგიერ გვაქვს „მისანი“ (3, 2 ესაია). ამრიგად, „ჰაზრი“ არის მისნობა, გამოცნობა, წინასწარმეტყველება. არაბული ენის განშტოების – ურდუს ლექსიკონში ვკითხულობთ: „ხაბაჩ-ე-ხიზჩი – შეტყობინება, მოუდოდნედი ახადი ამბავი; გამოცნობა იმისა, თუ ჩა უნდა მოხდეს (ხიზჩი იყო წინასწაჩმეტყვედი, დახედოვნებული მისნობაში; და შესაბამისად, ჩოცა გაჩკვეუდი სიმპტომებიდან საზოგადოება გამოიცნობს განზხახვებს ხედისუფდებისას და ა.შ., ცნობებას ასეთი განზხახვებისას და ა.შ. ეწოდება ხაბაჩ-ე-ხიზჩი“ [Platts 1884: 1016].

როგორც ურდუს ლექსიკონიდან ჩანს, გამოცნობა და ცნობება სჭირდება საზოგადოებას, რომელსაც მართავენ, ანუ მართულმა უნდა გამოიცნოს მმართველის განზრახვები, რასაც აქვს თავისი მიზეზი, რომელზეც ნიცშე წერს:

¹ ლექსიკონი ქართული - <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=28702>

„ყოველგვარი კომუნიკაცია არის, სინამდვილეში, ადების სურვილი, ჰყრობის დამითვისების სურვილი (მექანიკური). სხვისი ასიმილაცია - მოგვიანებით სხვისი ნების ასიმილაცია, მითვისება, უკავშირდება სხვის დაჰყრობას. თვითკომუნიკაცია, შესაბამისად, თავდაპირველად, არის საკუთარი ძალაუფლების სხვაზე გავრცელება: ეს ლტოლვა არის ნიშანთა უძველესი ენის საფუძველში მდებარე - ნიშანი არის (ხშირად მტკივნეული) აღბეჭდვანებისას სხვანებაზე.

გაგებინება დარტყმის მეშვეობით (ჭიანჭველები).

NB. სხვებისთვის მიყენებულ დაზიანებებიც არის ნიშანთა ენა უფრო ძლიერისა.

ამრიგად, გაგება, თავდაპირველად, არის ტკივილის შეგრძნება და უცხო ძალაუფლების აღიარება. თუმცა სწრაფი, მარტივი გაგება ძალზედ სასურველი ხდება (რომ რაც შეიძლება ნაკლები დარტყმა მივიღოთ).

უსწრაფესი ურთიერთგაგება არის ყველაზე ნაკლებად მტკივნეული ურთიერთობა ერთმანეთთან: ამიტომაც ეს სწრაფვიან მას“ (NF-1883,7[173]).

მართლაც, ქართულ ენაში „დარტყმას“ და „შეტყობას“ აქვს ერთი ძირი, ისევე, როგორც შემდეგ სიტყვებს: სიტყვა, ეტყობა, არტყია, ტყავი, ტყუპი [კობაიძე 2014: 9-10]. მანანა კობაიძის კვლევის თანახმად, „ხ“ ძირი აკავშირებს ასევე „სახელს“, „ხედვას“, „ხმიანობას“, „საუბარს“ და „შეხებას“ [კობაიძე 2014: 8-9]. გარდა ამისა: „შეხების, სიხცეში ახლომყოფობის“ გამომხატვედ ზმნას აქვს უნახი, შეიძინოს „ჭამის“ და „სმის“ მნიშვნელობაც“ [კობაიძე 2014 : 10]. აქ უნდა იგულისხმებოდეს თავაზიანი გამოთქმა - „გვახელით“ ანუ მივირთვი. მაშასადამე, „ხედვა“, „სახელდება“ უკავშირდება შეხებას, მო-

ხელთებას, ათვისებას, შთანთქმას, დაუფლებას: „აღქმის, ახსებობის და მქონებლობის გამომხატველი ზმნები ახა მაჩგო გაჩკვეური მოხფორლოგიუხი და სინტაქსუხი ნიშნებით ემსგავსებიან ეთმანეთს მხავად ენაში (სტატიკუხობა, მიცემითბუნვიანი სუბიექტი და სხვ.), აჩამედ დექსიკუხად და სემანტიკუხადაც ბევხი ნიშნით ეთიანდებიან და ამჟღავნებენ საეხთო ტიპოდოგიას“ [კობაიძე 2014 : 10]. საბოლოოდ, ქართულ ენაში „დარქმევას“, „რქმას“ და „ქონას“ აქვს ერთი ძირი – „ქუ“ [კობაიძე 2014 : 9]. ასევე, ლათინური „აღქმა“ (perceptio) და „ცნება“ (conceptio) მოიცავს ერთ ფუძეს capio – „შეპყრობა, ხელში ჩაგდება“.

მსგავსად ამისა, ნიცშესთვის ენის გამოგონება, კერძოდ კი, სახელდება, „დარქმევა“ არის დაკავშირებული ძალაუფლებასთან, რაღაცის საკუთარ „ქონებად“ ქცევასთან: „ბაგონთა უფლება, სახედები დაახქვას, იმდენად შოხს მიდის, შეგვიძლია თავს უფლება მივცეთ, ხომ თვითონ ენის წახმოშობა, გაბატონებულთა ძალაუფლების გამოხატულებად მოვიაზროთ: ისინი ამბობენ „ეს ა ხ ი ს ესა და ეს“, ისინი ბეჭედს ასვამენ ნებისმიეხ საგანსა და ხდომილებას ბგეხებით და იღებენ ამის მეშვეობით, ასე ვთქვათ, მფლობელობაში“ (GM-1-2).

„ხოგოხც ჩანს, ადამიანი მოქმედებს საეხთოდ მხოლოდ იმისთვის, ხომ დაეუფდოს: ამ აზხისკენ მიანიშნებს, სუდ მციხე, ის ენები, ხომდებიც ყვედა წახსუდ ქმედებას ისე განიხიდავს, თითქოს ჩვენ ამით ხალაცას დავეუფდეთ (მე ვისაუბრე/ვსაუბრობდი, ვიბხძორე/ვიბხძორდი, გავიმაჩქვე/ვიმაჩქვებდი:¹ ანუ მე ახლა ვფდობ ჩემს საუბახს, ბხძორას, გამაჩქვებას). ხოგოხ სინახბებს ავდენს ადამიანი აქ! მას სუხს, თვით წახსული ახ გაუშვას, ისიც კი ისევე ჰქონდეს!“ (M-281).

¹ გერმანულად: ich habe gesprochen (ასევე ინგლისურად: I have spoken) - სიტყვასიტყვით: “მე მაქვს ნასაუბრები”. შდრ. ქართული: „ნათქვამი მაქვს“, „გაკეთებული მაქვს“ და სხვ.

თუ დავაკვირდებით, ამგვარი ენების მქონე ხალხები, ანუ უფრო მეტად ინდოევროპული, ინდოგერმანული ჯგუფის ხალხები ავლენენ ძალაუფლებისკენ მეტ მიდრეკილებას. ენა ცხადყოფს, რომ „მოსმენის“, „გაგების“ მთავარი ფუნქცია იყო „მორჩილების, „მსახურების“ უზრუნველყოფა. „გამგონე“ აღნიშნავს „დამჯერს, მორჩილს“, ასევე „შეასმინა“ ნიშნავს „დაიყოლია, დააჯერა“. ამ მხრივ საინტერესოა, რომ ზოგადსლავური ძირი – *slŕšati*, რაც არის „მოსმენა“ და ასევე „დაჯერება, მორჩილება“ [Derkzen 2008 : 455], დაკავშირებულია ბალტიურ-სლავურ ძირებთან: *služd, služiti, slaugai, slauguti, slaugai, pašlauga* – „მსახურება“, *sluga* – „მსახური“. ზოგადად, პროტოინდოევროპული ძირი *slougo* არის „მსახურება“ [Pokorny 2007 : 2789]. უფრო კონკრეტულად, ეს ეხება ჯარში მორჩილებას, ჯარში მსახურებას, რაც კარგად ჩანს პროტოინდოევროპული *slougo*-ს კელტურ ვარიაციებში: *slowgo* – „ჯარი“ [Matasović 2009 : 346], *slōg, slūag, lu, slugi* – „ჯარი, ხალხი, სიმრავლე“ [Pokorny 2007 : 2789]. გალიური *sluagh* შემდგომში გახდა *luchd*, ხოლო სუფიქსის დამატებით – *fo-luchd* – „დაბალი ფენის, დაქვემდებარებული ხალხი“, საიდანაც წარმოიქმნა გერმანული *Volk* – „ხალხი“ [MacKay 1877: 261]. აქედან მოდის რუსული *polk* – „პოლკი“, თუმცა გალიურ *fo-luchd*-თან უფრო ახლოს დგას ძველი საეკლესიო სლავური *плѣхъ*, ასევე ჩეხური, სლოვაკური და პოლონური *pluk* [Derkzen 2008 : 424]. ამგვარად, ენის წარმოშობის მომენტში ხალხი, უმრავლესობა, ძირითადად, იყო მორჩილი, მსახური და მასზე ბატონობდა მაღალი რანგის მებრძოლთა კასტა, რჩეული უმცირესობა.

მანანა კობაიძის კვლევის თანახმად, ზოგიერთ ენაში „თქმა“ და „კეთება“ ერთი სიტყვით აღინიშნება. მაგალითად, ლაზური „ლოდ“, ძველქართული „ღად“ (აქედან „მ-ღად-ელი“, „მღვდელი“), ლათინური **ago**, უდიური „ფესუნ“: „**სიღოდას** მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა ძველ ქართულშიც: „ხმიანობა, სიცილი, ცეკვა“, და ა.შ. (სულხან-საბა) [კობაიძე 2014 : 9]. თვითონ „სიტყუა“ აღნიშნავდა როგორც „თქმას“,

ასევე „გაკეთებას, მოქმედებას, შეძენას“: „დიდი ეფხემ მჩავ-
დისა კეთილისა მომაგყუებედ ექმნა ქუეყანასა ჩუნსა“ („გრი-
გოლ ხანძთელის ცხოვრება“); „ესოდენისა კეთილისა მომაგყუ-
ებედ ახს მხოლოდშობილი და წინამოხბედი იგი ნათლის-მცემელი
იოვანე“ (უდაბნოს მრავალთავი 2170) [კობაიძე 2014 : 9]. მეტ-
ყველების და შემოქმედების, თხზვის მიმართებაზე ნიცშე
ადრეულ წლებშივე წერს:

„თუ ვინმე საგანს ბუჩქის უკან დამადავს, სწოხედ იქ ისევ
მოძებნის და იპოვის, მაშ, ამ ძიებასა და პოვნაში ბევრი ახაფე-
ხია საქებაჲი: მაგჲამ, ამგვარჲი ვითაჲება „ჭეშმახიგების“ ძიე-
ბასა და პოვნასთან დაკავშირებით აზროვნების სფეროში. თუკი
ძუძუმწოვრის დეფინიციას მოვიფიქრებ და შემდგომ განვმახგავ,
აქდემის გამოკვლევის საფუძველზე: ნახე, ძუძუმწოვარი, მაშ,
ამით ჭეშმახიგებას მახთდაც ეფინება ნათელი, მაგჲამ ის ახის
შებლუღუღი ღიხებუდების, ვგულისხმობ, რომ ის ახის სიღმისეუ-
დად ანთხოპომოხფუღი და ახ შეიცავს ახცეხთ პუნქტს, რომელიც
იქნებოდა „ჭეშმახიგი თავისთავად“, ნამდვილი და საყოველთაოდ
ვახგისი, ადამიანისგან დამოუკიდებლად. (...) მხოლოდ ადამიანური
ფანტაზიის დასაბამისეული უნახისგან, თავდაპირველად, ცხელი
სითხის სახით გადმოლვხიდ გამოსახულებათა მასის გამაგება-
გამყაყებით, მხოლოდ უძღვევი ხწმენით იმისა, რომ ეს მზე,
ეს ფანჯარა, ეს მაგიდა ახის ჭეშმახიგება თავისთავად, მოკდედ,
ადამიანმა რომ დაივიწყა საკუთარი თავი, ხოგოხც სუბიექტი და
კეხდოდ, ხოგოხც მ ხ ა ტ ვ ხ უ რ ა დ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი
სუბიექტი, მხოლოდ ამის წყაღობით ცხოვრობს იგი ეხთგვარი
სიმშვიდით, განსაზღვრულობით და თანმიმდევრულობით“ (WL-1).

სიტყვებს - „ქონა“ და „რქმა“, ასევე „თქმა“ - აქვს სა-
ერთო ძირი „ქვასთან“. ანუ სანამ მოხდება „გამოსახულებათა
მასის გამაგრება-გამყარება“, არსებობს მხოლოდ დენადობა:

„ჩვენთვის ჩვეულებრივი ახაზუსტი დაკვირვება იღებს ფენომენთა ჯგუფს, როგორც ერთს და უწოდებს მას ფაქტს: ამ და სხვა ფაქტს შორის ის წახმოიძღვრებს ცაჩიერ სივსცეს, დამატებით, იგი ახდენს ყოველი ფაქტის იზოლირებას. თუმცა, სინამდვილეში, მთელი ჩვენი ქმედება და შემეცნება აჩის ახა ფაქტებისა და ცაჩიერი შუადღების თანმიმდევრობა, ახამედ უფრო უწყვეტი ნაკადი“ (WS-11).

2. ქეშმარიტება და შემოქმედება: ნახვა თუ თხზვა, აღქმა თუ ქმნა?!

ადამიანური აღქმა არის გარდაუვლად მცდარი, რადგან აღქმისათვის აუცილებელია გამარტივება. ყოველი ცნება არის გამარტივება, გათანაბრება:

„გავიზიარებ, განსაკუთრებით, ცნებების ჩამოყალიბება; ყოველი სიტყვა მაშინვე იქცევა ცნებად იმის მეშვეობით, რომ მან იმ მთლიანად უნიკალური და სხუიად ინდივიდუალიზებული დასაბამისეული გამოცდილებისათვის, რომელსაც იგი საკუთარ წახმოობას უმადრის, ერთგვარი შეხსენების ფუნქცია სწოხედ რომ ახ უნდა შეასხუროს, ახამედ ერთდროუდად, უთვალავ, მეტ-ნაკლებად მსგავს, ე.ი. მკაცხად რომ ვთქვათ, ახასდროს იგივეობივ, შესაბამისად, სხვას ახაფხის, თუ ახა ახაიგივეობივ შემთხვევებს უნდა მოეხგოს. ყოველი ცნება წახმოიშობა ახაიგივეობივის გაიგივების გზით. ხამდენადაც, ცხადია, რომ ახც ერთი ფოთორი ახ აჩის მეოხის სხუიად იგივეობივი, იმდენადვე ცხადია, რომ ცნება „ფოთორი“ ამ ინდივიდუალური განსხვავებების თვითნებური ჩამოშოხებით, განმასხვავებელი ნიშნების დავიწყებით აიგება და ახდა ქმნის წახმოდგენას, რომ თითქოს ბუნებაში ფოთლებისგან დამოუკიდებლად უნდა ახსებობდეს ხალაც, ხაც „ფოთორი“ იქნებოდა, ხალაც დასაბამისეული ფოხმა, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა ყველა ფოთლის მოქსოვა, მოხაზვა, მომხვადება, შეღებვა, დახვევა, მოხატვა მოუქნევი ხედების მიეხ,

იმგვახად, რომ ვეიც ვითი ეგზემპლარი ვეი გამოვიდოდა ისეთი სწოხი და სანდო, ჰოგოხიც დასაბამისეუდი ფოხმის ზუსტი ასლი“ (WL-1).

ეს სწრაფვა დაკავშირებულია დაუფლების მოტივთან, და-
ლაუფლების ნების ფუნდამენტურ ლტოლვასთან, გამარტივე-
ბა გვეხმარება დაუფლებაში:

„იმ მბხდანებლუხი ხალაცას, ხასაც ხადხი „სულს“ ეძახის, სუხს
საკუთახ თავსა და საკუთახ გახემოზე ბატონად ყოფნა და საკუ-
თახი თავის ბატონად განცდა: მას აქვს ნება, ჰომელიც ახის
მხავლობითობისგან სიმახტივის გამომყვანი, ეითად შემკვიდრი,
მომთვინიეხებელი, ბატონობის მაძიებელი და ნამდვიდად ბატონ-
კაცუხი ნება. მისი მოთხოვნიებები და შესაძლებლობები ახის
აქ იგივე, ხაც ფიზიოლოგებმა დაადგინეს ყვედაფხისთვის, ხაც
ცოცხლობს, იზიდება და მხავდება. სულის ძადა, მიითვისოს უცხ-
ო, ვდინდება ძლიეხ მიეხეკილებაში, ახალი ძველს მიამსგავსოს,
მხავლობითობა გაამახტივოს, სხუდი წინააღმდეგობიოხიოხანი
უგულებელყოს ან განზე გაწიოს: ზუსტად ისევე, ჰოგოხიც ის გახ-
კვეუდ ნაკვთებს და ხაზებს უცხოში, „გახე სამყახოს“ თითოეუდ
ნაწილში, თვითნებუხად, უფხო ძლიეხად უსვამს ხაზს, გამოაჩ-
ჩევს, საკუთახ თავზე მოხგების მიზნით აყადებებს“(JGB-230).

„სიტყუა“, თავისი ძირით, უკავშირდება ასევე „მოტყუებას“
[კობაიძე 2014 : 9]. როგორც ზემოთაც ვნახეთ, ნიცუმეს აზრით,
ენა გარდაუვლად აყალბებს რეალობას, ამიტომ ჩვენეული
ჭეშმარიტება არასოდეს არის ზუსტი, „მეტყველება“ არის
იგივე, რაც „ტყუილი“:

„ადამიანი, ჰოგოხიც ყოვედი ცოცხალი ახსება, ფიქიოხს გა-
ნუწყვევდრიც, მაგხამ ეს ახ იცის; ც ნ ო ბ ი ე ხ ა დ ქეუედი ფიქი,
ახის მხოლოდ მისი უმციხეხი ნაწიდი, შეიძლება ითქვას: ყვედაზე
ზედაპიხუდი ნაწიდი, ყვედაზე ცუდი ნაწიდი: - ხადგან მხოლოდ ეს
ცნობიეხი ფიქი ხ დ ე ბ ა ს ი ტ ყ ვ ე ბ ი თ , ა ნ უ კ ო მ უ -
ნ ი კ ა ც ი ის ნ ი შ ნ ე ბ ი თ , ჰომდითაც ცნობიეხების წახ-

მომავლობა საკუთახ თავს ავლენს. (...) ეს ახის ნამდვირი ფენომენალიზმი და პეისპექტივიზმი, ჰოგოხც მ ე მესმის: ც ბ ო - ვ ე რ თ ა ც ნ ო ბ ი ე ხ ე ბ ი ს ბუნება მოიაზრებს, რომ სამყარო, რომლის გაცნობიერებაც ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ ზედაპირთა და ნიშანთა სამყაროა, განზოგადებული, გაზიარებული სამყარო, - ყვედაფეხი, ხაც გაცნობიერებული ხდება, ამასთანავე ბიჭყედი, თხედი, შედახებით სუდეუხი, ზოგადი, ნიშანი, ჯოგის მახასიათებელი ნიშანი ხ ე ე ბ ა , რომ ყოვედგვაი გაცნობიერებასთან, დიდი საფუძვლიანი გახყვნა, გაყარება, გაზედაპირუდება და გენეჰალიზაცია ახის დაკავშირებული. საბოლოოდ, მზახი გაცნობიერებულობა ახის საფხთხე; და ვინც ყვედაზე გაცნობიერებუდ ევჰოპედებს შოხის ცხოვრობს, ისიც კი იცის, რომ ეს ავადმყოფობაა. ეს ახ ახის, ჰოგოხც მიხვდით, ოპოზიცია - სუბიექტი და ობიექტი, ხაც მე აქ მალეღვებს: ამ განსხვავებას ვუტოვებ შემეცნების თეოჰეტიკოსებს, რომლებიც გჰამატიკის (ხადუხი მეტაფიზიკის) მახეში გაბმულები დაჩრენენ. ეს, უპიხვედესად, სხუდიადაც ახ ახის ოპოზიცია - „საგანი თავისთავად“ და ფენომენი: იმიტომ, რომ ჩვენ სუდაც ახ „შევიმეცნებთ“ საკმახისად, თუნდაც მხოლოდ იმისათვის, რომ განსხვავების უფდება გვეონდეს. ჩვენ საეხთოდ ახ გვაქვს თვით ჰაიმე ოხგანო შემეცნებისთვის, „ჟემმახიგებისთვის“: ჩვენ „ვიციტ“ (ან გვეწამს ან წაჩმოვისახავთ) სწოხედ იმ დოზით, ჰა დოზითაც ადამიანუხი ჯოგის, გვახის ინტეხესებისთვის სასახგებდო შეიძლება იყოს: და თვითონ ის, ჰასაც აქ „სახგებდიანობა“ ეწოდება, საბოლოოდ, ასევე, ახის მხოლოდ ჰწმენა, წაჩმოსახვა და შესაძლოა, სწოხედ ყვედაზე საბედისწეხო სისუდედ, რომლისგანაც, ეხთხედაც გავნადგუხეებით“ (FW-354).

ნიცშეს აზრით, მეტყველების და მოტყუების ურთიერთკავშირი არის გარდაუვალი: „ჩვენზე ახ ახის დამოკიდებული, შევცვადოთ ჩვენი გამოხატვის საშუალებები ჩვენი შეხედულებისამებ: შესაძლებელია გავიგოთ, ჰამდენად ახის იგი უბჰადო სემოგიკა.

გ ა მ ო ხ ა ტ ვ ი ს ა დ ე კ ვ ა ტ უ ხ ი ს ა შ უ ა რ ე ბ ი ს მოთხოვნა ახის უ ა ზ ხ ო : ენის, გამოხატვის საშუალების ახს

შეადგენს მხოლოდ მიმახთების გამოხატვა... „ჭეშმახიგების“ ცნება ახის ა ბ ს უ ხ ე უ დ ი . . . „ჭეშმახიგის“, „მცდახის“ მთელი სამყარო ეხება მხოლოდ ახსებებს შოხის მიმახთებებს და ახა „თავისთავადს“... უ ა ზ ხ ო ბ ა ა : ა ხ ა ხ ს ე ბ ო ბ „ახსება თავის-თავად“, მხოლოდ მიმახთებები შეადგენენ ახსებებს, ამდენადვე ნაკლებად შეიძლება ახსებობდეს „ცოდნა თავისთავად“...“ (NF-1888,14[122]).

არა მხოლოდ მეტყველება არის შემოქმედება და ტყუილი, არამედ ასევე აღქმაც, დანახვაც, გაგებაც, მოსმენაც. როგორც ვნახეთ, „ხ“ ძირი აკავშირებს ასევე „სახელს“, „ხედვას“, „ხმიანობას“, „საუბარს“ და „შეხებას“ [კობაიძე 2014 : 8-9]. ასევე, მანანა კობაიძის კვლევის მიხედვით, ზოგადად, აღქმის, შეგრძნების, გაგებისა და ცოდნის, მეორე მხრივ კი, ფიზიკური მდგომარეობის, სივრცული მიმართების, ანდა შეხების გამომხატველი ძირები კავშირშია ხმის გამოცემის, საუბრის გამომხატველ ძირებთან, მაგალითად, სიტყვაში „მიუგო“, გვაქვს ძირი „-გ-“ [კობაიძე 2014 : 8-9]. მართლაც, ერთი მხრივ, არის „ადგილი, აგება, დაგება, გაგდება, დგომა, დადგმა“, მეორე მხრივ კი – „გაგება, მიგება, გაგონება“. ამ ყველაფრისგან კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძირების მიხედვით, „ხედვა“ არის იგივე „თხზვა“, „სახელდება“, „თხრობა“, ხოლო „გაგება“ და „გაგონება“ არის იგივე „აგება“ ანუ შექმნა, აშენება. ნიცშე წერს: „მაშ, ხა ახის ჩვენი გამოცდილებები? გაცილებით მ ე გ ა დ ის, ხაც ჩვენ მათში ჩავდეთ, ვიდრე ის, ხაც მათში დევს! ან, სუდაც, ეს უნდა ნიშნავდეს, ხომ: თავისთავად, ახაფეხი დევს მათში? გამოცდილება ახის გამოგონება?“ (M-119).

ენა ადასტურებს, რომ „ხედვა“, „დანახვა“ არის შემოქმედებითი, აგრესიული აქტი:

„ლათინურში, ბერძნულსა და ზოგ სხვა ენაში ერთი და იმავე ძირებისგან ინარმოება „დანახვის, თქმის და უკან გაყოლის“ გამომხატველი ფუძეები (ინდოევროპული ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონი). დანახვა როგორც ფიზიკური

მოდრაობა – „უკან გაყოლა (ან თვალებით, მზერით გაყოლა)“ – გვხვდება ლათინურსა და სხვა ენებში. მით უფრო მოსალოდნელია, რომ შეხება და ხედვა ერთი ძირიდან მომდინარეობდეს. მსგავსი პოლისემია სხვა ენებშიც დასტურდება. მაგალითად, ერთ-ერთ ავსტრალიურ ენაში დარტყმა და შეხედვა ერთი და იმავე ძირით იწარმოება. ზმნა „შეხედა“ გამოხატულია ფორმით, რომლის ზუსტი თარგმანი იქნებოდა „სინათლე დაარტყა, მოახვედრა“. „შეხედვის“ მსგავსი სემანტიკა ბევრ სხვა ენაშიც დასტურდება, მათ შორის, ევროპულ ენებში, გამოთქმებში, როგორებიცაა: „მზერა სტყორცნა“ და სხვა [ვიბერგი 2001 : 1302].

ქართულში სწორედ თარგმანის საშუალებით უნდა იყოს შემოსული ეს კონსტრუქცია (მზერა ესროლა, მზერა სტყორცნა), თუმცა არც ქართულისთვის ჩანს უცხო „შეხედვის“ მნიშვნელობის გამოხატვა მსგავსი კონსტრუქციით. როგორც ცნობილია, ივარაუდება, რომ „ხედავს“ ზმნა წარმოშობით სამპირიანი უნდა ყოფილიყო: **ჰხედავს ის მას *თვალებს, შეჰხედა მან მას *თვალები** [შანიძე 1980]. „**შემომხედა**“ ზმნა მრავლობითი რიცხვის პირდაპირ ობიექტს გულისხმობდა საშუალ ქართულშიც: „ვუთხარ: დადეგ, გამიგონე, შენი საქმე მეცა მინა! / **შემომხედ-ნ-ა**, მოვეწონე, სიარული დაითმინა“ [„ვეფხისტყაოსანი“, 596]. ხალხურ პოეზიაში „შემომხედას“ მნიშვნელობით დასტურდება „**თვალნი შემომაყარნა**“ [კობაიძე 2014 : 8].

ნიცშესთვის, „დანახვა“ უდრის „წარმოსახვას“, „ხედვა“ არის იგივე „თხზვა“, „ხელოვნება“, „ნახელავი“ ანუ შემოქმედებითი, აგრესიული აქტი, ისევე, როგორც მოსმენა. თუ ქართული ენისათვის „დანახვა“ არის „მზერის სროლა“, ნიცშესთვის ეს არის „შესაძლებლობების გადმოსროლა“:

„ჩვენ გვესმის ცოცა და გაუჩკვევდად, თუკი ვეი ვიგებთ ენას, ხომედებუც ჩვენ გვესაუბრებიან. ასევეა მუსიკის შემთხვე-

ვაში, *რომელიც ჩვენთვის უცხოა, როგორც ჩინური. ვახგომოსმენა, შესაბამისად, აღბათ, ახის მუდმივი გამოცნობა და შევსება მცირე ოდენობის, ნამდვირად აღქმული შეგხდნობებისა. ვახგება ახის საოცრად სწრაფი შემხვედრი ფანტაზიკება და დასკვნის კეთება: ორი სიგყვიდან გამოვიცნობთ წინადადებას (კითხვისას): ხომონიდან და 2 თანხმონიდან სიგყვას, მოსმენისას, დიან, ბევრი სიგყვა ჩვენ ახგვესმის, მაგამ მივგორჩევთ მოსმენიდან. - სინამდვილეში ხამობდა, ჩვენი თვარით ნანახის მიხედვით, ძნელი სათქმელია, ხადგან ჩვენ ამ დროს გამუდმებით ვთხზავდით და დასკვნებს ვაკეთებდით. ხშირად აღამიანებთან საუბრისას მათი სახის გამომეცყველებანი ისე მკაფიოდ ჩანს ჩემ წინაშე, როგორც მათი აღქმა ჩემს თვარებს ახ შეეძლო: ეს ახის ფიქცია, გამოწვეული მათი სიგყვებით, სახის ჟესტების ინგეჰჰეცაცია.*

მგონია, რომ ჩვენ ვხედავთ მხოლოდ იმას, *ხაცვიით. ჩვენი თვარი მუდმივად ეწევა უთვარავი ფოხმის დამუშავების პრაქტიკას: გამოსახულებათა დიდი ნაწილი ახის ახა გხდნობადი შთაბეჭდილება, ახამედ ფანტაზიის ნახედვანი. ხდება მხოლოდ მცირე შემთხვევებისა და მოტივების აღება გხდნობებიდან და შემდეგ ეს ითხზება. ფანტაზია უნდა დავაყენოთ „ახაცნობიეხის“ ადგილზე: ეს ახის ახა ახაცნობიეხი დასკვნები, ახამედ ვადმოსხოდინი შესაძლებლობი, რომელთაც ფანტაზია იძლევა (როცა, მაგალითად, ბაჰეღიეფები ჰეღიეფებად გახდაიქმნება მნახველისთვის).*

ჩვენი „გახესამყარო“ ახის ფანტაზიის პიროუქციი, *სადაც ადრინდელი ფანტაზიები, როგორც ჩვეული, გამოცდილი ქმედებები, ხედახდა გამოიყენება მშენებლობისთვის. ფეხები, ცონები ახის ფანტაზიები, ისინი სურაც ახ შეესაგყვისება ზუსტად ნამდვირ მექანიკუჰ პოცესს, ახამედ - ჩვენს ინდივიდუალუჰ მგომიაჰეობას.“ (NF-1881,11[13]).*

აქ უნდა აღინიშნოს, რომ „შეხედვის“ აქტიური, აგრესიული მნიშვნელობის დასტურია „გახედნვა“. „ხედვა“ არის იმგვარივე აგრესიული და შემოქმედებითი ქმედება, როგორც ცხენის „ხედნვა“. ნიცშესთვის შექმნა, ფორმის მიცემა მუდამ გულისხმობს ძალადობას, ფორმის ძალადობრივ თავსმოხვევას, ქმნადობის, ქაოსის, დენადობის მოთვინიერებას, კალაპოტში მოქცევას. თუ „ტრაგედიის დაბადებაში“ ნიცშე სინაზესა და ოცნებასთან აკავშირებს ფორმების შექმნას, „მორალის გენეალოგიაში“ ის უკვე აღიქმება როგორც არსებითად ძალადობრივი პროცესი [Dienstag 1997 : 118]. ნიცშე საუბრობს „ხელოვანიხეულ ძალადობაზე“ (GM-II-17), „ხელოვანიხეულ სისასტიკეზე“, ფორმის მიცემის ჟინზე (GM-II-18). ხელოვანი, მოზღვავებული ენერგიის წყალობით, ძალადობს საგნებზე (GD-Streifzuege-8) და „გახედაქმნის საგნებს მანამ, სანამ ისინი მის საკუთარ ძადას ახ აიხეკდავენ, - სანამ ისინი მისი სხეულოფილების ანაიხეკდები ახ გახედებიან“ (GD-Streifzuege-9). ნიცშესთვის შემეცნება, რამდენადაც ის არის შემოქმედება, ასევე არის ძალადობრივი პროცესი, თავს მოხვევის, დაუფლების პროცესი. გამოუქვეყნებელ ფრაგმენტში, სათაურით „ძალაუფლების ნება, როგორც შემეცნება, ნიცშე წერს: „აჩა „შემეცნება“, აჩამედ სქემატიზება, ქაოსზე იმდენი ხეგუდახუდობისა და ფოხმის თავსმოხვევა, ხამდენსაც ჩვენი პიაქტიკული საჭიხოებები საკმახისად ჩათვდის“ (NF-1888,14[152]).

ნიცშეს აზრით, არ არსებობს ზუსტი და უნივერსალური ქეშმარიტება და ყველა ადამიანი ხედავს საგნებს მხოლოდ თავისი თვალთახედვით, რასაც განაპირობებს მისი ჰორიზონტი ანუ პერსპექტივა, რაც, თავის მხრივ, ძალაუფლების ნების უნიკალური საჭიროებით არის განსაზღვრული. ნიცშეს თანახმად, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ჰორიზონტიდან, პერსპექტივიდან გაღწევა, უზუსტესი შესწავლითაც ვერ დავადგენთ სწორ პერსპექტივას (FW-374). თუმცა ერთგვარი ობიექტურობის მისაღწევად ნიცშე გვთავაზობს საგნის მრავალი პერსპექტივიდან დანახვას, „ზედმეტი თვითცენტრირების“ დაძლევას:

„ყოველი ცოცხალი აჩება მხოლოდ საკუთარი ჰოხიზონის შიგნით შეიძლება გახდეს ჯანმრთელი, ძლიერი და ნაყოფიერი; მაშინ, როცა არის ჰორიზონტით შემოსაზღვრული; თუ ის ახის უნახო, საკუთარი თავის გახშემო ჰოხიზონტი მოხაზოს და ზედმეტად თვითცენტრიზებული, რომ სხვისი მხეის შიგნით საკუთარი მხეა ჩასვას, მაშინ ის დაძაბუნდება, ნედ-ნედა ან სწაფად, ნაადრევ დალუპვამდე“ (HL-1).

„საბოლოოდ, სწოხედ ხოგოხც შემმეცნებენი, ნუ ვიქნებით უმაღუხები ჩვეული პეხსპექტივებისა და შეფასებების ისეთი გაბეღული ამობუნების მიმახით, რომლითაც სული ეხთობ დიდი ხნის განმავლობაში, თითქოსდა მკეხეხედუხად და უსახგებდოდ მძვინვახებდა საკუთარი თავის მიმახით: ამგვახი, ეხთხედაც განსხვავებუდად დანახვა, განსხვავებუდად დანახვის ს უ ხ ვ ი დ ი , ახ ახის მციხე წუხთნა და მომზადება ინტედექტისა მისი მომავალი „ობიექტუოობისთვის“, – ეს უკანასკნელი, გავებუდი ახა ხოგოხც „დაუინტეხეხებერი ჭუხეგა“ (ხაც უაზხოდა და აბსუხიდა), ახამედ ხოგოხც უნახი, რომ საკუთარი „სასახგებდოდ“ და „საწინააღმდეგოდ“ კ ო ნ ტ ხ ო დ ი ს ქ ვ ე შ გ ქ ო ნ დ ე ს და გააუქმოდ და აამოქმედოდ ისინი იმგვახად, რომ ისწავდოდ, შემეცნებისათვის სასახგებდოდ ხოგოხ აქციოდ სწოხედ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა ხ ო ბ ა პეხსპექტივებისა და აფექტისმიერი ინტეხიპეგაციებისა. ანუ ამიერიდან უმჭობესია, ფხთხიდად ვიყოთ, ჩემოდ ბატონოდ ფილოსოფოსებოდ, იმ სახიფათოდ ძვედ კონცეპტუადუხ ზლაპახთან, რომედმაც დაადგინა „წმინდა, ნების ახმქონე, უტკივიდოდ, უდხოოდ სუბიექტი შემეცნებისა“, ფხთხიდად ვიყოთ ისეთი უხთიეხთსაწინააღმდეგოდ ცნებების საცეცებთან, ხოგოხებიცაა: „წმინდა გონება“, „აბსოდუტუხი სუდიეხება“, „ცოდნა თავისთავად“: – აქ ჩვენ მუდამ გვთხოვენ, წაჩმოვიდგინოთ თვადი, რომლის წაჩმოდგენა სხუდიად შეუძლებელია, თვადი, რომედსაც საეხთოდ ახ უნდა ჰქონდეს მიმახთუდიება, რომედშიც აქტიუხი და ინტეხიპეგაციუდი ძადები უნდა ჩაიხშოს, უნდა გაქეხს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ეხთადეხთია, ხისი მეშვეობითაც, ხედვა ხალაცის ხედვად იქცევა.

ასე რომ, აქ მუდამ აბსუხდს და უაზრობას ითხოვენ. ახსებობს მ ხ ო რ დ პეხსპექტივური ხედვა, მ ხ ო რ დ პეხსპექტივური „შემეცნება“; და ხ ა ც უ ფ ხ ო მ ე ტ აფექტს მივცემთ საგნის შესახებ სიღყვით გამოსვლის უფლებას, ხ ა ც უ ფ ხ ო მ ე ტ ი თვადის, განსხვავებული თვადის გამოყენება გვეცოდინება ეხთი და იმავე საგნისთვის, მით უფრო სხუდყოფიდი იქნება ამ საგნის ჩვენეუდი „გაგება“, ჩვენი „ობიექტურობა“. მაგხამ ნების მთლიანად აღმოფხვხა, აფექტების სურ მთლად გაუქმება, დავუშვათ, ხომ შეგვიძლია ამის გაკეთება: ხოგოხ? ახ ნიშნავს ეს ინტედექტის კ ა ს ტ ხ ი ხ ე ბ ა ს ? ...“ (GM-III-12).

„დ ა ნ ა ხ ვ ა უნდა ისწავლო, ა ბ ხ ო ვ ნ ე ბ ა უნდა ისწავლო, მ ე ტ ყ ვ ე დ ე ბ ა და წ ე ხ ა უნდა ისწავლო, მიზანი, სამივე მათგანის შემთხვევაში, ახის კეთილშობილუდი კუდგუხა - ისწავლო დ ა ნ ა ხ ვ ა - მიარვიო თვადები დამშვიდდეს, მოითმინოს, მისცეს საგნებს მიახლოების უფლება; განსჯის გადადება, ეხთეუდი შემთხვევის ყვედა მხიდიან შემოვდა და გააზხება ისწავლო“ (GD- Deutsche-6).

ნიცშესთვის ქეშმარიტება არის არა ობიექტური „ხედვა“, არამედ სუბიექტური პერსპექტივა. ლათინური სიტყვა „პერსპექტივა“, ეტიმოლოგიურად უკავშირდება „ხედვას“ (ლათ. per-spective). ჩვენ პერსპექტივის მნიშვნელობით ვიყენებთ „თვალთახედვას“, „გადმოსახედს“. სწორედ ქეშმარიტების და ხედვის, თვალთახედვის კავშირს უსვამს ხაზს ის ფაქტი, რომ სიტყვა „ქეშმარიტის“ წყარო ქართულ ენაში არის საშუალო სპარსული „ჩაშმ-დიიდ“ (chashm-diid), ანუ „საკუთარი თვალით ნანახი“. ასევე, სიტყვა „მზერა“ მოიცავს „მზეს“. პლოტინი განიხილავს მზის და თვალის ანალოგიას: თვალი ხედავს, თვალს აქვს „მზერა“ იმის გამო, რომ ჰგავს მზეს - იგი არა მხოლოდ შთანთქავს, არამედ ასხივებს კიდევ ენერგიას და სინათლეს, თავის მხრივ, თუნდაც არეკლილს მზისგან. ამგვარად, ქეშმარიტება არის არა ობიექტური ცოდნა, არამედ თვალსაჩინოება, თვალნათლივობა, სუბიექტური თ ვ ა ლ -

თ ა ხ ე დ ვ ა ანუ თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი , რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არის „ჰაზრის“, ანუ მოულოდნელი ახალი ამბის, შეტყობინება ჩვენთვის ჩვენი თვალის მიერ. ეს არის „აზრის მოსვლა“. თუ რატომ არის ეს მოულოდნელი, ამაზე ნიცშე წერს თავის ნაშრომში – „რიტორიკა“:

„ჩვენი სიგყვიეხი გამოთქმები ახანაიხად ახ მოიცდის მანამ, სანამ ჩვენი აღქმა და გამოცდილება საგანთა მხავადმხივ, ხოგოხლაც ხესპექტაბელუხ ცოდნას მიაშვედებს: ისინი წახმოიქმნება მაშინვე, ხოცა სტიმუდი შეიგხძნობა. საგნის ნაცვდად შეგხძნება მხოლოდ თ ვ ი ს ე ბ ა ს ილებს. ეს ახის პ ი ხ ვ ე დ ი ასპექტი: ე ნ ა ა ხ ი ს ხ ი გ ო ხ ი კ ა , ხადგან მას სუხს მხოლოდ $\delta\alpha$ -ს¹ და ახა $\epsilon\pi\sigma\eta\mu\eta$ -ს² გადმოცემა“ (R-3).

ზემით აღინიშნა, რომ ცნებები არის გამარტივების შედეგი. ასევე, ნიცშეს აზრით, ჩვენ ვქმნით ინტერპრეტაციას, „პერსპექტივულ ილუზიას“, „ხამდენადაც ჩვენ მუდმივად გვჭიხდება ვიწხო, შემოკლებული, გამახვილებული სამყარო“ (NF-1887,9 [41]). ამ მხრივ საინტერესოა „ინტერპრეტაცია“, როგორც „განმარტება“ ანუ „გამარტივება“.

***3. ქვემდებახე და შემასმენელი: თავისუფლება თუ ძადაუფლება?!**

აზრი არის მოულოდნელი შეტყობინება იმიტომაც, რომ აზროვნება ჩვენგან დამოუკიდებელია, რადგან, როგორც დასაწყისში აღინიშნა, ნიცშეს თანახმად, ჩვენ უკვე ვაზროვნებთ არაცნობიერად და მხოლოდ პოსტფაქტუმ ვაცნობიერებთ აზროვნების ფაქტს. ამიტომაც ვამბობთ – „აზრი მომივიდა“:

„ხაც შეეხება დოგოკოსთა ცხუხწმენებს: ამგვახად, მე ახ დავილდები ისევ და ისევ ხაზი გავუსვა იმ პატახა ფაქტს, ხომელსაც

¹ (ბერძ. „დოქსა“) აზრი, შეხედულება.

² (ბერძ. „ეპისტემე“) ცოდნა.

ეს ცხუმოხწმუნეები უხადისოდ აღიარებენ, – კეხძოდ, რომ აზიი მოდის მაშინ, როცა „იგი“ ისუხვებს და აზიი მაშინ, როცა „მე“ მსუხს; იმგვარად, რომ ეს აზის ფაქტების გ ა ყ ა დ ბ ე ბ ა , თუკი ვიტყვი: სუბიექტი „მე“ აზის პიედოკატ „აზიოვნების“ პიოზა. იგი აზიოვნებს: მაგამ ის, რომ ეს „იგი“ სწოხედ ის ძველი ცნობილი „მე“ შეიძლება იყოს, აზის, ხბილად რომ ვთქვათ, მხოლოდ ვაზიუდი, მოსაზრება და, უწინაზეს ყოვლისა, აზიოთაზი „უშუადო სიცხადე“. საბოლოოდ, ეს „იგი აზიოვნებს“, უკვე ძადიან ბევრს აკეთებს: ეს „იგი“, უკვე მოიარზებს პიოცესის ი ნ გ ე ხ - პ ხ ე გ ა ც ი ა ს და აზი ეკუთვნის პიოცესს თავად. აქ ასკვნიან გზამატიკური რვეულებიდან გამომდინაზი – „აზიოვნება აზის ქმედება, ყოვედ ქმედებას ეკუთვნის ის, ვინც მოქმედი“ (JGB-17).

და აი, მივადექით სუბიექტის საკითხს, რითიც დავიწყეთ – ენა აქაც ავლენს ნიცშეანურ თვალთაზედვას: „ქვემდებარე“ არის ის, რაც „დაქვემდებარებულია“ შემასმენელზე ანუ იმაზე, რაც მას „შეასმენს“, ანუ განსაზღვრავს, წარმართავს, აყალიბებს:

„აზი აზიებობს „აზიება“ ქმედების, ზემოქმედების, ქმნადობის უკან; „მოქმედი“ მოქმედებას მხოლოდ წაზმოსაზვის მიეზი ემატება – მოქმედება აზის ყვედაფეზი. ხაღნი, ძიხითადად, აზი-მაგებს მოქმედებას, როცა უშვებს, რომ ეღვა ანათებს, ეს აზის მოქმედება-მოქმედება: ის ეზთსა და იმავე მოვღენას ადგენს ეზ-თხედ, როგოზი მიზებს და შემდეგ, კიდევ ეზთხედ, როგოზი მის შედეგს. ბუნებისმეგყველები აზი იქცევიან ამაზე უკეთ, როცა ამბობენ: „ძაღა ამოძაზვებს, ძაღა იწვევს“ და მისთ. – მთელი რვენი მეცნიეზება, მიუხედავად მისი სიცვიისა, მისი თავისუფ-ღებისა აფექტისგან, მაინც აზის ენის ცღუნების ქვეშ და თავ-სმოხვეუდი სისუღედები, „სუბიექტები“, აზი მოუშოხებია (აგომი აზის, მაგადითად, ისეთივე სისუღედე, როგოზი კანგინაუზი „საგანი თავისთავად““ (GM-I-13).

შემასმენელი არის მოქმედება, მოძრაობა, ანუ ნიცშეს ცნებებით - ლტოლვა, მისწრაფება. სწორედ ლტოლვები აყალიბებს, „შეასმენს“ სუბიექტს, ანუ „დაქვემდებარებულ“ ქვემდებარეს. ნიცშე წერს:

„იმ სხვა და უფრო დამლუპვედ ატომისტიკასაც უნდა მოვულოთ ბოლო, რომელსაც ქრისტიანობა ყველაზე კახკად და ყველაზე ხანგძლივად ასწავლიდა, ს უ რ ი ს ა ტ ო მ ი ს ტ ი კ ა ს . დაე, ამ სიტყვით აღვნიშნოთ ის ხწმენა, რომელიც სურს, როგორც ხალაც უხლვევს, მაჩადიურს, განუყოფელს, როგორც მონადას, როგორც Atomon-ს¹, ისე აღიქვამს: ეს ხწმენა მეცნიეიებიდან უნდა განვევნოთ! ჩვენ შოხის დაჩჩეს, სხუდებით და საეითოდ აჩ აჩის საჭირო, თავად „სუდის“ თავიდან მოშოხება და ეით-ეით უძვედეს და ყველაზე პატიცვემუდ ჰიპოთეზაზე უაჩის თქმა: როგორც ეს ნაგუხადისტების მოუქნედობას ემაჩთება ხოდმე, რომდებიც, როგორც კი „სუდს“ შეეხებიან, ეცდებათ კიდეც ხედიდან. მაგჩამ გზა სუდის ჰიპოთეზის ახადი ვეჩსიებისა და დახვეწისათვის, ხსნიდია: და ცნებებს, როგორჩიცაა „მოკვდავი სუდი“ და „სუდი, როგორც სუბიექტების მჩავდობითობა“ და „სუდი, როგორც დგოდვებისა და აფექტების საზოგადოებჩივი სტჩუქტუჩა“, ამიეჩიდან სუით მეცნიეიების სამყაჩოში სამოქადაქო უფდებები ჰქონდეთ“ (JGB-12).

„იმ დჩოს, ჩოცა „ჩვენ“ გვგონია, რომ ჩვენ ვჩივით დგოდვის მძვინვაჩებაზე, აჩსებითად, ეს აჩის ეჩთი დგოდვა, ჩ ო მ ე დ ი ც მ ე ო ჩ ე ს უ რ ი ვ ი ს ; ანუ: ამგვაჩი მძვინვაჩებით გამოწვეუდი ტანჯვის გაცნობიეჩება გუდისხმობს, რომ სწოჩედ ამგვაჩად მძვინვაჩე ან კიდევ უფჩო მძვინვაჩე სხვა დგოდვა აჩსებობს და ჩომ ბ ჩ ძ ო დ ა ახდოვდება, რომედშიც ჩვენმა ინტედექტმა მხაჩე უნდა აჩჩიროს“ (M-109).

¹ (ბერძ.) ატომი.

„ს კ ე პ ტ ი კ ო ს ი ს დ ა ს ა მ შ ვ ი დ ე ბ დ ა დ - „საეხთოდ ახ ვიცნი, ხას ვ მოქმედებ! საეხთოდ ახ ვიცნი, ხა უნდა მოვიმოქმედო!“ - მახთადი ხახ, მაგამ ეჭვიც ახ შეგეპა- ხოს ამაში: შენზე ი მოქმედებენ! ყოვედ წამს! კაცობ- ხიობა ყვედა ეპოქაში აქტიუხ და პასიუხ გვახებს ეხთმანეთში უხევდა, ეს ახის მისი მახადიუდი, უხეში გხამატიკური შეცდომა“ (M-120).

ნიცშეს სულაც არ სურს სუბიექტის, სულის მოშორება იმის გამო, რომ იგი არ არის ერთიანი. პირიქით, სწორედ ლტოლვათა ქაოსური მრავლობითობის გამო არის აუცილებე- ლი სუბიექტის გამყარება და გაძლიერება, თვითტირანია და დისციპლინა. ეს არ ნიშნავს ასკეტურ იდეალს და ვნებების ამოძირკვას. მაგალითად, ძალაუფლების უმაღლესი გამოხა- ტულების - ფილოსოფოსის ან ხელოვანის შემთხვევაში, სექ- სისგან თავშეკავების მიზებს, ნიცშე ასე ხსნის: „სწოხედ მათი „დედობივი“ ინსტინქცია ეს, ხომედიც, აქ, მზახიდი საქმის სასახ- გებდოდ, დაუნდობდად იღებს საკუთახ განკახგუდებაში ცხოვედუ- ხი სიცოცხლის ძადის, ღონიეხების ყვედა სხვა მახაგსა და სახ- სახს: უფხო დიდი ძადა, ამ შემთხვევაში, მ ო ი ხ მ ა ხ ს უფხო მციხეს“ (GM-III-8). ნიცშეანური ასკეტიზმი არის ზომიერი და სიცოცხლის დასტურმყოფელი. ძალაუფლება არ გულისხმობს ძალადობას მხოლოდ განადგურების მიზნით, არამედ ძალა- უფლებას ორგანიზების, გაძლიერების და ქაოსის ფორმირე- ბის მიზნით:

„ა ფ ე ქ ტ ე ბ ი ს გ ა დ ა რ ა ხ ვ ა ? ახა, თუკი ეს მათ და- სუსტებას და განადგუებას უნდა ნიშნავდეს, ა ხ ა მ ე დ - ს ა მ ს ა ხ უ ხ შ ი რ ა ყ ე ნ ე ბ ა : ხაც, შეიძლება მოიცავდეს მათ ხანგძდივ გიხანიზებას (ახა მხოლოდ ხოგოხც ინდივიდე- ბის, ახამედ ხოგოხც საზოგადოებების, ხასების და ა.შ.). საბოდო- დოდ, მათ ვანიქებთ უფხო და უფხო მეტი ნდობით სავსე თავისუფ- დებას, ისევ: მათ ვუყვახავახთ, ხოგოხც კახგ მსახუხებს და ნება-

ყოფლობით მიდიან იქეთ, საითაც ჩვენს საუკეთესო ინგეჟერებს სუხთ“ (NF-1885,1[122]).

„ვნებებზე ბაგონობა და ა ხ ა მათი დასუსტება ან ამოძი-
კვა! ხაც უფრო დიდია ჩვენი ნების ბაგონობის ძადა, მით უფრო
მეტი თავისუფლება შეიძლება მიენიჭოს ვნებებს. დიადი ადამი-
ანი ახის დიადი, გამომდინახე მისი სუხვიდების თავისუფლების
მასშტაბიდან: მაგხამ ის ახის საკმახისად ძლიეხი, ხომ ეს უხჩხუ-
დები თავის შინაუხ ცხოვედებად აქციოს“ (NF-1888,16[7]).

„ის, ხაც ძ ა დ ა უ ფ დ ე ბ ი ს ა დ ა ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ი ს
მ ქ ო ნ ე ა დ ა მ ი ა ნ ე ბ მ ა შეიძლება მოითხოვონ საკუთახი
თავისგან, იძღვა საზომს ასევე იმისათვის, თუ ხისი უფლება
შეუძლიათ მათ, საკუთახ თავს მისცენ. ასეთი ნაგუხები ახიან
საპიხისპიხოები გახყვნიდისა და თავაშვებუდისა: მიუხედავად
იმისა, ხომ ზოგიეხთ შემთხვევაში, ისეთ ხამეებს აკეთებენ,
ხომდის გამოც უფრო დაბადი ხანგის ადამიანებს მანკიეხებასა
და ზღვახგადასურობაში დასდებდნენ ბხადს. (...) ძლიეხი ადამი-
ანის მთედს გენდენციას სახედი გაუგეხეს იმით, ხომ ყვედაზე
სუსტების (საკუთახი თავის მიმახთაც ყვედაზე სუსტების) დამ-
ცავი ზომები ღიეხებუდების ნოხმად დადგინდა.

შეცდომა იქამდე მიდის, ხომ სწოხედ სიცოცხლის დიდი
ვ ი ხ გ უ ო ზ ე ბ ი (ხომედთა თვითფლობა ახის ყვედაზე მკვეთხ
კონგხასტში გახყვნიდებსა და „თავაშვებუდებთან“) ყვედაზე სა-
მახცხვირო სახელებით იქნენ დალდასმუდნი“ (NF-1887,11[153]).

მაშასადამე, აქ ნახსენები „თვითფლობა“ შეგვახსენებს,
რომ „თავისუფლება“ უნდა გავიგოთ არა მხოლოდ იმგვარად,
რომ ადამიანი თვითონ და მხოლოდ თვითონ არის საკუთარი
თავის უფალი, არამედ ასევე იმ აზრით, რომ ადამიანი ეუფ-
ლება საკუთარ თავს, ბატონობს საკუთარ თავზე და ზღუდავს
მას. სუბიექტის ჩამოყალიბების, „მე“-ს გამყარების საბოლოო
მიზანი არის ძალაუფლება ზოგადად: „თუკიდიდე ს ა კ უ თ ა ხ
თ ა ვ ს ე უ ფ დ ე ბ ა, შესაბამისად, საგნებზეც ინახჩუნებს ძადაუფ-

ლებას“ (GD-Altен-2). როდესაც ნიცშე ამბობს: „საკუთარი თავის მიმართაც ყველაზე სუსტები“, ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ნიცშე ძლიერ ტიპში გულისხმობს ასევე სულიერად ძლიერს. კეთილშობილთა კასტა სულის ძლიერებით აღწევდა გაბატონებას (JGB-257). სწორედ ძლიერმა უნდა განსაზღვროს ღირებულებები (NF-1887,11[407]). ნიცშეს აზრით, აღმატებული ადამიანი უნდა იყოს სახელმწიფოს სათავეში, დაბლა მგდომი არ უნდა განადგურდეს, არამედ დამორჩილდეს. ასევეა ლტოლვებშიც: მდაბიურ ლტოლვებს ძალა უნდა შეუნარჩუნდეთ, მაგრამ მკაცრი კონტროლის ქვეშ უნდა დარჩნენ (NF-1883,14[3]).

შესაბამისად, ნიცშესეული თავისუფლება, ამ კონტექსტში, სულ სხვაგვარად გაიგება:

„გათავისუფლებული ადამიანი, გაცილებით მეტად კი გათავისუფლებული სუდი, ფეხით თედავს კეთილდღეობის საზიზღლას სახეობას, ხომღებუც წვჩიდმოვაჭჩენი, ქჩისციანები, ძხოხები, ქადები, ინგდისებები და სხვა ღემოკჩაგები ოცნებობენ. თავისუფადი ადამიანი აჩის მეომაჩი“ (GD-Streifzuege-38).

მნიშვნელოვანია ნიცშეს მახვილი სიტყვაზე „გათავისუფლებული“, რადგან აქ მოიაზრება ადამიანის განსაკუთრებული ტიპი - აღმატებული და იშვიათი ტიპი, კაცობრიობის მიზანი: ფილოსოფოსი-ექსპერიმენტატორი, რომელიც ფლობს საკუთარ თავს და სწორედ ამიტომ აქვს თავისუფლება, მეტი ექსპერიმენტირების უფლება. ამგვარი ტიპი არის „გათავისუფლებული“, რადგან იგი თავიდანვე არ იყო თავისუფალი, შეუზღუდავის გაგებით, არამედ პირიქით, ხანგრძლივი ტირანიზების შედეგად მასში ჩამოყალიბებული ძლიერი ნების გამო ენიჭება მას ტრადიციებითა და მორალით შეუზღუდავობის პრივილეგია, ჯოგის იდეოლოგიისგან გათავისუფლების პრივილეგია:

„მოღით, დავეგეთ ამ უზაჩმაზაჩი პჩოცესის დასასჩუდის პჩისპჩი, იქ, სადაც ხე საბოღოღ თავის ნაყოფს იძღევა, სადაც

საზოგადოებას და მის ზნე-ჩვეულებათა ზნეობას, საბოლოოდ გამოაქვს დღის სინათლეზე, თუ *ი ი ს ი* საშუალებები იყვნენ ისინი, უბრალოდ: ამგვარად ვპოულობთ ჩვენ, *იოგოხც* ყველაზე მწიფე ნაყოფს მის ხეზე, *ს უ ვ ე ჰ ე ნ უ რ ი ნ დ ი ვ ი დ ს*, რომელიც მხოლოდ საკუთაი თავს ჰგავს, რომელიც ზნე-ჩვეულებათა ზნეობისგან ისევ გათავისუფლდა, ავტონომიუხი, ზეზნეობივ ინდივიდს (ჩადგან „ავტონომიუხი“ და „ზნეობივი“ უხთიეხთგამომიციხვა-ვია). მოკლედ, აღამიანს საკუთაი, დამოუკიდებელი, გამძღვ ნებით, რომელსაც *დ ა პ ი ჰ ე ბ ი ს უ ფ რ ე ბ ა ა ქ ვ ს* - დამასში ვპოულობთ ამაყ, ყველა კუნთში მთხთოღვაიე გაცნობიეხებას იმისას, თუ საბოლოოდ *ი ა ს* მიაღწია და *ი ა* შეისისხებოხცა, ძაღუფრებისა და თავისუფლების ნამდვიდ გაცნობიეხებას, ზოგადად აღამიანის სხუდქმნის განცდას. ამ გათავისუფლებუდმა აღამიანმა, რომელსაც ნამდვიდად *ა ქ ვ ს* დაპიხების *უ ფ რ ე ბ ა*, ამ მფღობედმა *თ ა ვ ი ს უ ფ ა დ ი* ნებისა, ამ სუვეიენმა - *იოგოხ* შეიძლება *ა ი* იცოდეს, *ი ა* უპიხატესობა *ა ქ ვ ს* ყველას მიმახთ, ვისაც დაპიხების და საკუთაი თავის თავებობის უფლება *ა ი* *ა ქ ვ ს*, *ი ა მ* ხედა ნდობას, *ი ა მ* ხედა შიშს, *ი ა მ* ხედა კიძაღვას აღძხავს *ი ს - ი ს* „*ი მ ს ა ბ უ ჰ ე ბ ს*“ ამ სამივეს - და *იოგოხ* შეიძლება *ა ი* იცოდეს, საკუთაი თავზე ამგვარ ბატონობასთან ეხთად, გაიემობებზე, ბუნებასა და ყველა მციხე ნებისყოფის მქონე და *ა ხ ა ს ა ნ* - დო ქმნიღებაზე ბატონობაც *იოგოხ* გაიღაუვდად ებოდა მას? „თავისუფალი“ აღამიანი, მუდმივი, უხღვევი ნების მქონე, ამ ნებიდან გამომღინაიე ფღობს, *ა ს ე ვ ე*, *ღ ი ჰ ე ბ უ რ ე ბ ი ს* *ს ა - კ უ თ ა ჰ ს გ ა ნ დ ა ჰ გ ს*: განიხიღავს *ი ა* სხვებს საკუთაი გადმოსახედიღან, *ი ს* პატივს სცემს ან შეიზიზღებს; და *ი ს ე ვ ე*, *იოგოხც* *ი ს* აუციღებდად პატივს სცემს თავის თანასწოხებს, ძღიეხებს და სანდოებს (მათ, ვისაც დაპიხების *უ ფ რ ე ბ ა ა ქ ვ ს*), - ანუ ყველას, ვინც ჰპიხღება, *იოგოხც* სუვეიენი, მიძიმედ, იშვიათად, ნედა და ზოგავს თავის ნდობას, ვინც *გ ა მ ო ა ჰ რ ე ვ ს*, *იოგოხც* *ი ს* ნდობას ავღენს, ვინც თავის სიჭყვას იძღევა, *იოგოხც* *ი ა ლ ა ც ა ს*, *ი ა ს ა ც* შეიძლება დაეყიღნო, *ი ა დ გ ა ნ* *ი ს* საკუთაი თავს საკმაიისად ძღიეხად თვღის იმისათვის, რომ უბედუი შემ-

თხვევის ან თუნდაც „ბედისწევის პიხისპიხ“ უდევს დაჩრდს. სწო-
ხედ ამგვარად, მას აუცილებლად მზად ექნება თავისი წიხდი გაძ-
ვადტყავებული მწევრებისთვის, ხომლებიც პიხობას ღებენ, ამის
უფლების გახეშე, და მუდამ ინახავს წკეპდას მაგყუაჩასთვის, ხო-
მედიც თავის სიტყვას ახლვევს იმწამსვე, ხოცა ის ჭეხ კიდევ ბა-
გეებზე აქვს. ამამცა ცოდნამ პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ დ ო ბ ი ს ექ-
სტეაოხდინახუდი პიხვიდევიისა, გაცნობიეხებამ ამ იშვიათი
თავისუფლებისა, ამ ძადაუფლებისა საკუთახ თავსა და საკუთახ
ბედზე, მის უშოხეს სიღხმებამდე ჩაალწია და ინსტინქტად იქცა,
მის დომინანტუხ ინსტინქტად: - ხას უწოდებს ის მას, ამ დომი-
ნანტუხ ინსტინქტს, თუ დავუშვებთ, ხომ მისთვის სიტყვა სჭი-
ღება? მაგჩამ ეს ეჭვგაჩეშეა: ეს სუვეხენუდი ადამიანი უწოდებს
მას თავის ს ი ნ დ ი ს ს ...“ (GM-II-2).

ამგვარად, ნიცშესთვის მიზანი არის ძალა, ძალაუფლება
და არა „თავისუფლება თავისთავად“:

„ჩემი აზრები უტეხიადებს ახა იმ თავისუფლების დონეს, ხო-
მედიც ეხოს ან მეოხეს ან ყვედას აქვს მინიჭებული, აჩამედ იმ
ძადაუფლების დონეს, ხომედსაც ეხთი ან მეოხე სხვებზე ან ყვე-
დაზე უნდა ახოხციეებდეს, შესაბამისად, იმას, თუ ჩამედნად
ქმნის თავისუფლების მსხვეჩპდად შეწიხვა, დამონება, თვით,
უ ფ ხ ო მ ა ლ ა დ ი ტ ი პ ი ს წ ა ხ მ ო ქ მ ნ ის საფუძველს. უფხო
უხეშად ხომ ვთქვათ: ხ ო გ ო ხ შ ე გ ვ ი ძ დ ი ა , კ ა ც ო ბ -
ხ ი ო ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა ხ ე ბ ა მ ს ხ ვ ე ხ პ დ ა დ გ ა ვ ი -
დ ო თ , ხომ უფხო მაღად სახეობას, ვიდეუ ადამიანია, ახსებო-
ბაში დავებმახოთ? -“ (NF-1886,7[6]).

მაშინაც კი, როცა ნიცშე გმობს ტირანიას, თვით ქეშმარნი-
ტის ტირანიასაც, მისი მიზანი არის ძალა და არა „თავისუფ-
ლება თავისთავად“:

„ჭეშმახიგის გიხანიის წინააღმდეგ. თუნდაც ხომ ვიყოთ იმდენად გიჟები, ხომ ყველა ჩვენი შეხედულება ჭეშმახიგად მიგვაჩინდეს, მაინც ახ უნდა გვსუხედეს, ხომ მხოლოდ ის ახსებობდეს: მე ახ ვიცი, ჭეშმახიგების ავტოკრატია და შეუზღუდავი ძალაუფლება ხატომ უნდა იყოს სასუხვედი; ჩემთვის უკვე საკმახისია, ხომ მას დიდი ძალა აქვს. მაგჩამ მას ბიძოლა უნდა შეეძლოს და მოწინააღმდეგე უნდა ჰყავდეს, და ჩვენ მისგან, დხოდადხო, ახაჭეშმახიგში დასვენება უნდა შეგვეძლოს, – სხვაგვჩაად, იგი ჩვენთვის გახდება მოსაწყენი, ძადა- და გემოგამოცდილი, და ჩვენც სწოხედ ასეთებად გვაქცევს“ (M-507).

მაშასადამე, სიტყვა „თავისუფლების“ ეტიმოლოგია შეიძლება გავიგოთ და უნდა გავიგოთ ძალაუფლების კონოტაციით. მსგავსად ამისა, ნიცშეს პერსპექტივიზმი არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი ჭეშმარიტება არის მცდარი და რომ ფაქტები და ღირებულებები საერთოდ არ არსებობს. ძალაუფლების ნება, როგორც ზემოთ ვნახეთ, ნამდვილად არის ღირებულება და ასევე „პ ი რ ვ ე ლ ფ ა ქ ტ ი“ (JGB-259). მეტიც: სწორედ პერსპექტივიზმი, რომელიც პოსტმოდერნისტებს მიაჩნიათ ნიცშეს მთავარ კონცეფციად და ძალაუფლების ნების დოქტრინის საწინააღმდეგო არგუმენტად, თავად ეფუძნება ძალაუფლების ნების ფაქტს: „ინგეხპეგაციები პეხსპექტივიზუდი შეფასებებია, ხომედთა ძადითაც ჩვენ სიცოცხედში, ანუ ძალაუფლების ნებაში, ძალაუფლების ზხდას ვაღწევთ“ (NF-1885,2[108]). ასევე: „პ ე რ ს პ ე ქ ტ ი უ ლ ი გ ა ყ ა ლ ბ ე ბ ი ს“ საფუძველი არის ძალაუფლების ნება (NF-1885,43[1]).

ამრიგად, ერთი მხრივ, ნიცშეს აზრით, პატივი უნდა სცე იმას, რაც შენი ჰორიზონტის მიღმაა, მხოლოდ იმ ინტერპრეტაციაზე გაქვს უფლება, რაც გამოსცადე (FW-373), მაგრამ, მეორე მხრივ, ვინც მრავალი პერსპექტივა გამოსცადა ექსპერიმენტირების გზით, მან უნდა მოიპოვოს უმაღლესი სულიერი ძალაუფლება იერარქიული პლურალიზმის პირობებში, რადგან ნიცშეს ფილოსოფიის უმაღლესი ღირებულება არის გაძ-

ლიერება სიცოცხლისა, რომელიც არის „ძალაუფლების ნება და არაფერი სხვა“. ამას ადასტურებს შემდეგი სიტყვების ეტიმოლოგია: ცნობიერება და ცნობება, მართვა და სიმართლე, ჭეშმარიტება და თვალსაზრისი, დარტყმა და შეტყობა, მეტყველება და მოტყუება, ხედვა და სახელი, დანახვა და თხზვა, გაგება და აგება, თქმა და ქმედება, დარქმევა და ქონა და სხვ. ქართულ ენაში გამოვლენილი აზროვნება ადასტურებს, რომ სიცოცხლის დეფინიცია მართლაც არის დაუფლების, შეპყრობის, მოხელთების ანუ ძალაუფლების ნება.

ლიტერატურა:

- კობაიძე მ. (2014)**, „ხევა, მხიარული, სახელი და სხვ. (აღქმის სხვადასხვა მოდალობის გამომხატველი „ხ“ ძირის შემცველი ზოგი ფუძე ქართულში)“. ეტიმოლოგიური ძიებანი XI. თბილისი, „დედაენა“;
- Derksen R. (2008)**, *Etymological Dictionary of the Slavic Inherited Lexicon*. Boston, Leiden: Brill;
- Foucault M. (1980)**, *Power/knowledge: Selected Interviews and Other Writings 1972-1977*. Ed. Gordon, Colin. New York: Pantheon Books;
- MacKay Ch. (1877)**, *The Gaelic Etymology Of The Languages Of Western Europe, And More Especially Of The English And Lowland Scotch And Of Their Slang, Cant And Colloquial Dialects*. London: N. Trübner and Co;
- Matasović R. (2009)**, *Etymological Dictionary of Proto-Celtic*. Boston, Leiden: Brill;
- Nietzsche Fr. (1989)**, *Friedrich Nietzsche on Rhetoric and Language*. Eds. Sander L. Gilman, Carole Blair, David J. Parent. New York, Oxford: Oxford University Press;
- Nietzsche Fr. (2016)**, *Nietzsche im Kontext – Werke, Nachlaß und Briefwechsel*. Berlin: Karsten Worm – InfoSoftWare;
- Platts J. (1884)**, *A dictionary of Urdu, classical Hindi, and English*. London;
- Pokorny J. (2007)**, *An Etymological Dictionary of the Proto-Indo-European Language*. Dnghu Association;
- Sheridan A. (2005)**, *Michel Foucault: the will to truth*. London, New York: Routledge.

აბრევიატურები ნიცშეს ტექსტების დასამოწმებლად და ციტატების ავტორისუფლები თაჩგმანი გეჰმანულიდან ეფუძნება საიტს: <http://www.-nietzschesource.org>

FW - მხიარული მეცნიერება

GD - კერპების დაისი

Deutsche - რა აკლიათ გერმანელებს

GM - მორალის გენეალოგიაზე

HL - სიცოცხლისათვის ისტორიის სარგებლისა და ზიანის შესახებ

JGB - კეთილისა და ბოროტის მიღმა

M - რიჟრაჟი

NF - სიკვდილის შემდგომ გამოქვეყნებული ფრაგმენტები

VM - შერეული აზრები და გამონათქვამები („ადამიანური, ერთობ ადამიანური“, მეორე წიგნი)

WL - ჭეშმარიტებისა და სიცრუის შესახებ ექსტრამორალური აზრით

WS - მოხეტიალე და აჩრდილი („ადამიანური, ერთობ ადამიანური“, მეორე წიგნი)

The Nietzschean practice of the philosophical etymology of words, clearly calls for continuation by the philologists of various languages. Nietzsche says, that philosophy is predetermined by the language, the grammar. We can find a number of Nietzschean conceptions in the etymology of the following Georgian words: consciousness, communication, governing, truth, point of view, hitting, noticing, speech, deception, vision, name, seeing, composing, understanding, building, saying, acting, naming, having and etc.

According to Nietzsche, consciousness emerged because of the need for communication within a society, more precisely - because of the need for governing, which is primary here, i.e. the will to power is primary here. Governing is also related to striving for the truth and inventing of universal way of signifying things, that is - language and concepts. Peaceful coexistence, the formation of

society and the construction of caste hierarchy require a certain longing for truth and therefore, the creation of language. The society, that is governed, needs to guess and communicate, that is, the governed must guess the intentions of the ruler. The invention of language, act of naming things, is related to power, to making something one's own ~property~. At the time of language origination, the people, the majority, were mostly submissive, servant, and dominated by the high rank, warrior caste, a select minority.

According to Nietzsche, Human perception is inevitably false, because it requires simplification. Every concept is a simplification, a leveling: this drive is related to the motive of mastering, to the fundamental drive - the will to power. Simplification helps us to master. Language inevitably falsifies reality, therefore, our truth is never exact, "speech" is the same as "lie". The relationship between speech and deception is inevitable. Not only speech is creation and lying, but also perception, seeing, understanding, hearing. The Georgian language confirms, that "vision", "seeing" is a creative, aggressive act. For Nietzsche, also, "seeing" is equal to "imagination", "vision" is the same as "composition", "art", "handiwork", i.e. a creative, aggressive act. The creation, giving a form, always presupposes violence, violent imposing of the form, taming and channeling into the river-bed of becoming, chaos, fluctuation. If in "The Birth of Tragedy" Nietzsche connects the creation of forms with tenderness and dreams, in "On The Genealogy of Morality", it is conceived, already, as an essentially violent process. Nietzsche talks about "artistic violence", "artistic cruelty", the passion of giving a form. The artist, thanks to the overflowing energy, does violence to things and transforms them.

For Nietzsche, cognition, as much as it is a creation, is also a violent process, a process of imposing, mastering. There is no exact and universal truth, and every person sees things only from his point of view, which is determined by his horizon or perspective, which, in turn, is determined by the unique need of will to power.

We cannot get out of our horizon, perspective, even with the most accurate examination, we cannot ascertain correct perspective. However, in order to achieve some kind of objectivity, Nietzsche suggests seeing the object from many perspectives, overcoming "excessive self-centeredness".

Truth is not an objective "vision", but a subjective perspective. A thought is an unexpected message, because thinking is independent of us. We are already thinking unconsciously and only post factum become aware of the fact of thinking. That's why we say – "an Idea came to me". As for the subject, the grammatical "subject" is that, which is "subjected" to the predicate. The predicate is an action, a movement, that is, in Nietzsche's term – a drive, an aspiration. It is the multiple drives, that form the subject or the "subjected" grammatical subject. Nietzsche does not necessarily want to get rid of the concept "subject", "soul", only because it is not unified, on the contrary, it is precisely because of the chaotic multiplicity of drives, that making harder and strengthening the subject, self-tyranny and discipline is needed. This does not mean an ascetic ideal and eradication of passions. For example, in the case of a higher expression of power – a philosopher or an artist – the reason for abstinence from sex is simply to redirect energy towards a higher task.

"Freedom" should be understood, not only in the sense, that man himself, and only himself is the master of himself, but also in the sense, that man masters, dominates and limits himself. The ultimate goal of forming the subject, strengthening the "I" is the power, in general. When Nietzsche says: "weakest even in relation to themselves", this once again makes clear, that by the strong type, he means spiritually strong, as well, and the noble caste achieved dominance by the strength of the soul. It is the powerful, who must determine the values. Superior man should be at the head of the state, the inferior should not be destroyed, but should be subdued.

It is the same with drives: lower drives should be kept strong, but under strict control. It can be called hierarchical pluralism.

Nietzsche's emphasis on the word "liberated" is important here, because here a special type of man is implied – a superior and rare type, the goal of humanity: the philosopher-experimenter, who masters himself and therefore, has liberty, the right to experiment more. This type is "liberated", because it was not free from the beginning, in the sense of being unrestrained, on the contrary, it is due to the strong will, formed in him as a result of long tyrannizing, that he is given the privilege of being unrestrained by traditions and moral, the privilege of being freed from the ideology of the herd. The goal is force, power, not "freedom in itself." Thus, the etymology of the Georgian word "freedom" can and should be understood with the connotation of power. Similarly, Nietzsche's perspectivism does not mean that all truth is false and that facts and values do not exist at all. Will to power, as we have seen above, is indeed a value and also a "primary fact". Moreover, the very perspectivism, which postmodernists consider to be Nietzsche's main concept and argument against the doctrine of the will to power, is itself based on the fact of the will to power.

Thus, on the one hand, according to Nietzsche, you must respect what is beyond your horizon, you are only entitled to the interpretation, which you have experienced, but on the other hand, one, who has tested many perspectives through experimentation, must gain the highest spiritual power, under conditions of hierarchical pluralism, because the highest value of Nietzsche's philosophy is the enhancement of life, which is "the will to power and nothing else." Thinking expressed in Georgian language, confirms, that the definition of life is, indeed, the will to master, to captivate, to grasp or will to power.

ქართულ-ლიეტუვური ლიტერატურული
ურთიერთობების ისტორიიდან
From the history of Georgian-Lithuanian literary
relations

ნინო წერეთელი
Nino Tsereteli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ლიეტუვა, ლიტერატურული
ურთიერთობები, თარგმანი.

Key words: Georgia, Lithuania, literary relations, translation.

ქართულ-ლიეტუვური ლიტერატურული ურთიერთობები მეოცე საუკუნის 40-იანი წლებიდან ინტენსიური და მრავალფეროვანი გახდა. ამავე პერიოდს უკავშირდება 1946 წელს საქართველოში პირველი ლიეტუვური დელეგაციის ჩამოსვლა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ამ პერიოდის ყველაზე ცნობილი ლიეტუველი მწერლები (ა. ვიენუოლის ჟუკაუსკასი, ი. პაუკშტიალისი, პ. ცვირკა და სხვ.). საქართველოში მოგზაურობის შემდეგ შექმნილ ნარკვევებში ჩანს სოციალისტური რეალიზმის ძირითადი პრინციპების დაცვის ტენდენცია. ბუნებრივია, რომ სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკა ლიტერატურულ ურთიერთობებზეც დიდ გავლენას ახდენდა. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა სტალინურ ეპოქაში, როდესაც მნიშვნელოვანი როლი შეიძინა ქალაქმა, სადაც სტალინი დაიბადა. ქართულ ლიტერატურასა და ქართულ ფოლკლორულ ნიმუშებშიც სტალინისადმი მიძღვნილი მრავალი სახოტბო ნაწარმოებია და ამ დამოკიდებულების გაგრძელებაა ცნობილი ლიეტუველი მწერლის პიატრას ცვირკას ნარკვევი - „საქართველოს გული“. ლიეტუველი ავტორისათვის საქართველო ასოცირდება გორთან - სტალინის სამშობლოსთან. უნდა აღვნიშნოთ, რომ, ისევე როგორც ცვირკას, ასევე პაუკშტიალისის ნარკვევში - „გმირებისა და პრომეთეების ქვეყანა“ - ჩანს ავტორების სურვილი, ჩასწვდნენ საქართველოს ისტორიას და გაიაზრონ მისი წარსული. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, 1955 წელს, გამოიცა ვაცისრეიმირისის ნარკვევი, რომელშიც ავტორი საქართველოს „მთების და პოეზიის“ ქვეყანას უწოდებს. საბჭოთა პერიოდში ლიეტუვური ლიტერატურული პერიოდული პრესა ქართულ ლიტერატურასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან თარიღს ეხმაურებოდა, 60-80-იანი წლებიდან საქართველოში ქვეყნდება ლიეტუველი ავტორების ნაწარმოებები, ლიეტუვაში იზრდება ქართველი ავტორების თარგმანების რიცხვი, იმართება დისკუსიები, ახალგაზრდა პროზაიკოსთა შეხვედრები და სხვ. შემოქმედებით საქმიანობას იწყებენ ახალგაზრდა მთარგმნელები: ნანა დევიძე,

ვირგინია ტიმენსკაიტე, დალი გოგეშვილი-იოდეშიენე. დარე-
ჯან ბუაჩიძე ინტენსიურად იკვლევს ქართულ-ლიეტუვური ლი-
ტერატურული ურთიერთობების პრობლემატიკას.

80-იანი წლების ქართულ-ლიეტუვურ ლიტერატურულ ურ-
თიერთობებს ასახავს 1982 წელს თბილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტში თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
კათედრის მიერ გამოცემული ორენოვანი კრებული - „ხე იმე-
დისა“. ამ მცირე ზომის კრებულის წინასიტყვაობა საკმაოდ
ინფორმატიულია. ის ქართულ-ლიეტუვურ კულტურულ კავში-
რებს აცნობს და გარკვეულ ინტერესსაც აღუძრავს მკითხ-
ველს. როგორც წინასიტყვაობის ბოლოს ვკითხულობთ: „ამ პა-
ტარა წიგნს, *ხოგოხც თბილისის უნივერსიტეტის და ვიდნიუსის*
*უნივერსიტეტის თანამეგობრობის ნაყოფს, ვუძღვნით ვიდნიუ-
სის უნივერსიტეტის სახელობის იუბილეს და ამ ორი უნივერსიტე-
ტის შემოქმედებით მეგობრობას“* (ბაქანიძე 1982:5). ახალგაზ-
რდა ქართველი და ლიეტუველი მთარგმნელების მიერ
წარმოდგენილი ეს სტუდენტური კრებული კულტურათშორისი
კომუნიკაციის კარგ მაგალითს წარმოადგენს, სადაც დაბეჭ-
დილია იუსტინას მარცინკევიჩუსის, ანტანას ვიენულისის, პი-
ატრას ცვირკას, სალომეა ნერისის, ედუარდ მეჟელაიტისის
პროზაული და პოეტური ნიმუშების ქართული თარგმანები.
აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა ქართველი მთარგმნელები
ლიეტუვური ენიდან თარგმნიან, ხოლო ნიკო ლორთქიფანი-
ძის „თავსაფრიანი დედაკაცი“ და რევაზ ინანიშვილის „მუხა“
ლიეტუვურ ენაზე ვირგინია ტიმენსკაიტემ თარგმნა, რომე-
ლიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეუფლებოდა
ქართულ ენას. როგორც გ. ლობჯანიძე აღნიშნავს: „*დღევანდელ*
ქართულ ცხოვრებაში ყველაზე დინამიკურად მაინც მთარგმნელობი-
თი პიროვნებები ვითარდება. ათასი პირობების მიუხედავად, ითარ-
გმნება უამრავი წიგნი, ხოგოხც დასავლური, ასევე აღმოსავლური
ენებიდან. თუმცა ამ ვითარებაში თუ ჩაიხედნა მაინც ახის,
ჩვენი უშუალო მეზობელი, კავკასიელი და კიდევ ყოფილი საბჭოთა
კავშირის ხესპობილების თანამედროვე დიგეზაციის თარგმანის

დეფიციტია. ქართველებს თითქოს ახ აინგეხესებთ, ხა ხდება ამ ხადხების მწეხღობაში და ის ოხიოდე ნიმუშიც, ხაც აქა-იქ ამ ქვეყანათა დიგეხატუხიდან გაიედვებს ხოდმე ჩვენს პხესაში, სიგუაცას პხინციპუდად ახ ცვდის“ [ლობუანიძე, ელექტრონული რესურსი: 2013]. ნანა დევიძეს, როგორც მთარგმნელს, განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ქართულ-ლიეტუვური ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებასა და ორ ქვეყანას შორის ლიტერატურული დიალოგის აღდგენაში. ლიეტუვის მწერალთა კავშირის საპატიო წევრი, მრავალი გახმაურებული თარგმანის ავტორი, აქტიურად განაგრძობს მთარგმნელობით საქმიანობას და დღეს ლიეტუვური ლიტერატურის ერთადერთ ქართველ მთარგმნელად ითვლება. გასაზიარებელია ნანა დევიძის მოსაზრება, რომ პწკარედის შესრულებასაც მთარგმნელი მაღალი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს. „პწკახედი მაღადი ხახისხის უნდა იყოს, სიგყვასიგყვითი და აუცილებდად კომენგახებით, სადაც მითითებული იქნება გექსტის თავისებულება, განწყობა, დექსის ხიგმი, ხითმა, გაეპების ხოდენობა“ [დევიძე 1999:66]. მხოლოდ ასე ხდება შესაძლებელი, რომ თარგმანში დაცული იყოს დედნის სტილი და მისი შინაარსობრივი მხარე. თარგმანში გამოყენებული პოეტური ხერხები კი ორგანულად უნდა მოერგოს სათარგმნელი ენის სტრუქტურას და შექმნას დასრულებული პოეტური ქსოვილი. ლიეტუვის ლიტერატურულ ფორუმებზე („პოეზიის გაზაფხული“, „მწერალთა საერთაშორისო სემინარი“) ახალგაზრდა პოეტთა და პროზაიკოსთა მონაწილეობა სწორედ ნანა დევიძის სახელს უკავშირდება.

ქართველი მკითხველისთვის საინტერესოა ლიტერატურულ სემინარში მონაწილე ქართველ ავტორთა დოკუმენტური პროზის გაცნობა, რომელიც უშუალოდ ლიეტუვურ შთაბეჭდილებებზეა აგებული. საინტერესო ფორმატით გამოირჩევა ერთ-ერთი ლიტერატურული სემინარის მონაწილის, ინა არჩუაშვილის, „ლიტუური დღიური“. ბალტიისპირეთი მწერლისთვის ასოცირდება მასწავლებელსა და შემდგომ ფრენბურთის

მაღალ მწვრთნელთან, რომელსაც დედა ესტონელი ჰყავდა და არნე ერქვა. ლიეტუვას კაუნასის „ჟალგირისით“ და ცნობილი კალათბურთელით, საბონისით, იცნობდა, ისტორიის წიგნიდან ლიეტუვისა და პოლონეთის ერთ სახელმწიფოდ - რეჩ-პოსპოლიტად გაერთიანება და შემდგომ მისი დაშლა ახსოვდა. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება კი მასზე ბალტიისპირეთის ამ სამი ქვეყნის ცნობილმა „ცოცხალმა ჯაჭვმა“ მოახდინა, რომელსაც მალევე მოჰყვა ჯერ ლიეტუვის, შემდგომ ლატვიისა და ესტონეთის დამოუკიდებლობა. „*დღეს კი ეს ქვეყნები ნატოს და ევროკავშირის წევრი ქვეყნები ახიან. ო, ეს დიგვუხი პატიოციხში, ხოგოხი ჯანსალი და ახაფსევდო აღმოჩნდა ქართულისაგან განსხვავებით. ასეთ დღოს „განა შუხით აგანიდმა და დაბოღმიდმა სხვა ქვეყნის „სიკეთესა ზედა“, ახამედ ხოგოხც ამ ქვეყნის გულდაწყვეტიდმა შვიდმა, ახ შემიძღია სინანულით ახ ვთქვა, ხომ ჩვენი საწყადი ქვეყანა, ხომელიც კვადში ედგა დიგვას და ბევხად დიდი მსხვეფიდი გაიღო დამოუკიდებლობის მოსაპოვებდად, სამწუხაროდ, ჯეხ ისევ მხოლოდ ფუხცილებზე - ათასგვახ წესდებებსა და ხეზოდუციებშია „დამოუკიდებელი“, „სუვეენური“, „ხედმუხებელი“ და ნატოს და ევროკავშირის პოტენციუხი წევრი“ [არჩუაშვილი 2013: 16].*

საინტერესოა ავტორის მსჯელობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე: „*მიუხედავად სახეცვიდიებისა, ყოვედთვის თავს გვახსენებს მათი წახსური და ბევხი ქადაქის აქტიტექტუხაც ეხთმანეთს ჰგავს ისევე, ხოგოხც ადამიანებს, ვინც საბჭოთა პეხიოდში დაიბადა, საბჭოთა იდეოლოგიის და კულტუხის კვადი აგყვია და ზუსტად ჩვენნაიხ ბედში ახიან საბჭოთა ბოხკიდებისგან თავდაღწეური ქვეყნებისც, ხომდებიც თითქოს დამაზდებიან, იხვეწებიან, იეხს ევროპუდად იცვიდან, მაგხამ მათ ჩხდიდოუხ, აზიუხ თუ კავკასიუხ შუბდებს ჯეხაც ადგას ხუთქიმიანი ვახკვადვის მკხთადი წითელი შუქი“ [არჩუაშვილი 2013:17].*

„ლიტვური დღიური“ ამომწურავ ინფორმაციას აწვდის მკითხველს ლიეტუვურ-ქართულ ლიტერატურულ სემინარზე, ამ საინტერესო ლიტერატურულ მოვლენაზე. ეს არ არის ორი ქვეყნის ლიტერატორთა შეჯიბრი, სემინარის მიზანია შეწყვე-

ტილი კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების აღ-
დგენის ხელშეწყობა, თანამედროვე ლიეტუვური და ქართული
ლიტერატურის თავდაპირველად ერთმანეთისთვის, შემდეგ
კი ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა, ბოლოს კი დასრუ-
ლებული ლიტერატურული პროდუქციის ორივე ენაზე გამოცე-
მა ინტერნეტგამოცემებისა თუ ალმანახების სახით.

ინა არჩუაშვილისთვის ლიეტუვის აღქმა მრავალფეროვა-
ნი და მრავალნახნაგოვანია. მისთვის ეს ქვეყანა შორეული-
ცაა და ახლობელიც, რადგან თავის პოლონურ ძირებს ლიეტუ-
ვაშიც ეძებს და წინაპრების დაუდევრობის გამო დაკარგულ
ნამდვილ გვარზე ინფორმაციას აგროვებს, თუმცა ხელშესახებ
მასალას ვერ პოულობს. ლიეტუვური მზე მისთვის „ჩრდილო-
ური და უძალოა“, სასტუმროს წინ მდგარ ცაცხვს წამოსვლის
წინ ეფერება და დამახსოვრებას სთხოვს. ავტორს პალანგა
შემოქმედებითად განაწყობს. თეთრი ღამეების ფონზე, ფე-
რად პლედში გახვეული, ლიეტუველ და ქართველ მეგობრებ-
თან საუბრობს და სურს, „უნიკალური, ჩრდილოური სიმშვიდე
დაიმახსოვროს სამშობლოში წასაღებად“ [არჩუაშვილი 2013:
18]. ოპოზიცია „ჩემი-სხვისი“ განსაკუთრებით კარგად ჩანს
მოთხრობის თავში „მწვანე ფერი დროშაზე“. ამ პასაჟში მკა-
ფიოდ არის დემონსტრირებული კონცეპტი „სხვა“ და საინტე-
რესოდ არის გადაჭრილი პრობლემა მუდმივი კოლიზიისა –
„ჩემი-სხვისი“. ავტორი წერს: „საქართველოში ვეხც მზით, ვეხც
სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლით და ვეხც მათი სიმბოლუხი
ფეხებით ვეხავის გააკვირვებ. ამიგომ ჩემთვისაც ახაფეხია
გასაკვირხი დიღვის სამფეხოვანი დხოშის ოხ ფეხში. აი, შუაში
მოქცეული მესამე ზოდის მწვანე ფეხზე კი გუდი მიჩუყდება, ხა-
გან ის სიმბოლუხად ბადახს განასახიეხებს. მე ახ ვიცი ზუსტად,
ხაგომ მაინცდამაინც ბადახს, მაგხამ ეს ნიშნავს ქვეყნის დამო-
კიდებულებას ზოგადად განახდების, სიცოცხდის, ბუნების, სიმ-
წვანის, ეკოდოგიის მიმახთ, ხაც დღევანდელი მსოფდიოს ეხთ-
ეხთი მტკივნეული პიობდებმა... და ყვედაზე მეგად მშუხს აქაუხი
სისუფთავის სუნისა, კამკამა ჰაეხისა და, ხალა თქმა უნდა, ამ

ხასხასა, ნაპატივები, ქვეყნის დროშაზე ამყარდ მოფხიადე სიმ-
წვანისა, ხომედიც ეხის მაღადი კუდგუხისა და თვითშეგნების
ეხთ-ეხთი მთავახი მგკიცებულება მგონია!ნ [არჩუაშვილი
2013:20-21].

ლიეტუვურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს სა-
ინტერესო და მდიდარი ისტორია აქვს. დღეს, გლობალიზაცი-
ის პირობებში, ძალზე ძნელია, პატარა ქვეყნებმა თავი დაიმ-
კვიდრონ მსოფლიოს კულტურულ რუკაზე. ბუნებრივია, ქარ-
თულ-ლიეტუვური ლიტერატურული კავშირების შემდგომ
გაღრმავებას ორივე ქვეყნის ლიტერატურის ინტენსიურმა
თარგმნამ უნდა შეუწყოს ხელი.

ლიტერატურა:

ბაქანიძე ო. (1982), „ვილნიუსის უნივერსიტეტი ოთხი საუკუნისაა“,
კრებული „ხე იმედისა“, თბილისი, თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა;

დევიძე ნ. (1999), „შეხვედრა მთარგმნელთან“, ალმანახი „ექო
სახიერი“, N1,1999, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის გამომცემლობა;

არჩუაშვილი ი. (2013), ლიტვური დღიური, ქართული მწერლობა
N19(201), თბილისი.

ინტერნეტრესურსი:

ლობჯანიძე გ., ბირუტეიონუშკაიტეს „ჩუმი ყვავილობა“, [„file:///C:/-Users/User/Desktop/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A2%ნივდომის თარიღი 6.10.2013](file:///C:/-Users/User/Desktop/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A2%ნივდომის თარიღი 6.10.2013).

Georgian-Lithuanian literary ties have become intense and di-
verse since the 1940s. This was favored by the arrival of the first Lit-
huanian delegation to Georgia during the Soviet period, in 1946.
Naturally, literary relations were greatly influenced by the aesthe-
tics. This was particularly apparent in the Stalinist era. During the

Soviet period, the Lithuanian literary periodical press covered almost all important dates related to Georgian literature. Since the 60-80s, the works of Lithuanian authors have been published in Georgia; the number of Georgian translations is growing in Lithuania; discussions, meetings of young prose writers are being organized, etc. Young translators begin their creative activities; D. Buachidze intensively studies the problems of Georgian-Lithuanian literary relations. The participation of young poets and prose writers in the Lithuanian Writers Forums ("Spring of Poetry", "International Workshop of Writers") is associated with the name of Nana Devidze.

As an illustrative example of bilingual edition we present a collection "Khe Imedisa" ("The Tree of Hope") published by I. Javakhishvili Tbilisi State University, Department of national literatures, literary interrelations and literary translation in 1982. It was devoted to the 400th Anniversary of the foundation of Vilnius State University. Young translators participated in publication of the collection. Firuz Machurishvili, Nana Devidze, and Darejan Buachidze studied the Lithuanian language and literature in Vilnius University. On their initiative, the students of the Faculty of Philology of the Tbilisi State University published, collected and translated selected works of Lithuanian authors by Justinas Marcinkevicius, Petras Cvirka, Antanas Vienuolis-Žukauskas, Salomeja Neris, J. Biliunas, E. Miezelaitis. The same journal presents the prose of Georgian writers – N. Lordkipanidze and R. Inanishvili translated by Lithuanian student Virginia Tamaskaite sent to Tbilisi State University for learning Georgian language and literature. ...The preface of this small size collection is rather informative. It familiarizes the readers with Georgian-Lithuanian cultural relations and arouses relevant interest. As we read at the end of the preface: "This small book as a result of the cooperation between the universities of Tbilisi and Vilnius is devoted to the glorious anniversary of the University and creative friendship of these two universities" [Bakanidze 1982:82,8]. We believe this collection presented by young Georgian translators and Lithuanian

translator is a good example of intercultural communication. Lithuanian literature, particularly prose has been translated by Nana Devidze till now who is the author of rather proficient interlinear translation about which she writes "interlinear translation must be of high quality, word by word and with commentaries where peculiarities of the text will be indicated, feeling, rhythm of the verse, rhyme, number of lines, etc" [Devidze 1999 : 66]. Obviously, here the translator deals with peculiarities of literary translation where the style of the source language must be preserved and its contextual aspects. Poetic devices used in the translation must be organically put into the structure of the target language and create finished poetic texture.

It is interesting for Georgian readers to get acquainted with the documentary prose of Georgian authors participating in the literary seminar, which is directly based on impressions from Lithuania. The report discusses the "Lithuanian Diary" of Ina Archuasvili, a participant of the Lithuanian Literary Seminar .

Lithuanian-Georgian literary relations have a fascinating and rich history. Today, in the conditions of globalization, it is extremely challenging for small countries to establish themselves on the global cultural map. Naturally, intensive translation of the literature of both countries should definitely contribute to the further deepening of Georgian-Lithuanian literary ties.

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის ზოგიერთი
ასპექტისათვის
For some aspects of Galaktion Tabidze's Lyrics

მამუკა ქანტურაია
Mamuka Tchanturaia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

საკვანძო სიტყვები: შემოქმედება, პოეზია, ტროპი, ლირიკა,
რიტმა, რიტმი.

Key words: Creativity, poetry, trope, lyric, rhyme, rhythm.

ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე ყველაზე უტყუარად თვითონვე აფასებდა თავის შემოქმედებას: „ახასოღეს ეხთი სტრიქონიც ახ დამიწეხია, ხომელიც ნამდვიდი გიძნობით ახ იყოს გამოწვეუდი. ყოველივე აქ ნათქვამი სიგყვა გულიდან მაქვს ამოზიდული წიფედი, განცდილი და ყვედა ეს მამახთღებს მე ყოველთვის“ [ტაბიძე გ., 1975 : 566]. მართლაც, გალაკტიონის შემოქმედებას ამ სინრფელის, სიმართლის ბეჭედი აზის ქართულ ლიტერატურაში.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს რომ კითხულობ, ასე გგონია, მოუსვენარი თიკნები დახტუნაობენ მწვანედ აბიბინებულ მინდორში, ცმუკურა თიკნები, სულ ცოტა ხნის წინათ რომ შეიცნეს ამქვეყნიური სიკეთე და სილამაზე.

კითხულობ პოეტის ლექსებს და სიხარულით გევსება მთელი გული, რომელიც არ ისვენებს, ცაში აფრენას ლამობს, მაგრამ გალაკტიონის სტრიქონები ხშირად ნაღვლიანია. შენ ისევ უბრუნდები ლექსებს და ამჯერად შენი სადარდებელი გაგონდება. კითხულობ და წუხხარ, წუხხარ და კითხულობ. სევდა მატულობს, დარდი სივდება. ასეთია ადამიანის ბუნება: სიხარულს წუხილი მოსდევს, წუხილს სიხარული ენაცვლება. ღმერთმა ნუ ქნას, ადამიანი დღემუდამ მხიარული იყოს. ასეთი კაცი ექიმთანაა მისაყვანი.

... დრო გადის, ველარც კი ამჩნევ. შუალამე კარგა ხანია, გადასულია, შენ კი წიგნს ველარ სცილდები. და უცებ, მოულოდნელად აცნობიერებ, როგორ იღვრება შენს სულში იმედის შუქი, გრძნობ შვებას. ამ დროს შენს მყუდრო ბინაში თითქოს პოეტი შემოდის. იგი გაკვირდება და იღიმება, რაღაცას ამბობს, მაგრამ შენ მისი ხმა არ გესმის, თუმცა გრძნობ, როგორ გამშვიდება, ნაღველს გიქარვებს, ტკივილს გიყურებს, იარას გიამებს. მერე შენ წინ გადაშლილ წიგნს ხურავს და ოთახიდან გადის.

რა არის ეს? ზმანება თუ ზმანებასთან გაიგივებული სინამდვილე? ჰაიჭარად პასუხის გაცემა ალბათ გაჭირდება.

როგორც ვთქვით, გალაკტიონის პოეზია აღსავსეა განსაცვიფრებელი მხატვრული სახეებით, რომლებიც შესისხლხორცებულია პოეტის ემოციურ განცდებთან. ეს გახლავთ ის პოეტური მადლი, რომელიც ჩვეულებრივს უჩვეულოს ხდის, ხოლო უჩვეულოს – ჩვეულებრივს. ეს მადლი ასულდგმულებს გალაკტიონის ლექსებს, მარადიულს ხდის მის სტრიქონებს. ამ მადლითაა გაცისკროვნებული პოეტის ლექსები, რომლებშიც დიდი ენერგიით იხატება გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, ზნეობრივი იდეალების ერთგულებისა, ქვეყნის გმირული წარსულის თაყვანისცემისა, ქალ-ვაჟის სიყვარულის უკვდავებისა.

ეს უწმინდესი გრძნობები გალაკტიონმა გადმოგვცა სრულიად ახლებური პრინციპებით, ძნელად ასახსნელი ნიუანსებით, უჩვეულო შთაბეჭდილებებით. საგანთა და მოვლენათა გარეგნულ ნიშნებში გამოავლინა დაუოკებელი შინაგანი განცდა, რომელიც არა მარტო ახალისებს მკითხველის წარმოსახვას, არამედ ათასგვარი შთაბეჭდილებებით ამდიდრებს მის გონებას. ჩემი ნათქვამი უფრო გასაგები რომ იყოს, გადავშალოთ გალაკტიონის თორმეტტომეულის პირველი ტომი ან მისი რჩეულის ნებისმიერი გამოცემა და წავიკითხოთ სამშობლოს სადიდებელი, გალაკტიონის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლექსი „მამული“ („ცვრიან ბალახზე“...). როგორც ლექსიდან ირკვევა, ქვემო იმერეთია დახატული, კონკრეტულად, სოფელი ჭყვიში, გალაკტიონის მშობლიური კარ-მიდამო, სადაც ბავშვობის წლები გაატარა პოეტმა.

ახლა ნებას ვითხოვ, ერთი ლირიკული გადახვევა გავაკეთოთ: ერთხელ გალაკტიონის ძმისშვილმა, ბატონმა ნოდარ ტაბიძემ, წარმოთქვა: „მოხუცი მამა, მოხუცი მამა სასხლავით ხელში, დადის ვენახში“. მე მაშინ შევეკითხე: „გალაკტიონი ხომ არ მოსწრებია მამას-მეთქი?“ „კი, ასე იყო“. მერე დაუმატა: „გალაკტიონის მამას არც ვენახი ჰქონია არასოდეს, ჩვენში დაბლარს რომ ეძახიან, მაგრამ ნახე, რა და როგორ თქვაო.“

ცხადია, ამგვარი წარმოსახვის უფლება ყველა მწერალს აქვს. მას შეუძლია, საკუთარი ფანტაზიის წყალობით, არარსებული არსებულად წარმოსახოს. გალაკტიონიც ასე იქცევა. მან კონკრეტული ზოგადს გადააწინა და მკითხველს ამ სახით წარუდგინა. ამგვარად, პოეტმა გვითხრა ის, რაც სინამდვილეში არ ყოფილა, მაგრამ ფაქტია, ამით ლექსმა დიდად მოიგო.

ასეთი წარმოსახვის უფლება მკითხველსაც აქვს. იმასაც ვიტყვი: რაც უფრო მაღალმხატვრულადაა ლექსი დაწერილი, რაც უფრო იშვიათი დეტალებითაა იგი გამტკიცებული (ცხადია, ყველა დეტალის აღნუსხვა შეუძლებელია) და რაც უფრო საზრიანია მკითხველი, მით უფრო ფართოვდება მის მიერ წარმოსახული პანორამა.

მაშ, ვნახოთ, გარდა იმ უძირითადესი სათქმელისა, რაც ავტორმა გვითხრა, კიდევ რისი გაგების საშუალებას გვაძლევს ეს ლექსი, უფრო ზუსტად – რისი წარმოსახვის, რისი დანახვის საშუალებას.

აი, ჩვენ მიერ საგულვებელი ეს სურათიც: გალაკტიონი ლექსში წარსულსა და აწმყოს ერთმანეთს უთავსებს. გალაკტიონი სოფელშია. სისხამი დილაა. იგი ადრიანად ამდგარა და თავისი ღარიბული სახლიდან გამოდის. ეზოს თვალს შეავლებს. ეზო კოინდრითაა მწვანედ გადახავერდებული. ყველგან, ეზოს ყველა კუთხე-კუნჭულში, დილის ნამი ალმასივით ციმციმებს. სადაცაა, მზე ამოიწვერება და მშრომელი კაცის გულს ახალი იმედებით აავსებს. მაგრამ სანამ ამოვა და ნამს ააშრობს, გალაკტიონი ფეხშიშველა ეზოში დააბიჯებს. მის არსებაში დილის სიგრძელე და პირადი სიხარული ერთმანეთში ითქვიფება. ახალგაზრდა კაცს მთელ ტანში ჟრუანტელი უვლის. ეზოში სიარული არ წყინდება. მერე ღობეს მიადგება, ღობე ტყრუშულია. მის გადაღმა გალაკტიონის საყვარელი ხალხი ცხოვრობს. ზოგი უკვე ამდგარა და ეზოში ფუსფუსებს. გალაკტიონი მათ ესალმება, ყველას მშვიდობის დილას უსურვებს, ერთ-ორ შემავლიანებელ სიტყვასაც გადასცხებს. მერე პოეტი წუთით რეალობას უბრუნდება, წუხს, რომ ეს ადამია-

ნები ამქვეყნად აღარ არიან. მათ ნაფუძარზე ახლა სხვები სახლობენ:

„წინაპაჩითაგან წავიდა ყველა,
სხვა ხადების ისმის აქ ჭიამური“
[ტაბიძე გ., ტ. I, 1966 : 283].

გალაკტიონი ისევ მოგონებებში იძირება. აგერ, პოეტის მამა... ისიც ამდგარა, ვენახში საქმიანობს. მამა მოხუცია. თავზე ფარფლებიანი ქუდი ახურავს, სწორედ ისეთი, იმერული ბერიკაცები რომ იხურავენ. ტანსაცმელი საშინაო აცვია. სამოსი დაძველებია და გახუნებია. პოეტს უზომო სიხარულს ჰგვრის მამის მოლანდება. ყველაფერი, რაც აქ ხარობს, მამის დარგულია, მისი გაშენებული, ამიტომ ყველა მათგანი მის სახელს აგონებს და მასზე ოცნებას უცხოველებს.

მოგონება გრძელდება და ჩვენი წარმოსახვაც მძაფრდება. „ისევ ამწვანდა მდებო და კოხეი“, – გვეუბნება პოეტი და ჩვენი ფანტაზიაც ფრთებს ისხამს. პოეტის ეს სიტყვები საშუალებას გვაძლევს, მეტი თავისუფლება მივცეთ ჩვენს წარმოდგენებს, წარმოსახვის ახალი დეტალები შევძინოთ მათ.

აი ეს სურათიც: მზით აივსო მთა-ბარი. აფერადდა იმერეთის ველები და გორაკები. მინდვრის ყვავილებით მოიჩითა კორდები და მდელოები, თვალი გამოაჭყიტეს ენძელებმა და იებმა, აყვავილდა ხეხილი. ვეებერთელა თაიგულს დაემსგავსა სოფელი. ღობეებიდან გადმოხრილი ალუჩის, ტყემლის, ვაშლის, ატმის ტოტდებიდან ჩამოცვენილი ყვავილთა ფურცლებით აივსო შუკები, ბალებიდან ნიავს მოაქვს ყვავილების დამათრობელი სუნი. სმენას ატკბობს ჩიტების ჭიკჭიკი. ხეებზე დასკდნენ კვირტები. მწვანით იმოსება ასწლოვანი მუხები, ცაცხვები, კოპიტები. გაიფურჩქნენ ვარდები. მათი სურნელით გაიჟღინთა ჰაერი. გამოცოცხლდა თემშარა, გოგო-ბიჭებით აივსო სოფლის მოედანი და ეკლესიის გალავანი. ისმის მათი სიცილ-კისკისი, იმერული სიმღერები მოეფინა მიდამოს,

მხვნელ-მთესველებმა გამართეს გუთნები, გავიდნენ მინდვრად...

ასეთია მოგონება გარდასულ წელთა, გახსენება გადავლილი ნეტარი დღეებისა. გალაკტიონი დააბიჯებს სოფლის შუკებსა და ორღობეებში. აგონდება ეს ყველაფერი. აგონდება... დადის... წუხს და... ენანება.

ფერწერული ტილო, გალაკტიონის „მამულმა“ რომ შთაგვაგონა, რა თქმა უნდა, ინდივიდუალურია, პირობითია. მისი დანახვა და შეცნობა მკითხველის შეძლებასა და უნარზეა დამოკიდებული. აქ მხედველობაშია მისაღები ერთი მეტად ღირსსაცნობი მომენტი: როცა ჩვენ ჩვენს წარმოსახვაზე ვსაუბრობდით, უპირველესად ვგულისხმობდით გაზაფხულის იმ პეიზაჟურ დეტალებს, ცხოვრებაში ადრეული წლებიდან რომ გვაქვს განცდილი. მაგრამ, გარდა ამისა, აქ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ის ლექსებიც, რომლებითაც მოფენილია გალაკტიონის პოეზია. სწორედ ეს ლექსები და ცალკეული სტრიქონები ქმნიან იმ საარაკო წარმოდგენით სამყაროს, სადაც თითოეული ჩვენგანის ცხოვრება საოცნებო ხდება.

ჩემი ნათქვამის დასტურად მრავალი ლექსის მოყვანა შეიძლება. მაშ, წავიკითხოთ ლექსი „გაზაფხულია“:

*„გაზაფხულია, ხე ფოთოღს ისხამს,
ვაზის ცხემღებით აივსო ზვაჰი.
ამ მშვენიეხ ღღეს, ამ დიღას სისხამს
ფეხებს გისუსხავს ციუხი ცვაჰი“*

[ტაბიძე, ტ. IV, 1966 : 129].

გალაკტიონი მკითხველს ოცნების საშუალებას, განვლილ დღეთა წარმოსახვის უფლებას აძლევს. პოეტის ნიჭიერება იმაში ვლინდება, რომ იგი გარე სამყაროს წარმოგვიდგენს არა ზედმინევნით ისეთს, როგორც სინამდვილეშია, ანუ წარმოგვიდგენს არა ობიექტური სიზუსტით, არამედ მხატვრულ-ესთეტიკურად, გარდასახული შინაარსით; მეტიც, წარ-

მოგვიდგენს არაჩვეულებრივი ემოციური ნიშან-თვისებებით. გალაკტიონის პოეზიისათვის დამახასიათებელია ეს განცდა, გარდა იმისა, რომ მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს პოეტურ სტრიქონებს, ასევე იწვევს მკითხველის უჩვეულო სულიერ აღტყინებასაც.

გალაკტიონის მრავალი ლექსი ბავშვობის მოგონებებიდან მომდინარე სოფლის შთაბეჭდილებებით სუნთქავს და სულდგმულობს. ეს შთაბეჭდილებები მოგვიანებით გალაკტიონის შემოქმედებაში მის პოეტურ განცდათა საფუძველი გახდა. ჩვენ, მკითხველებს კი, ჩვენი მხრივ, საკუთარ სულში გადმოსულ ემოციათა აღმოჩენის საშუალება მოგვცა. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ემოციურობა მეტისმეტი სიმძაფრით თუ არა, განსაკუთრებული რელიეფურობით ლირიკული გმირის ხასიათში ვლინდება. აქედან გამომდინარე, ის დასკვნა უნდა გავაკეთო, რომ ემოციები მკითხველს სწორედ ლირიკული გმირის სულიერმა განწყობილებამ შეუქმნა.

ლირიკული გმირი, ანუ სუბიექტი, განსაკუთრებული ემოციურობით წარმოსახავს გარე სამყაროს, ანუ ობიექტურ სინამდვილეს. თუ იგი ნამდვილი, ნიჭიერი შემოქმედი, ფაქტობრივად, ბუნებაში არსებულ ობიექტურ სამყაროს კი არ წარმოგვიდგენს, არამედ ამ სამყაროზე დაფუძნებულ საკუთარ შინაგან სამყაროს. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, წარმოგვიდგენს პოეტის სულში გარდაქმნილ-გარდასახულ სამყაროს. ასე რომ, მკითხველი მოცემულ მომენტში იმას კი არ აღიქვამს და განიცდის, რაც ადრეულ წლებში უშუალოდ ბუნებისგან შეითვისა და გონებაში აღბეჭდა (ცხადია, შეუძლებელია, ეს სინამდვილე უმნიშვნელოვანეს გავლენას არ ახდენდეს მკითხველის ცნობიერებაზე), არამედ იმას აღიქვამს და განიცდის, რასაც პოეტის მიერ წარმოსახული სუბიექტური სამყარო ჰქვია. თუ ამ ჭეშმარიტებას ვალიარებთ, გასაგები გახდება, რატომაა ერთის პოეზია (ამ შემთხვევაში გალაკტიონის) მკითხველისთვის დამატყვევებელი, ხოლო მეორისა – ნაკლებად მიმზიდველი, მიუხედავად იმისა, რომ ორივეს ერთი და იგივე მო-

ედანი ჰქონდა საასპარეზოდ და ერთი და იგივე ქურა ლექსის გამოსაჭედად.

ამ დროს ავტორსა და მკითხველს შორის მყარდება სრული კეთილგანწყობილება. პოეტი, იგივე ლირიკული გმირი, იწვევს მკითხველს თავის სამყაროში, უმხელს პირად განცდებს, გადმოუშლის საკუთარი გულის ნადებს. რასაკვირველია, ამ ალალ-მართალ დამოკიდებულებას კარგად გრძნობს მკითხველი, ენდობა მის გულწრფელობას და გაფაციცებით უგდებს ყურს მისი სულის ძახილს, იზიარებს მის სულისკვეთებას, თანაუგრძნობს მის სიხარულსა თუ მწუხარებას. მაგრამ ყველაფერი აქ როდი მთავრდება: პოეტისგან მომდინარე განცდები, ყველაფრის წამლუკავმა დრომ რომ გაუნელა, თანდათან იწყებს მის სულში ფორიაქს და გრძნობს, როგორ ეწყვილება მისი ემოციები პოეტის ემოციებს, როგორ ენათესავება ისინი ერთმანეთს. აი, ეს გახლავთ ავტორისა და მკითხველის (ნიჭიერი ავტორის და ნიჭიერი მკითხველის) ის თანაარსებობა, ის ურთიერთშეწყობილი დამოკიდებულება, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე.

საკითხავია, რას გრძნობს ამ დროს განსაკუთრებულად ემოციური წყობის მკითხველი? სურვილს, განიახლოს ადრეულ ხანებში განცდილი, მაგრამ დროთა განმავლობაში მივიწყებული, ამჯერად კი პოეტის მადლით კვლავ ფრთებგაშლილი მოგონებები. მაგრამ ეს ცოტაა: ესწრაფვის, აღიდგინოს ის პირადი მოგონებაც, რომლის მსგავსი, მართალია, პოეტს არ დაუფიქსირებია, მაგრამ მკითხველს ლექსის საერთო განწყობილებამ შეუქმნა.

გალაკტიონის პოეზიიდან ჩვენ უკვე მოვიყვანეთ მაგალითები, რომლებშიც ეს გენიოსი შემოქმედი წარმოაჩენს თავის სისხლხორცეულ იდეურ-ზნეობრივ და მხატვრულ-ესთეტიკურ პოზიციებს. მკითხველთა შორის მამულის სიყვარულის ასამაღლებლად, თითოეული პიროვნების სულიერების და ინტელექტის გასამტკიცებლად, გემოვნების დასახვეწად, როგორც

დავინახეთ, პოეტი ხშირ შემთხვევაში საკუთარი სოფლის მიდამოებსა და იქ ჩარჩენილ მოგონებებს მიმართავს.

ასეთი ლექსებით აღსავსეა გალაკტიონის ტომები. საანალიზოდ მსურს შევარჩიო შესაფერისი ლექსები. მგონი, მივაგენი ერთ-ერთ მათგანს. კარგი ლექსია: „ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს...“, - ვკითხულობ, მაგრამ გული არ მითმენს. იქნებ, საილუსტრაციოდ სხვა, უფრო შესაფერისი ვნახო. თუმცა უკეთესი რა უნდა იყოს. ისევ ვფურცლავ წიგნის გვერდებს. აი, ლექსი, სადაც პოეტი იგონებს სიყმანვილეს: „გაფხინდა ბავშვობის დღეები“, ან კიდევ: „გაისმა შოხი სხოდის ხმა მთაში“. ბევრი ლექსი აქვს გალაკტიონს ბავშვობაში გამოვლილი შემოდგომის დღეებზე: „შენს სიყმანვილეს ახსოვს მხოლოდ ზუზუნი ქარის“, „გუგუნებს ალი მშვენიერ ბუხრის“, „ფრინველები ზღვას გაჰკვივიან“, „მოჩვენება ხელოვნების სასახლეში“ და სხვ.

არჩევანი დიდია!

დაბოლოს, აჰა, საანალიზოდ შერჩეული რამდენიმე ლექსი: „ომნიბუსით“, „მოდის ქალების სული მცურავი“, „ჭარხალი“, „შრიალებს ჩალა“, „სადაც შრიალებს ქაობი ჭყვიშის“, „მახსოვს ზაფხული ტობანიერის“ და სხვ.

ჩემი ღრმა რწმენით, ეს ლექსები განსაკუთრებით იმით არიან გამორჩეული, რომ სუბიექტის, ანუ ცნობიერების მეორე ინდივიდის (პოეტის), მიერ განსახიერებული განცდა, მისი სულიერი განწყობილება ისეა შედუღაბებული ობიექტურ რეალობასთან, ანუ დამოუკიდებლად არსებული შემეცნების საგანთან და, იმავდროულად, ისეთი სიღრმით იჭრება მკითხველის სულში, რომ ერთიანად იპყრობს და იმორჩილებს მის გონებას.

მკითხველი კითხულობს ზემოდასახელებული ლექსების სტრიქონებს და რას ხედავს: ეს ხომ მისი კუთვნილი, მის მიერ განცდილი ემოციაა, რომელსაც აქამდე გულით ატარებდა და ვერანაირად ვერ გამოეხატა, ახლა კი პოეტმა პირადი მაგა-

ლითით აშკარად თვალწინ დაუყენა. აი, თურმე რა ამოუხსნელ გრძნობას ინახავდა მისი ხსოვნა ამ ხნის განმავლობაში.

მოდით, თავდაპირველად წავიკითხოთ გალაკტიონის ლექსი „ომნიბუსით“:

„ეზოს ახსოვს ყოველ წუთის
შაჩაგზა და გადაღმა.
ისევ იქ დგას ჩხდილი თუთის
ცაცხვები კი გადახმა.
და გიჩიფიც მაღლაჩ მტევნით,
სასაცილო გიჩიფი,
გადახიდი ბედმიწევნით,
მსუბუქი და იჩიბი.
დაფენიდი, თითქოს ომში,
ფშანია თუ ჟადგამი?
ვედად ყხია ღუჩვი კომში
და ცისფეხი აგამი.
აღუბლები ისევ ჰქეჩიან
სევდიანნი სიონი
და სახედად ხიონს ჰქვია
ისევ იგი ხიონი.
ისევ ჩნდება მწყეხით ვედი,
ღადლა თვადს ეცეცება,
ღამღამობით მოდის მგვედი
და საქონედს ეცემა.
დაჩჩენიდი მინდვხად ჩადა,
დანისღუდი კოპიგი.
განადგუხდა მეფის ჭადა,
ჩხდილი შემოდგომითი.
ომნიბუსო, მახსოვს შენი
შაჩაგზებზე ჟღაჩუნი,
ძვედი დაბა ახადშენი
და ქვითკიხის წყაჩონი.

ბახს ედები, ცას ედები,
წყადს, დაღაჰუღს დამბებით,
მოგაქვს თეთხი გაზეთები
მუდამ ძველი ამბებით“

[ტაბიძე გ., ტ.1, 1966 : 330].

ახლა ვნახოთ, როგორ ითავსებს მკითხველი ყოველივე იმას, რაც წავიკითხეთ. როგორც დავინახეთ, გალაკტიონმა მთლიანობაში წარმოსახა სიყმანვილის ჟამს ნანახი და განცდილი. მაშასადამე, ის, რაც პოეტმა გვითხრა, მისი ბავშვობისდროინდელი სინამდვილეა. თუ ეს ასეა, როგორ შეიძლება იგი სხვა პიროვნების კუთვნილება იყოს, ანუ რომელიმე მკითხველის ცხოვრებისეულ სინამდვილეს წარმოადგენდეს? ისიც დასაშვებია, რომ მკითხველს არც კი გაეგონოს სოფელი ყყვიშის და მისი უბნების - „მეფის ქალის“ და „გადაღმის“ სახელები. მაგრამ მან ხომ იცის იმ სოფლის სახელი, ასევე იმ უბნების სახელები (ვთქვათ „დედოფლის ქალა“ ან „გაღმა უბანი“), სადაც თავად ცხოვრობს, ან ბებია და ბაბუა ცხოვრობენ და მათთან ხშირად ჩადის. შეიძლება მათ ეზოში თუთის ჩრდილი კი არ არის დაფენილი, არამედ ქადრის ჩრდილი, ხოლო ცაცხვები კი არ გადახმა, არამედ - ნეკერჩხლები! თუ გალაკტიონის ეზოში ვაზი სასაცილო ტირიფზეა გასული, მათ ეზოში უფრო სასაცილო ცირცელზეა აცოცებული. მათ ეზოში კომში და ატამი კი არ ყრია, არამედ - ვაშლი და მსხალი. როგორც ვხედავთ, პოეტის ეზოს დეტალები მკითხველისთვის შეიძლება მხატვრული პირობითობა იყოს და არა იდენტური დამთხვევა.

აქ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს რითმების კაპრიზი. ზოგჯერ ხდება ხოლმე, გაჯიუტებული ესა თუ ის რითმა პოეტს სულ სხვა სათქმელს აიძულებს და თავის ნებას თავზე ახვევს. კარგად თქვა სიმონ ჩიქოვანმა:

*„ხშიხდება გუდის საშიში ფეთქვა,
მსუხს საჭაშნიკო სიმღეხა გითხიათ.
მე სხუდიად სხვა მინდოდა მეთქვა
და სხვას მამღეხებს წყეუდი ხითმა“*

[ჩიქოვანი ს., 1985 : 148].

შეიძლება ლექსის ისეთმა ჯადოქარმა, როგორც გალაკტიონ ტაბიძე იყო, ვერ აიცილა რითმის ასეთი ახირება. ალბათ, სიტყვამ „გადაღმა“ მოსთხოვა პოეტს რითმის „გადახმა“ ჩასმა სტრიქონში, თორემ სინამდვილეში ის ცაცხვები სრულებით არ ყოფილა გადამხმარი. ისიც დასაშვებია, რომ პოეტს მიზნად ჰქონდა დასახული, საგანგებო ფრაგმენტებით გაემდიდრებინა ლექსი და მკითხველისთვის უფრო ფართოდ გადაეშალა ბავშვობისდროინდელი ფერწერული ტილო. ამ ტილოს როგორც შეეძლო და როგორც გვგონია, საკუთარი სოფლის ფერები წაამატა ბავშვობამონყურებულმა მკითხველმა, ე.წ. მსგავსების ასოციაციებით სათავისოდ გადააქცია და პირად განცდებს შეუხორცა. აი, ასე, მხედველობითი ორგანოს მეშვეობით აღიქვა მან ობიექტური სინამდვილე, ანუ საკუთარი სოფლის ხატი, შეიმეცნა ის საგნები და მოვლენები, საკუთარ კარ-მიდამოში რომ უნახავს და შეუთვითცნობიერებია.

ასე და ამგვარად, როგორც აშკარა გახდა, მკითხველის ესთეტიკური ზემოქმედებისათვის გადამწყვეტია არა კერძო – კონკრეტული საგნით თუ მოვლენით გამოწვეული განცდა, არამედ მასში გატარებული განზოგადებული საერთო პოეტური განწყობილება, რომელსაც მხატვრული დამატებლობა უდევს საფუძვლად.

იმ ხანებში გალაკტიონის ეზოს წინ სამტრედია-ვანის საფოსტო გზა გადიოდა, სადაც არ წყდებოდა დილიჟანსებისა და ომნიბუსების თვლების გრიალი და ჩალვადარების შეძახილები. ჭიშკართან დღეში ერთხელ გაისმოდა ზარის რეკვა, რასაც გალაკტიონის დედის ძახილი მოჰყვებოდა: „გატუნია, შვილო, გაიქეცი, გაზეთები მოიტანეს“.

გატუნიას დედის შეძახება არ სჭირდებოდა, ისედაც კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ეს ზარის რეკვა და დედის დაძახებამდე ჭიშკრისკენ გარბოდა. იქ მოლიმარი ჩალვადარი დაუხვდებოდა და ეტყოდა: „პატარა ბიჭო, შენს გაზრდას, შენებურად წყალი დამალევიწყო“. არც ეს ნათქვამი იყო გალაკტიონისთვის უჩვეულო. ის წვერულვაშიანი ძია რატომღაც მუდამ პატარა გალაკტიონს სთხოვდა წყალს. ჭასთან მუდმივად იდგა დოქი, რომელსაც წყლით აავსებდა და ძიას მიურბენინებდა. მერე ჟურნალ-გაზეთებს გამოართმევდა, დიდად კმაყოფილი, რომ დედის დავალებასაც ასრულებდა და იმ წვერულვაშიანი ძიას თხოვნასაც. ეს მოგონება სამარადჟამოდ ჩაებეჭდა პოეტს გულში, არ არსებობდა არანაირი ძალა იქიდან მისი ამოშლისა.

ბავშვობაში განცდილი შთაბეჭდილებების შედეგია „მოგონება ჩვენი ქალისა“ (1925), რაც ლექსის „ომნიბუსით“ (1926) ერთგვარი გაგრძელებაა.

რას შეუძლია გაახალისოს მოწიფული გალაკტიონის ბავშვობა? – მხოლოდ იმდროინდელმა ქალის ქარებმა და ჩალის ღერობმა:

*„სალამოს ხანად ჩადანდხის ცხენი
მე მაგონებდა გოჩებს შოხეუდს.
ფშანში დანდივით დაცქეხდნენ ხენი
ბინდის მეგობახს მოუშოხებდს.
ცამ მოგონება გაღუხადისა
მას, ვისაც სწამდა ლამის ფეხები.
ეს იყო ქახი ჩვენი ქადისა
და შემოდგომის ჩადის ღეხები“*

[ტაბიძე გ., ტ. II, 1966 : 170].

რომეღ მწერალსა და სახელმწიფო მოღვაწეს, გაიუს პლინიუს უმცროსს, ნათქვამი აქვს: „ბედის ყვედანაიხ ქახგებნი-

ღებში ყველაზე დიდი უბედულებაა, როცა წახსულში იყავი ბედნიერი“. გალაკტიონი წარსულში იყო ბედნიერი, მაშინ, როცა გვერდით ჰყავდა უსაყვარლესი დედა, მასზე გადაგებული უფროსი ძმა, მოგვიანებით, იქვე, ახლოს, მასზე უგონოდ შეყვარებული სატრფო. პოეტის უამრავი ლექსი ჩვენი ნათქვამის უცილობელი დადასტურებაა. აი, კიდევ ერთი იმათგანი, ქართული ლირიკის მშვენება „ჭარხალი“, რომლიდანაც იმზირება უდარდელი ბავშვობა:

*„ებოში ყეფდა ბამბუხა მუხა,
ებოში მწვანე ჰყვაროდა ბაო,
ვაზის ბაჩღებში სცუხავდა სუხა,
შენ ბანცადებდი, ბუხურო ცაო.
ბობი ბეღავდა კახამბადს, ჟოდას,
ბიჩკვიდს ბაგები ქახმა მოხეკა,
ცა წამოიწყებს მსხვიდ წვიმის სიოდას
და აბრბუდას კხებს ბობოხიკა.
ჟვეხი, ჟადღამი! მოჭიდი სამხახს,
ნახიხი მოღის საღამო დიოის,
უცებ მოჰყვება ჭახხადი ხახხახს
და ქადი ჰკივის იმ „ღოი-ღოი“-ს.
ეკვეთა ქახი ბუხდებსა და ხგოს,
უცებ აშფოთდა ისდი, ჩედგები,
ო, სიყმაწვიდე! აწი ახასდხოს
იმგვახად ალახ ამეცყვედები“*

[ტაბიძე გ., ტ. I, 1966 : 331].

ლექსის წაკითხვისას, ბუნებრივია, გვებადება კითხვა: რამდენადაა შესატყვისი ეს ყოველივე სინამდვილესთან, რამდენად ცხადად გადმოგვცა პოეტმა ცხოვრებისეული სიმართლე? როგორც ითქვას, ლიტერატურას არ ევალება, ზედმინვენიტ ზუსტად ასახოს ის, რაც ქვეყნად ხდება. არც გალაკტიონს ევალება, სიტყვასიტყვით აღწეროს სიყმაწვილისდროინ-

დედი მოვლენები. ამ შემთხვევაში ობიექტურ აღწერას ენაცვლება სუბიექტური წარმოსახვა, ანუ ენაცვლება განცდის სიმართლე. მართალია, ლექსში გრძნობათა გამოვლინება მთლიანობაში რეალისტური სახეებითაა გაცხადებული, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, მაგრამ ასევე იგრძნობა მოდერნისტულ ძიებათა ნიშნები, ანუ სუბიექტურ წარმოდგენათა ასოციაციების, სტილიზებული სახეების კვალი, საგანთა და მოვლენათა გასაიდუმლოების წადილი.

აშკარაა, გალაკტიონმა მოისურვა ლექსისთვის ე.წ. „შინაურული“ ელფერი მიეცა, ამიტომ იგი იმერიზმებით გააწყობა, რაც მკაცრად განსაზღვრული დიალექტის ფარგლებშია მოქცეული და მხოლოდ მხატვრული სახის უკეთ გამოკვეთას უწყობს ხელს.

გალაკტიონი ქართულ პოეზიაში ერთ-ერთ ყველაზე მელოდიური ხმისა და ფერადოვანი სიტყვის ოსტატადაა აღიარებული. მისი ლექსის თითოეული მარცვალი, იმავდროულად, მუსიკალური ბგერისა და აკვარელის საღებავის ფუნქციის მქონე ელემენტად გვევლინება. დიდი პოეტის ლირიკა ასევე ევფონიური ბგერა-შეთანხმების საუკეთესო მაგალითია. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ XX საუკუნის პოეტთა შორის მას ბადალი იშვიათად მოეპოვება. გალაკტიონი ის სწორუპოვარი მგოსანია, რომელიც თანაბარი ძალით მიმართავს ერთსა და იმავე ან მსგავსი თანხმოვნების გამეორებას (ალიტერაციას), ან ასევე - ერთნაირი ხმოვნების გამეორებას (ასონანსს). ალიტერაციის შესანიშნავი ნიმუშია ზემონახსენები ლექსის - „ჭარხლის“ - პირველი ორი სტროფი, სადაც მჟღერი „ბ“ თანხმოვანი 20-ჯერაა გამეორებული.

მოდით, ახლა სხვა შედეგები წავიკითხოთ. ვნახოთ, რა გვითხრა პოეტმა ამ ლექსებით, რა ასოციაციები წარმოგვისახა მათმა წაკითხვამ. თავდაპირველად ლექსი - „შრიანებს ჩალა“ - წავიკითხოთ. ლექსი ორსტროფიანია, მაგრამ იმერეთის შემოდგომა მთლიანადაა შიგ ჩატეული თავის ველმინდვრიანად და მოსახლეობიანად. როცა ვკითხულობთ ლექსს -

„შრიალეხს ჩალა“, გვგონია, უჩვეულო ფერწერულ ტილოს შევყურებთ, მაგრამ მალე ჩვენი შთაგონება მიმართულებას იცვლის და ვიჭერებთ დაუჭერებელს: აშკარად გვესმის ოდესღაც მოსმენილი და სულში ჩარჩენილი შორეული, გამოგნებელი მელიოდია, მაგრამ ვერ გაგვიხსენებია, სად და როდის გავიგონეთ იგი, ანდა ვისია ეს გამოუცნობი ჰანგი. ამასთან, ისეთ ბუნდოვანებაში ვართ, ვერც ის გაგვირკვევია, გვამშვიდებს ეს მუსიკალური მოტივი, თუ გვაშფოთებს. აი, პირველი სტროფი ლექსისა:

*„შემოდგომა... შიადებს ჩადა,
აჩადეს ჩადა, ზიდავენ შეშას,
ხოგოხ აფიქხებს სამშობლო ჭადა
ჭაობის ვახდებს, დასიღუდ ნეშოს“*

[ტაბიძე გ., ტ. II, 1966 : 295].

პოეტმა პირველ სტროფშივე გვითხრა თავისი სათქმელი: დადგა შემოდგომა, „აჩალეს ჩალა“, რაც მკითხველის მარტივ, მაგრამ აუცილებელ დასკვნას მოითხოვს: „აჩალეს ჩალა“, მაშასადამე, სიმინდის ტაროც მოტეხილია. მოზიდულია შეშაც და აქვე მოულოდნელად პოეტი ლირიკულ გადახვევას გვთავაზობს. ჭაობის ვარდებს და დასილულ ნეშოს დარჩათ ბურთი და მოედანი, მაგრამ მათაც თავიანთი სადარდებელი აქვთ – ანუხებთ ამ შემოდგომას მშობლიური ჭალების ბედი. ნავიკითხოთ მეორე სტროფიც. პოეტი დაბეჯითებით იმეორებს შემოდგომის დადგომის ფაქტს. ეს გამეორება გალაკტიონს იმიტომ კი არ სჭირდება, რომ დაგვარწმუნოს დროის ცვალებადობაში. ცხადია, არა, გამეორება სხვა მიზანს ისახავს – ნათქვამის ხაზგასმას, ტემპის გამძაფრებას. როგორც მოგეხსენებათ, ლექსი ლირიკულია და ბევრის თქმა ვერ ხერხდება, არც არის საჭირო. ამიტომ იგი მოკლეა და მოკვეთილი. მეორე სტროფშიც პოეტი მნიშვნელოვანზე ლაპარაკობს – დაცარიელდა შარავნები, დაიწყო წვიმები, დასველდა მოშიშვლებულ ეზოებში წამომართული ზვინები და, რაც აუცილებელი სათ-

ქმელია, ამ სევდიან დღეს ბუხრის პირას ზის დანაღვლიანებული ყმანვილკაცი და ფიქრს მისცემია. აი, ყველაფერი ის, რისი თქმაც გალაკტიონმა ისურვა.

*„შემოდგომა... დაყრუვდა შაჰა,
მოვიდა წვიმა, დამძიმდა ზვინი.
მოვა თუ აჰა, მოვა თუ აჰა...
ობხვით კითხურობს ცეცხდის შიშინი“*

[ტაბიძე გ., ტ. II, 1966 : 295].

როგორც ვთქვით, გალაკტიონის ლექსი იმიტომ იწერება, რომ პოეტის ნათქვამით შთაგონებულმა მკითხველმა კარგა ხნის წინათ ნირშეცვლილი თავისი ხსოვნა განაახლოს, ანუ ძველად მიღებული შთაბეჭდილებები გააცოცხლოს. მას აგონდება ის მომენტებიც, რომლებზეც პოეტს ყურადღება არ გაუმახვილებია, ან გაკვრით ახსენა, მკითხველს კი აშკარად ჩაებეჭდა გულში. აი, ეს ეპიზოდები ახსენდება მკითხველს და უნებურად პოეტის ხილვებს საკუთარი ხილვებით ავსებს.

ვიცით, რომ, ესა თუ ის მკითხველი არცთუ იშვიათად ყოფილა მოწმე შემოდგომის შემოსვლისა იმერეთში და უნახავს, ამ დროს მთელი სოფელი როგორაა ჩაბმული საშემოდგომო საქმიანობაში. ყველა, დიდი და პატარა, ცდილობს, დროულად მოათავოს უმთავრესი სამუშაოები, თორემ თუ წვიმები დაიწყოს, ყანაში ვიღა შევა - სიმინდიც გაუოხრდებათ და ჩალაც გაუვერანდებათ.

აჰა, დადგა შუაგული შემოდგომა. ცამ პირი მოიხსნა, შარაგზები დაცარიელდა, ყველა სახლში შეიკეტა. გაავებულმა ქარმა თავი აიშვა, შუკები და ეზოები გუბეებით გაივსო. მათ მოსარკულ ზედაპირზე მალიმალ გადაიჭირითებენ ნოემბრის ქარები და წუთით გარინდებულ ტბორებს ციებიანივით ააკანკალებენ. ახლა ოდა სახლშიც შევიხედოთ. ბუხრის პირას ზის ახალგაზრდა კაცი, იგივე ლირიკული გმირი და ცეცხლს მისჩერებია. ცეცხლი ხომ ფიქრიანია, მასაც მოსძალება ფიქრები. ბუხარში შეყრილ რცხილის ნამორევს ალი ელამუნება და ნე-

ლა ლოკავს. ბუხართან მიმჯდარ ყმაწვილკაცს ნალველი მოს-
დალებია. აშკარაა, რაღაც წუხილი გასჩენია, მაგრამ რა? მის
საფიქრალს ცეცხლის შიშინი გვამცნობს! „მოვა თუ ახა, მოვა
თუ ახა? / ოხვხით კითხულობს ცეცხლის შიშინი“.

რატომ „შიშინი“? თითქოს უმნიშვნელო დეტალია. იქნებ
სხვას არც კი შეემჩნია ან არ მიექცია ყურადღება, მაგრამ პო-
ეტმა დააფიქსირა, შემოგვთავაზა და ამით უფრო ხელმისაწ-
ვდომი გახადა წარმოსახული სურათი. „ცეცხლის შიშინი“ აქ
იმიტომ წერია, რომ შეშა ნედლია და ცეცხლი ძნელად ეკიდე-
ბა. ამიტომაა, რომ ცეცხლი, სანამ მომძლავრდება ჩვეულები-
სამებრ კი არ გუზგუზებს, არამედ შიშინებს. მსხვილად დარჩე-
ნილი ნამორევიდან კი ქაფიანი ნალვენთი ჟონავს. საკითხა-
ვია, ვის ელოდება ეს ყმაწვილკაცი? ცხადია, პასუხი ძნელად
გასაცემი არ არის – იგი თავისი ოცნების ქალიშვილს ელოდე-
ბა, რომელიც აქვე, მახლობელ ქალაქში, ცხოვრობს.

აი, ასე შეიგრძნო გალაკტიონმა ობიექტური გარემო, რაც
სინამდვილისადმი მისი სულიერი დამოკიდებულების, მისი
ემოციის გამოვლენაა. რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ამ
დროს მკითხველი? რა განცდები ეუფლება? რაც უნდა გაუნა-
ფავი იყოს იგი პოეზიის იდუმალებათა გამოცნობაში, საშუა-
ლება ეძლევა, რამდენადაც მისთვის შესაძლებელია, ჩაულ-
რმავდეს პოეტის ცხოვრებისეულ მწვავე ეპიზოდს, რაც მას
გვიანი შემოდგომის ფონზე აქვს დახატული, გაითავისოს სა-
კუთარ პრიზმაში გარდატეხილი, მის არსებაში თავისებურად
გარდაქმნილ-გარდასახული ლირიკული გმირის კაეშანი. მაგ-
რამ ეს არ არის მკითხველის გულში გაჟღერებული ბოლო
აკორდი. არა! ეს მკითხველისგან გაცხადებული თანაგრძნო-
ბაა, არანაირი სასწორით რომ არ აიწონება.

წერილის დასასრულს ერთ მეტად მნიშვნელოვან სა-
კითხს უნდა შევხებო, კერძოდ, რა ზემოქმედებას ახდენს გა-
ლაკტიონის ლექსი მკითხველის ცნობიერებაზე? რა ასოცია-
ციებს იწვევს პოეტის შემოთავაზებული განწყობილებები
მკითხველის ფსიქიკაში? რას წარმოადგენს ავტორისა და

მკითხველის თანაარსებობა? დაბოლოს, საკითხავია, როგორაა შესაძლებელი პოეტისა და მკითხველის თანაარსებობა? რა თქმა უნდა, ნიჭიერი პოეტისა და ნიჭიერი მკითხველის.

სახელგანთქმული ამერიკელი პოეტი უოლტ უიტმენი ამბობდა, დიდი პოეტები თუ გვინდა, კარგი მკითხველებიც (თუ დიდი მსმენელებიც) უნდა გვყავდესო. არ არსებობს პოეტი მკითხველის გარეშე. თუ პოეტს მკითხველი არა ჰყავს, მისი ლექსი რჩება ხმად მლაღადებლისად უდაბნოსა შინა.

მაინც როგორი უნდა იყოს ეს „კარგი“ მკითხველი? უპირველესად, გემოვნებიანი, საზრიანი, მიხვედრილი, შეეძლოს პოეტის ნააზრევის გაგება, არაპირდაპირი ნათქვამის ამოკითხვა, საგანგებოდ გასაიდუმლოებული სტროფების შეძლებისდაგვარად სწორად წაკითხვა, ძნელად მისაწვდომი სახეების ამოცნობა, მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებების შეცნობა, სტილისტური თავისებურებების აღქმა, ჰქონდეს გალაკტიონისათვის დამახასიათებელი სხვა იშვიათობათა წვდომის უნარი.

ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთი მკითხველი ბევრზე ბევრი ჰყავს ჩვენს პატარა საქართველოს; მკითხველები, რომლებმაც იციან გალაკტიონის ფასი. ეს მკითხველები მეტწილად ახალგაზრდები არიან – ჩვენი ქვეყნის მომავალი, მისი ნუგეში, ეს ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც გალაკტიონის ლექსებით დახუნძლულ პოეტურ ბაღში ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებიან მისივე სტრიქონებით და ცხოვრების ფართო შარაგზაზე გასასვლელად ემზადებიან, მაგრამ მათ შორის არიან ისეთი გაუნაფავი ახალგაზრდებიც, რომელთაც პოეტურ ლაბირინთებში გზის გაგნება უჭირთ, თუმცა ლექსების კითხვა ძალიან უყვართ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ლიტერატურათმცოდნეობაში აღიარებული ლექსის გაშიფრვა, პოეტურ სტრიქონებში ჩაძიება, სასურველი არ არის. ჩვენი დროის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტი თამაზ ჭილაძე წერს: „*ეჩხებეღ და სამუდამოღ ამოხსნიდიღ ღექსი აჩ ახსებობს და თუკი ახსებობს, ნამღვიდიღ ღექსი აჩ*

ახის“ [ჭილაძე თ., 1984 : 15]. ცხადია, ეს ასეა, მაგრამ რა ვუყოთ იმ მკითხველებს, რომელთაც სურთ, შეიცნონ ამა თუ იმ პოეტის, ამ შემთხვევაში საყვარელი გალაკტიონის, ე.წ. სუბიექტურ-ინდივიდუალისტური სტრიქონები, ჯერ არნახული და ჯერ არგაგონილი. გალაკტიონის პოეზია ხომ აღსავსეა ასეთი უჩვეულო სტრიქონებით – მოულოდნელი ხილვებით, ჩვენებებით, ზმანებებით. ამნაირი პოეტური ცნებებით თუ კატეგორიებით აზროვნება და წერა არა მხოლოდ მხატვრული სახის შექმნის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, არამედ პოეტის განცდათა გადმოცემის აუცილებელი ხერხიც.

რასაკვირველია, მე როგორ გავბედავ გალაკტიონის პოეზიაში ხელის ფათურს, უბრალოდ მსურდა, მკითხველებთან პოეტის პირად განცდებზე, მის თავანწყვეტილ ემოციებზე მესაუბრა, რომლებიც ადიდებულ მდინარესავით ბობოქრობენ გალაკტიონის პოეზიაში, კალაპოტიდან გადმოდიან და არაამქვეყნიური ძალით აცხოველებენ მკითხველის წარმოსახვას.

ლიტერატურა:

- ტაბიძე გ. (1966)**, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 4, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;
- ტაბიძე გ. (1975)**, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 12, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;
- ჩიქოვანი ს. (1963)**, თხზულებანი, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“;
- ჭილაძე თ. (1984)**, „ვარდის ფურცლობის ნიშანი“, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

The poetry of Galaktion Tabidze is filled up by amazing artistic images which are blended with author's emotional experiences. This is the poetic grace converts ordinary to extraordinary and vice-versa. This grace galvanizes Galaktion's poems and makes his verses eternal. This grace irradiates the poems imbued with the fee-

lings of love of native land, of deference to her heroic past, of allegiance to the moral ideals, of eternity of love between man and woman. Galaktion uses absolutely novel principles, hardly explainable nuances, and unusual impressions to transmit these sacred feelings. He expresses the irrepressible inner feelings in the superficial features of the objects and events not only to stimulate the reader's imagination but to enrich his intellect.

Galaktion's many poems are breathing and living from his childhood memories and countryside impressions. Later those impressions became the basis for the poetical feelings in Galaktion's works. It will not be wrong to say that the emotionality is especially pronounced in the personality of the lyrical character. Therefore, I have to conclude that the reader gets his emotions from the mind-set of the lyrical hero.

Lyrical hero, or a protagonist, envisions the outer world, the objective reality with special emotions. Thus, the reader perceives and senses the subjective world imagined by author instead of his own recollections which he absorbed from the nature and imprinted in his mind in earlier years. If we acknowledge this truth it will become comprehensible why the poetry of some authors (in this case, of Galaktion) is so captivating, while the others do not fascinate the reader.

Galaktion is recognized as a master of one of the most melodic voice and colourful word. Each syllable of his poem appears at the same time as the element possessing the function of musical tone and moist colour. It can be stated emphatically that he rarely has equal among the 20th century poets.

The reader of Galaktion Tabidze, in the first place, has to be a bright, quick-witted, discerning person, who can understand poet's ideas and his indirect speech; who can correctly decode the stanzas that are purposely veiled; who can identify the hardly legible images, perceive the artistic and aesthetic features, comprehend the stylistic peculiarities; who, like Galaktion, has the ability to cognize the other phenomena.

აჩრდილის მითოპოეტური კონცეპტი
(ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ მიხედვით)
Mythopoetic Concept of Ghost
(according to Ilia Chavchavadze's „The Ghost“)

მაია ჯალიაშვილი
Maia Jaliashvili

*თსუ შოთა ხუსთაველის სახელობის ქართული ღიგეოგრაფიის ინსტიტუტი, ქართულ-
ამერიკული უნივერსიტეტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, Georgian-American University*

საკვანძო სიტყვები: ილია ჭავჭავაძე, ქართული ლიტერატურა,
აჩრდილი, მითოპოეტური, სიმბოლო.

Key words: Ilia Chavchavadze, Georgian Literature, Ghost, Mythopoetic,
Symbol.

საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის დარღვეული კავშირის აღდგენის აუცილებლობა ილიამ გამოკვეთა იმგვარ მრავალმნიშვნელოვან მითოპოეტურ სიმბოლოში, როგორცაა აჩრდილი. პოემაში აჩრდილთან შეხვედრა ილიას წარმოჩენილი აქვს როგორც მისტერია, რომლის დროსაც ხდება საიდუმლო კავშირის დამყარება ერის მითურ სუბსტანციასთან. ეს ერთგვარად ინიციაციასაც ემსგავსება – პოემის ლირიკული გმირი სწვდება დაფარულს, განიბრძნობა, ეზიარება საკრალურს, იღებს „ცოდნას“, რომელიც მას ჭეშმარიტებასთან მიაახლებს. ეს არის არა მხოლოდ უბრალო შეხვედრა საიდუმლო ძალასთან, არამედ გამოცხადების დარიცაა. ილია ჭავჭავაძე დიდხანს ხვეწდა და აღრმავებდა პოემა „აჩრდილის“ მხატვრულ სისტემას. მის საბოლოო ვარიანტში კი სრულყოფილად აისახა მწერლის სათქმელი, რომელმაც ქართველი ერის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა მოიცვა – ეს იყო თავისუფლების მოპოვების გზის ძიება. მწერლის მთელ შემოქმედებას მსჭვალავს ქვეყნის სატკივარი, მაგრამ „აჩრდილში“ მას სულ სხვაგვარი მხატვრული ინტერპრეტაცია მიეცა და ქართველი ერის გადარჩენის ფილოსოფიური, მითურ-რელიგიური ასპექტები გამოხატა.

პოემის გმირი განიცდის ერთგვარ „ეპიფანიას“ – იგი ნათელს პირისპირ ჭვრეტს. აჩრდილი თვითონვე „ხსნის“ თავის არსს, როდესაც ამბობს, რომ ის არის „მარად და ყველგან“ საქართველოსთან, რომ მისი „თანამდევნი, უკვდავი სულია“. ეს გამოკვეთს იმ თვალსაზრისს, რომ საქართველოს უკვდავი სული „მყოფობს“ მარად და ყველგან. ეს არის წმინდა დრო და წმინდა სივრცე, საკრალური განზომილება, სადაც ჟამი დგას და სივრცე უცვალებელია. იმავდროულად, იგი „გამჟღავნდება“ მიმდინარე, ცვალებად, ეგრეთ წოდებულ, პროფანულ დროსა და სივრცეში. ეს ეხმიანება „მარადიული დაბრუნების“ იმ მითს, რომელსაც მირჩა ელიადე გამოკვეთს თავის ნაშრომში „მარადიული დაბრუნების მითი“. საკრალურობას იძენს მყინვარწვერიც, რადგან სწორედ მის წვერზე დგას

აჩრდილი. მირჩა ელიადეს აზრით, „საგანი ეხთგვაჰ ქუხჭდად შეიძლება გადაიქცეს, ხომეღშიც გახე ძადა ჩაიღვხება“ [ელიადე 2017: 21]. უკვდავი სულის ირაციონალური სივრციდან მატერი-ალურში „გამოვლენის“ მიზანი კი ერთია – ღვთაებრივი ნებისა და საიდუმლოს მოკვდავთათვის გამჟღავნება. ჩვეულები-სამებრ, ამგვარი რამ წარმოჩნდებოდა ხოლმე, როგორც ხილ-ვა. სწორედ ამგვარ ხილვაზე საუბრობს ილია პოემაში: „მეწ-ვივინენ იგი უცხო ხიღვანი“, „ნუთუ გათავდა ამით ხიღვა ეს..“ [ჭავჭავაძე 1985: 72]. იმავდროულად, ეს მამა ღმერთთან „შეხ-ვედრაცაა“, ხოლო „ძე“, რომელსაც მამასთან მიჰყავს ძმები, დაცემული ადამიანები, ამ შემთხვევაში, მწერალია, რომელ-შიც დავანებულია და ცოცხლობს ქრისტე.

გრიგოლ რობაქიძე წერს, რომ მწერალი „მიემართება“ ერის სულისაკენ, ე.წ. კარდუს ეზიარება: „შემოქმედებით აქვში ხედოვანი სციღება ემპიხიურ საზღვხებს და შთაგონებით ფითაასხმული თავს გადადის ყოფითს ავსიღს ქუხჭედს ინდივიდუ-ადობისასლ მაგჰამ ვიკითხოთ, სად გადადის იგი ამ ჟამს? პასუხი ეხთია: ეხის სუღში. ყოვედი ხედოვანი ოხგანიური ნაწიღია ეხის სხეუღისა, სუღი მისი ინდივიდუადი სახეა ეხის სუღისა.ღ თვითონ ეხის სუღი კი ცოცხადია, მთღიანი ახსია, ხომეღიც მთღიან სი-ცოცხედედ ფეთქავს ბუნების შეუცნობედ კუთხეში“ [რობაქიძე 1994: 313]. პოემაში ეს ზიარება დახატულია იმგვარი ნიუანსე-ბით, რომ მკითხველი გრძნობს მის ღვთაებრიობას: „აღმო-ბიწყინდა მზე დიღებუღადა და განანათღა ქვეყანა ბნეღი“ [ჭავჭავ-ვაძე 1985: 67]. პოემის მხატვრულ სისტემაში პირველადი შინა-არსი ამ სტრიქონებისა კარგავს მნიშვნელობას და იძენს სხვას, რომელიც ინარჩუნებს მასთან მსგავსებას, მაგრამ მეტი სიღრმე და განზოგადება მიენიჭება. მზის გამჭვირვალე სიმ-ბოლიკა წარმოდგენილი ეპიზოდის ირაციონალურ კონტექ-სტში გააზრების შესაძლებლობას ქმნის. ეჭვებით აღსავსე გმირი ვერ „ენდობა“ დიდ მადლსა და სიტკბოებას: „სტყუისო ზეცაც და ქვეყანაცა“, „ღუმიდში ჰა წყევღაც ახის“... ეს გულის-ხმობს იმასაც, რომ დარღვეულია ზეცასა და მიწას შორის კავ-

შირი, მადლი ველარ აღწევს ადამიანის გულამდე, არადა, უხვად ეფინება „მზისაგან“ – ე.ი. ძალიან დაბლა დაცემულა ადამიანი და სხივებსაც ველარ იკრებს, მაგრამ ხდება მოულოდნელი რამ – „დილის სიტკბოება“ თავისას გაიტანს – ჟამია მომდგარი. ხდება გმირის „მომზადება“ მეტაფიზიკურთან შესახვედრად. უპირველესად ეს არის მისი აღვსება მთლიანად ბუნებით. ბუნების წიაღში მის არსებას განმსჭვალავს სასოება, რწმენა და სიყვარული (პავლე მოციქულის სწავლებით, ქრისტიანობის საყრდენები). „*ხედიგვიუხობა*, – წერს ლიტერატურის მკვლევარი ჰიუბნერი, – *ეს აჩის გამოცდილება იმისა, რომ ადამიანმა მიანიჭოს ახალი ძაღა ღეგენდაჰულს, ღიხსახსოვაჰ მოვლენებს და თვითმხიღვედი გახდეს ზებუნებხივი ძაღების შემოქმედებითი მოღვაწეობისა. ადამიანი წყვეტს თავის ყოვედღიუჰ ახსებობას ჩვეულებხივ სამყაჰოში და შეღის გაბჰწყინებუღ სამყაჰოში, ჰომეღიც გამსჭვადუღია ღვთაებხივი ძაღებით... ადამიანი ამგვაჰად უბჰუნღება თავღაპიღვეღ ღჰოს და მოვღენების საზხისს შეიღეცნებს“ [ჰიუბნერი 1996: 35]. ასე ემართება პოემის ლირიკულ გმირსაც, რომელიც, რა თქმა უნდა, ავტორის ალტერ ეგოა.*

იღია წერს, რომ „ყოვღად მხსნელმა სასოებამ“ მისცა „ნუგეში მაცხოვნებელი“, რომ „გარდმოევიღინა... რწმენა“, რომ „გვემული გული“ წმინდა სიყვარულით „განუცხოვეღდა“. „რწმენის გარდმოვიღენამ“, ამგვარმა სისავსემ კი გამოიწვია მისი განწმენდა, ერთგვარი, კათარზისი, გათავისუფლება, მომზადება დაფარულთან, საკრალურთან შესახვედრად. წმინდა სიყვარულმა განუწმინდა „ხეღვა და სმენა“, მის თვალებს „განშორდა თითქოს სიბნელე ხეღვად უცნაურთ სახიღვეღისა“, ხოლო ყურებს მოეხსნა სიღნელე „სმენად ბუნების მეტყველებიღსა“. ამგვარად, მოულოდნელად მზერა- და სმენაგახსნიღი გმირი სწვღება მეტაფიზიკურ სამყაროს, იხიღავს დაფარულს, იმავდროულად, დაკარგულსაც, რადგან ქართველებს რწმენა აღარა აქვთ არც ღვთისა და არც მამულიღსა. ღმერთს ვე-

ღარ „ხედავენ“, რადგან აღარ დაეძებენ, მამულს ვეღარ „პოულობენ“, რადგან მისი სიყვარული და ერთგულება აღარ აქვთ.

„აჩრდილი“ თავისი სემანტიკური მნიშვნელობით ლანდია, ანარეკლია. იგი შეიძლება გავიაზროთ როგორც წინაპართა აჩრდილების ერთგვარი მთლიანობა, რომელსაც იხილავს პოეტი. აჩრდილი ის ჩრდილიცაა, რომელსაც განფენს ღვთის მიერ შექმნილი სულიერი თუ უსულო საგანი. ერსაც, როგორც მატერიალურ-სულიერ ერთობას, უნდა ჰქონდეს თავისი ჩრდილი. საქართველო შეიძლება გავიაზროთ ჩრდილდაკარგულად, ამ ჩრდილს კი ილიამ მიაგნო და დაუბრუნა ერს, თავისი მოწამებრივი მსხვერპლით გამოისყიდა.

ჩრდილის დაკარგვა რომანტიზმისთვის მეტად დამახასიათებელი მოტივი იყო. ჩრდილს, რომელიც სიმბოლურად აღნიშნავდა სულს, არსებას, „ღვთის შვილობას“, სინმინდეს, ან კარგავდნენ, ან ყიდდნენ სიმდიდრის, პატივის და სხვა წარმავალ ღირებულებათათვის. ჩრდილს იძენდა სხვადასხვა სახით მოვლენილი ეშმაკი, რომელიც ამ „გარიგების“ შემდეგ თავის ნებაზე ატარებდა ადამიანს. ამგვარ სიმბოლიკას ვხვდებით შამისოს, უაილდის, ჰოფმანსტალის შემოქმედებაში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ალდებერტ ფონ შამისოს სიმბოლურ-ალეგორიული მოთხრობა „პეტერ შლემილის უცნაური თავგადასავალი“. მწერალი მოგვითხრობს, გასამდიდრებლად და ჯადოსნური ქისის ხელში ჩასაგდებად როგორ მიჰყიდა პეტერ შლემილმა ეშმაკს თავისი ჩრდილი და ამგვარად როგორ დაკარგა სული. ამის შემდეგ დაიწყო სიმბოლურად მზისა და სინათლის, ე.ი. ღვთის, სიძულვილი და გამუდმებული მალვა, რათა ადამიანებს მისი უჩრდილობა, უსულობა, დემონურ საუფლოსთან კავშირი არ შეეტყოთ. გარეგნულ ბედნიერებას თან მოჰყვა შინაგანი კრიზისი, სიცარიელის განცდა და უბედურება.

ცხადია, უჩრდილობა უსულობასთან ერთად გულისხმობს მონობასაც. ქართველმა ერმა ნებით თუ უნებურად „გაყიდა“ თავისუფლება გადარჩენის საფასურად (ბარათაშვილის წუხილი

შეიძლება გაგვახსენდეს, რომელიც სოლომონს პოემა „ბედი ქართლისაში“ ათქმევინა, რომ ჯერ არ ვართ ისეთ რთულ ვითარებაში, რომ „განვისყიდოთ თავისუფლებათ“. ამ „გარიგებამ“ ერს დააკარგვინა მადლი, რწმენა, ყოველგვარი სიკეთე და მომაკვდავ, უფრო მეტიც, ხრწნაშეპარულ ლეშად აქცია.

საინტერესოა, რომ პოემაში აჩრდილი მატერიალურ-სულიერ სუბსტანციად წარმოგვიდგება. იგი ხედავს, საუბრობს, სხეული აქვს, ამიტომ იგი შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ერის მითური იუნგისეული არქეტიპი. ერის მითურ არქეტიპთან ზიარება კი განათებულ გონებას მიაწვდის სამომავლო მოღვაწეობის ენერჯიას. ის იქცევა პარადიგმადაც. აჩრდილი წარსულიდან გამოიხმობს იმ ეპიზოდებს, რომლებმაც ლირიკულ გმირს სწორი არჩევანი უნდა გააკეთებინონ:

*„მახსოვს ფახნავაზ ჰაეხოვანი,
გუღმტკივნეული შვიდი ქვეყნისა,
მან იღვა თავსა სახედოვანი
ის დიდი საქმე შუხისგებისა“*

[ჭავჭავაძე 1985: 89].

ილიას აზრით, აჩრდილმა ლირიკულ გმირს და, შესაბამისად, მკითხველსაც, უპირველესად, შეამეცნებინა წარსულის, ანმეოსა და მომავლის, როგორც დაუცალკევებელი მთლიანობის, აუცილებლობა. მეცხრამეტე საუკუნის ქართველი რომანტიკოსებისთვის საქართველოს ისტორია იყო ბრწყინვალე, მაგრამ „ჩავლილი“, „დიდებულად ჩასვენებული მზე“, განვლილი ტკბილი სიზმარი - იგივე, მკვდარი. ეს საუკეთესოდ გამოიხატა ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში (მაგალითად, „გოგჩა“, „ვაჰ, დრონი, დრონი“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და სხვ.). ილიამ კი პოემა „აჩრდილით“ წარსულის სიცოცხლის აუცილებლობა იქადაგა. თუ წარსული მოკვდა, მაშინ აღარც მომავალი იქნება

(ილია სხვა ლექსებსა და წერილებში ხშირად ღრმად და ვრცლად მსჯელობს ამის თაობაზე).

ქართველმა რომანტიკოსებმა წარსულთან დიალოგის შეუძლებლობა, ერთგვარი ხიდჩატეხილობა, წარმოაჩინეს. როგორც აღვნიშნეთ, ეს განსაკუთრებით კარგად გამოიკვეთა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში, კერძოდ, პოემა „სადღეგრძელოში“. პოეტი როდესაც იხსენებს ფარნავაზს, აღნიშნავს, რომ მისთვის სრულიად უცხოა მეცხრამეტე საუკუნის საქართველო:

„ეს ვინ გადმოდგა, ვისი აჩრდილი
დაჰმზერს ივერსა ჩაფიქრებითა?
ნუთუ ველარა უცვნია შვილი...
მისგან აღზრდილი ტრფიალებითა?“

[ორბელიანი 1985: 179].

იგივე ტკივილი წარსულთან ცოცხალი ურთიერთობის შეუძლებლობისა უფრო მძაფრად გამოიხატა მის ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, რომელშიც თამარი ველარ „ცნობს“ ქართველს:

„...მაჰამ ცად თვადნი
გაქვს მიქცეუდნი,
და მე ველაჰ მცნობ გუდ-შემუსვიდსა,
დამციხებუდსა,
ხმა-მიღებუდსა,
ბედ-დაკახგუდის ივეჩიის ძეს!
ეჭვით აღვსიდსა,
უსასოდ ქმნიდსა,
გუდ-უიმედოს, გაუხაჰებდს!..“

[ორბელიანი 1985: 154].

ილიამ იცის, რომ ის, რაც იყო, აღარ არის და რაც არის, აღარ იქნება (ეს გულისხმობს არა მხოლოდ ბიბლიურ სიბრძნეს, არამედ კონკრეტულ, რეალურ ვითარებასაც). აქ ილია „ხვდება“, ეთანხმება რომანტიკოსებს, მაგრამ, მათგან განსხვავებით, მან იცის, რომ რაც იყო, ის უნდა გადარჩეს, ის უნდა განმეორდეს, თორემ ერი დაიღუპება. ერის „აჩრდილი“, რომელიც „მარად და ყველგანაა“, მუდამ განმეორდება, გამოვლინდება (ოღონდ საჭიროა იმგვარი ცხოვრება, რომ შესაძლებელი გახდეს მისი „დანახვა“ - „გზნება“). ილია ისტორიას „ცოცხლად“ განიცდის, ქადაგებს გმირების კულტს:

„წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა, მამულისათვის
თავის დადება!
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში
აღარ მოკვდება“

[ჭავჭავაძე 1985: 79].

ეს მეტაფიზიკური „გამეორება“ გულისხმობს წინაპართა ზნეობრივი მაგალითების მიბაძვას. თავგანწირვა რიტუალურად უნდა განმეორდეს, სხვანაირად არ მოგვაერდება ის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და მორალურ-ზნეობრივი პრობლემები, რომლებიც პოემაშია წარმოჩენილი. ერი უნდა ერობდეს, რაც, უპირველესად, გულისხმობს მამულისა და რჯულისათვის ბრძოლას, მოძრაობას, სულის აქტიურობას. „აჩრდილში“ ერი წარმოდგენილია როგორც მატერიალურისა და სულიერის ერთობა. იგია, როგორც არაგვი და თერგი, ასევე - მცხეთა, ფარნაოზი, ქრისტიანული რწმენა. წარსულში იყვნენ გმირები, მაგრამ „აღარ არიან“, მათი „დამბადი“ დიდი საგანი გამქრალა, არადა ისინი არ უნდა „მომკვდარიყვნენ“, ე. ი. მოკვდა ერის გონება, ხსოვნა, რომელმაც დაივიწყა ისინი და დავიწყების სიცარიელე ამოავსო წარმავალი, ფუჭი ღირებულებებით. „ჯაგით აღვსილა“ მეხსიერება, აქედან გამომდინ-

ნარე, ერი ველარ „მიემსგავსება“ წინაპარს („ეხის დაცემა და გათახსნიება მაშინ იწყება, როცა ეხი, თავისდა საუბედულოდ, თავის ისტორიას ივიწყებს“ („დავით აღმაშენებელი“) [ჭავჭავაძე 1985: 101]. „ახ ვიცით, ხანი ვყოფიდავით, ახ ვხედავთ - ხანი ვახთ, ვეი გამოგვისახია - ხანი ვიქნებით! ყუხებში ბამბა გვაქვს დაცული და თვადებზე ხელი აგვიფაჩებია. ახც ახაფეხს ვხედავთ, ახც ახაფეხი გვესმის“ („რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“) [ჭავჭავაძე 1985: 99]. წარსულსა და და ანმყოს შორის განწყვეტილია კავშირი, რაც ერისთვის თვითმკვლევლობას ედარება. „ხალა დაბადავს თქვენში დიდს გიძნობას?“ - კითხულობს ილია.

„ფუჭია იგი მისი ცხოვრება,
უფეხურია და ცახიელი,
ახც სიცოცხდეა, ახც გემოვნება,
ახცა საგანი გულწაჩმტაცველი!
იქ დღე ჰიბის დღესა, ვით ჰიბოდა გუშინ,
ეხთნაიხად და უგემუხადა, -
ხისთვისც მამანი იღვწოდნენ უწინ,
დღეს შვიდთ ახ ულით ახც ეხთ ფდუხადა.
გიძნობას ოქიოსა ფასად ჰყიდიან,
მთავის ღიმიდზე - პატიოსნებას,
და დაჟანგებულ ბოხკიდზე სცვიდიან
თავის მამურის თავისუფლებას“

[ჭავჭავაძე 1985: 77].

აკაკი ბაქრაძე წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“ მრავალმხრივ წარმოაჩენს, თანდათან როგორ დაიშრიტა ქართველ ერში ეროვნული ენერგია, როგორ დაირღვა ცნობიერება. მისი აზრით, ეს იყო კატასტროფა, რადგან ნიჰილიზმი ჩნდებოდა: „ცნობიერების მთლიანობას მოკლებული ადამიანები სხუდად თავისებუი მოვდენაა. ისინი ახსებობენ მხოლოდ კოლონიუხ დიგე-ხატუხაში და იბადებიან ოხი კუდგუხის შეჯახების დხოს. მით უმე-

გეს, თუ ერთი კუდგუხა მეოხეს ჩაგხავს პოლიტიკუხად, სამხედრო და სახელმწიფო ძღიეების მხივი. ცნობიეების მთლიანობას მოკლებულ ადამიანების სამყაოში ახ ახსებობს ამაღლებული. მათი სუღიეი მიღეკიღებანი შეზღუღულია და ახ სცღება ქონებხივი ინგეეხეს. მათ სამყაოში იღუპებიანი ისინი, ვისი სუღიც იღვიღებს. მათი მიღეკიღება მიბადვია ან უფღებხივიად, ან წოღებხივიად, ან ქონებხივიად უპიხატესისა. ამღენად, უცხოა მათთვის თავისუფღების წყუხვიღი. სუღეითია, გუღით ამბობენ თუ ოხპიხობენ, ისინი ეღაქუცებიანი ძღიეხს, მბხღანებღეს. ავღენენ ღაქიუხ ეთღუღებას, ივიწყებენ ეხოვნუღობას“ [ბაქრაღე 2011: 56].

„აჩრდიღში“ მწერალი ხატავს, ქვეყანა როგორ ავსებულა უსამართღობით, განუკითხაობით, ურწმუნოებით, გამქრალია ქართვეღი ერის სიმყარის განმაპირობებელი „ჯვარცმული ღმერთის“ რწმენა. გასათვალისწინებელია, რომ წარსუღის ანმყოში მყოფობას ერი უნდა განიცდიღეს არა მხოლოდ მეხსიერებით, არამედ მატერიალურადაც; ეს გამოიხატება დატოვებული ძეგღების, ხელნაწერების, ტაძრების დაცვასა და რესტავრაციაში. ამიტომ ზრუნავდა იღია ეკღესია-მონასტრების აღღგენაზე, კრებდა ხელნაწერებს, იცავდა დროშიხს ხელშეუხებღობას („აი, ისტორია“, „კატკოვის პასუხად“ და სხვ.). რეალურ დროში არსებულ ძეგღებთან, არტეფაქტებთან ურთიერთობით წარსული, კულტურა შეიმეცნება ხელშეხახებად, არა მხოლოდ სულიერად, არამედ მატერიალურადაც. წარსუღის ამგვარ სიყვარულს ლევი სტროსი უწოღებდა ისტორიის შეგრძნებას გემოთი.

პოემაში იღია ერს გაიაზრებს მითურად. ისტორიულ მოვლენებსა თუ არსებულ საგნებს ხატავს როგორც რეალურ, ასევე ზედროულ სივრცეში. ჰიუბნერის აზრით, წარსული სიცოცხლეს აგრძეღებს მითურ „არხეში“ [ჰიუბნერი 1996: 87]. ამიტომაც ერთგვარი მითოლოგიზება ხღება პოემაში წარმოდგენიღი სივრცისა (არაგვი, მცხეთა, თერგი). აქ, ამ სივრცეში, მღინარე, მთა, ქალაქი - ყველაფერი არის „მონმე“, სუ-

ლიერ-მატერიალური სუბსტანცია წარსულისა და, თანვე, თანამედროვეობის ნაწილი:

*„აგეხა მცხეთაც-სავანე გმიხთა,
დიდი აკდამა დიდის ცხოვრების,
სად პიხვედ ქახთვლის მოხჭმუდთა შვიდთა
ღმად ჩახვეს ძიხი თავისუფლების“*

[ჭავჭავაძე 1985: 79].

მნიშვნელოვანია, რომ პოემაში „აჩრდილის“ მზერა სწვდება მთელ საქართველოს. ილია ჭავჭავაძის ფიქრის საგანი ერის განუყოფელი სუბსტანციაა. ჰამლეტისეული „დროის“ რღვევით გამოწვეული ტრაგედია მისთვისაც აქტუალურია. „შენჩემობის“ ტკივილი, რომელსაც იწვევდა ეგოიზმის ვიწრო ჩარჩოები, მისთვის პიროვნული ტყვეობის გამოხატულებაც იყო. როგორც ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს წერილში „რა არის თავისუფლება?“, პიროვნული და ეროვნული თავისუფლება განუყოფელია:

*„მაგხამ საკუთხად ახცა ახაგვმა,
ახცა თეხგმა, ახცა გყემ და ახცა მთამა
ახ მიიზიდა მოხუცის თვადი,
სხუდ საქახთვედო მოჩანდა შოხსა...“*

[ჭავჭავაძე 1985: 72].

ილიას აზრით, ყოველ ქართველში არის მითური აჩრდილის, „მარად და ყველგან მყოფის“, ნაწილი. ვინც კარგავს მას, კარგავს მამულსაც. მამულდაკარგული ამგვარი ქართველების სიმრავლე ილიას საგონებელში აგდებდა და გამუდმებით „აფხიზლებდა“ ერის დაღუპვისაგან ხსნიასათვის. მთელი მისი შემოქმედება ამის გამოხატულებაა.

საგულისხმოა, რომ ილიამ „აჩრდილი“ მიუძღვნა იმ ადამიანებს, რომლებშიც, მისი აზრით, წინაპართა სული ცოცხ-

ლობდა, ხოლო ეპიგრაფად გამოტანილ რუსთველისეულ აფორიზმში კი აისახა ყოველივეს წარმავლობისა და „გამეორების“ ფუნდამენტური კანონზომიერება: „*ჩა ვაჩდმან მისი ყვა-ვიდი გაახმოს, დამჭნაჩოსა, / იგი წავა და სხვა მოვა გუჟფასა საბაღნაჩოსა*“ [ჭავჭავაძე 1985: 69]. ამითაც აიხსნება ეპიგრაფთა ცვლილება (თავდაპირველად ილიამ პოემას ფსალმუნის სტრიქონები წარუმძღვარა, რომლებითაც გადარჩენის იმედად მხოლოდ ღვთის მონყალება წარმოჩნდებოდა).

გრიგოლ რობაქიძე ილიას „კარდუს დიდ მოურავს“ უწოდებდა [რობაქიძე 1996: 79]. აჩრდილი გრიგოლ რობაქიძის „კარდუა“ – ერის „ურ-ფენომენი: „*იგია საიღუმდო მთედისა, ხომედიც ყოვედთვის მთედი ჩება, მაშინაც კი, ხოცა იგი ნაწიდეება. ეს მთედი აჩის „კაჩდუ“, იგია „ხაგი“ – ხოგოხც შინაგანი სახე გომისა თუ ხაღხისა. ქაჩთვედთა შეგნებაში ეს „ხაგი“ ისე მძღავხად და მძაფხად იყო გზნებუდი, ხომ იგი პიხოვნებადაც იქცა...*“ [რობაქიძე 1996: 82]. „*მცხეთის გვეჩდით ეგუდებოდათ კაჩდუს საფდავი*“ [რობაქიძე 1996 : 56].

პოემის მხატვრული კონცეფციის მიხედვით, ერის ბედი წყდება „აქაც“ (ამ სამყაროში) და „იქაც“ (მეტაფიზიკურ სივრცეში) – ღვთისა და ხალხის ნებით. ეს ნება ან ემთხვევა ერთმანეთს (როდესაც ერი ღმერთს მიჰყვება), ან არა (როცა ერი ღვთისკენ მიმავალ გზას კარგავს). პოემა „აჩრდილში“ მეორე შემთხვევაა დახატული. დაცემული ერი გზადაბნეულია, ცოდვაში ჩავარდნილი, გადაგვარებული, მონობას შეგუებული და ამიტომ „ფურთხის ღირსი“, როგორც აკაკიმ დაწერა ერთ ლექსში („ჩემი ვედრება“), ამიტომ მისი ბედის გადაწყვეტისთვის ღვთაებრივი და დემონური ძალები ერთმანეთს „ეჭახებიან“. პოემაში მოულოდნელი ავდარი – ჭექა-ქუხილი – ფარავს აჩრდილს, თითქოს ბნელი ძალა მზადაა ქვეყნის ჩასანთქმელად, ღვთაებრივი სინათლე „იშრიტება“, მაგრამ სასონარკვეთილებას არღვევს ის, რომ ცა ისევ გადაინმინდება (ამ ეპიზოდის სიმბოლური გააზრების, ქვეტექსტური ეგზისტენცი-ალური შეტყობინების მიხედვით, ავტორისეული იმედი იხა-

ტება, რაც გულისხმობს იმას, რომ ღმერთმა არ მიატოვა საქართველო). მყინვარზე მთელი თავისი დიდებულებით ისევ გამოჩნდა „აჩრდილი“, რომლის ლოცვასაც მოჰყვა ცისარტყელა - ნიშანი ღვთისა და კაცის „შერიგებისა“:

*„ნუთუ გათავდა ამით ხიდვა ეს!“ -
შემომგზიხა მე მწუხახე გუდმა.
მცხიეს ხანს შემდეგ გადიწმინდა ცა,
გამოილიმა ნათღად მთამაცა
და მზისა სხივით გაბხწყინვებუდი
კვდავ დავინახე მოხუცებუდი.
ცისკენ აღუპყინა თხოოდვითა ხედნი
და მოედხიკნა მუხდნი ძღიეხნი...“*

[ჭავჭავაძე 1985: 71].

მოხუცი, იგივე აჩრდილი, საქართველოს მარადიული უკვდავი სული, ღმერთს ქვეყნის გადარჩენას ევედრება. ილია იზიარებს საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის იდეას და იმედის მთავარ საყრდენად დედაღვთისას შემწეობას წარმოაჩენს. პოემის მიხედვით, ერის სული, იგივე ერის მითური სუბსტანცია, ღმერთმა ცნო გადარჩენის ღირსად. ასე წარმოჩნდა ეს ნება მხატვრულ სამყაროში. ილიას სურდა, რომ რეალურადაც ასე ყოფილიყო. თვითონ ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ერს ეცოცხლა, როგორც მთლიანობას, რომელიც გამჟღავნდებოდა მის ყოველ ნაწილში. ეს მთლიანობა კი ყველაზე მძაფრად თვით მის პიროვნებაში გამოიხატა, რომელიც გაიგივდა „აჩრდილთან“ - მარად და ყველგან მყოფ მითოპოეტურ სულთან.

ლიტერატურა:

ბაქრაძე ა. (2011), მეცხრამეტე საუკუნე, წიგნში „დავინყებულები იდეა“, თბილისი, გამომცემლობა „ლითერასი“, ISBN 0206-5746;

- ელიაძე მ. (2017)**, „მარადიული დაბრუნების მითი“, თბილისი, გამომცემლობა „ალეფი“, ISBN 978-9941-097-041;
- ორბელიანი გ. (1989)**, კრებული „სალამო გამოსალმებისა“, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“;
- რობაქიძე გ. (1996)**, „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“, წიგნში „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“, თბილისი, გამომცემლობა „ჯეკსერვისი“;
- რობაქიძე გ. (1994)**, „ერის სული და შემოქმედება“, წიგნში: „შერისხულნი“, ტომი II, გრიგოლ რობაქიძე“, თბილისი, გამომცემლობა „გეა“;
- შამისო ა. (2016)**, „პეტერ შლემილის უცნაური თავგადასავალი“, თბილისი, გამომცემლობა „ლითერასი“;
- ჭავჭავაძე ი. (1985)**, თხზულებანი, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“;
- პიუბნერი ვ. (1996)**, „მითის ქეშმარიტება“, მოსკოვი, გამომცემლობა „რესპუბლიკა“.

Ilia Chavchavadze refined and deepened the artistic system of the poem "The Ghost" for a long time. In its final version, the main message of the writer, covering the most important problem of the Georgian nation, was perfectly reflected – It was a search for a way to gain freedom. All of the writer's work is permeated with the pain of the homeland, but in "The Ghost" it was given a completely different artistic interpretation and expressed the philosophical, mythical and religious aspects of the survival of the Georgian nation. Ilia presented the need to restore the broken connection between Georgia's past, present and future in such a multi-meaning mythopoetic symbol as a ghost. In the poem, the meeting with the ghost is presented by Ilia as a mystery, during which a secret connection is established with the mythical substance of the nation. In a way, this is similar to initiation – The lyrical hero of the poem reaches the hidden, gets wisdom, shares the sacred, receives "knowledge" that will bring him closer to the truth. It is not just a simple meeting with a secret power, but it is like a revelation. The hero ex-

periences an epiphany. He contemplates the truth face to face. In the poem, the ghost „reveals“ its essence by itself, that he is always and everywhere with Georgia, and he is his immortal soul. The thinking that immortal soul of Georgia „is“ forever and everywhere, means, that it is sacred time and sacred space, where time stands still and space is unchanging. At the same time, it will be manifested in the current, changing, so-called, profane time and space. The purpose of this „revealing“ is one - to reveal the divine will and mystery to mortals.

As usual, this sort of thing appeared as a vision. Ilia Chavchavadze talks about this kind of vision in his poem, when he writes that he was visited by a foreign visionary, he worries that this vision will end etc. At the same time, this is also a „meeting“ with God the Father. „Son“ who brings fallen people, sinful brothers to God, in this case, is the writer in whom Christ lives. Grigol Robakidze writes that in the mysterious process of creation, the writer "turns" towards the soul of the nation, shares with Kardu, a mythical substance.

In the poem, this communion is drawn with such nuances that the reader feels its divinity. In the artistic system of the poem, the primary content of this line loses its meaning and acquires another, which retains its similarity, but is given more depth and generalization.

The transparent symbolism of the sun allows the reader to understand the presented episode of the poem in an irrational context. The lyrical hero of the poem, who is full of doubts, cannot „trust“ great grace, thinks that it is all an illusion and a lie. This proves that the connection is broken, God's grace can no longer reach the human heart. But an unexpected thing happens - the „sweetness of the morning“ takes its toll - it's time. „Preparation“ of the hero takes place. First of all, it is to fill it completely with nature. In the nature, its essence is permeated by hope, faith and love.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნათია დვალი და ლელა ნიკლაური

გარეკანის დიზაინერი - მარიამ ებრალიძე

გამომცემლობის რედაქტორები: თამარ გაბელაია და მარინა ჭყონია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი, 2023

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>